**Звуковая иконичность и звуковой символизм.** Как уже указывалось, слабость теории УГ заключается в том, что она не принимает во внимание роль имитации и звукового подражания в вербальном развитии детей. Имитация наблюдается у детей уже в возрасте шести месяцев, когда они начинают произносить односложные сочетания согласного и гласного (му, ма, па, на, да и пр.). Это подражание тому, что они слышат в социальном контексте. Подобные подражания имеют свои три базовые функции: 1) названия предметов или событий (ууу.. ма, ба и т.д.); 2) побуждение к какому-нибудь действию (ам, бах, ам); 3) выражение эмоционального состояния (не, татата и т.д.). Более 60% подобных звукоподражаний затем разовьются в существительные, а 20% станут глаголами. Уже в возрасте двух лет дети начинают употреблять двусложные повторения, типа : баба – бабушка, мама, гав-гав – собака, му-му – корова, папа и пр. Эти примеры свидетельствуют о том, что голосовые или звуковые подражания служат для моделирования дальнейших, более сложных высказываний.

Наглядность и звуковое подражание, однако, не исчезают из языка и взрослых людей. Это можно увидеть в тенденции взрослых создавать что-то новое в повседневных речевых высказываниях. Например, голосовая (звуковая) наглядность проявляется в следующих случаях:

\*при использовании аллитерации (повторение звуков) для создания различного рода эффектов: о, нет, нет, нет! мямля, балалайка и др.;

\* в удлинении звуков для придания особого значения высказыванию: Дааааа! Да чтооо ты! О, бооооже!

\* в моделировании звуков, как это часто делается в мультипликационных фильмах: Бум! Хрю-хрю! Опля!

\* в случае гнева и раздражения – повышение голоса; для создания секретности – шёпот;

\* в использовании аллитеративных идиом, пословиц и поговорок: Тише едешь – дальше будешь; Мели Емеля – твоя неделя; Щи да каша – пища наша.

Первооткрывателем в изучении феномена звукового моделирования был Моррис Сведеш[2], который попытался привлечь внимание к таким символическим чертам звуков, как, например, присутствие во многих мировых языках слов со звуком [и], выражающие близость к чему-либо; по контрасту слова со звуками [а] – [о] - [у]- обозначают удалённость. Это звуковое моделирование он включает в общую рубрику под названием *звуковой символизм*.

Такое совпадение, по его мнению, представляло собой особое, близкое друг к другу положение губ при произнесении гласных переднего ряда [и], [е], в то время как для произношения гласных [а], [э], [у] и других гласных заднего и среднего ряда требовалась ещё дополнительная артикуляция.

Примерами такой парадигматической дифференциации существуют во многих языках. Вот некоторые примеры, приведенные М. Сведешом из английского языка.

## Бликие понятия

here = [hi:r]

near= [ni:r]

this = [ is]

## Удалённые понятия

there = [ :r]

far = [fa:r]

that= [ at]

В 1960х – 1970х годах изучением влияния звукового символизма на создание и восприятие слов занимался известный психолог Роджер Браун [3,272]. При проведении одного из своих опытов он попросил испытуемых людей, для которых английский язык являлся родным, прослушать пары антонимов из языков, неродственных английскому, и затем попытаться определить, какому иностранному слову соответствует предложенное английское слово. Испытуемым дали задание догадаться о значении иностранного слова по составляющим их звукам. Он (Браун) попросил подобрать пару к словам ch'ing и chung из английских эквивалентов light (лёгкий) и heavy (тяжёлый). 90% опрошенных правильно сочетали пары слов, и это позволило Р.Брауну сделать вывод о том, что степень точности перевода может быть объяснена примитивным фонетическим символизмом, выводимым из происхождения языка, а также в некотором смысле подражательного или психогноматического соединения звуков и значений.

Предположения о наличии у звуков языка отдельной собственной семантики можно найти и в работе М.В Ломоносова «Риторика» (1748), где он указывает, что «Из согласных письмен твердые к, п, т и мягкие б, г, д имеют произношение тупое и нет в них ни сладости, ни силы, ежели другие согласные к ним не припряжены, и потому могут только служить в том, чтобы изобразить живое действия тупые, ленивые и глухой звук имеющие, каков есть стук строящихся городов и домов, от конского топоту и от крику некоторых животных. Твердые с, ф, х, ц, ч, ш и плавкое р имеют произношение звонкое и стремительное, для того могут спомоществовать к лучшему представлению вещей и действий сильных, великих, громких, страшных и великолепных. Мягкие ж, з и плавкие в, л, м, н имеют произношение нежное и потому пристойны к изображению нежных и мягких вещей и действий. По словам Г. А. Гуковского [4,96], «каждый звук имеет, по Ломоносову, свою содержательную энергию. Но эта энергия сама по себе не рациональна, а эмоциональна. Более того, она несёт в себе явственный признак иррационального».

На одной из психолингвистических конференций [5] ее участникам были показаны рисунки, изображавшие фантастических животных: одно из них было тощее, угловатое, злобное на вид, другое, напротив, округлое, мягкое, на вид очень добродушное. Докладчик задал вопрос всем присутствующим: какое из этих животных мамлына, а какое жаваруга! (Кстати, потом этот эксперимент был повторен на страницах «Недели».) Никакого сомнения ни у кого не возникло: колючий, щетинистый зверь мог быть только жаваругой, а округлая, «домашняя» зверюшка — мамлыной. Почему? Используя хорошо известную психолингвистам методику «семантического дифференциала», можно точно установить, как люди, говорящие по-русски, оценивают отдельные звуки русского языка и их сочетания. Вот что получилось для звуков Л и Ж в русском языке: Л – звук женственный, лёгкий, нежный, добрый; Ж – грубый, некрасивый, шероховатый, тяжёлый, опасный. Поэтому понятно, почему вышеуказанные слова и получили подобные оценки.

Таким образом, иконические обозначения могут передаваться двумя основными типами слов – звукоподражаниями (в случае акустической артикуляции) и звуко-символизмами (в случае артикуляционной имитации). Иконичность является универсальным средством языка и может проявляться на различных уровнях: в тексте, на уровне синтаксиса, морфологии и на уровне первичного словообразования (имитация акустических характеристик слышимого звука при помощи фонем языка со схожими акустическими характеристиками в ходе звукоподражания).

**Литература:**

1. Chomsky, N. Knowledge of Language: Its Nature, Origin, and Use New York; Praeger. 1986.
2. Swadesh, M. The origins and Diversification of Language. Chicago: Aldine-Atherton. 1971
3. Brown, R. Psycholinguistics. New York: The Free Press. 1970: 272.
4. Гуковский Г.А. Ломоносов – критик. Литературное творчество Ломоносова. Исследования и материалы. М., 1962
5. <https://www.nkj.ru/archive/articles/23993/> (Наука и жизнь, Слова «холодные» и «горячие»)

**Elene Iagovkina****About some features of the languages**

## Abstract

Language comes naturally to us. We acquire it without effort or training during our infancy. This is perhaps why the linguist Noam Chomsky goes so far as to claim that language is a physical organ, as congenital to the human being as, say, flight is to a bird. For Chomsky, all languages are designed according to a universal grammar (UG) present in the brain at birth. As persuasive as UG theory is, in our view, it is significantly flawed because it has been restricted to accounting for the development of grammar in the child. It ignores a much more fundamental creative force in early infancy – iconicity – which involves a process of creative imitation.

In the article some examples are given to show what role imitation and iconicity play in childhood verbal development. Sound modeling phenomena usually is included under the general rubric of sound symbolism.

რეცენზენტები: პროფ. ვ. სტარინკოვი

## ნასესხები სიტყვების სახითი ქართულ ენაში

ენა ეროვნული თვითმყოფადობის და განვითარების მძლავრი იარაღია. ქართული მდიდარი ენაა, რასაც განსაზღვრავს ლექსიკის თავისებურება და მრავალფეროვნება. ლექსიკური მარაგის გამდიდრების სხვადასხვა გზა არსებობს, მათგან მნიშვნელოვანია სიტყვების სესხება, რაც ენას უფრო მოქნილს და სრულყოფილს ხდის. ნასესხები სიტყვები ენაში საჭიროების გამო შემოდის და ავსებს მას, რადგან არ არსებობს აბსოლუტურად სრულყოფილი ენა, მაგრამ დღეს გავრცელებული სიტყვები სცდება ყოველგვარ ზღვარს და ბარბარიზმებად გვევლინება, რაც ენის დაკნინებას და მისი ღირსების შელახვას იწვევს. ამას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ არ არსებობს მაკონტროლებელი ორგანო. ენაში დაინერგა ისეთი უცხო სიტყვები, რომლის შესატყვისიც ქართულ ენას აქვს. დღევანდელ სალიტერატურო ენაში ეს პრობლემა მეტად მწვავედ დგას.

ენა ეროვნული თვითმყოფადობის უტყუარი და მძლავრი იარაღია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული და სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ენის კულტურა აზროვნების კულტურის მაჩვენებელია. იგი ბევრ ინფორმაციას იძლევა ერის ცნობიერებისა და მენტალობის შესახებ. ილია II საშობაო ეპისტოლეში წერს: „ჩვენს ერს ქართული ენის სახით უდიდესი საუნჯე აქვს. ჩვენს ენაში განცხადებულია ჩვენი ისტორია და აზროვნების წესი“.

ქართული ენა ქართველი ხალხის პატივი და ღირსება, ფარი და მახვილი, ზღუდე და გალავანია. იგი მდიდარი ენაა, რასაც განაპირობებს ლექსიკის მრავალფეროვნება. ლექსიკა ფართო ცნებაა და მოიცავს ყოველდღიური მეტყველების, დიალექტური ნაირსახეობის, სალიტერატურო ენის სიტყვობრივ მარაგს. ლექსიკის სიმდიდრის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ენის გაშლა გეოგრაფიულ სივრცეში. ლექსიკა ყველაზე ცვალებადი კომპონენტია ენისა. მასში არსებულ ლექსიკურ ერთეულებს ენათმეცნიერების განშტოება, ლექსიკოლოგია შეისწავლის.

ენა დროთა ვითარებაში განიცდის ცვლილებას და აყალიბებს თავის ორგანიზმს, იმუშავებს საკუთარ ენობრივ პოტენციალს. რაც უფრო რთული და შინაარსობრივი გზა განვლო ამა თუ იმ ხალხმა ისტორიულად, მით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ენა. „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არცერთ ენაზე, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოითქვას, არამედ

მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას... შეუძლია სრულფასოვნად და დაუმახინჯებლად გადმოსცეს განყენებული აზროვნების ცნებები... ასე მდიდარია ქართული. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიურია." - წერდა ნიკო მარი. დიდი ენათმეცნიერის ეს სიტყვები ნათლად მეტყველებენ ქართული ენის სიმდიდრეზე.

ენა ცოცხალი ორგანიზმია. მასში შემავალი ლექსიკური ერთეულები იზადება, ვითარდება და დროთა განმავლობაში განიცდის კვდომას. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ჩვენ ვხვდებით მთელ რიგ სიტყვებს, რომელიც ამჟამად აღარ იხმარება და ბევრი მათგანი დაუცავს მხოლოდ კუთხურ მეტყველებას.

ლექსიკის გამდიდრების სხვადასხვა გზა არსებობს: სიტყვათა შერწყმა ანუ კომპოზიტები, სიტყვათა წარმოქმნა აფიქსების საშუალებით და უცხო სიტყვათა შესება. მათგან ლექსიკის გამდიდრების მნიშვნელოვანი წყაროა სიტყვათა შესება, რაც „ენას არ დაადაბლებს, თუ არ აამაღლებს" (ილია ჭავჭავაძე).

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ენა ისეთივე მდიდარი და მრავალფეროვანია, როგორც არის ბუნება კავკასიონისა" (აკაკი წერეთელი), დედამიწაზე არ მოიპოვება აბსოლუტურად სრულყოფილი ენა, რომელსაც ყოველი ცნებისთვის ყოველი ცალკეული სიტყვა გააჩნდეს და არ ჭირდებოდეს სიტყვათა შესება. ნასესხები სიტყვები ენის გამაახლებელი და გამაცოცხლებელი ნივთიერებაა. იგი ამდიდრებს ენის ლექსიკურ მარაგს, მაგრამ მნიშვნელოვანია, თუ რა დოზით შედის ის ენის ორგანიზმში. უცხო სიტყვათა გავლენა გარდაუვალი ბედია ყოველი ენისა. ნასესხებ სიტყვებს ენა ეპყრობა, როგორც საკუთარ ფორმებს და დროთა განმავლობაში უმორჩილებს თავის ფონეტიკურ წესებს, ცვლის მას ფონეტიკურად.

საქართველოს მუდამ ჰქონდა კავშირი გარესამყაროსთან, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე ქვეყნებთან, ეს იყო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, ქართულ ენას განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჰქონდა კონტაქტი სხვადასხვა ენებთან: ბერძნულთან, სპარსულთან, არაბულთან, რუსულთან... ეს ურთიერთობა მკვეთრად აღიბეჭდა ქართული ენის სტრუქტურაში.

უცხო ენებიდან ქართულში მრავალი სიტყვა შემოდიოდა. ზოგი მხოლოდ დროებით იკიდებდა ფეხს, ზოგი მათგანი კი მკვიდრდებოდა და უთვისდებოდა ენას. დროთა ვითარებაში ბევრი ნასესხები სიტყვა იმდენად შეუსისხლხორცდა ქართულს, რომ მათი უცხო წარმომავლობა აღარ იგრძნობა. ამიტომაც ისინი შეტანილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. მაგალითად, ბილეთი, ხანჯალი, ჭაბუკი, კომპოტი... ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

სესხების არი გზა არსებობს: უშუალო და შუალობითი. სიტყვა შეიძლება მომდინარეობდეს ამა თუ იმ ენიდან უშუალო კონტაქტის შედეგად პირდაპირი გზით. მაგალითად, უშუალოდ ბერძნულიდან არის შეთვისებული ეკლესია, სპარსულიდან – ბუღბული.

შუალობითია შესება, როცა სიტყვა ნასესხებია არა იმ ენიდან, რომელსაც ის ეკუთვნის, არამედ სხვა ენიდან. მაგალითად, სტუდენტი, პროფესორი, ასიმილაცია ლათინური წარმოშობის სიტყვებია, რომელიც ქართულ ენაში დამკვიდრდა რუსული ენის მეშვეობით.

სიტყვების შესხების მიზეზი ძირითადად ორგვარია: საჭიროება და იძულება. საჭიროება გამოწვეულია ენის შინაგანი ხარვეზის შესავსებად, ხოლო იძულებას პოლიტიკური სარჩული აქვს - როცა ერთი ერი ექცევა მეორე ერის გავლენის ქვეთ. ასეთი იყო, მაგალითად, ქართულ-ბერძნული, ქართულ-სპარსული, ქართულ-არაბული, ქართულ-რუსული მიმართება. ჩვენს ისტორიას ახსოვს არაბთა ბატონობის ოთხსაუკუნოვანი პერიოდი, რომლის შემდეგაც მშობლიურ ენაში განმეორდა არაბთა ლექსიკა. იგი ფეხს VII საუკუნიდან იკიდებს. ზოგმა სიტყვამ ფონეტიკური ცვლილება განიცადა, ზოგი კი მხოლოდ დროებით შემორჩა ენას. იგივე შეიძლება ვთქვათ რუსული ენის გავლენის შესახებაც, რამაც უამრავი სიტყვა გააჩინა ქართულ ენაში.

შემოსული სიტყვა ზოგჯერ ასუსტებს, მერე კი საერთოდ აქრობს „დამხვდურ" სიტყვას. ცნობილია, თუ როგორ განდევნა ლათინურმა ტერმინოლოგიამ ქართული საკალენდარო

სისტემის ძველი ტერმინოლოგია. შესაძლოა „დამხვედური“ სიტყვა დარჩეს ნასესხები სიტყვის სინონიმად. მაგალითად, ხოტბა (არაბული) და ქება (ქართული).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რარიგ განვითარებული არ უნდა იყოს სალიტერატურო ენა, იგი უცხო გავლენას მაინც ვერ აცდებდა, მაგრამ პრობლემა მის რაოდენობაშია. ნასესხები სიტყვების მოზღვაგება, გადაჭარბებული სესხება უარყოფით გავლენას ახდენს ენის განვითარებაზე, განსაკუთრებით კი ისეთი ერთეულების დანერგვა, რომლის შესატყვისიც ენის ლექსიკურ ფონდში მოიძებნება. ასეთ შემთხვევაში იშლება ზღვარი ნასესხებ სიტყვებსა და ბარბარიზმებს შორის. თუ პირველი ენის სიმდიდრის მაჩვენებელია, მეორე აბინძურებს ენას. ბარბარიზმებში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება წყება სიტყვებისა, რომლებიც განეკუთვნებიან ინტერნაციონალურ ლექსიკას. ესაა მეცნიერებისა და ტექნიკის, პოლიტიკისა და ხელოვნების სპეციალური სიტყვა-ტერმინები, რომელთა უმრავლესობა საერთაშორისო წარმოშობისაა.

ენა ცოცხალი ორგანიზმია. იგი მუდმივად ვითარდება და ივსება. ახალი საგნის გაჩენა ბადებს ახალ სიტყვას. სწრაფად განვითარებადი ტექნიკური ცივილიზაცია, საინფორმაციო სივრცე და ინტენსიური ურთიერთობა გარე სამყაროსთან უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ენის ფორმირებაზე. ამ კუთხით XXI საუკუნის ლექსიკა მეტად მასშტაბურია. შეუძლებელია ენამ ასახოს ყველა სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ ფაქტია, რომ შესატყვისის არსებობის შემთხვევაშიც ფეხს იკიდებს უცხო ლექსიკური ერთეული, რაც, გარკვეულწილად, „მოღურ“ ტენდენციად იქცა. მაგალითად:

<b>ქართული</b>	<b>უცხო</b>
შემოქმედებითი	კრეატიული
შედევრი	რესულტატი
ფოსტა	მეილი
ღონისძიება	ივენტი
ცდა	ექსპერიმენტი
წვეულება	ფართი

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია დღეს გავრცელებული „მოღური“ მეტყველებისა, რომლის დამკვიდრებასაც ხელს უწყობს ქართული მედია.

უცხო ლექსიკური მარაგის ჭარბი სესხება არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად „მიმღები“ ენის განვითარებისათვის. სესხების ეს სიუხვე გარეგნულად ენის გამამდიდრებელ საშუალებად გვეჩვენება, არსებითად კი მისი შინაგანი ევოლუციის შემაფერხებელია. ენა „სხვა ენის ხარჯზე“ ვითარდება, ივსებს დანაკლის ფორმებს, რაც ასუსტებს ენის ლექსიკურ ენერჯიას - შექმნას ახალი ლექსიკური ერთეულები. მწერლობის მქონე ცივილიზებულმა ენებმა უნდა დაიცვას თავისი პრესტიჟი და უცხოური სიტყვები ადვილად არ მიიღოს, რადგან ენამ, უპირველესად, საკუთარი რესურსის გამოყენება უნდა შეძლოს.

თუ კი აქამდე ჩვენს „ტკბილქართულს“ რუსული ენის ზეგავლენა ემუქრებოდა, რომელსაც განაპირობებდა სახელმწიფოთა პოლიტიკური კონტაქტი, დღეს იგი ოთხი-ხუთი ენის აქტიური შემოტყვის სარბიელი ხდება. ამას ემატება „ინტერნეტის ენაც“, რომელიც ყველაზე ფართოდაა გავრცელებული. ინგლისური სიტყვების სიმრავლეს, პოლიტიკურთან ერთად, განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკური დამოკიდებულება და ტექნიკური ევოლუცია.

ენის ლექსიკური შემადგენლობა ცვალებადია. „თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე. ი. აზრიანობა, მსჯელობა ემატება, სიტყვაც მიემატება, ენაც გაუმდიდრდება“ - წერდა ილია ჭავჭავაძე. ის მომხრე იყო ენაში საერთაშორისო სიტყვების დამკვიდრებისა, ისეთებისა, რომლის შესატყვისიც ქართულ ენაში არ არის. მან თავის საპოლემიკო სტატიაში პირველად გამოიყენა სიტყვები „ორიგინალი“, „სენტიმენტალური“ და სხვა, რის გამოც მას აკრიტიკებდნენ. ამის შესახებ ილია ბარბარე ჯორჯაძეს წერდა: „ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგგვარი სიტყვები თქვენ უცხო სიტყვებად მიგიღიათ. ეგ, მართალია, ქართული სიტყვები არ არის, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც

ვიხმაროთ. თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ; პოემა, პროზა, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია და სხვანი. ეგ არა ხალხს არ დაეძრახება. ის სცრუობს, რომელიც ძრახავს მაგგვარი სიტყვების შემოტანას ენაში." (თხზ. 1941, ტ II, გვ. 34 – 35). ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ილია გომბდა უცხო სიტყვების მოზღვაებას. იგი წინააღმდეგი იყო ბარბარიზმებით ენის დაბინძურებისა.

კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსი". ქართველ ერსაც მუდმივად უხდებოდა ამ საპატიო მოვალეობის შესრულება. ენის სიწმინდისათვის ბრძოლა საჭირო და აუცილებელი გახდა ე. წ. აღორძინების ხანის ენაში. ამ დროისათვის დამახასიათებელი იყო უცხოური ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ელემენტების მომძლავრება. სპარსულიდან და თურქული ენებიდან მომდინარე სიტყვებით და გამოთქმებით ივსებოდა ქართული ლექსიკონი. ხშირად ისეთი სიტყვებიც ინერგებოდა, რომლის შესატყვისი ჩვენს ენას კარგა ხანია ჰქონდა. ეს ფაქტი ქართულ სიტყვებს გაქრობით ემუქრებოდა. პირველი, ვინც ხმა აღიმადლა ენის დასაცავად, არჩილ მეფე იყო.

ქართული ლექსიკონის სიწმინდის დაცვაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ლექსიკონის ავტორმა სულხან-საბა ორბელიანმა. საბა ბრძოლას უცხადებდა „სხვათა ენიდან" შემოსულ ისეთ სიტყვებს, რომელთა დამკვიდრება ჩვენს ენაში არ იყო გამართლებული. ძალადობის გზით შემოსულ სიტყვებს საბა „უხმარს" უწოდებდა, რითაც ხელს უწყობდა მათ განდევნასა და მივიწყებული ქართული სიტყვების დამკვიდრებას. ამგვარ სიტყვებს იგი შემდეგნაირად განმარტავდა:

ლეში–სომხურია და უხმარი, ქართულად მძორი ჰქვიან.

ფიქრი – არაბულია, გულისთქმას უხმობენ, უხმარად ვიტყვით ქართველნი.

ენის სიწმინდისათვის ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა XIX საუკუნის 80-90 იან წლებში, რომლის თაოსანიც იყო ილია ჭავჭავაძე. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. უცხო სიტყვათა გავლენის ქვეშ მოქცეული თავანკარა ქართული დღესაც საჭიროებს დაცვას. თუ XIX-XX საუკუნეებში რუსული ენიდან ძალდატანებით ხდებოდა სიტყვების გაგრძელება პოლიტიკური თვალსაზრისით, დღეს ინგლისურ ლექსიკას ფართოდ ვუღებთ კარს, ისე, რომ საკუთარ ლექსიკონში არც კი ვიხედებით. ცხადია, ენა ყოველთვის მზად არ არის, თავისი ერთეულები დაახვედროს უცხო სიტყვას, მაგრამ, უპირველესად, საკუთარი რესურსი უნდა გამოვიყენოთ.

პრობლემა მეტად მწვავეა. უცხო სიტყვები დიდი სიმძლავრით იკიდებს ფეხს განსაკუთრებით მოზარდებში, რაც ქართული სიტყვის უგულვებელყოფას და ღირსების შელახვას იწვევს.

1998-2004 წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა ენის სახელმწიფო პალატა, რომელიც თვალ-ყურს ადევნებდა სალიტერატურო ენის ნორმათა დამკვიდრებას და არეგულირებდა უცხო სიტყვათა შემოსვლას. მსგავსი ორგანოები სხვადასხვა სახელწოდებით არსებობდა 1921 წლიდან. დღეს კი ენა დაუცველია.

კაცობრიობას რაც კი შეუქმნია განვითარების გრძელ გზაზე, ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი ენაა. „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა... ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს" – წერდა დიდი ილია. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს" – დასძენდა გრიგოლ ორბელიანი. ჩვენმა ენამ საუკუნეების ქართველებს სძლია და შეინარჩუნა თვითმყოფადობა, როგორც მძლავრი იარაღი ეროვნებისა. მისი დაცვა კი ყველა მოქალაქის მოვალეობაა. დავიცვათ ენის კულტურა და არ დავუშვათ მისი უფლებების შელახვა. შევინარჩუნოთ მხატვრული სიტყვის ოსტატების, ჩვენი კლასიკოსების ენა.

**ლიტერატურა:**

1. ბ. ფონსუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ. 1974
2. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი
3. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, „განათლება“, თბილისი – 1989
4. შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, „მეცნიერება“ 1975
5. შ. ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, „მეცნიერება“ 1990

**Mtvarisa Kepuladze**

**The issue of borrowed words in Georgian  
Abstract**

Language is a powerful tool for national identity and development. Georgian is a rich language that defines the character and diversity of the vocabulary. There are different ways to enrich the lexical stock, and it is important to borrow the words. Which makes the language more flexible and perfect. Borrowed words come in because of the need for language and fills it because there is absolutely no perfect language.

But today the words in Georgian are going beyond any barrier and barbarism. Georgian language needs protection from the state.

რეცენზენტი: პროფ. მ. ქაცარავა

## კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ასპექტები

სტატიაში განხილულია თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ენის მთავარი დანიშნულება, რომ შედგეს კომუნიკაცია მოსაუბრესა და მსმენელს შორის. კომუნიკაცია მეტად რთული პროცესია. იგი წარმოადგენს ინფორმაციის იდეების, აზრების გაცვლას, ორ ან მეტ პიროვნებას შორის. კომუნიკაცია ხორციელდება ინფორმაციის გამგზავნის და ინფორმაციის მიმღების ანუ, მოსაუბრის და მსმენელის ან მწერლის და მკითხველის საშუალებით.

საკომუნიკაციო პროცესის ეფექტურად წარმართვაში, დიდ როლს თამაშობს როგორც, ვერბალური, ასევე არავერბალური ნიშნები. ვერბალური ნაწილით გამოხატული ინფორმაცია გვეხმარება, გამონათქვამისადმი მოსაუბრე-მსმენელის დამოკიდებულების დაფიქსირებაში.

არავერბალურ ენას შეუძლია "გასცეს" კომუნიკანტი იმდენად, რამდენადაც ვლინდება მისი საშუალებით კომუნიკანტის შეუნიღბავი სახე. არავერბალური საშუალებები სპონტანურად გამოიყენება, რაც გამოწვეულია, ნერვული სისტემის, როგორც დაბალი, ასევე უმაღლესი მარეგულირებლობით, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კომუნიკაციაზე.

ყველა კულტურას გახნია ენობრივი სისტემა, რომლის დახმარებითაც კულტურის მატარებელთა აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა. მეცნიერებაში ენობრივი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმას ეწოდა კომუნიკაციის ვერბალური საშუალებანი. ცნობილ ვერბალურ საშუალებებს განეკუთვნება უპირველესად ადამიანთა მეტყველება, რადგანაც მეტყველების მეშვეობით ადამიანები ღებულობენ და გასცემენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ძირითად ნაწილს. თუმცა იგი წარმოადგენს ენის ერთ-ერთ ელემენტს, ამიტომაც მისი ფუნქციური შესაძლებლობანი უფრო მცირეა, ვიდრე მთლიანი ენობრივი სისტემისა.

XXI საუკუნის ლინგვისტიკა აქტიურად შეიმუშავებს მიმართულებას, რომლის მიხედვითაც ენა განიხილება, არა უბრალოდ კომუნიკაციის და შემეცნების იარაღი, არამედ როგორც კულტურული კოდი. ასეთი მიდგომის საფუძველს პუმბოლდტის სიტყვებიც მოწმობს: "ჩემი ენის საზღვრები ჩემი მსოფლმხედველობის საზღვრებია" (Гумбольдт 1984:234).

ჩვენ არ არსებობს კულტურის გარეშე და პირიქით, კულტურა – ენის გარეშე. ის უმთავრესი კომპონენტია კულტურისა, აზროვნების ფორმაა, ადამიანური ცხოველქმედების სპეციფიკური გამოვლენაა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ენის რეალურ ყოფიერებას, ამიტომაც ენა და კულტურა განუყოფელია.

ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების პრობლემასთან გავრცელებულია ვ. ჰუმბოლდტის იდეები, რომლის მოსაზრებებით, ენა წარმოადგენს "ხალხის სულს", ხალხის ყოფიერებას. კულტურა, უპიველეს ყოვლისა, ენაში ვლინდება, იგი კულტურის ჭეშმარიტი რეალობაა, კულტურის მხრიდან კი იგი ფიქსირებული შეხედულებაა საკუთარ თავსა და სამყაროზე. ჰუმბოლდტი წერდა, რომ ენის შესწავლა არ წარმოადგენს თვითმიზანს, ყველა დანარჩენ სფეროსთან ერთად იგი ემსახურება საერთო უმაღლეს მიზანს, კაცობრიობის მიერ საკუთარი თავისა და ყველაფერი ხილულისადმი თუ მისგან დაფარულისადმი საკუთარი დამოკიდებულების შეცნობას" (Гумбольдт 1984:233).

როგორც ვ. ლევი-სტროსი აღნიშნავდა, "ენა ერთდროულად კულტურის პროდუქტიცაა, მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილიც და კულტურის არსებობის პირობაც, უფრო მეტიც, კულტურის არსებობის სპეციფიკური საშუალება, კულტურული კოდების ფორმირების ფაქტორია" (Леви-строс 1995:68).

ენა არის ერთ-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ადამიანს ადეკვატურად აღიქვას სამყარო. ვ. ჰუმბოლდტი ენას, ადამიანის გონის უმთავრეს მოღვაწეობად მიიხსენებს. მისი აზრით, ენის ადეკვატური შესწავლისათვის აუცილებელია ადამიანის ცნობიერებასთან და აზროვნებასთან, კულტურასთან და სულიერ ცხოვრებასთან მისი მჭიდრო კავშირის გათვალისწინება. ჰუმბოლდტისათვის ენა ხალხის ერთიანი ენერჯიაა, იგი ეროვნული ფორმის მქონე კოლექტიური მოვლენაა. ამდენად, ენობრივი კოლექტივი ჰუმბოლდტის მოძღვრების მიხედვით ერთდროულად სოციალურ და ლინგვისტურ ცნებად გვევლინება. [გამყრელიძე 2003:465].

ვერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთმა ფუნქციონირებელმა გრაისმა თავის ნაშრომში "Logic end conversation" 1999წ. ჩამოაყალიბა ვერბალური კომუნიკაციის ძირითადი პრინციპები და დაყო ისინი ოთხ კატეგორიად:

1. რაოდენობრივი კატეგორია;
2. ხარისხობრივი კატეგორია;
3. ურთიერთობის კატეგორია;
4. მეთოდური კატეგორია.

რაოდენობრივი კატეგორია დაკავშირებულია გადასაცემი ინფორმაციის რაოდენობასთან და აერთიანებს ორ პოსტულატს:

1. შენი ნათქვამი უნდა შეიცავდეს საჭიროზე არანაკლებ ინფორმაციას.
2. შენი გამონათქვამი არ უნდა შეიცავდეს საჭიროზე მეტ ინფორმაციას.

ხარისხობრივი კატეგორიის ზოგადი პოსტულატია - გამონათქვამი უნდა შეესაბამებოდეს ჭეშმარიტებას. ამ კატეგორიას აქვს ორი ძირითადი პოსტულატი:

1. თქვა ისეთი რამ, რასაც მცდარად თვლი.
2. არაფერი თქვა უსაფუძვლოდ.

ურთიერთობის კატეგორია ერთ-ერთ რელევანტობის პოსტულატს მოიცავს - არ გადაუხვიო თემას.

მეთოდურ კატეგორიას ეხება არა ის რა ითქვა, არამედ ის როგორ ითქვა. აქ გაერთიანებულია შემდეგი ოთხი პოსტულატი:

1. მოერიდე გაუგებარ გამონათქვამებს;
2. შეეცადე ილაპარაკო ცალსახად და გასაგებად;
3. Tგადმოეცი ლაკონურად;
4. იყავი ორგანიზებული (Grice, 1999:58).

ეფექტური კულტურათაშორისი კომუნიკაცია მოითხოვს ვერბალური კომუნიკაციის სტილს, რომელიც მიუთითებს, როგორ გაიგონ და ახსნან ვერბალური ურთიერთობის კომუნიკაციის კონტექსტი. ის ადამიანის კომუნიკაციის ქცევის ინდივიდუალურ სტაბილურ ფორმას წარმოადგენს, წარმოქმნის ნებისმიერი პირობით ურთიერთობას, ნებისმიერ სიტუაციაში.

ვერბალური კომუნიკაცია გულისხმობს ყველა ვერბალური ჟანრის ცოდნას: რეპლიკიდან და კომენტარებიდან ლექციამდე, მოხსენებამდე, საინფორმაციო შეტყობინებასა და სახალხო გამოსვლამდე.

ვ. პოჩეპცოვი ვერბალური კომუნიკაციის ოთხ სტილს გამოყოფს:

1. პირდაპირი და არაპირდაპირი სტილი;
2. ზუსტი და მოკლე სტილი;
3. პიროვნული და სიტუაციური სტილი;
4. ინსტრუმენტული და ეფექტური სტილი (Почепцов, 2003:319-322).

ურთიერთობის პირდაპირი მკაცრი სტილი, მკვლევართა აზრით დამახასიათებელია დაბალკონტექსტუალური ამერიკული კულტურისათვის. მასში ძალიან მცირე ადგილი რჩება გამოუთქმელობისათვის. ამერიკელები ცდილობენ გამოიწვიონ მოსაუბრე პირდაპირი საუბრისათვის. ხშირად ასეთი სტილი დამახასიათებელია ინდივიდუალური კულტურისათვის.

არაპირდაპირი ვერბალური სტილი, ახასიათებთ სამეტყველო ცნებებს, რომლებიც ფარავენ ჭეშმარიტ სურვილებს, მიზნებს, მოსაუბრის მოთხოვნებებს. ასეთი სტილი დამახასიათებელია მაღალკონტექსტური კულტურებისათვის, როგორებიცაა: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, იაპონია, კორეა.

ხელოვნური სტილი ითვალისწინებს, ურთიერთობისას მდიდარი, ექსპრესიული ენის გამოყენებას. მისი კარგი მაგალითია არაბული კულტურა. ერთ-ერთი არაბი პირდაპირ და ზუსტად მოსალოდნელი დარწმუნებების გარეშე გამოთქვამს, თუ რა აქვს მხედველობაში.

მეორე არაბმა შეიძლება იფიქროს, რომ მას სულ სხვა რამე აქვს მხედველობაში. ასე მაგალითად: არაბულ კულტურაში ცოტაა მიპატიჯებისათვის უარის თქმა მხოლოდ "არა"-თი, მას თან უნდა ახლდეს დარწმუნება, ფიცი, რაც სრულიად ზედმეტია ევროპელისა და ამერიკელის შეხედულებით. ისინი მიჩვეული არიან გამოიყენონ ზუსტი სტილი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ლაკონურ, თავშეკავებულ გამოთქმებს.

ინსტრუმენტული სტილი ადამიანს თვითდამკვიდრებასა და მოსაუბრისაგან დამოუკიდებლობას, ავტონომიის შენარჩუნებაში ეხმარება. ეს სტილი წარმოდგენილია ევროპულ კულტურებსა და აშშ-ში. აქ ადამიანები მისწრაფვიან მოსაუბრეს ურთიერთობისას წარუდგინონ თავი, სურთ ერთმანეთს გაუგონ ვერბალური საშუალებების გამოყენებით. იგი წარმოდგენილია ნიდერლანდებსა და შვედურ ინდივიდუალურ კულტურებში.

აფექტური სტილი კი, პირიქით, ორიენტირებულია თვით ურთიერთობებზე, თანამოსაუბრის გრძნობებზე და მოთხოვნებებზე, შეგუებაზე, ჯგუფური ჰარმონიის მიღწევაზე. ამას იქითკენ მივყავართ, რომ აფექტური სტილის დროს ადამიანი იძულებულია გაფრთხილდეს, თავი აარიდოს სარისკო გამონათქვამებსა და დასკვნებს.

აღნიშნული კომუნიკაციის რამდენიმე სტილი ყველა კულტურაში არსებობს, მაგრამ თითოეულ მათგანში ისინი თავისებურად ფასდება, ყველა მათგანს საკუთარი მნიშვნელობა ენიჭება.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო კომუნიკაციის არავერბალური ნაწილის სიდრმისეული შესწავლა. არავერბალურ კომუნიკაციაზე საუბრისას აღსანიშნავია მე-19 და მე-20 საუკუნის მიჯნაზე წარმოშობილი ფენომენი - მუნჯი კინო. მუნჯი კინოს მსახიობები მშვენივრად ფლობდნენ სხეულის ენის საფუძვლებს, რადგან მათთვის ის ეკრანული სახეების გაცოცხლების ერთადერთი საშუალება იყო. იმ დროში საუკეთესო მსახიობებად ითვლებოდნენ ისინი, ვისაც მდიდარი მიმიკა და გამომხატველი სხეულის ენა ჰქონდა. ამიტომ მსახიობები საკმაოდ დროს უთმობდნენ პანტომიმისა და ბალეტის შესწავლას. როდესაც მუნჯი კინო ხმოვანმა შეცვალა და სამსახიობო ხელოვნების არავერბალურ ასპექტებს უკვე ნაკლები ყურადღება დაეთმო, ძველი მსახიობების ნაცვლად ეკრანი კარგი ვერბალური შესაძლებლობები მქონე მსახიობებმა დაიპყრეს.

ალბერტ მეჰრაბიანი, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის პროფესორი, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც კომუნიკაციის არავერბალურ ასპექტებსა და მათ მნიშვნელობაზე დაიწყო საუბარი.

1972 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში: " Norverbal communication" მკვლევარი მეკრებიანი ამტკიცებდა, რომ კომუნიკაციაში სამი ძირითადი კომპონენტის გამოყოფა შეიძლება: ესენია სიტყვები, ინტონაცია და სხეულის ენა (ვერბალური, ვოკალური და ვიზუალური).

არავერბალურ კომუნიკაციას, ასევე "სხეულის ენასაც" უწოდებენ. ის მოიცავს ჟესტებს, სხეულის მოძრაობას, სახის გამომეტყველებას, პიროვნულ სივრცეს, ჩაცმულობას. სხეულის ენით გადაიცემა გრძნობები, დამოკიდებულება, მაშინ როდესაც ვერბალური კომუნიკაციით გადაიცემა სიტყვები და მოსაზრებები. ხშირად ემოციებისა და განწყობის გაგება უფრო მნიშვნელოვანია ადამიანისათვის, ვიდრე სიტყვებისა და მოსაზრებების. ნათქვამის არსი მარტო ის კი არ არის, რას ვამბობთ, არამედ როგორ ვამბობთ, სხეულის რეაქცია ჩვენდამი ხშირად არავერბალურ ნიშნებზე პასუხია და არა ვერბალურზე.

არსებობს რამდენიმე პრინციპი, რაც კარგად გამოხატავს არავერბალური კომუნიკაციის არსს:

ა) არავერბალური ინფორმაცია ყოველთვის გადაიცემა, მოსაუბრის სურვილის მიუხედავად, მაშინაც კი როდესაც ვერბალური კომუნიკაცია წყდება, ანუ წყარო წვევტს ინფორმაციის მიწოდებას; სხეულის პოზა, ჩაცმულობა, სახის გამომეტყველება არასრული ჩამონათვალია, იმ არავერბალური ნიშნებისა, რომელთა დახმარებით მუდმივად ვიღებთ ინფორმაციას მოსაუბრის დამოკიდებულებების, განწყობის, ემოციის შესახებ;

ბ) არავერბალური კომუნიკაციით საუკეთესოდ გამოიხატება ემოციები, დამოკიდებულება, მიმართულება, რაც ხშირად ძნელად გამოითქმის სიტყვებით.

გ) არავერბალური კომუნიკაცია უფრო სანდოდ და გულწრფელად არის მიჩნეული, ვიდრე ვერბალური, რადგან არავერბალური ნიშნების გაკონტროლება უფრო ძნელია, ვიდრე სიტყვების. თუ მათ შორის შეუსაბამობაა, ადამიანები უფრო მეტად, არავერბალურ ინფორმაციას ენდობიან. ალბად ძნელი იქნება მსმენელისათვის იმის დაჯერება, რომ საუბრის თემა ძალიან საინტერესოა, თუ თავად პრეზენტატორს ჩატარებისას ეძინება.

დ) არავერბალური კომუნიკაცია უფრო ადრეულია, ვიდრე ვერბალური. ადამიანები მეტყველების დაწყებამდე ურთიერთობისათვის არავერბალურ კომუნიკაციას იყენებდნენ. ასევე ბავშვები განვითარების პროცესში ჯერ არავერბალურ კომუნიკაციას სწავლობენ, შემდეგ კი ვერბალურს.

ე) ადამიანებთან კომუნიკაციისას საჭიროა ვიცნობდეთ სხეულის ენას, რათა: წავიკითხოთ ჩვენი მოსაუბრის არავერბალური კომუნიკაცია, ანუ გვესმოდეს სხეულის ენა ( ჯესტები, მიმიკა, სივრცის ათვისება, მეტყველების შემადგენელი მახასიათებლები, ხმის ტემბრი, სიმაღლე, სისწრაფე და სხვა) და ამით გავიგოთ მოსაუბრის მდგომარეობა.

ა) სხეულის ენის კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია პრეზენტაციის ჩატარების დროს. მიმიკის, ჟესტების, პოზების საშუალებით ადამიანის სულიერი ენერგია გამოიხატება. მოძრაობანი, სიმპტომები (გაფითრება ან სახეზე გაწითლება) იმან ვისაც უნდა კარგად შეისწავლოს მისი პარტნიორის ხასიათი, კარგად უნდა იცოდეს მისი გრძნობების გამოხატვის სხვადასხვა საშუალებები, შეძლოს მათი ადეკვატურად შეფასება.

ურთიერთობის სხვადასხვა ბუნება და ფორმები საშუალებას იძლევა ერთმანეთისგან გამოიჯნოს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია. არავერბალური ურთიერთობები ყოველთვის სოციალურია, მათი საშუალებით შეიძლება გავიგოთ კომუნიკაციის მონაწილეთა ახლანდელი მდგომარეობა, მაგრამ ვერ გავიგებთ სხვაგან მომხდარი მოვლენების შესახებ.

ტ განსხვავებულია ვერბალური ცნებები, თუკი ადამიანებს სურთ, დამალონ თავიანთი განზრახვები, მათ შეუძლიათ, კონტროლი გაუწიონ საკუთარ მეტყველებას, მაგრამ არავერბალური ქცევები, პრაქტიკულად კონტროლს არ ექვემდებარება. ამიტომ, კომუნიკაციის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია მხოლოდ არავერბალური მოქმედებებით.

ამრიგად, არავერბალური კომუნიკაცია, მრავალგანზომილებიანი, მრავალფეროვანი, ვერბალურის პარალელური პროცესია, რომელიც ძირითადად ქვეცნობიერად მიმდინარეობს.

**ლიტერატურა:**

1. გამყრელიძე: 2003 გამყრელიძე თ. შენგელაია ნ. "თეორიული ენათმეცნიერების კურსი" თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
2. გვენცაძე 1986: გვენცაძე გ. "კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის ტიპოლოგია." გამომცემლობა "განათლება", თბილისი.
3. ღამბო ე. "ფრიქოლოგიური ტექსტი", გამომცემლობა "პალიტრა L", თბილისი.
4. Grice 1975: Grice , H. P. "Logic and Conversation", New-York.
5. Гумбольдт 1985: Гумбольдт В. "Язык и философия культуры", Москва.
6. Пиз 1992: Пиз А. " Язык жестов." Увлекательное пособие для деловых людей, Москва.
7. Пиз 2006: Пиз А. " Язык телодвижения" (Как читать мысли окружающих по их жестом), Москва.
8. Почепцов 2003: Почепцов Г.Г. "семиотика" Москва.

**Salome Lagadze**

**Verbal and non-verbal aspects of communication  
Abstract**

The article discusses the importance of the main purpose of the language to communicate between the listener and the listener. Communication is a very difficult process. It represents information, ideas, ideas exchange, between two or more persons.

Verbal and non-verbal signs play an important role in effectively conducting the communication process. The information expressed in the verbal part helps us to express the attitude of the listener to the expression.

რეცენზენტი: პროფ. ც. აბულაძე

ენათმეცნიერება    Языковедение    Linguistic

მირანდა ლომიძე

ქუთაისი, საქართველო

## ლექსიკური შემადგენლობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ფრანგულ ენაში

ენის სრულყოფის/პროგრესის პრობლემა საკმაოდ რთულ და ამავე დროს მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ნებისმიერ ეპოქაში არსებობს წინააღმდეგობა ენობრივი სისტემის ლექსიკურ შესაძლებლობებსა და ადამიანების თვითგამოხატვის, გრძნობებისა და ფიქრების უკეთ გადმოცემის დაუოკებელ სურვილს შორის. ალბათ სწორედ ეს არის ამა თუ იმ ენის ლექსიკის უწყვეტი განვითარების ერთ-ერთი მიზეზი.

ენის ლექსიკური ფონდის განვითარების დინამიკა დამოკიდებულია სხვადასხვა შიგა ფაქტორებზე - როგორცაა ახალი ცნებებისა და საგნების სახელდება. თუმცა ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ენის ლექსიკური პროგრესის ერთადერთ მახვენებლად. XX საუკუნის ფრანგული ნეოლოგიის ისტორიული ექსკურსი ნათლად აჩვენებს, რომ 60 -იან წლებში მოდაში შემოვიდა ანგლიციზმები, 70 -იანი წლების ფრანგულს ახასიათებდა ახალი ტენდენცია - სიტყვების შემოკლება. სხვადასხვა სახის აბრევიატურებით აივსო ენის ლექსიკური სისტემის ყველა რეგისტრი. 80-იანი წლების ფრანგული ლექსიკა მდიდრდებოდა არა მხოლოდ ნასესხები სიტყვებით, არამედ მორფემული და სემანტიკური დერივაციის წყალობით. ასე მაგალითად გამოჩნდა სიტყვა *bioéthique* „სამედიცინო ეთიკა“. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ინგლისური სუფიქსი - *ing*, მაგალითად სიტყვა *hocooning* ნიშნავს „მშვიდ, წყნარ ცხოვრებას, ოჯახური ცხოვრების კულტს“. 90-იანი წლებისთვის დამახასიათებელია მეტი თავისუფლება სიტყვათწარმოებაში, გვხვდება ლათინურ-ბერძნული ჰიბრიდები, როგორცაა მაგ. *aquanaute*, ლათინურ-ფრანგული *immuno-déficience*, ბერძნულ ფრანგული *cryochirurgie, télésurveillance*, ასევე ტელესკოპის მეთოდით მიღებული რთული სიტყვები *franglais, progiciel*. ძალიან პროდუქტიულია პრეფიქსი *cyber-*: *cybercriminalité, cyberculture, cyberdépendance*.

სემანტიკური დერივაციის შედეგად ბევრმა სიტყვამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა. მაგალითად, კომპიუტერის თავისუფალი *souris*; სიტყვამ *cohabitation* «თანაცხოვრება» საოჯახო ტერმინიდან გადაინაცვლა პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში და დღესდღეობით ეწოდება განსხვავებული პოლიტ. შეხედულებების მთავრობისა და მთავრობის მეთაურის ერთობლივ მმართველობას.

ახალი სიტყვებისა და მნიშვნელობების გამოჩენას ლექსიკონის «Le Petit Robert» ავტორები სხვადასხვა ფაქტორებით ხსნიან. პირველ რიგში ეს არის ახალი რეალობისა და მოვლენების ფაქტორი: «Des thèmes ont émergé de toutes ces nouveautés et les principaux moments de la vie nationale et internationale, les évolutions sociales, scientifiques et culturelles se sont imposés à nous:

la décolonisation, mai 68, l'électronique, la pollution, la crise de 73, le multimédia, les tensions entre l'Est et l'Ouest, le sida, Internet, le portable, l'internationalisation de l'alimentation».

ინფორმატიკასთან, ტელეკომუნიკაციებთან, ინტერნეტთან დაკავშირებული რეალიები განჩენის დღიდან დღემდე აქტუალობას ინარჩუნებს, თუმცა არის კონკრეტული ეპოქისთვის დამახასიათებელი ნეოლოგიზმები, რომლებიც მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ ეპოქაში გაჩნდა და არსებობა აღარ გაუგრძელებია.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ფრანგულ ენაში მიმდინარე ნეოლოგიზაციის პროცესი სპეციალისტებში დიდ ინტერესს იწვევს. არის, ე.წ. „ოკაზონალური ნეოლოგიზმები“ (ნეოლოგიზმები, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევას უკავშირდება და შემდეგ არსებობას წყვეტს) და ნეოლოგიზმები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება და ადგილს იმკვიდრებს ფრანგულ ენაში. 2013 წლის ლექსიკონში «Le Petit Robert» შევიდა დაახლოებით 300 ახალი სიტყვა. აქედან განსაკუთრებით პროდუქტიული არის ნეოლოგიზმები პოლიტიკური, სოციალური და ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროდან. ასევე ატომური ენერგეტიკის, გარემოს დაცვის და ეკონომიკის პრობლემების აღმნიშვნელი სიტყვები.

2011 წელს ფუკუშიმა - 1 ის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შემდეგ, ფრანგულ ენაში გაჩნდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა liquidateur «ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდატორი». ფართოდ გავრცელდა სიტყვა corium მნიშვნელობით «ატომური საწვავის რადიოაქტიული მასის და ატომური რეაქტორის კონსტრუქციის მასალის შენადნობი, რომელიც წარმოიშვება რეაქტორის უმძიმესი ავარიის შედეგად» mox „ატომური საწვავი“.

გარემოს დაცვის/დაბინძურების პრობლემებმა ხელი შეუწყო ისეთი სიტყვების გაჩენას, როგორიცაა parc éolien - ქარის ენერჯის მიღებისათვის საჭირო დანადგარების კომპლექსი, marée verte წყალმცენარეები, რომელსაც მიქსევისას და მოქცევისას ზღვა გამოირიყავს.

ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა გამოიწვია ისეთი ნეოლოგიზმების გაჩენა, როგორიცაა dette souveraine «სახელმწიფო ვალი», indignés «მოძრაობა ნამდვილი დემოკრატიისათვის» «Le groupe des indignés de France est apparu en mai 2011 à Bastille. Aujourd'hui les indignés de France font parler d'eux en campant à la défense au grès du temps et des forces de l'ordre. Ce groupe est exaspéré du système actuel qui produit beaucoup de misères que ce soit en France ou dans le monde. La solution n'est pas écrite dans un papier au fond de ma poche c'est pourquoi nous avons besoin de vous» (Les indignés de France).

ახალი სიტყვები გაჩნდა ახალი კულტურული რეალიების აღსანიშნად. მაგალითად oscariser «ოსკარის მინიჭება». აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ოსკარების დაჯილდოების ცერემონიალის მრავალწლიანი ისტორიისა, ეს სიტყვა ფრანგულ ენაში დამკვიდრდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 2012 წელს ფრანგმა მსახიობმა ჟ. დიუჟარდენმა მიიღო ოსკარი.

2013 წლის ლექსიკონში «Le Petit Robert» ასევე შევიდა ე.წ. „ეკზოტიზმები“ (აღმოსავლური ენებიდან ნასესხები), ანგლიციზმები და კანადიზმები სალაპარაკო რეგისტრიდან. როგორიცაა comater - მოთენთილობა, ძილიანობა, pipeauter - ლაყბობა, psychoter - შიში, marrade - მხიარულება, სიცილი, gloups – შორისდებული, რომელიც გაკვირვებას აღნიშნავს.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ენაში დამკვიდრებული ნეოლოგიზმების მაგალითი ნათლად აჩვენებს, რომ ფრანგული ენა ინარჩუნებს ნეოლოგიზმების წარმოების ტრადიციულ მეთოდებს, როგორიცაა სესხება, ტელესკოპია, აფიქსალური სიტყვათწარმოება, აბრევიაცია, სიტყვის მნიშვნელობის ცვლილება. მათ შორის ყველაზე პროდუქტიულია:

### **1.1 ნასესხები სიტყვები**

უმეტესწილად ეს არის ანგლიციზმები, განსაკუთრებით ინფორმატიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში. თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანს

ban – სოციალურ ქსელში Twitter ვინმეს დაბლოკვა, ბანის დადება;

captcha – ინგლისური აბრევიატურა «Completely Automatic Public Turing Test to Tell Computers and Humans Apart» – ტურინგის სრულიად ავტომატური ტესტი, რომელიც გამოიყენება ინტერნეტში კომპიუტერისა და ადამიანის განსასხვავებლად;

cross post – ეს არის ინტერნეტში ფორუმებზე ერთი და იმავე ბმულის, სტატიის ან თემის განთავსება;

hashtag – სიტყვა, რომელიც აღნიშნავს სიმბოლოს (# დიეზი) რომელიც თემის, მოვლენის ან მოვლენის განხილვის ძიებას აადვილებს ;

geek – ექსცენტრიული ადამიანის აღმნიშვნელი სლენგი. ჩვენ დროში გამოიყენება კომპიუტერით შეპყრობილი ადამიანის დახასიათებისას;

blockbuster - ფრანგულ ენაში დამკვიდრდა ორი მნიშვნელობით. 1. კინემატოგრაფიაში მსხვილბიუჯეტის ფილმი ცნობილი მსახიობების მონაწილეობით და მაღალი შემოსავლით. 2. სამედიცინო სფეროში კარგად გაყიდვადი წამალი;

biopic – ლექსემა, რომელიც გამოიყენება ბიოგრაფიული ფილმის მნიშვნელობით;

2010-2011 წლებში სამედიცინო სფეროში ფართო გავრცელება ჰპოვა ინგლისურმა სიტყვამ burn-out, რაც ნიშნავს გამოფიტვას, ფიზიკური და სულიერი ძალებისაგან დაცლას.

ძალიან ფართოდ გავრცელდა ანგლიციზმი buzz - ხმაური რამე თემის გარშემო, ზმნა buzzer – ხმაურობა, აჟიოტაჟი, ასევე არსებითი სახელი hype – მოდის კვილი (ინგლ. hype – «ხმაურიანი რეკლამირება»).

ცალკეული სიტყვების გარდა, ფრანგულმა რთული ანგლიციზმებიც ისესხა. როგორცაა: micro-blogging – სოც. ქსელების გამოყენება; – smartphone – (ინგლ. smartphone – ჭკვიანი ტელეფონი) – მობილური ტელეფონი, რომელიც კომპიუტერის ფუნქციებს ითავსებს; – e-commerce – ელექტრონული ვაჭრობა (ეკონომიკის სფერო, რომელიც კომპიუტერით განხორციელებულ ყველა ფინანსურ და სავაჭრო ტრანზაქციას მოიცავს).

ტურიზმის სფეროში დამკვიდრდა ისეთი ტერმინები, როგორცაა – couchsurfing – ტურისტული ქსელი, რომლის წევრები ერთმანეთს უსასყიდლოდ სთავაზობენ ნებისმიერი სახის დახმარებას, ღამის გასათევს, ასევე გეგმავენ ერთობლივ მოგზაურობებს.

დასაქმების სფეროდან - job dating – დამსაქმებელი – ადამიანი, ვინც პათოლოგიურად ბევრს მუშაობს (work + alcoholic) ; – workaddict (work + addict) - სამსახურდამოკიდებული;

ყოველდღიური ცხოვრებიდან slow food – ეროვნული და ადგილობრივი სამზარეულოს პროპაგანდა, fast food ის ანტიპოდი, speed dating – გაცნობის მიზნით მოწყობილი წვეულება.

ზოგჯერ ამა თუ იმ ენიდან ნასესხები სიტყვა, როგორცაა მაგ. burn-out (to burn «წვა») ფრანგულ ენაში დამკვიდრდა სამედიცინო ტერმინად. ასე მაგალითად ის. ამ ტერმინის ახსნა შეეცარიის სახელმწიფო მდივნის ეკონომიკის საკითხებში «Le burn-out, ou épuisement professionnel, est un syndrome d'épuisement qui peut s'installer sur le long terme, de manière insidieuse, en réaction au surmenage et au stress. Il touche particulièrement fréquemment les personnes qui s'investissent beaucoup dans leur travail» (FHSLF, p. 25).

სესხებისას კალკირება იშვიათად ხდება. მართალია არსებობს ნახევრადკალკები dans les nuages - პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც არ ინახება კომპიუტერში, არამედ ინტერნეტში. ეს ნახევრადკალკი წარმოიქმნა ინგლისური ტერმინის cloud computing ის ანალოგიის საფუძველზე, თუმცა სიტყვათშეთანხმების მხოლოდ ნაწილი ითარგმნა ფრანგულად cloud – ღრუბელი.

გამოთქმა mouvement slow ინგლისურად აღნიშნავს აუჩქარებელ ცხოვრების წესს. ფრანგული სიტყვას mouvement – მოძრაობა თან დაერთო ინგლისური slow (ნელი), შედეგად მივიღეთ გამოთქმა, რომელიც აღნიშნავს ცხოვრების აჩქარებულ რიტმზე რეაქციას, რაც ხშირად ხდება სტრესის საბაბი.

**12 სიტყვათშეერთება**

თანამედროვე სიტყვათწარმოებაში ხშირად გვხვება კონსტრუქცია ბერძნულ-ლათინური წარმოშობის ფუძეს + ფრანგული ბოლოსართი (risquologie, islamophobie, vinotherapie, télémédecine è äð.). ნეოლოგისმების შესწავლა ცხადყოფს, რომ ფუძისეული მორფემების ნაერთი ხშირად ავსებს ისეთი სფეროების ლექსიკურ მარაგს, როგორცაა:

მედიცინა:

télémédecine – მედიცინის მიმართულება, რომელიც გულისხმობს დიაგნოსტიკის ხარისხისა და კონკრეტული პაციენტების მკურნალობისას კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სამედიცინო ინფორმაციის გაცვლას სპეციალისტებს შორის;

biomarqueur – (marqueur biologique) – სისხლის ანალიზი, რომელიც პროსტატის სიმსივნის დადგენის საშუალებას იძლევა;

anosognosie – (ახ. ლათ.) anosognosia; ბერძნ. ?- «არ» + νηυπηт «ავადმყოფობა» + γ?σιδ «შეცნობა, ცოდნა») – ავადმყოფის მდგომარეობა, როცა ის ვერ აცნობიერებს საკუთარ ფსიქიკურ აშლილობას (ან დეფექტს);

bientraitance – სამედიცინო პერსონალის მიერ პაციენტისადმი კარგი, ყურადღებიანი მოპყრობა;

სოციალურ-ყოფითი სფერო:

dionysien – la Seine-Saint-Denis დეპარტამენტის მცხოვრები (ლათ. Sequana – la Seine და Dionysos – Denis) ;

court-termisme – მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინების გარეშე მყისიერი შედეგის დადების მცდელობა ;

vidéocratie (videocracy, ბერძნ. Eidos სახე, ხატება è kratos ძალაუფლება) – ვიზუალური ხატების და საკომუნიკაციო საშუალებების საზოგადოებრივ აზრზე მოქმედების ძალა;

cyberdépendance – კომპიუტერული ანუ კიბერდამოკიდებულება, განსაზღვრავს ადამიანის ავადმყოფურ დამოკიდებულებას კომპიუტერის მიმართ. ამ დროს ადამიანი ცდილობს მთელი თავისუფალი დრო გაატაროს კომპიუტერთან გართობის მიზნით;

tourdumondiste – ადამიანი, რომელიც მოგზაურობს მსოფლიოს გარშემო. «À vélo, en voiture ou à la voile...Tous les récits de tourdumondistes qui réalisent leurs rêves!» (Overblog, 7 juillet 2012; ციტ: FHSLE, p. 36);

mobilo-dépendant – ადამიანი, რომელსაც გააჩნია ავადმყოფური დამოკიდებულება მობილური ტელეფონისადმი. როცა მობილური ტელეფონი ხდება საკულტო საგანი;

sans-abrisme – უსახლკარობა (დერივატი სიტყვისა sans-abri «უსახლკარო»). მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა გამოიყენება 1995 წლიდან, ლექსიკონებში «Le Petit Robert» და «Le Petit Larousse» დაფიქსირდა მხოლოდ 2012 წელს;

ტექნოლოგიები

watture (watt + voiture) – ელექტრომობილი;

tapuscrit – ციფრული ფორმატის ტექსტი (tapé à l'ordinateur);

photophoner (photo + téléphone) – მობილური ტელეფონით ფოტოს გადაღება;

pollupostage (pollution «დაბინძურება» + postage «ფოსტით გაგზავნა») – სპამი;

პოლიტიკა:

**droit-de-l'hommiste** – როული სიტყვა, რომელიც ახასიათებს იმ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, რომლებიც ამბობენ, რომ იცავენ ადამიანთა უფლებებს, სინამდვილეში კი სხვა მიზნები ამოძრავებთ;

**islamophobie** – ქსენოფობიის ერთ-ერთი გამოვლინება, ისლამზე და ისლამისტებზე ნეგატიური რეაქცია, ნეგატიური დამოკიდებულება, ნეგატიური საზოგადოებრივი აზრი;

მეცნიერება:

**risquologie** – მეცნიერება რისკების მიზეზების, მათი გამოვლინების და ადამიანების ცხოვრებაში მისი როლის შესახებ;

**géolocalisé** – საგანი, რომლის ადგილმდებარეობა დადგენილია სატელიტის მეშვეობით;

ეკოლოგია:

**climato-sceptique** – ადამიანი, მეცნიერი, რომელსაც მიაჩნია, რომ გლობალურ დათბობაში ადამიანის როლი გადაჭარბებულია;

**écolocompatible** – ეკოლოგიის კრეტერიუმებთან შეთავსებადი;

### 13. ტელესკოპია

ტელესკოპია, იგივე ლექსიკური ერთეულების კონტამინაცია - ეს არის სიტყვათწარმოებისას სტილისტური კონტრაცციის გამოხატვის ეფექტური საშუალება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული სიტყვათწარმოების ხერხია თანამედროვე ფრანგულ ენაში.

ტელესკოპიის (კონტამინაციის) შედეგად იქმნება ახალი სიტყვა, რომელიც მოიცავს ორი უკვე არსებული სიტყვის ფორმას და მნიშვნელობას, ამავედროულად ხდება ერთ-ერთი სიტყვის შეკვეცა. სიტყვებს, რომელიც ტელესკოპიის მეშვეობით არის ნაწარმოები, აქვს სიტყვათა თამაშის ეფექტი, ერთგვარი კალამბურები. მაგ:

**ordinausore (ordinateur + dinosaure)** – «კომპიუტერი+დინოზავრი». ბოლო დროს სადაპარაკო ფრანგულ ენაში საკმაოდ გავრცელდა ისეთი ლექსემები, როგორცაა **bonjoir** – მისალმება გამარჯობასა და საღამო მშვიდობისას შორის (**bonjour + bonsoir**);

ტელესკოპიის შედეგად შექმნილი ახალმა ლექსემებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს ეკონომიკის, პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, დიპლომატიის, სოციალურ, ნაციონალურ, სამედიცინო, ინფორმატიკის, მასობრივი კომუნიკაციების და სამშენებლო სფეროებში.

მაგალითად, ეკონომიკისა და ფინანსურ სფეროში გაჩნდა ახალი სიტყვა **bankster**. **Banque** და **gangster**: **banq (ue) + (gang) ster**. სიტყვა აღნიშნავს ბანკირს, რომელმაც ფინანსური კრიზისის შედეგად კარგი კაპიტალი დააგროვა. ასევე ფართოდ გამოყენებული ტელექსკოპური ლექსემაა **merkozy (Merkel + Sarkozy)** – რომელიც მერკელისა და სარკოზის ერთობლივი მმართველობის გამოიყენებოდა; **merkhollande** – მერკელი + ოლანდი. სარკოზის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ლექსიკონში დიდი პოპულარობით სარგებლობდა სიტყვა **omniprésident (omniprésent + président)** – „ყველგან მყოფი, ყოველისმომცველი, მუდმივი ".

კონტამინაციის შედეგად მიღებული ახალი სიტყვები ხშირად არ შეიცავს ირონიას. ასეთი ლექსიკური ერთეულები შეიძლება ჩაითვალოს ტერმინოლოგიურ ერთეულებად. პოლიტიკურ დისკურსში თანამედროვე ფრანგულში ორი ახალი სიტყვა : **glocal (global + local)**-გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკის ერთობა და **françafrique (France + Afrique)** საფრანგეთი და ისი ყოფილი კოლონიები აფრიკაში.

ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობების სფეროში გაჩნდა ისეთი ნეოლოგიზმები, როგორიცაა flexicurity (flexibility «დრეკადობა» და security «უსაფრთხოება»), couplicité (couple «ოჯახური წყვილი» + complicité «თანამონაწილეობა, თანხმობა, ერთობა»). ოჯახი, სადაც ურთიერთობა დამყარებულია გენდერულ თანასწორობაზე. «Le climat d'instabilité et l'avenir incertain accentuent le besoin des Français de se protéger et l'autre, l'amoureux, offre un refuge sécurisant selon le sociologue Ronan Chastellier qui a inventé le terme "couplicité" pour désigner cette tendance <...> Le couple est un duo uni avec des codes identiques proches de l'uniforme. Toujours dans la mode, le jeans boyfriend est également un exemple très explicite de la couplicité» (Les Filles du marketing, 23 novembre 2011; FHSLF, p. 20–21).

ეკოლოგიური პრობლემებით დაინტერესება, ვეგეტერიანული კვების პოპულარობა რატომღაც აისახა ფრანგული ენის ლექსიკაზე. ასე მაგალითად გამოჩნდა სიტყვა flexitarien (flexible + végétarien), ვეგეტერიანელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მიირთმევს ხორცს. ლექსების local «ადგილობრივი» და -vore (ლათ. სუფიქსი -vorus < ზმნა vorare «ჭამა», «ყლაპვა») გაჩნდა locavore, ახალი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ადამიანთა ჯგუფს, რომელიც მოიხმარს მხოლოდ ადგილობრივ პროდუქტს (100-200 კმ რადიუსზე).

თუმცა ყველაზე დიდი რაოდენობით ნეოლოგიზმი მაინც ინფორმაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების, კომუნიკაციის სფეროშია. მაგალითისთვის მხოლოდ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ნეოლოგიზმებს მოვიყვანთ:

infobésité (information «ინფორმაცია» + obésité «ზედმეტი, ავადმყოფური სიმსუქნე») – ინფორმაციის სიჭარბე, რომლის დროსაც მთავარი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს;

pourriel (poubelle «სანაგვე ყუთი» + courriel «ელ. ფოსტა») ან(pourri «გაფუჭებული», + courriel «ელ. ფოსტა») – არასაჭირო ფოსტა, სპამი

courriel (courrier + électronique) – ელექტრონული ფოსტა, საერთაშორისო სიტყვის, e-mail სინონიმი;

fadette (facture + détaillée) – 1. ოპერატორის მიერ აბონენტისთვის წარდგენილი ფაქტურა, ანგარიში, ყველა სატელეფონო კავშირის დეტალური აღწერით; 2. მობილურ ტელეფონზე შემომავალი და გამავალი ყველა ზარის ნუსხა, ნომრის, თარიღის, დროისა და ლაპარაკის ხანგრძლივობის მითითებით.

ტელესკოპიის მეთოდით გაჩნდა ისეთი სამეცნიერო ტერმინები, როგორიცაა მაგ ფსიქოლოგიაში adulescent (adulte + adolescent) – «ზრდასრული ბავშვი», ადამიანი, რომელიც არ/ვერ გამოვიდა ბავშვობის ასაკიდან, ასევე ახალი რეალიები ფრანგების ყოველდღიური ცხოვრებაში. მაგ ბინების ახალი არქიტექტურული ტიპი - ორ იარუსიანი ბინა, რომელიც განთავსებულია სარდაფში, ან ნახევრად სარდაფში და ქვია souplex (soussol «სარდაფი» + duplex «ორსართულიანი ბინა»).

ფართოდ გავრცელებული სიტყვაა საფრანგეთში autolib «ავტომობილი თავისუფალი მოხმარებისთვის» (automobile + liberté), რომელიც აღნიშნავს ელექტრომობილის მოკლევადიან ქირაობას და პარიზში 2011 წლის დეკემბერში გამოჩნდა.

ამგვარად ტელესკოპურ სიტყვათწარმოებას გააჩნია შესაბამისი სემანტიკურ-სტილისტური ღირებულება და ის შესაბამისად ამდიდრებს ენას ახალი აფექტურ-ექსპრესიული ლექსიკით.

#### **14 აფიქსალური სიტყვათწარმოება**

თანამედროვე ფრანგულ ენაში ნეოლოგიზმებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სუფიქსაციისა და პრეფიქსაციის მეშვეობით ნაწარმოები სიტყვები. სუფიქსაცია ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ საშუალებად რჩება სიტყვათწარმოების პროცესში. ხშირად გამოყენებული სუფიქსებია -ien, -ade, -ance, -isme, -iste, -itude, -ard, -eur (-euse), -ette, -ation, -ité.

მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

ien: fabiusien, chiraquien – პოლიტიკოსების მხარდამჭერთა ზედმეტსახელი;

isme: bushisme (დაცინვით) – სასაცილო, კომიკური სიტყვები ან ფრაზები ჯორჯ ბუშის გამოსვლებიდან;

istâ: sarkozyste, lepeniste – ასევე პოლიტიკოსების მიმდევართა ნაწილი Le Pen; noniste და ouiste (უფრო დამცინავი oui-ouiste) – ევროპის კონსტიტუციური შეთანხმების მომხრე-მოწინააღმდეგეები;

mariniste – მარინ ლე პენის მხარდამჭერი (Marine Le Pen);

souchiste – ადამიანი, რომელსაც ფრანგული წარმომამელობა აქვს Français de souche;

eur: bouquineur – ელექტრონული წიგნი;

euse: bikeuse – ბაიკერი ქალი «Vanessa Paradis, bikeuse pour Interview. Notre fierté nationale Vanessa Paradis pose sur la couverture dumagazine Interview, édition Russie du mois de mai, et autant vous dire que si d'habitude elle aime se faire rare, naturelle et discrète, sur la couverture en question, elle est méconnaissable!» (FHSLF, დ. 19);

modeuse – ქალი, რომელიც მიყვება მოდას;

fliquette – ქალი პოლიციელი (სინ.: une flic, une fliqueuse);

esque: abracadabrantique ( abracadabra) – არტურ რემბოს მიერ შემოტანილი ნეოლოგიზმი, რომელიც უაკ შირაკმა თავის ინტერვიუში გამოიყენა მნიშვნელობით „არადამაჯერებელი“; ზმნების წარმოებისას ყველაზე გავრცელებული სუფიქსებია -iser, -oter, -ouiller, -auter, -ater:

iser: oscariser – ოსკარის პრემიის მინიჭება;

googliser (google + -iser) – გუგლში ინფორმაციის მოძიება «Les recruteurs ont pris l'habitude de vous "googliser"»;

oter: psychoter – შიში;

chicoter – შეშფოთება : «Une question qui vous "chicote" comme on dit à Montréal signifie qu'elle vous tracasse»;

ouiller: pendouiller (სალაპ.). - ჰაერში გამოკიდება; Ne pas pendouiller შეინარჩუნო სიცოცხლისუნარიანობა ნებისმიერ შემთხვევაში «Ne pas pendouiller signifie n'avoir jamais l'air fatigué, ne pas avoir l'air mou, ne pas pendouiller c'est incarner le dépassement de permanent, l'absence de droit à l'erreur, la perfection qui défie le temps» (FHSLF, დ. 22);

ater: comater (სალაპა.) – ძილიანობა, მოთენთილობა

ultra-: ultralibéralisme – ულტრალიბერალიზმი და ა.შ

### 1.5 სიტყვათშეთანხმებები

ფრანგულ ენაში ბოლო დროინდელ მოვლენებთან ერთად გაჩნდა უამრავი ახალი სიტყვათშეთანხმება, რომელიც ფრანგული საზოგადოების და საერთაშორისო მოვლენების გამოძახილი იყო. ასე მაგალითად 2010-2011 წლების კვებეკსა და არაბული ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების ფონზე გაჩნდა ორი სიტყვათშეთანხმება ლექსებით Printemps:

Printemps arabe «არაბული გაზაფხული» – პროტესტისა და დემოსტრაციების რევოლუციური ტალღა, რომელიც დაიწყო 2010 წლის 18 დეკემბერს;

Printemps érable «ნეკერჩხლის გაზაფხული » – კვებეკში სტუდენტების პროტესტი სწავლის საფასურის შემოღებასთან დაკავშირებით, რომელიც პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა;

Diplomatie numérique – ციფრული დიპლომატია, ტერმინი ნიშნავს ვებ და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას დიპლომატიური მისიების რეალიზაციაში;

განსაკუთრებით ხშირად ეს ტერმინი გვხვდება 2011 წლიდან. «Israël attache une grande importance à la diplomatie numérique. Une récente étude de Google Israël, menée conjointement avec le département média d'une école de management israélienne, a cependant révélé que l'État hébreu n'était que 44e sur le réseau social Facebook, avec une présence de 5 % seulement sur Twitter» (Magazine terredisrael.com, 5 juillet 2012; ციტი: FHSLF, დ. 9);

War on Terror – ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ;

Lepénisation des esprits – აზროვნების ლეპენიზაცია, ანუ ლე პენის მიერ გაქვადებული მოსახრებების უპირობო მიღება;

Effet nocebo – ნოცებოს ეფექტი - საშუალება, რომელსაც არ გააჩნია რეალური ფარმაკოლოგიური მოქმედება, მაგრამ პაციენტის უარყოფით რეაქციას იწვევს. ეს ტერმინი გაჩნდა, როგორც პლაცებოს ანტიოეზი;

Pur player – კომპანია, რომელიც მხოლოდ ინტერნეტში არსებობს, ინტერნეტ-ბიზნესი;

Génération Y – 1980 წლის შემდეგ დაბადებული თაობა, რომელსაც ახასიათებს ციფრული ტექნოლოგიების მიმართ განსაკუთრებული ლტოლვა;

ნეოლოგიზმებად შეიძლება იქცეს შორისდებულები და ონომატოპეა. მაგ. Groupes – გაცეხის გამომხატველი შორისდებული; Pschitt – ონომატოპეა, რომელსაც იყენებდა ჟაკ შირაკი უსაფუძვლო არგუმენტაციის შეფასებისას.

მიუხედავად იმისა, რომ ნეოლოგიზმები გარკვეული შესაბამისი ენობრივი მექანიზმების საშუალებით ფუნქციონირებენ და, ერთი შეხედვით, სისტემურ-კატეგორიულ წესებს მისდევენ, ძნელია რაიმე ზოგადი წესების დადგენა, ასევე როდია წინასწარ განჭვრეტა იმისა, თუ როდის მოხდება მათი ინტეგრაცია ენაში, იარსებებს თუ არა ესა თუ ის ნეოლოგიზმი დიდხანს, რამდენი ხანი შეინარჩუნებს ნეოლოგიურობის ნიშნებს.

#### ლიტერატურა:

1. FHSLF – Le Figaro hors-série. Langue française. – Paris : Édition Collections en partenariat avec Éditions Garnier, 2012. – 96 p.
2. LAROUSSE – Le Petit Larousse illustré. – Paris : Larousse, 2011. – 1812 p.
3. Le Petit Robert. – Electronic text data. – Mode of access: <http://www.lerobert.com/docs/2017-CP-mots-nouveaux.pdf>
4. Centre national de ressources textuelles et lexicales <http://www.cnrtl.fr/>

**Miranda Lomidze**

### **Modern Tendencies of Development of the Vocabulary of the French Language**

#### **Abstract**

The article analyzes the factors which influenced the development of the vocabulary of the French language in recent decades. Considered neologisms, which became a high frequency in the usage on this cultural-historical stage.

Key words: neologism, external and internal factors, the development of science and technologies, semantic derivation, the new realities, borrowing.

რეცენზენტი: პროფ. ც. ახვლედიანი

## მხატვრული ნარატივის რეფერენტული სტრუქტურის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია

სტატია მიზნად ისახავს განიხილოს მხატვრული ნარატივის რეფერენტული სტრუქტურის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია. ჩვენთვის უშუალო ინტერესს წარმოადგენს ის მიმართება, რომელიც არსებობს ენასა კულტურას შორის და რომელიც მიჩნეულ უნდა იქნას ლინგვოკულტუროლოგიის სახად, და თუ როგორ აირეკლება კულტურა გასაანალიზებელი ტექსტის რეფერენტულ სტრუქტურაში.

კულტურის ცნებიდან გამომდინარე „ნაწარმოების სამყარო“ უნდა გაგებულ იქნას კულტურულ სამყაროდ, რომელიც წარმოადგენს რეფერენტულ სივრცეს. რეფერენციის, ნომინაციის და დეტერმინაციის კატეგორიათა ერთობლიობა კი ქმნის ტექსტის რეფერენტულ სტრუქტურას.

სტატია მიზნად ისახავს მხატვრული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის კვლევას ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. რატომ გახდა აუცილებელი იმის კიდევ ერთხელ და უკვე ახლებურად ხაზგასმა, რომ რეფერენტული სტრუქტურის, ისევე როგორც ტექსტის სხვა სტრუქტურულ ასპექტთა კვლევა უნდა ატარებდეს ლინგვოკულტუროლოგიურ ხასიათს? ამის ხაზგასმა აუცილებელი გახდა შემდეგი ორი მომენტის გამო: ა). კონკრეტული მხატვრული ტექსტის ანალიტიკური კვლევა უნდა ვფუძნებოდეს თეორიულ და მეთოდოლოგიურ მოსაზრებათა სინთეზს; მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს სინთეზი და, რაც მთავარია, რამ უნდა მოახდინოს იგი? ამ კითხვაზე, რა თქმა უნდა, უნდა გაეცეს პასუხი და ეს პასუხი უნდა შემდეგნაირად: ეს სინთეზი უნდა მოახდინოს ტექსტისადმი ლინგვოკულტუროლოგიურმა მიდგომამ, ამიტომ არამც თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა ეწოდოს ჩვენს მიერ ჩასატარებელ ანალიზს **"ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი"**. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყველა თეორიული და მეთოდოლოგიური მოსაზრება უნდა დაექვემდებარონ ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომას და იქცნენ ამ მიდგომის სტრუქტურულ ელემენტებად; ბ) მეორე მომენტი კი მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ჩვენს მიერ ხაზგასმული დომინანტური სტატუსისა, ჯერ არ გვქონია იმ ცნების დეფინიცია, რომელიც წარმოადგენს ტერმინ „ლინგვოკულტუროლოგიის“ ცენტრალურ ელემენტს, ე.ი. არ გვქონია **კულტურის** დეფინიცია. ამგვარი დეფინიციის გარეშე კი, ბუნებრივია, თვით ლინგვოკულტუროლოგია როგორც კვლევითი პარადიგმა ვერ შეიძენს რეალურ შინაარსს.

როგორც ცნობილია, არსებობს კულტურის ცნების მრავალი დეფინიცია. ამ დეფინიციათა შორის ჩვენ ამოვირჩევთ ისეთს, რომელიც ხასიათდება როგორც შინაარსობრივი სიფართოვით, ისე კონკრეტულობითაც, რადგან მიგვაჩნია, რომ სწორედ თვისობრივად ამგვარ დეფინიციას შეუძლია იქცეს იმ სინთეზის განხორციელების საშუალებად, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ჩვენ დავეყრდნობით კულტურის იმ განსაზღვრას, რომელსაც იძლევა კ. ხორუშენკო კულტუროლოგიის თავის „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“. გამოვიყენოთ ამ ფენომენის მისეული განსაზღვრის სამ ასპექტს და მივიჩნევთ, რომ ტექსტის ჩვენეული ანალიზისთვის მნიშვნელობა აქვს თითოეულ მათგანს: 1) კულტურის განსაზღვრის პირველ ასპექტში ხაზგასმულია ამ ფენომენისათვის დამახასიათებელი ის მომენტი, რომელიც გვიჩვენებს მის მნიშვნელობას **თაობათა ურთიერთმიმართების** თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით „კულტურა განისაზღვრება როგორც სოციალურად შექმნილ და თაობიდან თაობაში გადაცემულ სიმბოლოთა, იდეათა, ღირებულებათა, ჩვეულებათა, რწმენათა და ტრადიციათა, ქცევის ნორმათა და წესებთა ის ერთობლიობა, რომელთა საშუალებით ადამიანები ახდენენ მათი არსებობისთვის აუცილებელ ქმედებათა ორგანიზებას“ [კ. ხორუშენკო, 228-229].

2) განსაზღვრის მეორე ასპექტში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ კულტურა უპირისპირდება ბუნებას როგორც **ადამიანების მიერ შექმნილი** და არა თავისთავად არსებული გარემო: „კულტურა“ ნიშნავს არსებობისა და თვითრეალიზაციის ადამიანთა მიერ შექმნილ ხელოვნურ სფეროს, როგორც სოციალურ ურთიერთობებში ქმედებათა და ქცევის რეგულირების წყაროს“ [იქვე];

3) მესამე ასპექტი ხაზს უსვამს კულტურის **ადამიანთან მიმართების** მომენტს „რომ კულტურის სუბიექტს წარმოადგენს ადამიანი: იგი ქმნის, ინახავს და ავრცელებს მის მიერ შექმნილ კულტურულ ღირებულებებს“ [იქვე].

ჩვენთვის საინტერესოა არა იმდენად კულტურა (კულტურა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით წარმოადგენს კულტუროლოგიის და არა ლინგვისტიკის საგანს), არამედ ის მიმართება, რომელიც არსებობს ენასა და კულტურას შორის და რომელიც უნდა მიჩნეულ იქნას **ლინგვოკულტუროლოგიის** კვლევის საგნად; ჩვენ გავითვალისწინებთ კულტურის ზემოთ მოცემულ განსაზღვრას მის სამსავე ასპექტში, მაგრამ ამავე დროს გადამწვევტი იქნება ის, თუ როგორ აირეკლება კულტურა როგორც ამგვარად გაგებულ ფენომენი გასაანალიზებელი ტექსტის **რეფერენტულ სტრუქტურაში**.

ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ თანამედროვე ინგლისურენოვანი მცირე პროზის ნიმუში ისე, რომ ეს ანალიზი დაეფუძნოს ჩვენ მიერ შემუშავებულ **მთელ** თეორიულ-მეთოდოლოგიურ სისტემას. ამასთან გვსურს ხაზი გაუუსვათ ორ მომენტს, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევის მიზნებისა და შედეგებისთვის: ა) ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეყრდნობით რეფერენტული სტრუქტურის იმ კონცეფციას, რომელსაც გვთავაზობს ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორია, რომ ტექსტთა ჩვენეული ანალიზი უნდა ატარებდეს **ლინგვოკულტუროლოგიურ** ხასიათს, გვსურს გამოვიყენოთ ამ ანალიზისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი ძირითადი მომენტები:

ა) ჩვენი აზრით, რეფერენტული სტრუქტურის ცნება უნდა ეფუძნებოდეს ისეთ ფართო შინაარსისა და მნიშვნელობის ცნებას, როგორიცაა ტექსტში წარმოდგენილი **სამყარო**. ჯღ.ჩერნეცის მიხედვით „ნაწარმოების სამყარო“ წარმოადგენს სისტემას, რომელიც ასე თუ ისე გარკვეულ მიმართებაში იმყოფება რეალურ სამყაროსთან: მასში შედიან ადამიანები მათი გარეგნული და შინაგანი თავისებურებებით, ფაქტები, ბუნება (ცოცხალი და არაცოცხალი), ნივთები, შექმნილი ადამიანის მიერ ... რადგან სიტყვები (მეტყველების ნიშნადი ნაწილები) წარმოადგენენ საგანთა სუბსტიტუციებს, მათ ნიშნებს. ამიტომ უნდა ჩავთვალოთ, რომ საგნობრივი სახვითობა დამახასიათებელია ლიტერატურის ყველა გვარისათვის. მაგრამ ეს სახვითობა განსაკუთრებით გაზიარებულია და მაქსიმალურად ავტონომიურია ეპოსში,

ლირიკო-ეპოსში და დრამაში, სადაც გვაქვს პერსონაჟთა სისტემა და გაფორმებული სიუჟეტი" [ლ.ჩერნეცი, 192-193].

მაგრამ თუ ჩვენ გვსურს არა მარტო დავესესხოთ ლიტერატურათმცოდნეობას „ნაწარმოების სამყაროს“ ცნება, არამედ ვაქციოთ კიდევ იგი მხატვრული ნარატივის ანალიზის ეფექტურ საშუალებად, მაშინ უნდა მოვახდინოთ მისი ორმხრივი **კონცეპტუალური ტრანსფორმაცია**, რაც ნიშნავს შემდეგს: კულტურის ცნებიდან გამომდინარე „ნაწარმოების სამყარო“ გაგებულ იქნას **კულტურულ სამყაროდ**. უნდა მივიჩნიოთ, რომ ნარატივის ცნებით ნაგულისხმევი თხრობითი „ინსტანციები“, ე.ი. მთხრობელი – ადრესანტიც და მკითხველი – ადრესაციც ეკუთვნიან ერთი და იგივე კულტურულ სამყაროს, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა მათი ურთიერთგაგება და, შესაბამისად, ვერ შედგებოდა ნარატივი, როგორც კომუნიკაციური ფენომენი. ასევე უნდა მივიჩნიოთ, რომ თუ თხრობა ხორციელდება პირველ პირში, სიუჟეტში ჩართული პერსონაჟებიც ეკუთვნიან იგივე კულტურულ სამყაროს, რომელსაც ეკუთვნიან ზემოთხსენებული ადრესანტი და ადრესაციც.

ბ) კულტურის ზემოთ მოცემული განსაზღვრიდან გამომდინარე როგორც მთხრობელი-ადრესანტი და მკითხველი-ადრესაცი, ისე სიუჟეტში მონაწილე ყველა პერსონაჟი უნდა მივიჩნიოთ იმ **კულტურის სუბიექტად**, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან;

გ) უნდა მივიჩნიოთ, რომ ზემოთ აღნიშნული კულტურული სამყარო წარმოადგენს ერთდროულად **რეფერენტულ სივრცეს**, რომელსაც, ბუნებრივია, აქვს რეფერენტული სტრუქტურა იმ გაგებით, როგორც ეს ცნება ფიგურირებს ტექსტის ინტერპრეტაციის თანამედროვე თეორიაში. ზემოთ ჩვენ უკვე მოვახდინეთ „ნაწარმოების სამყაროს“ როგორც ცნების პირველი კონცეპტუალური ტრანსფორმაცია იმით, რომ მივიჩნიეთ იგი **კულტურულ სამყაროდ** და ეს ტრანსფორმაცია განხორციელებული იქნა კულტუროლოგიური თვალსაზრისით. მაგრამ, როცა ჩვენ კულტურის სამყაროს ამგვარად მიღებულ ცნებას ვუწოდებთ **„რეფერენტულ სივრცეს“**, ამით ჩვენ ვახორციელებთ ამოსავალი ცნების, ანუ **„ნაწარმოების სამყაროს“**, მეორე, ანუ ლინგვისტურ ტრანსფორმაციას. ამ ორი ტრანსფორმაციის შედეგად მივიღებთ მხატვრული ტექსტის ლინგვოკულტურულად – (ანუ ენობრივკულტურულად) განპირობებულ **რეფერენტულ სტრუქტურას**. ორმაგი ტრანსფორმაციის გზით მიღებულ ამ საბოლოო ცნებას კი აქვს უკვე **ლინგვოკულტუროლოგიური შინაარსი**. რომ **რეფერენციის, ნომინაციისა და დეტერმინაციის** სამი ცნება წარმოადგენენ ერთ მთლიან ლინგვოსემიოტიკურ ფენომენს. კვლევის ამ ეტაპზე კი შეგვიძლია უფრო კონკრეტულად წარმოვიდგინოთ ის მიმართება, რომელიც არსებობს მათ შორის. რეფერენციას როგორც ცნებას უნდა მივანიჭოთ წამყვანი როლი იმდენად, რამდენადაც იგი ეკუთვნის ენას, როგორც **ლინგვოსემიოტიკურად** გაგებულ ფენომენს, მაგრამ ამავე დროს უნდა ვიგულისხმოთ, რომ, რადგან რეფერენცია ხორციელდება ძირითადად არსებითი სახელის მიერ, კონკრეტულად იგი (ანუ რეფერენცია) მუდამ რეალიზებულია ნომინაციისა და დეტერმინაციის გზით.

ცდასასრულს მსურს ავღნიშნო, რომ ნარატიულ ტექსტთა კვლევისას რეფერენტულ სტრუქტურას უნდა მიეცეს ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრატაცია.

#### ლიტერატურა:

- 1) В.А. Кухаренко, Интерпретация текста, Москва 1989
- 2) К.Хорушенко, „Культурология“. Энциклопедический Словарь. Ростов-на-Дону. „Феникс“ 1997

**Лела Ониани**

**Лингвокультурологическая интерпретация справочной структуры литературного повествования**

**Резюме**

Статья посвящена обсуждению проблемы лингвокультурологической интерпретации ссылочной структуры литературного повествования. Мы фокусируемся на отношениях, существующих между языком и культурой и отражением культуры в референтной структуре повествования с лингвокультурологической точки зрения.

Согласно концепции культуры, мы должны рассматривать «литературный мир» как культурный мир, который представляет собой ссылочное пространство. Эти взаимосвязи референциальности, выдвижения и определения (неопределенность-неопределенность) создают ссылочную структуру литературного повествования.

**Lela Oniani**

**Linguoculurological interpretation of a literary narrative's Referential structure**

**Abstract**

The article aims to discuss the problem of linguoculurological interpretation of a literary narrative's referential structure . We focus on the relationships existing between the language and the culture and reflection of culture in the referential structure of narrative from linguoculurological point of view.

According to the concept of culture, we should consider “literary world” as cultural world which represents referential space. These interrelationships of referentiality, nomination and determination (the definiteness-indefinitness) creates the referential structure of a literary narrative.

რეცენზენტი: პროფ. მ. ღარიბაშვილი

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

მადონა მეგრელიძე, მაია ალავიძე

ქუთაისი, საქართველო

კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში გამოყენებული  
ანგლიციზმები და მათი  
ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

XXI საუკუნის დასაწყისში ელექტრონული გამომთვლელი მანქანიდან (ეგმ) კომპიუტერი მძლავრ მულტიმედიაურ საშუალებად განვითარდა, რომელიც ადამიანის საქმიანობის მრავალი სფეროს განუყოფელი ატრიბუტი გახდა. პირველ რიგში კი კომპიუტერი უდიდეს დახმარებას უწევს მეცნიერებს. თავდაპირველად ხომ ასეც იყო განსაზღვრული – კომპიუტერი განიხილებოდა მეცნიერის დამხმარე ინსტრუმენტად, რომელიც გააფართოვებდა მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. თუმცა თავისი გავრცელებით ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა და კომპიუტერებმა ბევრად გადააჭარბეს ყველაზე თამამ პროგნოზებსაც კი. დღეს უკვე მილიონობით მომხმარებლისთვის კომპიუტერი არის სამუშაო იარაღი, შუამავალი კომუნიკაციის პროცესში, გზამკვლევი ვირტუალურ რეალობაში.

ისტორიულად ისე მოეწყო, რომ ინფორმაციასთან სამუშაო ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიები ყველაზე მეტად იმ ქვეყნებში განვითარდნენ, სადაც ამისთვის იყო სასურველი საინვესტიციო კლიმატი. მსოფლიო კომპიუტერიზაციის ფლაგმანი ამერიკის შეერთებული შტატები გახდა, რომელმაც თავისი არსით არავერბალურ ტექნოლოგიაში შემოიტანა ინგლისური ენა. ფაქტია ისიც, რომ მანქანის დონეზე კომუნიკაცია ხორციელდება სიმბოლური ენის (მანქანური კოდები) ფორმით, რომელიც საერთოდ არ გამოირჩევა ბუნებრივ ენასთან მსგავსებით. მიუხედავად ამისა, ინგლისური ენა გახდა ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიების მომხმარებლებზე მთელს მსოფლიოში. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ინგლისური ენისა და კომპიუტერიზაციის საიხლოვე განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ექსტრალინგვისტური ფაქტორებით. თუმცა ნებისმიერ დამწვებ მომხმარებელს შესაძლოა მოეჩვენოს, რომ ინგლისური კომპიუტერის მშობლიური ენაა [ხეცურიანი, 2000].

ჩვენთვის საინტერესოა კომპიუტერის გავლენა ქართულ ენაზე, როგორც სისტემაზე. ფაქტია, რომ ეს გავლენა არსებობს და მისი მოქმედების ქვეშ ექცევა როგორც სამეტყველო ქმედების სტერეოტიპები, ისე ინდივიდის ენობრივი ცნობიერება [კუპერი, 1990].

ახლა კი შევეცდებით, გავერკვეთ, რა შეხების წერტილები გააჩნია ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ბუნებრივ ენას. ხდება თუ არა ქართული ენის თანდათანობითი ნგრევა და დეგრადაცია, მისი გამოდგენა გამარტივებული ინგლისურით, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესების უგულვებლყოფა. ბევრი უკვე დღეს პასუხობს ამ კითხვებზე დადებითად. თუმცა ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას.

კომპიუტერი უნიკალური მოვლენაა ადამიანის კულტურული ყოფის პრაქტიკაში. ამიტომაც „გამომთვლელი მანქანების“ გვერდით ჩნდება ტერმინოლოგია, რომელიც ემსახურება ახალ საგნობრივ სფეროს. პერსონალურმა კომპიუტერებმა ძალზედ სწრაფად დაიმკვიდრეს კუთვნილი ადგილი ცხოვრებაში და სრულიად განსხვავებული სოციალური შრეების წარმომადგენლები მომხმარებლებად და პროგრამისტებად აქცია.

კომპიუტერული სლენგი ისე, როგორც თავად ინფორმაციული ტექნოლოგიები, განიცდის ინგლისური ენის ზეგავლენას. ხშირად საქმე გვაქვს ინგლისურენოვანი ტერმინების ტრანსლიტერაციასთან ან კალკირებასთან. კომპიუტერის სპეციალისტების მეტყველებაში ხშირად გვეხვები ისეთი ჟარგონული გამოთქმები როგორცაა: ვინჩესტერი, კომპი, მახერი, ქენსელ, იგნორი, ოქეი, რესტარტი, ფოლდერი, ფონტი, ჰელპი, მაუსი, სეივი (დასეივება), სერჩი და ა.შ.

ინტერნეტის გაჩენასთან ერთად რეალობად იქცა კომუნიკაციის და სამეტყველო ქმედების ახალი ფორმები. ინტერნეტი უმეტესად წერილობითი ურთიერთობის სივრცეა, რადგან ხმოვანი შეტყობინებების გაცვლის საშუალებები აქ დღესდღეობით ძალზედ შორსაა სრულყოფილებისგან. პრინციპული მნიშვნელობა აქვს ვიზუალურ ინფორმაციას. ლინგვისტიკისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ ჩატები და ფორუმები, რომელთაც მყარი ადგილი დაიკავეს „ინტერნეტ აუდიტორიის“ ცნობიერებაში. მსგავსად ტექსტური შეტყობინებების სინქრონულად გაცვლის პროგრამები, კერძოდ ICQ (აისიკიუ), Skype (სკაიპი) და სხვ. დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ე.წ. ინტერნეტის სოციალურმა ქსელმა Facebook. ასეთ ჩატებში კომუნიკაცია შესაძლებელია რეალურ დროში, რაც საშუალებას იძლევა გავაკეთოთ ანალოგია ზეპირმეტყველებასთან, რომლის მონაწილეებმაც მოულოდნელად დაიწყეს საკუთარი აზრების ჩამოყალიბება წერილობითი ფორმით. წერითმეტყველებას ტრადიციულად გააჩნია რიგი თავისებურებები ზეპირთან შედარებით: ის უფრო მეტად მომზადებულია, ფართოდ გაშლილია, შიგატექსტური კავშირის ორგანიზაციის საშუალებებს მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ინტერნეტში არსებითად წერილობითი ტექსტი წევს ჩატის კომუნიკანტ-მონაწილეებისთვის ზეპირი ურთიერთობის სამსახურს. ჩატში მასიური მომხმარებლისთვის კომუნიკაციის პრაგმატული მიმართულებაა არა იმდენად ინფორმაციის გაცვლა, არამედ „ნეტში“ საკუთარი ყოფნის დაფიქსირება და აზრის გამოთქმა. ამას მოწმობს მრავალი ჩატის ლისტინგი – ერთგვარი სტენოგრამა, რომლებიც უფრო კომუნიკანტთა თვითგამოხატვის მაგალითებია, ვიდრე ინფორმაციის გაცვლის ქრონიკა [კორნი, 2003].

ჩატებისაგან განსხვავებით ფორუმები და ე.წ. ბლოგები (ბლოგ = web log) უმეტესწილად ორიენტირებულია დროში გადავადებულ კომუნიკაციაზე. ტოვებს რა შეტყობინებას, ფორუმის მონაწილეს იმედი აქვს, რომ მიიღებს გამოხმაურებას არა მყისიერად, არამედ რამდენიმე საათის

ან დღის გასვლის შემდეგ. თავად შეტყობინებათა ჯაჭვისაგან შემდგარი ფორუმი კი, უფრო მეტად ორიენტირებულია ინფორმაციის გაცვლაზე. ფორუმებზე მიზანმიმართულად ხდება აზრის გამოთქმა განსახდერული თემატიკის გარშემო: გამოცდილების გაზიარება, დახმარება პრობლემის გადაწყვეტაში, საიტის მასალების განხილვა. ფორუმი ყოველთვის დიალოგია მოცემულ თემაზე.

კომპიუტერში ცვლილებას განიცდის თვით ტექსტის ფორმა. ტექსტი იძენს არასწორხაზოვან ხასიათს, იქცევა თავისუფალ გარემოდ, რომელიც საშუალებას აძლევს მკითხველს გადაადგილდეს დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებს შორის. ტერმინი დოკუმენტი შემთხვევით არ არის გამოყენებული. ვებსაიტის გვერდი არ არის ტექსტი თავდაპირველი გაგებით, არამედ სხვადასხვა ნიშანთა სისტემების ურთიერთქმედებაა. გვერდზე მოთავსებულ ტექსტში შესაძლოა იყოს ბმულები სხვა ტექსტებზე, ასევე შესაძლოა ჩართული იყოს აუდიო ან ვიდეო რგოლები. ინტერნეტში კომუნიკაციის ყველა ნახსენები თავისებურება განპირობებულია მსოფლიო კომპიუტერული ქსელის, როგორც ინფორმაციული სივრცის, თავისებურებებით. ინტერნეტი აგებულია განსხვავებულ პრინციპებზე, ვიდრე თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ის უარყოფითად უყურებს იერარქიულ პირამიდულ სტრუქტურებს ყველაფერში, დაწყებული სახელისუფლებო ინსტიტუტებიდან დამთავრებული ენობრივი სისტემით. იერარქიის სანაცვლოდ აქ გვაქვს ჰორიზონტალური სტრუქტურები. ნორმა, როგორც ბუნებრივი ენის მასისტემატიზებული ფაქტორი, განიცდის ყველაზე დიდ დარტყმას მსოფლიო კომპიუტერულ ქსელში, სადაც ენას სრული თავისუფლება ეძლევა. აქედან გამომდინარეობს ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესების უგულვებელყოფა და ჟარგონის მოძალება. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ინგლისური ენის და მასთან ერთად ენობრივ ცნობიერებაში შემოსული კულტურული ღირებულებების ასეთი ზეგავლენა საშუალებას აძლევს ქართულ ენას გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი მხარეები და ღირებულებები. ჩვენის აზრით ბუნებრივი ენისა და კომპიუტერის, როგორც სიმბოლოების მანქანის, ურთიერთობას არ მოსდევს მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიური შედეგები. კომპიუტერმა ზოგადად, კონკრეტულად კი ინტერნეტმა მოიტანა ენის არსებობის ახალი ფორმები, კომუნიკაციის ახალი ხერხები, სამეტყველო ქმედების ახალი სტერეოტიპები. კომპიუტერი არ უნდა განვიხილოთ როგორც ზიანის მომტანი რეალობა, არამედ ის არის სწრაფ, მრავალმხრივ და ამომწურავ ინფორმაციაზე სოციუმის გაზრდილი მოთხოვნების პროდუქტი. სწორედ ასეთი განწყობით უნდა მივუდგეთ ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთქმედების სოციო-კულტურული ასპექტების შესწავლას. ეს მოგვცემს საშუალებას შევისწავლოთ ენობრივი განვითარების აქტიურად მიმდინარე პროცესები.

ადამიანები, ვინც ინტერნეტის ქართულენოვანი სექტორით სარგებლობს, უშუალოდ ჩართულნი არიან ბუნებრივ ენაზე გლობალური ექსპერიმენტის პროცესში. ევოლუციური პროცესების ყველაზე შესამჩნევი გამოვლინება გახდა კომპიუტერული სლენგის როგორც ქვე-ენის (ენის ქვე-სისტემის) ჩამოყალიბება, რომელიც თავდაპირველად გამიზნული იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტებისათვის. შემდგომ ამ სოციალურმა ჯგუფმა შეიძინა დიფუზიური ხასიათი: სლენგი გამოიყენება სპეციალისტების, კომპიუტერის სხვადასხვა დონის მომხმარებლებისა და კომპიუტერული თამაშების მოყვარულთა მეტყველებაში [სმირნოვი, 2007].

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს ზრდა-განვითარებასთან ერთად მასში ჩნდება ჟარგონები. ინგლისური ენის უშუალო ზეგავლენის ქვეშ ფორმირებული ქართული კომპიუტერული ჟარგონი ითვისებს ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს ტრანსლიტერაციის გზით (ჰელპი, პრევიუ, ტოპიკი, პოსტი). თუმცა მთლიანი ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის შესახებ არ ხდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოჩენამ ენაში დიდი რაოდენობის სპეციალური სიტყვა და გამოთქმა, მდიდარი ტერმინოლოგია შემოიტანა. მაგალითად: ქსელის კარტა, მიკროპროცესორი, ოპერაციული სისტემა, დაფორმატება, ინსტალაცია, ვინჩესტერი, პიქსელი, დიალოგური ფანჯარა, ობიექტი და ა.შ. ამ ტერმინთაგან მრავალი – ანგლიციზმია, თუმცა არც ისე იშვიათად ახალი ცნებების კალკირება-თარგმნა ხდება.

უნდა ითქვას, რომ კომპიუტერული სლენგი განიცდის განუწყვეტელ ცვლილებას. სლენგი საერთოდ ენის ლექსიკის ყველაზე ცვლადი შრეა.

კომპიუტერულ მეცნიერებასა და წარმოებასთან ერთად საქართველოში ვირტუალური გასართობებიც შემოვიდა: კერძოდ, კომპიუტერული თამაშები. თანამედროვე კომპიუტერული თამაში – რთული ორგანიზმია, რომელიც მოთამაშისგან გარკვეულ პროფესიონალიზმს მოითხოვს. თამაშები იყოფა ტიპებად, რომლებმაც სპეციფიური სახელები მიიღეს (მაგალითად: სტრატეგია, არკადა და ა.შ.), და ამ თამაშებს ხშირად სჭირდებათ მრავალი სპეციალური ტერმინი სხვადასხვა სათამაშო პროცესის აღსანიშნავად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც თამაში ქსელურია, ანუ როდესაც შესაძლებელია რამდენიმე ადამიანმა ერთდროულად მიიღოს მასში მონაწილეობა სხვადასხვა კომპიუტერზე [სულერი, 2006].

სიტყვა „გეიმერი“ მოდის ინგლისური ჟარგონისგან (gamer – კომპიუტერული თამაშების პროფესიონალი მოთამაშე). სიტყვაში „სმაილიკი“ (smily – მომღიმარე სახე, რომელიც ნიშნების შემდეგი თანმიმდევრობით გამოისახება :-)) და მოსაუბრის ემოციას გამოხატავს), აღინიშნება რუსული ენის გავლენა, თუმცა ინტერნეტში უკვე ხშირად გვხვდება გაქართულებული „სიცილაკი“.

ჟარგონიზმებია ინგლისური წარმოშობის პროფესიული ტერმინები, რომელთაც უკვე გაჩნიათ ექვივალენტი ქართულ ენაში: ჰელპი – help (დახმარება); ჰარდ დრაივი – hard drive (მყარი დისკო); დაკონექტება – connect (დაკავშირება); კლიკი – click (დატკაცუნება, დაწკაპუნება); ლინკი – link (ბმული). ქართული ენის მიერ ნახესხები სიტყვების გრამატიკულ ათვისებას მოსდევს მათი სიტყვათწარმოების გაქართულება. ასე მაგალითად პოპულარული არქივატორი ზიპი (zip), გახდა წყარო სიტყვებისა – დაზიპვა, დაზიპული.

საინტერესოა რიგი სინონიმებისა, რომლებიც დაკავშირებულია კომპიუტერის ნორმალური მუშაობის დარღვევასთან, როცა ის არცერთ ბრძანებაზე არ რეაგირებს გარდა Reset ღილაკისა. ასეთ კომპიუტერზე ამბობენ, რომ ის „დაეკიდა“, „ჩამოეკიდა“ ან კიდე „მოკვდა“. ესენი ქართულ ენის შიგნით წარმოქმნილი ჟარგონიზმებია.

კომპიუტერული ჟარგონული ლექსიკა აქტიური განვითარების პროცესში მყოფი დინამური სისტემაა, რაც განპირობებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების უპრეცედენტოდ სწრაფი პროგრესით. ეს ქართულ ენაში ანგლიციზმების შემოდგომის ერთ-ერთი გზაა. ბევრი სიტყვა კომპიუტერული ჟარგონიდან გადადის ოფიციალურ ტერმინოლოგიაში. ჟარგონიზმები არსებობს არა მარტო ზეპირ მეტყველებაში, არა მარტო აურაცხელ ელექტრონულ დოკუმენტებში,

წერილებსა და კონფერენციებში, არამედ მათ შესაძლოა შეხედეთ პრესაშიც, ხშირად ისინი გვხვდება სოლიდურ კომპიუტერულ გამოცემებშიც: ჩვენ ხშირად ვმართავთ ჩეთ-სესიებს (გაზეთი "ნავიგატორი"). საინტერესოა რატომ არ გამოიყენა ავტორმა ჩეტ-სემენი, ალბათ იმიტომ, რომ ზედმეტად ინგლისურ ჟღერადობას მოერიდა.

ლექსიკის ეს კომპონენტი, რომელიც გამოირჩევა სასაუბრო, მარტივი შეფერილობით, და ახალგაზრდული სლენგისთვის დამახასიათებელი ექსპრესიულობით, ამტკიცებს იმას, რომ კომპიუტერის მომხმარებელთა სფეროში ძალიან ბევრია ახალგაზრდა ასაკის ადამიანი.

ფაქტია, რომ კომპიუტერთან სამუშაოდ აუცილებელია ინგლისური ენის გარკვეულ დონეზე ფლობა. სისტემური შეტყობინებები, პროგრამირების ენების ინსტრუმენტები, ტექნიკური დოკუმენტაცია მოითხოვენ საერთაშორისო ურთიერთობის ენის ცოდნას. თუკი ყურადღებით შევხედავთ ენობრივი კომპეტენციის იმ კრიტერიუმებს, რომლებიც საჭიროა სპეციალისტებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში, მივიღებთ საინტერესო სურათს: გადამწყვეტია რეკვაპტიული უნარ-ჩვევები და უცხოური ენის ტექსტის გაგების უნარი. ამასთან, სულაც არ არის აუცილებელი კითხვისა და წარმოთქმის წესების ცოდნა. შემთხვევითი არ არის, რომ დამსაქმებელთა უმრავლესობა პროგრამისტებისგან ტექნიკური ინგლისურის ცოდნას ელის, ანუ უნარს გაიგოს სისტემის შეტყობინებები და სწორი რეაგირება მოახდინოს მათზე. ამიტომაც ისმის კომპიუტერთან გამოთქმები „ინვალიდ დევიცი“ (invalid device), სისტემ ერორი (system error) და მსგავსნი, რაც ინგლისური სიტყვების შესაბამისი წესების დაუცველად წაკითხვის მაგალითებია. ამგვარად ბევრი ჟარგონიზმი, რომელიც საწყისი გამოთქმების ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად მიიღება, შესაძლოა იყოს ან არცოდნის, ან წარმოთქმის უზუსტობის შედეგი.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ „სმაილიკები“ (smile – ღიმილი) ანუ ქართული კალკირებული ვარიანტით „სიცილაკები“. ინგლისურად მათ უფრო ხშირად ჰიბრიდ სიტყვას „emoticons~ (emotional icons) უწოდებენ.

იმისთვის, რომ გავიგოთ რას ნიშნავს „სმაილიკი“ უბრალოდ თავი მარცხნივ უნდა გადავხაროთ. მაშინ ორწერტილი გახდება „თვალეები“, ტირე - „ცხვირი“, და ფრჩხილები – „პირი“. უნდა ითქვას, რომ სმაილიკები სულ უფრო მყარად მკვიდრება ქართულ წერილობით მეტყველებაში. მათთვის, ვინც დიდი ხანია მუშაობს კომპიუტერთან, კარგად იცნობს სმაილიკების უმრავლესობის მნიშვნელობას: :-) ან :) მე ვიღიმები; ;-) ეშმაკურად თვალს გიკრავ; :-ხ გკოცნი; :-C ვიცინი; :-( სამწუხაროდ; ;-( ვტირი; :-0 გაოცებული ვარ!

რა თქმა უნდა, ამ რამდენიმე მაგალითით მათი რაოდენობა არ შემოიფარგლება. სმაილიკები უმეტესად გამოიყენება ინტერნეტში, განსაკუთრებით ჩატებში, სადაც აუცილებელია სრავად გამოხატო საკუთარი ემოცია.

სტატიაში შევეცადეთ მხოლოდ ნაწილობრივ აგვეხსნა ენისა და კომპიუტერის ურთიერთობის ძირითადი ტენდენციები. ლინგვოკულტურული მიდგომა საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ დამატებითი ჰიპოთეზები, რომლებიც ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელს ხდის, ენის სფეროში ახალი მოვლენები ავხსნათ. თავად ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს განვითარების უკიდურეს დინამიზმს შედეგად მოსდევს ის, რომ ამ თემაზე მრავალი სამეცნიერო შრომა იწერება. თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გამოსაკვლევი და შესასწავლი.

**ლიტერატურა:**

1. გახეთი „ახალი თაობა“, 2005 წელი. №1-დან №362-ის ჩათვლით.
2. გახეთი „კვირის პალიტრა“, 11-17 ივლისი, 2005, გვ. 19; 18-24 ივლისი, 2005, გვ. 23; 4-10 ივლისი, 2005, გვ. 19, მიიღეთ მონაწილეობა ქართული ვინდოუსის შექმნაში.
3. გახეთი „ნავიგატორი“, 2004-2006 წლები.
4. გახეთი „თბილისი“, 1986, 19 სექტემბერი, კომპიუტერი სკოლაში მიდის.
5. განჩილაძე გ. ესთეტიკური იდეალი და მხატვრული გამოსატვის ფორმები. თბილისი: მეცნიერება, 1985.
6. კვაჭაძე ლ. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: განათლება, 1966.
7. კუპერი, 1990- Cooper R. L Language Planning and Social Change. Cambridge University Press, 1990.
8. კორნი, 2003-Corney M. W. Analysing E-mail Text Authorship for Forensic Purposes. Master Thesis. – Queensland. 2003.
9. ლებანიძე გ. კულტუროლოგიის საფუძვლები (ლექციების კურსი). თბილისი: ენა და კულტურა, 2004.
10. მეგრელიშვილი მ. ზმნის ფუნქციურ სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში. თბილისი: განათლება. 1986.
11. ნებიერიძე გ. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1999.
12. საყვარელიძე ნ. „ულისე“ ქართულად. ლიტერატურული საქართველო, 1984, №18.
13. სერგია ვ. ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი: განათლება, 1989.
14. სმირნოვი, 2007 -Смирнов Ф. О., Язык общения компьютерщиков: потребность в аффилиации или нечто большее? ? URL: [http://flogiston.ru/articles/netpsy/comp\\_zh](http://flogiston.ru/articles/netpsy/comp_zh), უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.11.2007.
15. სულერი, 206 Suler J. E-Mail Relationships. Psychology of Cyberspace, January, Rider University. URL: <http://www1rider.edu/~suler/psycyber/psycyber.html>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 4.12.2006.
16. ქართული პრესის კომპიუტერული არქივი. RZ: <http://www.open.ge/prensa/prensa.htm>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.08.2008.
17. ხეცურიანი ნ. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და ენათა შეპირისპირებითი ანალიზი. თბილისი: ენა და კულტურა, 2000

რეცენზენტი: პროფ. ნ. კირვალიძე

**Madona Megrelishvili, Maia Alavidze**

**Abstract**

The article gives an insight about the anglicisms used in the sphere of computer technologies, because this is one of the fastest developing sectors of modern life, which becomes a reason for the people having any connection with it to be the active users of anglicisms. Based on the navigation structure of a website the paper discusses linguistic and cultural peculiarities of Georgian websites and presents functional-semantic analysis of anglicisms.

**Мадона Мегрелишвили, Маиа Алавидзе**

**Резюме**

**В статье рассматриваются англицизмы, используемые в сфере компьютерных технологий, т.к. они являются одним из самых быстро развивающихся секторов современной жизни. Это и является причиной того, что люди, которые имеют какую либо связь с ней, активно используют англицизмы. Основываясь на навигационную структуру веб-сайта, в статье обсуждаются лингвистические и культурные особенности грузинских веб-сайтов и представлен функционально-семантический анализ англицизмов.**

ენათმეცნიერება    Языковедение    Linguistic

მადონა მეგრელიძე, ნინო თავიდაშვილი

ქუთაისი, საქართველო

პრეცედენტულობის ფენომენი და მისი ნაირსახეობანი  
ინგლისურ ენაში ქართულთან შეპირისპირებით

ნაშრომი ეძღვნება პრეცედენტულობის, როგორც ერთ-ერთი აქტუალური ლინგვოკულტურული ფენომენის კვლევას და მისი ნაირსახეობების ანალიზს. პრეცედენტულობის ფენომენის კვლევის აქტუალურობა ლინგვოკულტუროლოგიაში განპირობებულია აუცილებლობით – განისაზღვროს იმ რეფერენტთა ერთობლიობა, რომლებიც ასახავს კონკრეტული ლინგვოკულტურული სოციუმის ნაციონალურ სპეციფიკას. მსგავსი რეფერენტები მიიჩნევა პრეცედენტებად – ცნობიერებაში ასახული მატერიალური და სულიერი სამყაროს ფენომენებად.

პრეცედენტულობის ფენომენის უფრო სიღრმისეულად შესწავლა-გაანალიზების მიზნით სტატიაში განხილულია მისი რამდენიმე ნაირსახეობა: პრეცედენტული სახელი, პრეცედენტული სიტუაცია, პრეცედენტული გამონათქვამი და პრეცედენტული ტექსტი, რომლებიც განსხვავებული კუთხით წარმოაჩენენ აღნიშნულ ფენომენს და ქმნიან ფონური ცოდნის მრავალფეროვან სპექტრს.

პრეცედენტულობის ფენომენის კვლევა ერთ-ერთ აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიაში, რაც განპირობებულია აუცილებლობით – განისაზღვროს იმ რეფერენტთა ერთობლიობა, რომლებიც ასახავს კონკრეტული ლინგვოკულტურული სოციუმის ნაციონალურ სპეციფიკას. მსგავსი რეფერენტები მიიჩნევა პრეცედენტებად – ცნობიერებაში ასახულ მატერიალური და სულიერი სამყაროს ფენომენებად [გუდკოვი, 2003: 100].

როგორც ცნობილია, პრეცედენტი გულისხმობს მოვლენას, რომელიც მოხდა ადრე და იგივე ტიპის მოვლენებთან მიმართებით ასრულებს მაგალითის, ნიმუშის, მოდელის ფუნქციას. ფართო გაგებით პრეცედენტი შეიძლება მოიცავდეს როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ მოვლენებს. ლინგვისტიკაში პრეცედენტულ ფენომენად ითვლება: 1. ფენომენი, რომელიც ცნობილია ნაციონალურ-ლინგვოკულტურული სოციუმის ყველა წარმომადგენლისათვის. სოციუმის წევრები ფლობენ ამ ფენომენის აღქმის მინიმალური ინვარიანტს, რომელიც საერთო და აუცილებელია მოცემული მენტალურ-ენობრივი კომპლექსის მფლობელთათვის. აღნიშნული ინვარიანტი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ამა თუ იმ ტექსტის ინდივიდუალური გაგებისაგან, თუმცა ლინგვოკულტურული სოციუმის პრაქტიკულად ყველა

წვერი იცნობს ინვარიანტს, რომელიც აქტუალიზდება ყოველთვის, როცა პრეცედენტულ ტექსტზე ხდება მითითება; 2. ფენომენი, რომელიც აქტუალურია როგორც შემეცნებით-ემოციურ, ისე კოგნიტურ პლანში. პრეცედენტული ფენომენის მიღმა ყოველთვის დგას განსაზღვრული წარმოდგენა, რომელიც მისი აღქმის ინვარიანტს უდევს საფუძვლად. აღნიშნული წარმოდგენა პრეცედენტულობის ფენომენის შესახებ საერთო და აუცილებელია ნაციონალურ-კულტურული მენტალიტეტის ყველა წარმომადგენლისათვის; 3. ფენომენი, რომლის მიმართ დამოკიდებულება განუწყვეტილად განახლებადია. თუმცა ეს ხელს არ უშლის ადრესატს სათანადოდ აღიქვას იგი დამატებითი დეკოდირების გარეშე. მუდმივი განახლების კრიტერიუმები მიიჩნევა ფაკულტატურად.

ყოველი ინდივიდი გვევლინება, როგორც სოციუმის განსაზღვრული წვერი. ამიტომ ერთმანეთისაგან გაემიჯნავეთ პრეცედენტულობის რამდენიმე დონეს და, შესაბამისად, პრეცედენტულობის ფენომენის რამდენიმე ტიპს: ავტოპრეცედენტულს, სოციოპრეცედენტულს, უნივერსალურ-პრეცედენტულს და ნაციონალურ-პრეცედენტულს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული აქტუალობით გამოირჩევა, რადგან სწორედ ის მოიცავს მოვლენებს, რომლებიც ცნობილია ამა თუ იმ ლინგვოკულტურული სოციუმის რიგითი წარმომადგენლისათვის და შედის აღნიშნული სოციუმის კოგნიტურ ბაზაში. მაშასადამე, პრეცედენტულობის ფენომენი წარმოადგენს ვერბალურ და არავერბალურ ფენომენს, რომელიც მიეკუთვნება პრეცედენტულობის ნაციონალურ დონეს.

პრეცედენტულობის ფენომენის უფრო სიღრმისეულად შესწავლა-გაანალიზების მიზნით საჭიროა ერთმანეთისაგან გაემიჯნოთ პრეცედენტული სახელი, პრეცედენტული სიტუაცია, პრეცედენტული გამონათქვამი და პრეცედენტული ტექსტი.

პრეცედენტული სახელი წარმოადგენს ინდივიდუალურ სახელს, რომელიც უკავშირდება ან ფართოდ ნაცნობ პრეცედენტულ ტექსტს, ან სიტუაციას. პრეცედენტულ სახელს ხშირად მიმართავენ შეფასებით-ექსპრესიული ეფექტის შესაქმნელად. მაგალითად, უაილდისეული Dorian Gray გამოიყენება ისეთი ადამიანის დასახასიათებლად, რომლის გარეგნობაზე ასაკის მატება გავლენას ვერ ახდენს.

პრეცედენტული სიტუაცია ერთგვარი ეტალონური სიტუაციაა, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრულ კონტაქტითა ერთობლიობასთან. იგი პარალელს ავლებს კონკრეტულ ისტორიულ ფაქტთან და ტექსტში აქტუალიზდება პრეცედენტული სახელით: ფრაზა - Pyrrhic victory – ცნობიერებაში აღადგენს პრეცედენტულ სიტუაციას – ეპიროსისა და მაკედონიის მეფე პიროსის გამარჯვებას რომაელებზე ისეთი დანაკარგებით, რომლებიც აბათილებს გამარჯვებით მოპოვებულ უპირატესობას. პრეცედენტული სახელი Pyrrhic ახდენს შესაბამისი პრეცედენტული სიტუაციის აქტუალიზებას.

პრეცედენტული გამონათქვამი წარმოადგენს სამეტყველო ქმედების შედეგად წარმოქმნილ პროდუქტს, დასრულებულ და დამოუკიდებელ ერთეულს. იგი გვევლინება რთულ ნიშნად, რომლის კომპონენტების მნიშვნელობების ჯამი არ ემთხვევა მის მნიშვნელობას. პრეცედენტული გამონათქვამის მაგალითია ციტატა - სრული, ნაწილობრივი, ან შეცვლილი სახით [კრასნიხი, 2002: 47-50]. მაგალითად, პრეცედენტული გამონათქვამი - იულიუს კეისრისეული ციტატა - I came, I saw, I conquered – მიანიშნებს სწრაფ და საბოლოო გამარჯვებაზე.

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს პრეცედენტული ტექსტი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ერის კულტურული გამოცდილების აკუმულაციის თვალსაზრისით და ახდენს ამა თუ იმ კულტურისათვის ნიშანდობლივი ღირებულებების კონცენტრაციას [კარაულოვი, 1987: 218]. იგი ეკუთვნის მოცემული ეთნოსის კულტურას და სტერეოტიპული ფორმით რეალიზდება სამეტყველო ქმედების სტანდარტულ სიტუაციებში. პრეცედენტული ტექსტის გამოყენება უკავშირდება სამყაროს შესახებ ცოდნის სისტემას, ანუ სინამდვილის აღქმის ლინგვოკოგნიტურ დონეს [პროსკოროვი, 1997: 151-152]. იგი აღიქმება, როგორც ენობრივი ნიშანთა მთლიანი და ურთიერთკავშირზე დამყარებული თანმიმდევრობა, რომელიც ღირებულებითი

მნიშვნელობის მატარებელია ამა თუ იმ კულტურული სოციუმისათვის [სლიშკინი, 2000: 28]. შესაძლებელია ვისაუბროთ ორი განსხვავებული კატეგორიის პრეცედენტული ტექსტის შესახებ: 1. ტექსტი, რომელიც პრეცედენტულია ვიწრო სოციუმისათვის (ოჯახური წრე, პროფესიული წრე და ა.შ.); 2. ტექსტი, რომელიც პრეცედენტულია დროის შედარებით მცირე მონაკვეთის განმავლობაში და ხშირ შემთხვევაში ცნობილი აღარ არის სოციუმის მომდევნო თაობისათვის (მაგალითად, ანეკდოტი). თუმცა თავისი არსებობის მანძილზე იგი ღირებულებითი მნიშვნელობის მატარებელია და ხშირად ფიგურირებს დისკურსში.

პრეცედენტული ტექსტის სტატუსის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ენისა და კულტურის მიჯნაზე დგას. როგორც ენობრივი მოვლენა, პრეცედენტული ტექსტი ფლობს ტექსტის, როგორც აზრობრივ-სტრუქტურული ერთეულის ყველა ძირითად თვისებას. პრეცედენტული ტექსტის, როგორც კულტურული მოვლენის ანალიზი კი მნიშვნელოვანია იმ ღირებულებითი ორიენტაციებისა და კულტურული პროცესების სიდრმისეული აღქმის თვალსაზრისით, რომლებიც ნიშანდობლივია საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპისათვის [ივანოვა, 2002: 88]. პრეცედენტული ტექსტი, როგორც სოციუმის ენობრივი ცნობიერების კომპონენტი, წარმოადგენს ერთეულს, რომლის საშუალებით ცხოვრებისეული ღირებულებები გააზრებულია ენისა და კულტურული მეხსიერების პრიზმაში. კომუნიკაციის პროცესში მოცემული ენობრივი სტრუქტურა ხშირად დასახელებულია არა სრული, არამედ კომპრესირებული სახით, როგორცაა, მაგალითად, ციტატა. ასეთ შემთხვევაში პრეცედენტული ტექსტი წარმოადგენს ამოსავალი ტექსტის აზრობრივი კომპრესიის შედეგს და მისი მეტონიმური ჩანაცვლების ფორმას. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს ქმნის შედარებით მცირე მოცულობის ტექსტები – იგავები, თქმულებები, ანეკდოტები და ა.შ., რომლებიც შემოკლების გარეშე ფიგურირებენ დისკურსში.

ამრიგად, პრეცედენტულობის ფენომენის ყველა ნაირსახეობა ნაციონალურ-კულტურული სივრცის კუთვნილებაა. ცნობიერებაში იგი არსებობს ინვარიანტის სახით, რომელიც წარმოადგენს პრეცედენტული ფენომენის შესახებ არსებული მინიმალური მნიშვნელობის და ნაციონალურად განპირობებული წარმოდგენების ერთგვარ სტრუქტურირებულ ერთობლიობას. აღნიშნული სტრუქტურა შედის ადამიანის ცნობიერების კოგნიტურ ბაზაში, რომელიც, საზოგადოდ, აგებულია ამა თუ იმ კულტურული ფენომენის შესახებ არსებული წარმოდგენების ინვარიანტებით.

პრეცედენტულობის ფენომენის ნაირსახეობების ცოდნა აუცილებელია პიროვნების განსაზღვრულ ლინგვოკულტურულ სოციუმში სოციალიზაციის, კომუნიკაციური პროცესების სათანადოდ გააზრება-გაკონტროლებისა და, საბოლოოდ, კომუნიკაციის მიზნის წარმატებით მიღწევის თვალსაზრისით.

### ლიტერატურა

1. გუდკოვი 2003 - Гудков Д.Б. (2003). Теория и практика межкультурной коммуникации. – М., ИТДГК Гнозис.
2. ივანოვა 2002 - Иванова СВ. (2002). Культурологический аспект языковых единиц. Уфа, БашГУ.
3. კარაულოვი 1987 - Караулов Ю.Н. (1987). Русский язык и языковая личность. - М., Наука.
4. კრასნიხი 2002 - Красных В.В. (2002). Этнопсихоллингвистика и лингвокультурология. - М., ИТДГК Гнозис.

5. პროხოროვი 1997 - Прохоров Ю.Е.(1997). Национальные социокультурные стереотипы речевого общения и их роль в обучении русскому языку иностранцев. - М. Издательство ИКАР.
6. სლიშკინი 2000 - Слышкин Г.Г.(2000). От текста к символу: лингвокультурные концепты прецедентных текстов в сознании и дискурсе. - М. Academia.

**Мадонна Мегрелишвили, Нино Тавидашвили**

### **Феномен прецедентности и его разновидности**

#### **Резюме**

Данная статья посвящена исследованию прецедентности, как лингвокультурного феномена и его разновидностей. Как известно, под прецедентностью подразумевается явление, которое произошло раньше и выполняет функцию примера, образца, модели по отношению к подобному типу явлениям. Развитие направления исследования феномена прецедентности в лингвокультурологии связано с необходимостью – определить общность тех предметов и явлений, которые, в свою очередь, отображают специфику национального характера того или иного лингвокультурного социума. Подобные предметы и явления определяются, как прецеденты – отражённые в сознании феномены материального и духовного мира.

С целью более глубокого изучения - анализа феномена прецедентности в статье рассматривается несколько его разновидностей: прецедентное имя, прецедентная ситуация, прецедентное высказывание и прецедентный текст, которые с разных сторон показывают данный феномен и создают многообразный спектр фонового знания.

**Madonna Megrelishvili, Nino Tavidashvili**

### **Phenomenon of Precedent and its Variations**

#### **Abstract**

The paper deals with the research of a precedent as a linguistic and cultural phenomenon and the analysis of its variations. A precedent is an action or situation which has already happened and fulfils the function of an example, pattern or model in relation to the actions or situations of the similar type. The significance of the research of the phenomenon of precedent in cultural linguistics is based on the necessity to determine the set of the referents which reflect the national peculiarities of a particular linguocultural society. These referents are considered as precedents – the phenomena of the material and spiritual world reflected in cognition.

In order to conduct an in-depth analysis of the phenomenon of precedent the paper includes the discussion of its variations such as the precedential name, precedential situation, precedential expression and precedential text, which demonstrate various aspects of the aforementioned phenomenon and create the spectrum of the background knowledge.

რეცენზენტი: პროფ. ნ. კირვალიძე

ენათმეცნიერება Языковедение Linguistic

ნათელა მელიქიძე

სამცხე-ჯავახეთი, საქართველო

ადამიანთა სახელდებისათვის

ნაშრომში განხილულია ანთროპონიმები, როგორც ისტორიულად შეპირობებული სახელები, რომლებიც საზოგადო სახელთა დამკვიდრების შემდგომი ეტაპია. საუბარია სახელდების მოტივაციაზე; ადამიანთა საკუთარი სახელების „მოგზაურობაზე“, რომლებიც მკვიდრდება ან ვერ მკვიდრდება ახალ ენობრივ სამყაროში, ზოგჯერ კი ისე გადასხვაფერდება, რომ ძნელდება მათი თავდაპირველი ფორმის დადგენა; სახელის სემანტიკურ გაახრებაზე – შთამომავლობისათვის გადაცემაზე; ეპოქათა მიხედვით ანთროპონიმების ცვალებადობაზე – კანონიკური, კონიუქტურით განპირობებული და ისტორიული სახელების მონაცვლეობაზე; სხვადასხვა ხალხთა ანთროპონიმულ სისტემაში არსებულ საერთო სახელებზე; მრავალსახელიანობის გამომწვევ მიზეზებზე, სახელთა ტაბუირებასა და ტოტემიზმის კვალზე ანთროპონიმიაში.

ადამიანს სახელი ამშვენებს და სახელს ადამაზებს ადამიანი. ინდივიდს დაბადებისთანავე არქმევენ სახელს, სიცოცხლის მანძილზე კი იგი თავად ქმნის მას და ამ სახელით მიდის ამქვეყნიდანაც. რამდენი არცხვენს სახელს და რამდენს გაუთქვამს სახელი. სახელს თვლიდნენ ადამიანის სულის დედაარსად აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამიტომ ის იყო ყველაზე ძვირფასი, რაც ადამიანს გააჩნდა.

სახელმა ადამიანი გამოყო ჯოგური ყოფიდან, ინდივიდად აქცია. ამიტომ ქართველთა და სხვა ხალხების აზროვნებაშიც „სახელი“ დამატებით კიდევ სხვა მნიშვნელობასაც იძენს: სახელოვანი, ცნობილი, კარგი ადამიანი [ხორნაული, 2003: 214].

ამბობენ, სახელის გაფრთხილებას მოელი ცხოვრება სჭირდება, სახელის შერცხვენას კი – წუთებიო. ამიტომაც, შოთა რუსთაველის აფორიზმიც იმის მიმანიშნებელი, რომ ყველანაირი საგანძურის მოპოვებას, მოხვეჭას, სჯობს სახელის განთქმა, სახელიანობა. „სახელს უმატეთ სახელი, ძვირფასი საპოვარია“, – გვაფრთხილებენ ფშაველი გმირები ვაჟას პოემაში [ვაჟა-ფშაველა, 1990:197]. მხატვრულ ლიტერატურაში არცთუ იშვიათად გვიაშობენ სახელიან და „სიცოცხლით სიკვდილიან“ (ცოცხლად მკვდარ) პერსონაჟებზე. „არ დაიდარდო, დედაო, რაც მე სიკვდილით გაწყინე, მე შენი ძუძუს ნათელი საქვეყნოდ გამოვაბრწყინე“, – ამბობს ღმილის ბიჭი გიორგი ლეონიძის ლექსში [ლეონიძე, 1985: 473], რომელსაც სჯერა, რომ დედას „დაჰხურა შუქური“. სამაგიეროდ, როგორ მოთქვამს წიწლას დედა, შვილი რომ ჯაბანი გამოადგა და ბრძოლის ველიდან გაიპარა: „რად არ იქ მაჰკვდი, ბეჩავო, რად ხარ ყელ-საბელიანი, რად არ მაძიხველ, წიწლავ, პირნათლი, სახელიანი?!“ [ვაჟა-ფშაველა, 1990: 200].

საქართველოში სახელი ხშირად პაპა-ბებიიდან შვილიშვილზე, ე.ი. წინაპრიდან შთამომავალზე გადადიოდა. ბევრს ახლაც მოსწონს ეს ტრადიცია, რადგან ფიქრობენ, რომ აცოცხლებენ, დავიწყებას არ აძლევენ წინაპართა სახელებს.

ნომინაცია ყოველგვარ საკუთარ სახელს შეისწავლის. სახელდების ბუნების შესახებ დავა ადრეული საუკუნეებიდან მომდინარეობს. ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ნააზრევი საგნებსა და მათი სახელწოდებების ურთიერთდამოკიდებულებაზე ორი მიმართულებით განვითარდა. თუ ერთნი ირწმუნებოდნენ – სიტყვასა და საგნებს შორის ბუნებრივი კავშირი არსებობსო, მეორენი საპირისპირო თვალსაზრისს ავითარებდნენ. შემდგომში ეს დავა ნომინალისტებისა და რეალისტების დაპირისპირებაშიც ჩნდება. ბიბლიიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ღმერთის მიერ შექმნილ არსებებსა და საგნებს პირველმა ადამიანმა უწოდა სახელი. რქმევის ეს მომენტი ზოგ შემთხვევაში ხმაბაძვითი იყო, ზოგჯერ კი – გაუთვითცნობიერებელი. თავდაპირველი სახელდება საგნებისა ჯერ კიდევ პრობლემური საკითხია, მაგრამ ერთი რამ უდალაა, სახელდების უფლება ადამიანის პრეროგატივაა“ [ხუციშვილი, 1998:32]. ვფიქრობთ, ადამიანთა სახელდება საზოგადო სახელთა დამკვიდრების შემდგომი ეტაპი უნდა იყოს, სახელდების გარკვეული პრაქტიკით გაჯერებული. ასე რომ, ანთროპონიმები ისტორიულად შეპირობებული სახელებია. ამის შესახებ მიუთითებს ა.დლონტი, რომელიც „ქართველურ საკუთარ სახელებში“ წერს: სწორედ საზოგადო სახელთა სამყარო (ცალკე საგნის, მოვლენის, ცხოველის, ფრინველის, მწერის, მცენარის, ნივთიერების, ხელობა-მოსაქმეობის, სოციალური ყოფისა თუ მდგომარეობის აღმნიშვნელი სხვა სიტყვები) არის ის ნოყიერი ნიადაგი, რომელშიაც ისტორიულად სათავეს იღებს ანთროპონიმია [დლონტი, 1967: 9].

როდესაც მსჯელობენ საკუთარი სახელის ენობრივი არსის დადგენაზე, ფიქრობენ, რომ უნდა ამოვიდნენ თვით საკუთარი სახელების თავისებურებებიდან. „საკუთარი სახელი გამოყოფს მსგავსიდან (ერთგვაროვანიდან) ერთადერთს და უპირისპირებს ყველა დანარჩენს. ამრიგად, საკუთარი სახელისათვის დამახასიათებელია მხოლოდ გამოყოფის, გამოცალკევების თვისება“ [ჯორბენაძე, 1993: 19], ამდენად, „საზოგადო სახელისაგან განსხვავებით, რომელიც სახელს აზოგადებს, საკუთარი სახელი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ კონკრეტულ ობიექტს ვარაუდობს. საკუთარი სახელი თავისი ბუნებით განსხვავდება საზოგადო სახელისაგან. თუმცა აკაკი, გიორგი... ერთადერთს მაინც არ ჰქვია, საკუთარ სახელს მაინც აქვს კონკრეტული მიმართების უნარი“ [ჯორბენაძე, 1997: 130]. საკუთარ სახელთა სპეციფიკას, ა.დლონტის აზრით, გვიჩვენებს მათი სემანტიკა და სტრუქტურული თავისებურებანი, სახელდობრ, ნომინატიურობა, მრავლობითი რიცხვის უქონლობა, კნინობით-მოფერებით ფორმათა წარმოება. მეცნიერს საკუთარ სახელთა ნიშანდობლივ თავისებურებად მიაჩნია ის გარემოება, რომ საზოგადო სახელი განსაზღვრულ პოზიციაში გვევლინება საკუთარ სახელად (კაცი, ბერი, ფოცხვერი, სული, მშვიდობა, ნანობა, წყალობა) და, პირიქით, ცალკე საკუთარი სახელები გარკვეულ შემთხვევაში საზოგადო სახელთა თანრიგში გადადიან (კვაჭი, ხულიგანი, რენტგენი, ვოლტა, ბრაუნინგი) [დლონტი, 1967: 9].

სახელი ადამიანის არა მარტო კუთვნილებაა, არამედ, არსებობის აუცილებელი პირობაცაა, თუნდაც ყველაზე პრიმიტიულ საზოგადოებაში. „უეჭველია, სახელების დარქმევა ადამიანების ერთმანეთისაგან გასარჩევად მეტყველების უძველეს საფეხურზევე იყო საჭირო. ასე რომ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ადამიანის სახელი წარმოშობის მხრივ ისევე ძველია, როგორც საზოგადო სახელი. დროთა განმავლობაში ქრებოდა ძველი და ჩნდებოდა ახალი სახელი, იცვლებოდა სახელის დარქმევის წეს-ჩვეულებანი“ [ჭუმბურიძე, 1992: 6]. ამავე აზრს ავითარებს რ.თოფჩიშვილიც: ადამიანი არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური არსებაცაა და მას საკუთარი (პირადი) სახელის გარეშე არასოდეს უცხოვრია, განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი ეთნოსებისთვისაც კი ის აუცილებელი ატრიბუტი იყო. მისი სიტყვებით, „პირადი (ინდივიდუალური) სახელის წარმოქმნა უნდა უკავშირდებოდეს პლანეტაზე „პომო საპიენსის“ – მოაზროვნე ადამიანის – გაჩენას. პიროვნული სახელი ენის თანამდგვი

მოვლენა იყო. კაცობრიობის ყველა ისტორიულ პერიოდში ადამიანები ერთმანეთისაგან თავს საკუთარი სახელებითაც განასხვავებდნენ" [თოფჩიშვილი, 2010: 8]. ა.გაფუროვის აზრით, დანაწევრებულ მეტყველებასთან ერთად, ერთდროულად გაჩნდნენ სახელები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო სახელები თანამედროვე გაგებით. ისინი ძალიან ნაკლებად განსხვავდებოდა მეტსახელებისაგან. ეს გასაკვირი არცაა. კაცობრიობას ხომ ჯერ კიდევ არ ჰქონდა შედგენილი (ან ჩამოყალიბებული) სახელთა ფონდი [Гафуров, 1971: 5].

სახელსა და მთის დიალექტებში გავრცელებულ „მოხელვას“ შორის კავშირს ხედავს გ.ხორნაული, როდესაც აცხადებს, რომ სახელი იყო საჭირო იმაზე მისანიშნებლად, თუ ვის ეხებოდა საუბარი, ან ვის მიმართავდნენ, ე.ი. ისეთი რამ, რაც დაეხმარებოდათ საგნისა თუ ადამიანის მიგნებაში, პოვნაში, ხელში მოგდებაში, მოხელვაში („პოვნა“). სწორედ სახელია ის, რისი საშუალებითაც პოულობენ. ამის გაგრძელებად კი მიანია იმერულში არსებული „საგინებელი“ (<საგნებელი) – კომლთა სახელი [ხორნაული, 2010: 3].

ქრისტიანთა მთავარი წიგნის – „ბიბლიის“ თანახმად, კაცობრიობას ადამმა და ევამ დაუდეს სათავე, ამიტომ გვქვია ჩვენ ადამიანები – ადამიდან წამოსულები, ადამის ჩამომავლები. ამ პირველმა ადამიანებმა დაარქვეს ყველა არსებას სახელი და გონებრივი, შემოქმედებითი განვითარება დაგვანათლეს. სახელდება რომ ენობრივი აზროვნებაა, ქმნადობის პროცესია, სახელთა მრავალფეროვნება კი – საზოგადოებრივი პროგრესის გამომძახილი, ამაზე არავინ დაობს.

საუკუნები ერთმანეთს ცვლიან და იცვლება ადამიანთა გემოვნება, დამოკიდებულება ანთროპონიმებისადმი. ისტორიის ერთ მონაკვეთში თუ გარკვეული სახელები მოსწონთ და კეთილხმოვნად ეჩვენებათ, შემდეგ ისინი დავიწყებას ეძლევა და სხვა სახელები „ამოტივტივდებაან“. დღეს ქართველები ისევ მართლმადიდებლურ კანონიკურ ქრისტიანულ სახელებს არქმევენ შეილებს (გაბრიელი, იოანე, ალექსანდრე, მარიამი, ანა, ნინო, თეკლა, ელენე, მართა, პავლე, დემეტრე, ბარბარე, ილია, ნიკოლოზი, გიორგი, ლუკა, საბა, ელისაბედი, ანდრია...); არის სურვილი ძველი ქართველური სახელების გააქტიურებისა (ცოტნე, ნათია, დაჩი, გვანცა, ია, ნანი, მზია, შალვა, პაპუნა, ბექა, იმედა...), დავიწყებას მიეცა სოციალისტური რეჟიმის დროს „ნაბოძები“ აბრევიატურული სახელები (მელორი, მარლენი, დაზმირი...).

„სახელი უღერადობისა და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ესთეტიკის სფეროსაც განეკუთვნება. ამიტომაც, რომ ისტორიის ერთ პერიოდში სახელთა გარკვეული ჯგუფი ჭარბობს, მეორე პერიოდში უკვე სხვა სახელებია წინ წამოწეული. მაგალითად, XVIII საუკუნის საქართველოში ყველაზე პოპულარული სახელი იყო ბერი და მისი კნინობითი ფორმები (ბერუკა, ბერიკა, ბერუნა, ბერო, ბერელა...), XIX საუკუნის შუა ხანებიდან ის აღარ იხმარებოდა. ამრიგად, სახელები გარკვეულწილად მოდასთან არის დაკავშირებული" [თოფჩიშვილი, 2010: 14]. მეცნიერი აღნიშნავს, რომ გავლენა აქვს მხატვრულ ლიტერატურასაც, გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ დაბეჭდვამ ქალის სახელი შორენა პოპულარული გახადა, ხოლო ილიას „კაცია ადამიანმა?!“ ერთობ გავრცელებული სახელი ლუარსაბი „ქართული ანთროპონიმებიდან ფაქტობრივად გააქრო" [თოფჩიშვილი, 2010: 14]. ზოგჯერ ლიტერატურული პერსონაჟის (პერსონიმის) სახელი განზოგადდება და მსგავსი ხასიათის, ქცევისა და მიზანდასახულების ადამიანს შეერქმევა ხოლმე. კვაჭი, ლუარსაბი, ყვარყვარე იმდენად სახასიათო სახეებია, მოხერხებულ, ზარმაც და მედროვე ადამიანებს ამ სახელით „ნათლავენ“.

ადამიანთა საკუთარი სახელები მსოფლიოში ყველაზე „თავისუფლად მოგზაური“ ლექსიკური ერთეულებია, რომლებიც იმკვიდრებენ ან ვერ იმკვიდრებენ ადგილს ახალ ენობრივ გარემოში, ეთვისებიან ადგილობრივ ანთროპონიმებს ან იცვლიან სახეს. ხშირად ამა თუ იმ ენიდან შემოსული ასეთი სახელები იმდენად გადასხვაფერდება, რომ ძნელია მათი თავდაპირველი ფორმით წარმოდგენა.

„წინასწარგანსაზღვრულად დამახინჯებული ნასესხები სახელები, რა თქმა უნდა, არ არსებობს. ყველა ენას აქვს თავისი ფონეტიკური წესები, ბგერათა შეთანხმების საკუთარი პრინციპი. ერთი და იგივე ბგერა რომელიმე ენას შეესაბამება, რომელიმეს კი – არა. არაბული სახელები: იანუსი, იუსუფი, იაკუბი ყაზახურ ენაზე გადაიქცნენ ჯანუსად, ჟუსუპად და ჟაკიპად, რადგან ყაზახურს არა აქვს ლათინური ასოს-იოტას შესაბამისი ბგერა [Åñóññ, 1971: 22]. ძალიან ხშირად ერთი ენობრივი სამყაროდან მეორეში გავრცელებული სახელი ფონეტიკურად იმდენად იცვლებოდა, რომ ფაქტობრივად, ხელში ახალი სახელი გვრჩებოდა. „გიორგისაგან“ არის მიღებული რუსული სახელები „იგორი“ და „იური“. მეცნიერებს ვერ გადაუწყვეტიათ, მათი იგივეობა აღიარონ თუ სხვადასხვაობა [თოფჩიშვილი, 2010: 20].

„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ ეთნოსისათვის დამახასიათებელი საკუთარ სახელთა სისტემა თუ ანთროპონიმული მოდელი არ არსებობს, – აცხადებს რ. თოფჩიშვილი, – აღამიანებსა და ეთნოსებს მუდმივი კონტაქტები ჰქონდათ ერთმანეთთან, უზიარებდნენ გამოცდილებას, ერთი ხალხის კულტურა თუ მისი ცალკეული ელემენტი სხვა ხალხში ვრცელდებოდა. ასევე იყო საკუთარი სახელებიც. მეზობელი ხალხები ინდივიდუალურ სახელებს ერთმანეთისგან სესხულობდნენ. ამიტომაც, რომ ძალიან ხშირად არ ვიცით ამა თუ იმ საკუთარი სახელის მნიშვნელობა“ [თოფჩიშვილი, 2010: 9].

სხვადასხვა ხალხთა ანთროპონიმულ სისტემაში არსებული სახელთა საერთო პლასტი ისტორიულადაა განპირობებული. ქრისტიანული რელიგიის ქვეყნებში ამ საერთო სახელებს წარმოადგენს კანონიკური სახელები, ბუნებრივია, კონკრეტულ ენასთან ადაპტირებული. სწორედ ეს კანონიკური სახელები დროთა განმავლობაში ზღუდავენ ამა თუ იმ ენაში მანამდე არსებულ სახელთა ფონდს [მელიქიძე, 1999: 27].

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში პიროვნული სახელები იყო რელიგიის დაქვემდებარებაში. ყველა რელიგიას სახელთა დარქმევის სფეროში მონოპოლიური უფლება ჰქონდა, მათ შორის ქრისტიანობასაც. საკუთარი სახელის მიხედვით ადვილად ხვდებოდნენ, რომელი რელიგიისა და კონფესიის მიმდევარი იყო იგი. ასე რომ, სახელთა დარქმევა რელიგიური ხასიათისა იყო და ხშირად გარკვეული ქმედებითაც ფორმდებოდა (ქრისტიანს ნათლობისას ენიჭებოდა იმ წმინდანის სახელი, რომლის ხსენების დღეც იყო). ქრისტიანთა რწმენით, ახალშობილს ის წმინდანი მფარველობს, ვისი სახელიც ჰქვია. ზოგიერთი რელიგია კომპრომისული იყო, სახელის შერჩევისას – თავისუფალი. საეკლესიო და არასაეკლესიო სახელებს შორის „ბრძოლა“ ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში მიმდინარეობდა. ადგილობრივი ეთნიკური სახელები მეტსახელების სახით აგრძელებდნენ არსებობას [თოფჩიშვილი, 2010: 17]. ხშირ შემთხვევაში ქრისტიანულ სახელთა ენობრივი სახეცვლილებანი გარკვეულ ენობრივ დატვირთვას იღებდა, რაც ზოგჯერ სავალალო შედეგს გვაძლევს. სამცხე-ჯავახეთში კომუნისტური რეჟიმის დროს არ მოქმედებდა მართლმადიდებლური ეკლესია, სამაგიეროდ, გააქტიურებული იყო სომხურ-გრიგორიანული მსახურება. ქართველები სომეხ მღვდელს ანათვლინებდნენ ახალშობილებს, რომ ქრისტიანები გაეხადათ. სომხური ეკლესია აძლევდა „სომხურ“ ქრისტიანულ სახელებს ქართველებს და შესაბამისი დოკუმენტით აფორმებდა ამ ფაქტს. შედეგი გათვლილი იყო წინასწარ. ნათლობის ფაქტი გატარდებოდა შესაბამის საეკლესიო შურნალში, რის გამოც სამომავლოდ ახალშობილის სახელის გამო ეროვნების პრობლემაც კი დგებოდა, გრიგოლს როდესაც დაარქმევდნენ „ოფიციალურად“ გრიქორს, ბუნებრივია, რომ ეს მხოლოდ რიტუალური ხასიათისა იყო და ნამდვილი სახელი მონათლულს ქართული ჰქონდა. აღმოჩნდებოდა, რომ ქართული სახელი არ იყო ოფიციალური, იგი ან მეორე ან მეტსახელის როლს ასრულებდა.

ა.დლონტის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ანთროპონიმოლოგია უკვე ქრისტიანული ტრადიციის აშკარა უარყოფაა. მართალია, იგი მთლიანად არც წარმართიზმის აღორძინებას მოასწავებს, მაგრამ საკუთარ სახელთა საეკლესიო ნომენკლატურას რომ არ ცნობს, იმთავითვე უდალა. რუსთველის გენიალური ქმნილება საზრდოობს არა ქრისტიანული კალენდრის, არამედ ძველქართული,

ადმოსავლური და დასავლური წარმართული ანთროპონიმიკით [დლონტი, 1967: 12]. სამეცნიერო ლიტერატურაში გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებში არაკანონიკური პიროვნული სახელების სიჭარბის ახსნა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მკაცრი კანონების არარსებობით, რ.თოფჩიშვილს არასწორად მიაჩნია, რადგან ფიქრობს, რომ ნათლობისას ახალშობილთათვის საეკლესიო სახელების დარქმევის მიუხედავად, ხალხი უფრო ხშირად მეტსახელებსა და ტრადიციულ ქართულ სახელებს იყენებდა [თოფჩიშვილი, 2010: 189]. სწორედ **შინაურული სახელების, მშობლების სურვილის გამომხატველი სახელებისა და მეტსახელების არსებობამ ოფიციალური სახელის, ანუ „წიგნის სახელის“ გვერდით განაპირობა მრავალსახელიანობა საქართველოში. ნათლობის სახელის გვერდით მოფერებითი სახელის თანაარსებობა ფაქტია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მკვიდრთათვის.** ს.მაკალათიას დაფიქსირებული აქვს ხევსურეთში მცხოვრები დავით ბაღიაურის რამდენიმე სახელი: მღვდლისა – პეტრე, სულისა – დავითი, რძლისა – ხინჩლა, ხატისა – გიორგი, დედისძმის ცოლისა – ბეწიკუა" [მაკალათია, 1935: 193].

მრავალსახელიანობისაგან უნდა გავარჩიოთ ამ ბოლო წლებში საქართველოში მომრავლებული გოგონათა ისეთი სახელები, როგორცაა: ანა-მარია, ანა-სოფია, მარია-სოფია, ანა-ლუსია, ანა-ლია... გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან: თამარ მეფის მემკვიდრე, საქართველოს მეფე ლაშა-გიორგიც ხომ ორივე სახელით მოიხსენიებოდა ჯერ კიდევ ათეული საუკუნის წინ; სულხან-საბა ორბელიანი საერო და სასულიერო სახელს ერთად ატარებდა. არ შეიძლება არ გაგვახსენდეს „ვეფხისტყაოსნის“ ნესტან-დარეჯანი და ნურადინ-ფრიდონი. ეს ანთროპონიმიკული მოდელებიც, ფორმობრივი თვალსაზრისით, ორსახელიანობის გამომხატველებია, როგორც ცოლად შერწყმული სახელები, მაგრამ ფუნქციური დატვირთვა განსხვავებული აქვთ: ერთიანად მიემართება დენოტატს, თანადროულია, არ განარჩევს ძირითადსა და დამატებით სახელს.

მრავალსახელიანობის ერთ-ერთ მიზეზად გ.ხორნაული ასახელებს სახელთა ტაბუირებას, როცა ძირითადი სახელი იმალებოდა სხვა შერქმეული სახელებით, როცა სახელით ვერ მიმართავდა რძალი დედამთილსა და მამამთილს, ასევე მახლებს, ცოლი – ქმარს და ქმარი – ცოლს, რაც დღესაც ძალაშია მთის კუთხეებში [ხორნაული, 2003: 328]. საკუთარი სახელების ტაბუ გავრცელებულია აფხაზეთში, სამეგრელოსა და ხევსურეთში. აფხაზეთში ქალებს აკრძალული აქვთ მამამთილის სახელის ხსენება. აფხაზი ქალი ისეთ სიტყვასაც არ ხმარობს, რომელიც თუნდაც ერთი მარცვლით ჩამოჰგავს მისი მამამთილის სახელს. ყოველივე ეს ხდება იმის გამო, რომ სახელს მაგიური ძალა მიეწერება. ესაა სურვილი – „დაუმალონ“ პიროვნება მავნე სულს. სახელის დაფარვა („სახელიში ფალუა“) სამეგრელოშიც იყო გავრცელებული. ცოლ-ქმარი ერთმანეთს სახელით არასდროს მიმართავდა. თუშეთში ცოლი ქმარს ასე უხმობს: ეგე კაცო. ამავე რიგისა ჩანს წარმოშობით: იმანო [ჯორბენაძე, 1997: 73]. დაღესტნურ ენებში ცოლი და ქმარი ერთმანეთს ახლა ჩვეულებრივ მიმართავენ საკუთარი სახელებით (მუჰამად! აბაქარ! რამაზან! ფატიმათ! ზაინაბ!...), კუბაჩურსა და ხინალუღურში კი გამოიყენებენ: ქალიშვილო! ვაჟო! [მაჰომეტოვი, 1999: 30]. ვფიქრობთ, ეს წესი დიდი სიძველით არ უნდა გამოირჩეოდეს და გვიანდელი საერთო მოვლენა უნდა იყოს. სამცხე-ჯავახეთში ამ წესს იყენებდნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ სომხებიც, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც აგრძელებს მსგავს ტრადიციას.

მსგავსი ფაქტები დასტურდებოდა წინა საუკუნეში ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებშიც. ინფორმატორთა ცნობით, რძალი ოჯახის უფროსების სახელს არ ახსენებდა; მუღს „ქალოს“ ან „ჩემო მუღოს“ ეძახდა, მაზლს – „ჩემო მაზლოთი“ მიმართავდა. ხანდაზმული ცოლი ქმარს გარდაცვალების შემდეგაც სახელით არ მოიხსენებდა, ჩემი მოხუციო – იტყოდა. ითვლებოდა, რომ ეს მოკრძალებისა და პატივისცემის გამომხატველება იყო.

ხ. გამსახურდიას აზრით, ძველ მსოფლიოში არსებობდა სახელის კულტი, სახელი გამომხატავდა თავად ცხოვრებას ადამიანისას, მის არსს, ზეგავლენას ახდენდა მისი მატარებელი ადამიანის პიროვნებაზე, აქონდა მაგიური ზემოქმედების საშუალება. საკუთარი სახელი განიხილებოდა, როგორც შინაგან ძალთა, ფარულ ენერჯიათა ერთგვარი კონდენსატორი. ყოველივე ამასთან

იყო დაკავშირებული ტაბუირების პრინციპი. ტაბუ იყო პატივისცემა სახელის ძალისა, ამიტომაც არსებობდა გარეგანი სახელი და დაფარული სახელი [გამსახურდია, 1991: 238]. პიროვნების სახელების ტაბუირებას რ. თოფჩიშვილი სახელისა და სულის გაიგივებით ხსნის, რაც დამახასიათებელი იყო ზოგიერთი რწმენა-წარმოდგენისათვის. ნამდვილ სახელს მტრისაგან, ავი სულებისაგან საიდუმლოდ იცავდნენ, რადგან მათი რწმენით, თუ ბოროტი სული ნამდვილ სახელს შეიტყობდა, მფლობელს ზიანს მიაყენებდა. რუსეთში ნათლობის სახელის გასაიდუმლოება XVII საუკუნის ბოლომდე ვრცელდებოდა. თურქმენეთსა და აზერბაიჯანში ადამიანებს ახლაც აქვთ ნამდვილი და ცრუ სახელი [თოფჩიშვილი, 2010: 19]. ბ.ჯორბენაძის დაკვირვებით, ტაბუ თავისებური გამოვლინებაა ე.წ. ფიუსეი-თეორისა, რომლის თანახმადაც საგანს სახელი მისი ბუნების შესაბამისად ჰქვია. ეს კი ნიშნავს, რომ თუ არსებობს სახელი, არსებობს საგანიც. სხვაგვარად სახელი ეკვივალენტია მის მიერ დასახელებული საგნისა [ჯორბენაძე, 1997: 67]. ტაბუირების შემთხვევაში კი, რაკი არ ვახსენებთ სახელს, პიროვნებასაც ვარიდებთ საფრთხეს.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, პიროვნული სახელით (და გვარებითაც) სოციალურ სტატუსსაც მიუთითებენ. აღნიშნულია, რომ პირადი სახელების გარკვეული ნაწილი მაღალ ფენებში იყო გავრცელებული, ნაწილი კი – დაბალ ფენებში. საკუთარი სახელების სოციალურობა, იმაშიც გამოიხატება, რომ სახელი, თითქოსდა განსაზღვრავს ადამიანის ბედს, მომავალს. ქართველ თავად-აზნაურებში საკუთარ სახელად გლახა (გლახუნა) გარკვეულ რწმენასთან იყო დაკავშირებული. ის ერთგვარი დამცავი სახელი იყო შვილის შეუნარჩუნებლობის შემთხვევაში [თოფჩიშვილი, 2010: 13]. ამ მოვლენას მიყვაროთ სახელდების ცრურწმენამდე.

**საკუთარი სახელებით ბოროტ სულთა მოტყუების სურვილი ჩანს ბავშვისათვის სხვა ეროვნების სახელის დარქმევაში, „ურჯულოს“ სახელის დარქმევაში.** ასე შეუჩინეს სახელები მშობლებმა ჯიმშერს (სოფ. იდუმალა) და სერმანს (სოფ. კოთელია). სამცხეში ცნობილი იყო შვილის ე.წ. ყიდვა-გაყიდვის რიტუალიც. ინფორმატორთა ცნობით, ოჯახში, სადაც ბავშვი ვერ ცოცხლობდა, ახალდაბადებულს დროებით მიაბარებდნენ ახლობელს, ან მეზობელს, მერე „გამოსასყიდს“ უბოძებდნენ და ისე მიჰყავდათ საკუთარ კერაზე. ანალოგიური შინაარსისაა სხვის (მეზობლის, ნათესავის...) სახვევებში ჩვილის გამოსხვევა და გაზრდა.

სახელთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი უამრავია. სუსტ, გამხდარ ბავშვს ტაჯიკეთში არქმევდნენ „მრგვალს“ იმ იმედით, რომ სახელი დაეხმარებოდა მოსუქებაში, მოჯანიანებაში; ავადმყოფ ბავშვებს კი უწოდებდნენ, ზედმიწევნით რომ ვთარგმნოთ, „ღიას, თავისუფალს, გაიღე, გათავისუფლდი“, რათა ავადმყოფობისაგან ეხსნათ [Гафуров, 1971: 8]. წარსულში ირანელები დარწმუნებული იყვნენ, რომ სახელს შეეძლო გაეღენა მოეხდინა ავადმყოფობაზე. ამ თქმულებით, საკმარისი იყო შეეცვალათ ავადმყოფისათვის სახელი, რათა ეს უკანასკნელი გამოჯანმრთელდებოდა. ესკიმოსებში მოხუცებულნი როცა იგრძნობდნენ სიკვდილის მოახლოებას, იცვლიდნენ სახელს [Гафуров, 1971: 14]. უდმურტები სახელის შეცვლასთან ერთად ავადმყოფის თმასაც წვავდნენ [თოფჩიშვილი, 2010: 28]. მსოფლიოს ხალხების დიდი უმრავლესობა სახელს ერთგვარ ზებუნებრივ ძალას მიაწერდა. სიტყვის ჯადოსნური ძალის რწმენაზე მიუთითებს საკუთარი სახელები, რომლებშიც კეთილი სურვილი იკითხება. ასეთია სლავიანური სახელები „ვლადისლავი“ და „ვსევოლდი“, მათი ნათლიები იმედოვნებდნენ, რომ ამ სახელის მატარებელნი სახელგანთქმულნი და ღირსეულნი გაიზრდებოდნენ.

ცნობილია, რომ „სხვადასხვა ხალხში ადამიანთა სახელებად ხშირად გამოიყენებოდა ცხველთა, ფრინველთა და მცენარეთა სახელწოდებანი. ქართულში ასეთია, მაგალითად, დათვია, ვეფხია, ლომა, ლომინა, მგელა, ძაღლიკა, ფოცხვერა, ქორია, ჩიტო, ია, ვარდო, ენძელა, ფოთოლა, სოსანა და სხვა. უფრო ხშირად ასეთი სახელები დაცულია მთის კუთხეებში და აქედან მწერლობაშიცაა შემოტანილი. ერთ დროს რომ ასეთი სახელები ფართოდ იყო გავრცელებული, ამას ადასტურებს გვარები: ლომიძე, ლომაშვილი, ლომია, ლომინაძე, ლომინაშვილი, მგელაძე,

გელიაშვილი, გელოვანი, ფოცხვერაშვილი, ხარაძე, ხარაიშვილი, მიმინოშვილი, ქორიძე და სხვანი" [ჭუმბურიძე, 1992: 7]. ეს სახელდებაზე ტოტემიზმის გავლენის მაგალითებია.

საინტერესოა მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმული მოდელების გაცნობა, რომელიც წარმოდგენილი აქვს რ.თოფჩიშვილს. რით ჰგვანან ან განსხვავდებიან ქართული საკუთარი სახელები სხვა ენობრივი საკუთარი სახელებისაგან, ყველაზე მეტ სიახლოვეს რომელთან ამუღანებენ? ყველა ხალხის ანთროპონიმული სისტემა, მეცნიერის აზრით, განპირობებული იყო ენობრივი თავისებურებებით, ეთნოსის გავლელი ისტორიული გზით, სოციალური განვითარების თავისებურებებით, რელიგიით, სხვა მეზობელ ხალხებთან ურთიერთობით. „შეიძლება ხაზგასმით ითქვას, – წერს რ.თოფჩიშვილი, – რომ ისტორიულად მსოფლიოში სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული სისტემები ჩამოყალიბდა“ [თოფჩიშვილი, 2010: 29]. ანთროპონიმული მოდელების კლასიფიკაცია დღემდე სრულყოფილი და სიღრმისეული არაა. თადეუშ მილევსკის შედგენილი ყველა ანთროპონიმული სისტემა, რომელიც შემადგენელი წევრების რაოდენობითაა განსაზღვრული, ზედაპირული ჩანს. ამ კლასიფიკაციით რუსული და გერმანული სამედიცინიკური მოდელები მსგავსია, მაგრამ შინაარსობრივად ძალიან შორსაა, რადგან თუ რუსულ მოდელში (ლევ ნიკოლაევიჩ ტოლსტოი) სახელი, მამის სახელი და გვარსახელი გვაქვს, გერმანულში (იოჰან სებასტიან ბახ) – ორი პიროვნული სახელი და გვარსახელია. რ.თოფჩიშვილი მიმოიხილავს თანამედროვე ანთროპონიმულ მოდელებს, რომლებიც პირობითად ცხრა ზონადაა განაწილებული. ე.წ. ჩრდილოეთის ზონის საკუთარ სახელთა სისტემას ახასიათებს ჩვენში ოფიციალურად დამკვიდრებული და სულ ცოტა ხნის წინ უარყოფილი სამწევრო მოდელი: ერთი პიროვნული სახელი+ მამის სახელი+ გვარსახელი, რომელიც შედარებით გვიან ჩამოყალიბდა რუსეთში (XIX ს.) და სავალდებულო გახდა საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხისათვის. მეცნიერი ადასტურებს, რომ ქართველებისათვის გვარსახელი გაცილებით ძველი მოვლენა იყო (VII ს.), ისევე როგორც მამის სახელი და გვარის განაყოფის ინსტიტუტი. სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მეორე მემკვიდრეობით სახელს, რომელიც თითქმის ანალოგიურია რომაული გვარების დანაყოფისა – კოგნომებისა (რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ოჯახის სახელით მოიხსენიებენ) და ჩინური საოჯახო სახელისა („ში“) [თოფჩიშვილი, 2010: 35].

ამდენად, ადამიანთა საკუთარი სახელების შესწავლა ისტორიაში მოგზაურობას ჰგავს, სახელის შემოქმედთა და ამ სახელის მატარებელთა გვერდით ფუსფუსს; ხვდები – როგორ ცხოვრობდნენ, რა ამოძრავებდათ, რით სუნთქავდნენ, რას ითვალისწინებდნენ, როგორ აზროვნებდნენ.

#### ლიტერატურა:

- გამსახურდია, 1991** - გამსახურდია ზ., სახისმეტყველება ვეფხისტყაოსანში, თბილისი, 1991.
- Гафуров, 1971** \_ Гафуров А., Лев и Кипарис, О восточных именах, Москва, 1971
- ვაჟა-ფშაველა, 1990** – ვაჟა-ფშაველა, პოემები, თბილისი, 1990.
- თოფჩიშვილი, 2010** – თოფჩიშვილი რ., სახელების ეთნოლოგია და ისტორია, მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმული სისტემები, თბილისი, 2010.
- ლეონიძე, 1985** - ლეონიძე გ., კრებული „პოეტის ათასი სტრიქონი“, თბილისი, 1985.
- მაკალათია, 1935** – მაკალათია ს., ხევსურეთი, თბილისი, 1935.
- მაჰომეტოვი, 1999** – მაჰომეტოვი ა., ცოლისა და ქმრის ერთმანეთისადმი მიმართვა ხინალუღურში, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, X, მასალები, თბილისი, 1999.
- მელიქიძე, 1999** – მელიქიძე ნ., პერსონიმი მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში, V რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ახალციხე, 1999.
- ღლონტი, 1967** - ღლონტი ა., ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1967.
- ცხადია, 2005** - ცხადია პ., ონომასტიკის შესავალი, თბილისი, 2005.

- ჭუმბურიძე, 1992** - ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? თბილისი, 1992.  
**ხორნაული, 2003** - ხორნაული გ., ქართული ონომასტიკა, თბილისი, 2003.  
**ხორნაული, 2010** - ხორნაული გ., შვილთათვის დასარქმევი სახელები, თბილისი, 2010.  
**ხუციშვილი, 1998** - ხუციშვილი მ., ძველი აღთქმისეული ნაკადი „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“, თსუ ახალციხის ფილიალის შრომები, I, ახალციხე, 1998.  
**ჯორბენაძე, 1997** - ჯორბენაძე ბ., ენა და კულტურა, თბილისი, 1997.  
**ჯორბენაძე, 1993** - ჯორბენაძე ბ., ონომასტიკური გულანი, თბილისი, 1993.

**Натела Меликидзе**

**Антропонимы  
Резюме**

В статье рассматривается *antroponimebi* как исторически *shepirobebuli* имена, имена, которые являются общими для введения дополнительного *etaria.saubaria* присвоения имен мотивации; Люди, путешествующие на своих собственных именах, которые создаются или не установлены в новом языковом мире, иногда даже настолько трансформируются, что трудно определить их первоначальную форму.

**Natela Melikidze**

**About Anthroponium  
Abstract**

The work deals with *anthroponium* as historically based names, which are a subsequent stage of the establishment of public names. On the journey of people's own names, which are inhabited or unable to be inhabited in a new linguistic world, sometimes they will be transformed to find their original form.

According to epochs, the variability of *anthroponiums* - is due to canonical connotation and alternation of historical names; Common names in the *anthroponium* system of different peoples.

რეცენზენტი: პროფ. გ. გოგოლაშვილი

## დიალექტიზმების ადგილისათვის ოტია იოსელიანის ნოველათა ენაში

რეალისტური მიმართულება განსაზღვრავს მწერლის ენის სისადავესა და ხალხურობას. ოტია იოსელიანს, რომელიც ძირითადად იცავს ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს იმერეთის მეტყველებიდან ამოუკრებიან და გამოუყენებია მრავალი მადლიანი ქართული სიტყვა. მწერალმა თავის ნოველებში უხვად გამოიყენა იმერიზმები პერსონაჟთა ტიპიზაციისა და კოლორიტის შესაქმნელად, და ქართულ მწერლობას ერთხელ კიდევ გააცნო იმერულისათვის დამახასიათებელი გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურებანი.

ოტია იოსელიანი იმ თაობის მწერალია, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე XX საუკუნის 50-60-იან წლებში გამოვიდა და იმთავითვე მკაცრად გააზრებული ენობრივი პოზიცია დაიკავა, რომელსაც თანმიმდევრულად ამკვიდრებს თავის შემოქმედებაში. ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი სიტყვები: "რა არის ერის ფუძეთა ფუძე? საწყისი და სასრული? ცდეთა მშობელი, წარსული, აწმყო და მომავალი, ვინაობა, გვარი, ჯიში თუ ჯილაგი?..

ენაა ერის სული!

რაა ერი, რაა ქვეყანა, ვინაა, თუ არა ენა?

ენა მხოლოდ ენა!

ენა ერს სულივით თან ახლავს და უმისობა კი არა, ხელყოფაც კი სენია, დაავადება და დახეობრება (ერთი წვეთი ნავთი აფუჭებს მთელ ჭურ ღვინოს). მარტო ის კი არაა, რაც ენას შეუქმნია და დღემდე მოუტანია, თუ ყოველდღე არ ვითარდება და არ მდიდრდება, ერი ჩამორჩება და დაკნინდება.

ენას ყოველთვის უნდა სულის ბერვა, ყოველ სიტყვას წვდომა, მისი ჟღერადობის, მუსიკალობის, ჩრდილმა ხომ არ დაჰკრა, სხვა ელფერი ხომ არ შეეპარა, უცხო ვინმე ხომ არ შემოეხიზნა? ერის მარტო ზედმიწევნით ცოდნა კი არა — რწმენა უნდა გქონდეს. ზედ ხატივით ლოცულობდე და ცვილის სანთელს უნთებდე.

ენა ერის სიწმინდეა, წყაროს თვალივით გამჭირვალე უნდა იყოს, კამკამა და არა მღვრიე, თავკომბალეებითა და ლორტაკებით არიალებული.

ენა ლოცვაა. ღმერთებმა, სადაც გაგვაჩინეს, იმ ენაზე გისმენენ. შენი ენა შენი უფლისაცაა" [1].

ოტია იოსელიანის ნოველები იმერული დიალექტით შეზავებული მსუბუქი ქართულითაა დაწერილი. უკარგ სტილს, როგორც ცნობილია, არასოდეს ძალდატანების დაღი არ აზის.

იგი მუდამ ბუნებრივი და თავდაჭერილია. აზროვნება ემოციური და მეტაფორული. მის ენაში შენიშნული ცოცხალი მეტყველების თავისებურებანი ემყარება ძირითადად იმერული დიალექტის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ თავისებურებებს. მათ ავტორი ძირითადად დიალოგებში, პერსონაჟთა მეტყველებაში იყენებს ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად.

სფონეტიკიდან ყურადღებას იპყრობს ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერათა დაკრგვის შემთხვევები.

ოტია იოსელიანი ის შემოქმედია, რომლის თხზულებებიც მდიდარ მასალას იძლევა ენაში დაუნჯებული ლექსიკური ერთეულების წარმოსახენად. დიალექტში შენახული, მწერლის მიერ მოპოვებული და მხატვრული ტექსტის მეშვეობით სალიტერატურო ენაში შემოტანილი სიტყვები, ფაქტობრივად, ენის სარეზერვო ფონდს წარმოადგენს. მწერლის ენაზე მუშაობისას ავირჩიეთ ლექსიკურ ერთეულთა დაჯგუფების შემდეგი პრინციპი:

ა) იმერულისათვის დამახასიათებელი ის სიტყვები, რომლებიც იმავე ან განსხვავებული მნიშვნელობით სხვა დიალექტშიც გვხვდება და საკუთრივ იმერიზმები, რომლებიც მწერლის ენისათვის მეტად დამახასიათებელია (მაგალითად, ილღიტება, იქაქება, იქინდრება, იხუნტრუცებს, იძლინკებოდა, იჯღვარკება, ლაბზიანი, ლეჭო, კოხრო, კულუმბური და ა.შ.).

ბ) სიტყვები, რომლებიც არ დასტურდება დღემდე არსებულ ლექსიკონებში (ყეჟერა, ქვეჯაშნიკა, დეიდღინკება, გოჩანთია, დორდუმლარიანი).

გ)

**1. სიტყვები, რომლებიც ძირითადად იმერულისთვისაა დამახასიათებელი**, მაგრამ იმავე მნიშვნელობით სხვა დიალექტებშიც გვხვდება: აქედან ნაწილი ლექსიკონებში შესულია:

**აკვინტრიშება** (გურ.) აოხრება, აკლება [ალ. ღლონტი, 27]: "ისე აკვინტრიშდა, ვეღარ მოახერხეს მისი გაჩერება" (იოსელიანი, ნოველები, "დრუბლიან ღამეს", გვ. 226).

**ბარჩხალი** (გურ.) მარჯვე, ყოჩაღი [ალ. ღლონტი, 60]: "მართალია ბარჩხალა მზეა" (სახედარი - ჩემი სიხარული, 160, 33)

**ბურჭალი** (იმერ.) ცელქობა, თავის შექცევა ბავშვთა (ი. ჭყონ.); [ალ. ღლონტი, 95]: "მაგრამ გუმანობდა, ჩვენ პატარები ვიყავით, ის დიდი და ქალები და კაცები ბაღნებში არ უნდა ბურჭალობდნენ" (ივანეს მარიე - მზეთუნახავი, 149);

"ბაღნები აქ, როგორც ახლა, ასე ბურჭალობდნენ" (დიდი ფარნა, 483)

**დაძნეყევა** (იმერ.) – მიწაზე ცუდად დაცემა. "ჩაფეკი კი არა, დაფეყევა, რაკი ტვირთის მიწაზე დაყრის ნება არ მქონდა – დასკებოდა" (ნესვი და საზამთრო, 99)

**იქაქება** – ცეცხლს ეფიცება [ლ. უკლება, 60]: "დიდხანს იქაქებოდა ცეცხლთან (ო. იოსელიანი, ნოველები, "ქვრივის ცრემლები", გვ. 100).

**კორტოხი** – გორაკი, ბექი, მაღლობი [ქეგელ, IV, 146]: "სულმთუთქმელად ამოირბინა კორტოხი და სერზე შედგა (ო. იოსელიანი, ნოველები, "დრუბლიან ღამეს", გვ. 227).

**ლაბზიანი** – დიდტუჩიანი [ალ. ღლონტი, 340]: "ერთი ლაბზიანი ბავშვი ჰყავდა და იმით ამაყობდა (ო. იოსელიანი, ნოველები, "თბილი რძე", გვ. 464).

**გვანგვალი** (ლენხ.) გვანგვალი [ალ. ღლონტი, 282]: "მაღე ირინეც მოკვანგვალდა (ო. იოსელიანი, ნოველები, "ქვრივის ცრემლები", გვ. 100).

**ნუგუზალი**//**მუგუზალი** (იმერ.) – ნაკვერცხალი [ალ. ღლონტი, 424]: "მოდო, თუ კაცი ხარ, მოდი, ნიგუზარი წვილო ბოვშმა ცეცხლის დასანთებათ" (ანგელოზი, 147, 25).

**ბლაყუნი** (ზ.იმერ.) – ბლაყუნი, ჯლაყუნი, უშნოდ სიარული [ალ. ღლონტი, 688]: "და იქვე ჩხილაზე ხელჩაკიდებული ლუკაია მოძლაყუნობს" (ქვრივის ცრემლები, 102, 33).

**2. სიტყვები, რომლებიც არ დასტურდება არსებულ ლექსიკონებში:**

**გამოგვარგვალება** (იმერ.) მსუქანი ადამიანის გამოგორება: "გამოგვარგვალდა ბაცია ბებია კონდრიან ეზოში, შელანძღულ ხის ჭიშკარს მიმდგარი რომ დამინახა" (ნესვი და საზამთრო, 96).

**გატიღვეული** (იმერ.) ისეთი წიწილო, ან უკვე მოხრდილი ქათამი, რომელსაც ბუნდლა არა აქვს: "ნაცარა რომ წამოიჩინა და ერთხანს სხვებივით **გატიღვეული** დადიოდა (მატარებელი და შავი მდინარე, 83).

**გოჩანთია** – იტყვიან ისეთ ადამიანზე, რომელიც ვერ ძღება: თავის გოჩანთიობით სული ამოხადა ისიდორეს (ო. იოსელიანი, ნოველები, გვ. 327).

**დაჩინჩხვარება** (იმერ.) – დაცალკაცება: "სოლომონმა ნაპობი შეშის მუგუზალი ორივე ხელით **დაჩინჩხვარა**" (ზამთარი, 266);

"ლაჯექი, ლაჯექი! - დესმამ მუგუზლები **დაჩინჩხვარა** და შეუბერა, რომ წყალი ჩქარა გამთბარიყო (ჯარისკაცი დაბრუნდა, 405)

დამარწკვალება - იტყვიან კარგად მოვლილ, დახნულ-დათესილ-დამარგულ ეზოზე: "მამიდაჩემო, გუბისწყლიდან რომ მოხვალ ამ შაბათ-კვირას და დახნული, დათესილი და **დამარწკვალებული** დაგხვდება ეზო-გარემო"... (ჩემი მიწა, 181).

**თეთრფერვანი** (იმერ.) – თეთრი პირისახის ადამიანზე: "შავგვრემანი ქალისა და კაცისასა, **თეთრფერვანი** ქალისა და კაცისასა, წითური კაცისა და ქალისასა..." (ჩემი ძუძუმტეები, 136).

**ყეყერა** – გამხმარი ღერი: "ყეყერებით ამოვესო საქონლისათვის ბოვა" (ო. იოსელიანი, ნოველები, "ქერივის ცრემლები", გვ. 227).

**ქვიჯაშკინა** – იტყვიან შეუხედავ, ძალიან დაბალ ადამიანზე: "უცებ ძაბორძიკდა **ქვიჯაშკინა** ქეთო" (ო. იოსელიანი, ნოველები, გვ. 122).

**ქვიჯანა** – იტყვიან დაბალ და მსუქან ადამიანზე "ტყის პირას, რომელიმე ბუჩქის ძირიდან გამოძვრებოდა **ქვიჯანა**, თმაგაბურძენული, პირდაუბანელი გოგო" (ო. იოსელიანი, ნოველები, "ლახტი, გვ. 242)

**წებია** (იმერ.) – ტყალახი, რომელიც ძალიან ეწებება ფეხსაცმელს: "ჩვენთან, საოცრად **წებო** და მთელ ქვეყანაზე ღრმა ტალახი იცოდა" (დედა, 52);

"აქაური **წებო** ტალახი რომ დამედება, მხარზე მთები მკიდია" (ნესვი და საზამთრო, 105).

წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალაც საკმარისია დასკვნისათვის, რამდენად თვითმყოფადია ო. იოსელიანის ენა.

დიალექტთა წარმოქმნისა და განვითარების პროცესში ფონეტიკური მოვლენები ყველაზე უფრო ადრე იჩენს თავს. ამავე დროს ძალიან დიდხანს ძლებენ და ერთგვარ წინააღმდეგობასაც ავლენენ ენის ნორმალიზაციის ტენდენციებისადმი.

#### ასიმილაცია

ო. იოსელიანის ნაწარმოებებში ძირითადად ხმოვანთა რეგრესული მიმართულების, ნაწილობრივი ასიმილაცია გვხვდება, რომელსაც უმლაუტი, ანუ მეტაფონია ეწოდება:

ა) "რავა გეკადრებთ! ჩვენი ქორწილი ვინ **გეიგონა**" (გვ. 565).

ბ) "მოგეწონება, მარა ხეირიანად კი ვერ **გეიგნებ!**" (გვ. 566).

გ) "რავა სულ **დეივიწყე** საწყალი მამაშენი" (გვ. 575).

დ. " შე კაცო, ჭიქა წყალი არ **დოულევიათ** (გვ. 583).

პირველ სამ მაგალითში ასიმილატორია **ი**, ხოლო ასიმილირებულია **ო** და **ა**.

პროგრესული ასიმილაციის საკმაო მაგალითები მოიპოვება ოტია იოსელიანის ნოველებში: "არიქა, ბებია, **ხპო** არ ყავდეს სადმე ტყეში მოგებული" (ძალისხმევა, გვ. 111).

იმერულ დიალექტში პროგრესული ასიმილაციის შედეგად და **ცა** ნაწილაკზე **ა**-ს მოკვეცივით გამოიყენება სიტყვები ვინცხა, რაცხა (ქ.ძაწუნიძე, 1973, გვ. 24). ვინცალა → ვინცლა ვინცხა: ასე ხსნის კ. კუბლაშვილი ამ სიტყვას "ქართული ენის ქვემოიმერულ დიალექტში" და აღნიშნავს "რამდენიმე ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული ვინცხა, რაცხა, საცხა ერთნაირადაა გავრცელებული ქვემოიმერულსა და ლენხუმურში (გვ. 423), რაც საკმაოდ დასტურდება ო. იოსელიანის ნოველების პერსონაჟთა მეტყველებაში:

1. - არ ვიცი მე... **ვინცხა**, ახალი გამოჩეკილი აგრონომი მოვიდა... (აკაციის ყვავილობა, 131, 13)

- 2. წაიყვანს, ვინცხა თავქარიანმა ძმამ მოაკიდებინა ცალი ხელი, ალბათ, საჭეზე (აკაციის ყვავილობა, 133, 36)
  - 3. - რა ჯანდაბამ მოგიყვანა, ვინცხა ხარ! (მეწისქვილის ქალიშვილი, 175, 30)
  - 4. მოიცა, იო, გაჩერდი, ბუღუია, უკან დეიწი, შარვანდი, უთხარი შენ ძმას რაცხა (სახედარი - ჩემი სიხარული, 161, 32)
  - 5. - რაცხას მაინც რაფა ვერ იშოვი!..(აკაციის ყვავილობა, 125, 31)
  - 6. - სანამდე რაცხას... გადმოუტანე ნესვი და საზამთრო (ნესვი და საზამთრო, 96, 31)
  - 7. გზაში გადვიხედა და რაცხასაა მიჩერებული... (ანგელოზი, 146, 23)
  - 8. კი არ მიდის, თოვლზე რაცხეის ნაკვალავს მიყობა (ანგელოზი, 146, 14)
  - 9. ძნელია საცხა სართულებში გაკვეთებული ცხოვრება (ზამთარი, 269, 23)
- მწერლის ენაში ხშირად გვხვდება ზმნისწინთა ასიმილაციის შემთხვევები:
- და დე: - დეიქცა, ნინა! Cდემხო ნინა! დეიდუპააა! (დედა გათხოვდა, გვ. 198).
  - ბ) - არიქა, ბებია, ხპო არ ყავდეს სადმე ტყეში მოგებული, არ დევიდუპოთ, მგელმა არ შეგვიჭამოს! ("ძალისხმევა, გვ. 111).
  - გ) მოიცა, იო, გაჩერდი, ბუღუია, უკან დეიწი, შარვანდი, უთხარი შენ ძმას რაცხა (სახედარი - ჩემი სიხარული, გვ. 161).
  - დ) არა, ცხენი მინდორშია, აქეთ რო მოდიოდი, ხო დეინახე? ("ჩემი ცხენი", ტგვ. 123).
  - და დო: ა) და დო -ხევიდან დოუფლი თავს! - გვამცნო იორამმა (სახედარი - ჩემი სიხარული, გვ. 161).
  - გა გე: - აუჰ, რა გეიგონა ეს ჩემმა ყურებმა! - შემოირტყა ცალ-ცალი ხელი ღოყაში ორივე ნინამ ("დედა გათხოვდა", გვ. 199).
  - წა წე: ა)სად წევიდე ამ ფსკერგავარდნილი წულებით, თოვლით მიწაა წაფარული, მეტი კი არა (ანგელოზი, გვ. 146).
  - ბ) მოდი, თუ კაცი ხარ, მოდი ნიგუზარი წეილო ბოვშმა ცეცხლის დასანთებად (ანგელოზი, გვ. 147).
  - ჩამო ჩამე: "კილო ჩამევიდეს და გაგვიტყდოს თუ რა გვიყოს?" ( "ჩაჩნის კვესი, გვ. 213)
  - გადა გადე: ა) გადა გადე გზაში გადვიხედა და რაცხასაა მიჩერებული (ანგელოზი, გვ. 146).
  - ბ) - მაქიდან რო გადვიდეს, გზაში მუხლამდე ტალახში ჩავარდება (ანგელოზი, გვ. 146).
  - გ)- რკინიგზაზე იარ, გადავირიე, ბებია? (ნესვი და საზამთრო, გვ. 94)
  - გა გო: ა) მამამისი შეარცხინა ღმერთმა, ერთი ჯირკი ვერ გოუხერხებია ძრავლათ (ანგელოზი, გვ. 147).
  - ბ)რატო გოუშვი ამ ქარ-ყინვაში! - ბოდმა ყელში მაწევა (ძალისხმევა, გვ. 111).
  - მო მე: - მეიცა ბებია, ასე მარტო მართლა, რაფერ წახვალ? (ნესვი და საზამთრო, 234)
  - ხ)იმე!.. ჭიშკრიდან მევიდა და იმ სამეზობლო კუტი კართ ვისას მიდის... (ანგელოზი, 146, 12)
- კანტი-კუნტად შეგვხვდა სრული ასიმილაციის შემთხვევებიც:
- ა) "შარშანწინ თოვლობაზე ურემი გადოუბრუნდა და ბარძაყზე დეეცა".
  - ბ) -რო იცის, რა ბრილიანტები დეეპნა, წადი, კითხე რა ფხარი ეცვალა? (ანგელოზი, 146, 18)
- თანხმოვანთა ასიმილაციის პროცესი ზოგჯერ რეალიზდება ლიტერატურულ წარმოქმნაშიც. მაშინ, როცა ხმოვნებში გავრცელებული ბგერათცვლილების ეს სახე თითქმის ყოველთვის დიალექტური მოვლენაა.
- ქვემოთმერულში ასიმილაციური გაყრუება ბევრად ჭარბობს ასიმილაციურ გამჟღერებას:
    - ა) "ხარი კოლექტივმა გაწყვიტა, ჩააბარა სახორცეთ და გლეხს რაღათ უნდა" (გვ. 567).
    - ბ) "თელათ გამოვედი ნამუსიდან" (გვ. 567).
    - გ) "ვიგუნებე ხომ არავინ გვესტუმრა-თქვა და ისე აგიხთინოთ ღმერთმა ყოველი კაი და კაი".
    - დ) - შენ ამ თოვლში, რასაა რო ემეფ? (ანგელოზი, გვ. 146).

განვითარების ყველა ეტაპზე ქართულში ძლიერ მოქმედია ასიმილაციური გაყრების კანონი, ხოლო სუსტია ასიმილაციური გამჟღერების ტენდენცია.

ო. იოსელიანის ენაში ასიმილაციური გამჟღერების ნიმუშები ვერ დავადასტურეთ.

**დისიმილაცია.** ო. იოსელიანის ნაწერებში ვერც ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები დავადასტურეთ, ხოლო თანხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევები საკმაოდ აღირიცხება. სიტყვა **როგორი** იმერულ დიალექტში გვეძლევა იმ ფორმის დისიმილაციით, საიდანაცაა ის არის მიღებული: **რაგვარი**, ჯერ დაიკარგა **გ** თანხმოვანი და მივიღეთ **რავარი**, ამის შემდეგ მოხდა დისიმილაცია სიტყვაში, ორმა **რ**-მ ერთად ვერ გაძლო და ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, მეორე ადგილზე მყოფი **რ** გადაიქცა **ლ**-დ. შედეგად მივიღეთ **რავალი**. ბოლოს მარცვალის დიალექტში დაიკარგა და დაგვრჩა **რავა**: რავარი რავარი რავალი რავა. მწერალიც ამ სიტყვებს ხშირად იყენებს:

- ა) ღმერთო, სული ამომხადე, **რავალი** ჩაგალტუკებულს ხალხი შეწუხდა"
- ბ) უი, **რავალი** კაი ხალხი ყოფილა (გვ. 505).
- გ) მოსძულდა თავი და **რავარი** მუშტარიც შეხვდა, იქაურობა ისე მიაყიდა (დიდი ფარნა, 483, 1)
- დ) **რავა** არ გამიხმა ენის კლიტე, არ ჩამივარდა პირში ალის ქარი!" (გვ. 569).
- ე) - რატომაც არა, რატომაც არა... **რავა**...(ზამთარი, 273, 11)
- ვ) - **რავა** ტყუილა დაათრეე მაგისისო თავს! (ხაფანგი, 292, 2)
- ზ) - ამ შუადღისას რომ შუა გზას დადგომიხარ, **რავა** გეგონია - 8 ჭინკები...(ხაფანგი, 296, 3)
- თ) - იმე, **რავა** უცხოსავით მელაპარაკები!(ხაფანგი, 299, 3)
- ი) - მარა **რავა** შევაწუხებ (ხაფანგი, 299, 6)
- კ) - **რავა** გაიგე რამე თუ? წერილი ხომ არაა, ან დეპეშა? (ხაფანგი, 299, 12)

სალიტერატურო ენამ არ იცის რთულ სახელებში დისიმილაციის შემთხვევები, იმერულ დიალექტში კი ფართოდაა გავრცელებული, რასაც ო. იოსელიანი პერსონაჟთა მეტყველებაში ხშირად გამოიყენებს:

- 1. კი მარა, ამნერი უცნოური რო **არაფელი** იცოდა (ანგელოზი, გვ. 146).
- 2. აქანე დღეში ასჯერ გევიარ და **არაფელი** არ მინახავს (ანგელოზი, გვ. 146).
- 3. მაგის ჩასაცემელი კი არა კლასში რო დადიენ, იმგენიზა **არაფელი** აქვენ (ანგელოზი, გვ. 147).

ო. იოსელიანის ნოველებში ვერც ხმოვანთა სუბსტიტუციის შემთხვევები ვნახეთ, თუმცა თანხმოვანთა ჩანაცვლების ანუ სუბსტიტუციის შემთხვევები მრავლად შეგვხვდა:

- ა) **კარქი**, ღმერთმა ჩემს მოკეთეს მისცეს (გვ. 582).
- ბ) რა **კარქი** ხარ, მარია, რა **კარქი**!... (ო. იოსელიანი, ნოველები, "ივანეს მარიე – მხეთუნახავი", გვ. 155).
- გ) ვინაა, ბებია, იმ ლაფაროში რომ წაკუნძულა, რა **დაკარქა** და რას ეძებს? (ანგელოზი, გვ. 145).
- დ) -**აპა**, ვიქონიოთ იმედი?(მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 41, 29)
- ე) -**აპა**, მივდივარ და მიმაქ სიტყვა... (მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 41, 32)
- ვ) -**აპა**, წავიდე სიტყვა და წავედი...(მამაჩემი, ანუ ვისი გორისანი ვართ, 42, 3)
- ზ) -**აპა**, რაა, რომ მკლავს და მსპობს(დედა, 52, 4 )

**ბგერათრედუქცია:**

- ა) "ხბობაზე ყიდიან **საწვადეთ**, ბატონო ნამეტანი აქებენ ხბოის **წვადს** (გვ. 506) (გაუჩინარებულია ბგერა **მ**).
- ბ) ბოვშმა რა ქნას ბატონო, ფეხებში გვედება და აღარც **სტავლაა** მისთვის (გვ.564). ხშირად შევსვდით **მ** ბგერის დაკარგვის შემთხვევებს:
- 1. **რო** ექნეს რაიმე (ჯარისკაცი დაბრუნდა, გვ. 387, 21)
- 2. რა ვუყოთ მერე, **რო** უყვარს, სიყვარული რაა, დვლეჭია? (ლევანამ გვ. 48)

- 3. მარა, ისე მაინც **რო** ეცდებოდე, იქნებ გამონახო ჩემში ისეთი (ხელმოცარული, გვ. 79)
- 4. არ გჯერა, **რო** ძილის დროა, მოქნარებით კი ყბები ამოგცვინდა (კინოში, გვ. 220)
- 5. ბუჭულიამ **რო** ჩამიგდო, შენ რო უყურებდი, **რატო** არ თქვი (ლახტი, გვ.244)
- 6. –რა იყო, ფაცია, ხომ არავის გაუბედია შენთვის რამე, **ხო** იცი ჩემი ამბავი (ლახტი, გვ.242)
- 7. მე **ხო** არ ჩავიგდებდი ჩემით კალიას! (ლახტი, გვ. 244)
- 8. – კაი იქნება, **ხო** იცი, შენ ! (ჩემი "ვეფხისტყაოსანი", გვ. 75).

აქ წარმოგიდგენთ იმ იმერიზმების მაგალითებს, რომლებიც მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება და მწერლის მონათხრობში მათი ადგილი არ არის, რაც ვფიქრობთ ერთგვარი სარკაზმია:

კი მარა, **ამნერი** უცნოური რო არაფელი იცოდა... (ანგელოზი, 146)

აპა, **აქანე** რამ იარა? (ანგელოზი, 147)

მაგის ჩასაცმელი კი არა, კლასში რო დადიენ, იმგენიზა არაფელი **აქვენ** (ანგელოზი, 147)

ფეხშიშველია ფუცუიე, აპა, მაგის ჩასაცმელი კი არა, კლასში რო დადიენ, იმგენიზა არაფელი **აქვენ** (ანგელოზი, 147)

გზაში, იგიც **ბაღანას**, რაფა გიკბენდა!(ჩემი ცხენი, 124)

– დაღალულია **ბაღანე**... აწი რა მოგვკლავს, ლადიკო, რაღაი ამას მოვესწარით, მარტო მევიდა... (ნესვი და საზამთრო, 97)

**ბაღნები** აქ, როგორც ახლა, ასე ბურჭალობდნენ (დიდი ფარნა,483)

- ვაშლი, ვაშლს მოგცემ, ვაშლს და **ბიას** (ბოშას კოცნა, 461)

მერე მომაგონდა: მე ხომ ვაშლს, **ბიას**, ყურძენს და მოელ ქვეყანას დავპირდი (ბოშას კოცნა,462)

მოდო, თუ კაცი ხარ, მოდი, ნიგუზარი წვილო **ბოფშმა** ცეცხლის დასანთებათ (ანგელოზი, 147)

შენ, ქალო, ნუ იცი **ბოფშის** გამართლება,- ახლა ცოლზე გადაიტანა მზერა(ღევანა,48)

**ბოფშები** დაანგრევენ, ხვალ ისევ ეფოფინება მინებს და კარებს (დიდი ფარნა,483)

- აჰ, **ბოშო!**.. — ხელებს აფენს ნინა ბებია, ავსა და ბოროტს, ჭირსა და სნებას არ იკარებს (დედა გათხოვდა, 198)

– აჰ, **ბოშო**, ყოლიფერი კაი, ყოლიფერი ბედნიერი... (დედა გათხოვდა, 199)

–აჰ, **ბოშო**, კაი ამბავია, ხომ? —იკითხა მეორე ნინამაც (დედა გათხოვდა, 199)

სისხლი გამოიწოვე და პერანგის ჩამონახევით, თუ უპერანგო იყავი — **ბჟოლის** შხვერთით ან აკაციის თეთრი ლაფანით შეიხვიე (ანგელოზი, 143)

იქ ხეა **გადლობილი** წყალზე (ნესვი და საზამთრო, 95)

–დედამისი... ცუცა, უბედური... ცუცა ხანდამწვარი და ბედდათუთქული... **გა-თხო-ულა!**.. — ამომითქმა ბოლოს და ბოლოს (დედა გათხოვდა, 199)

– რა ქნა, არ **გამოჩთა**, ხომ? —წუხს ბებია მიბუჭტულ კერიასთან მიკუნცხული, დაზაფრულს შეშის დამატებაც არ გახსენებია (ძალისხმევა, 111)

– რკინიგზაზე რაფა ვიარ, კიდე-კიდე **გაყოლი**, მარა გზა არ შემეშლება (ნესვი და საზამთრო,94)

აქიდან ბერბოგირის ზეით რკინიგზა რო ჩანს, **გაყოლი**, **გაყოლი** და იქით კიდო ნაკეთები გზა რო გადაჭრის, იმას **გაყოლი** (ნესვი და საზამთრო, 94)

მაქანე დღეში ასჯერ **გევიარ** და არაფელი მინახავს (ანგელოზი, 146)

-ბატონო ჭიჭიკო, მაქანე დღეში ასჯერ **გევიარ** და არაფელი მინახავს (ანგელოზი, 146)

ფეხშიშველია ფუცუიე, აპა, მაგის ჩასაცმელი კი არა, კლასში რო **დადიენ**, იმგენიზა არაფელი **აქვენ** (ანგელოზი, 147)

-რო იცის, რა ბრილიანტები **ღვეპნა**, წადი, კითხე რა ფხარი ეცვალა? (ანგელოზი, 146)

ეს კარგის ნიშანია, „**დიღუ**, ეს რა თქვიო!“ – რომ არ შემომწერა და ჩემს სიპატარავეს და „დასფხრეკილობას“ „გაუჯავრდა“, თორემ ამისთანა საქმეს რა აჯობებდაო (ნესვი და საზამთრო,94)

ვინ, ვინ ქნა **ეგი**... რატო, რატო ქნა!.. (ჩემი წმიდა გიორგის ხატი,109)

აქიდან ბერბოგირის **ზეით** რკინიგზა რო ჩანს, **გაყოლი**, **გაყოლი** (ნესვი და საზამთრო, 94)

**თვარა**, ეს მართლა ბუხარი კი არაა და წვრილი ფიჩხი — ნაპობი შეშა, რომ ენთოს და იღუზღუზოს (ფაცუნე და ჟულიეტე, 142)

ტყეში უნდა შევიდე და მგლის თვალეები თუ გამინათებს, **თვარა**, ხელის ცეცებით უნდა ვიარო (ძალისხმევა, 113)

მაგრამ მისმა დიმილმა და უარმა ისე გამადატაკა, სად მქონდა სული, **თვარა** კი! - (ბოშას კოცნა, 460)

ფეხშიშველია ფუცუიე აპა, მაგის ჩასაცმელი კი არა, კლასში რო დადიენ, **იმგენიზა** არაფელი აქვენ (ანგელოზი, 147)

მაგის ჩასაცმელი კი არა, კლასში რო დადიენ, **იმგენიზა** არაფელი აქვენ (ანგელოზი, 147)

ისევე ხელებს ასავსავენ, ავს არ იბედებს, უნდა შენც გაშოროს... — აჰ, ხო ყოლიფერი **კაი**...(დედა გათხოვდა, 198)

— აჰ, ბოშო, ყოლიფერი **კაი**, ყოლიფერი ბედნიერი... (დედა გათხოვდა, 199)

სანამ ფურნე გახურდებოდა (ფურნე თონე არაა) და პური გამოცხვებოდა, **კაი** ძალი დრო უნდოდა (ნადარცვი პალტო, 201)

**კილო** ჩამევიდეს და გაგვიჭედოს თუ რა გეიყოს? (ჩაჩნის კვესი, 213)

ე, მობრუნდა და მოდის... მარა **კილო** ეძებს... (ანგელოზი, 146)

მერე მამიდას ვახლდი! და მერე, **კილო**, ბაცია ბებიას არ წავყვივი?.. (ნესვი და საზამთრო, 94)

ლურჯი ნარმის ჩანთით ერთი კალთა ბანოჯული და **კინწა** მსხალი მიმაქვს ძღვნად ბაცია ბებიასთან და ლადიკო ბაბუასთან (ნესვი და საზამთრო, 95)

- **მაინძელი!**(ჯარისკაცი დაბრუნდა, 395)

**მაინძელი!** - არ ცხრებოდა უდროს დროს მოსული (ჯარისკაცი დაბრუნდა, 396)

**მაინძლებმა** ერთმანეთს გადავხედეთ, მხრები ავიწურეთ და რა გვექნა, ჩამოვართვი (ჩაჩნის კვესი, 212,)

- **მარა** ვინ იცის... - ისევ მოსწია და უცებ გადაჭრით იუარა: - არ ვიცი, არა!..(ჯარისკაცი დაბრუნდა, 346)

- არა, **მარა** იყოს (ჯარისკაცი დაბრუნდა, 359)

- უსხია?.. **მარა** ხომ იცი, ხშირად უნდა რეცხვა, რძეს აჭრის (ჯარისკაცი დაბრუნდა, 360)

- **მასთე** ჯობია (ნესვი და საზამთრო, 95)

- ჰოდა, **მასთე** ვიზამ!.. (ნესვი და საზამთრო, 95)

-ბატონო ჭიჭიკო, **მაქანე** დღეში ასჯერ გევიარ და არაფელი მინახავს (ანგელოზი, 146)

**მაქანე** დღეში ასჯერ გევიარ და არაფელი მინახავს (ანგელოზი, 146)

- მაგი ჰქენი **მაქანე**, მაგი, მეჩქარება! (აკაციის ყვავილობა, 127)

კი არ მიდის, თოვლზე რაცხეის ნაკვალეებს **მიყოლა** (ანგელოზი, 146)

ნაცარას ვარიობაც არ ეთქმის, **მოწოთია** დასაკლავად გაუმეტებელი (მატარებელი და შავი მდინარე, 8)

ვერ **ოუვარ** გვერდს? (ნესვი და საზამთრო, 95)

დოუნტროვიათ იქაურობა, **ოულიათ** ციხე და ტარიელს კოცნის...( ჩემი „ვეფხისტყაოსანი“, 80)

**პეტერე** გოუძელი, მაშთევე გავიარს... (დედულეთი 61)

და უნდა მოვინდომო, როგორმე, **რამეფრად**, რამენაირად რკინიგზამდე მივალწიო, იქიდან ქვევით დაუყვები (ნესვი და საზამთრო, 100)

მოვიწვევ, ვეჭახები, ვაწვები აქეთ, როგორმე, **რამეფრად** ფეხი არ ჩამაცდენინონ (ნესვი და საზამთრო, 104)

მაგრამ **რამეფრად** თესლი, ბებიას ნამზითევი გატეხილი თუნგიდან ხნულში უნდა ჩამეყარა (ჩემი მიწა, 186)

და უნდა მოვინდომო, როგორმე, **რამეფრად**, რამენაირად რკინიგზამდე მივალწიო, იქიდან ქვევით დაუყვები (ნესვი და საზამთრო, 100 )

ან ისიც რაა, რომ ეს, საკერებელდადებული, თალხკაბიანი, ფეხშიშველა გოგოები **რაფერ** ახერხებენ, რომ მინდორი აახასხასეს და მინდორის სამყურა ყვაილები გააცინეს?! (ფაცუნე და ჟულიეტე,142)

რას ამბობ?! **რაფერ** შეგაჯდები. შენი პატრონის ბიჭებიც ვეღარ... (ჩემი ცხენი, 126)

- სანამდე **რაცხას...** გადმოუტანე ნესვი და საზამთრო (ნესვი და საზამთრო, 96)

კი არ მიდის, თოვლზე **რაცხის** ნაკვალავს მიყოლა (ანგელოზი, 146)

**რეიზა** ვართ ასე უთაურები... (ჩაჩნის კვესი, 213)

კი მარა, ამნეირი **უცნოური** რო არაფელი იცოდა... (ანგელოზი, 146)

-რო იცის, რა ბრილიანტები დეეპნა, წადი, კითხე რა **ფხარი** ეცვალა? (ანგელოზი, 146)

—ისე, შენც **ქე** გარგებდა...— არ დაეწვიტე გული შოთა ბენიძეს, - ჟორა კუხალაშიელს კი სრული ექნება (ნაძარცვი პალტო, 204)

- დამიყარე, **ქე** იქნება აწი ერთი გაწყოლა! (ზამთარი, 268)

და სათუთუნეს ცერის ყვითელი ფრჩხილი დაუკაკუნა, - არც **ქე** იქნება მტყუანი...(ჯარისკაცი დაბრუნდა, 348)

ისევ ხელებს ასავსავებს, ავს არ იბედებს, უნდა შენც გაშოროს... — აჰ, ხო **ყოლიფერი** კაი...(დედა გათხოვდა, 198)

— აჰ, ბოშო, **ყოლიფერი** კაი, **ყოლიფერი** ბედნიერი... (დედა გათხოვდა, 199)

მინდოდა მეყვირა: რას **შობი**, არ დაგვლუპო-თქო! (სახედარი - ჩემი სიხარული, 164)

ჰე, სადაა კაცი პატრონი და რატომაა, რომ აქეთ პირს არ **შობით!**(ფაცუნე და ჟულიეტე,142)

**ბაან** იცი შენ!(სახედარი - ჩემი სიხარული, 161)

- ნეტაი რააა, ი **ძღაბი** და ი ბიჭი?.. (ნესვი და საზამთრო, 94)

-**წვევ** თვითონ წამომყვა (ჩემი მიწა, 182)

იოსელიანის ნოველების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მწერლის ენაში შეიმჩნევა ის ფონეტიკური თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია იმერული სათვის.

მწერლის ენის საკითხი ამოუწყავია. ო. იოსელიანის ნოველებიც ამის უზღვავე შესაძლებლობას იძლევა. სათქმელი უნდა ითქვას, ოტია იოსელიანი მე-20 საუკუნის ქართული მხატვრული სიტყვის კლასიკოსია, თავისი მრავალფეროვანი, მკითხველზე ორიენტირებული თხზულებებით არა მარტო გაამდიდრა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა, იმერეთიდან დანახული სიცოცხლის ხალისი გადადო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მაშინდელი დედამიწის მეექვსედს, ევროპის თეატრის სცენებს, კინოხელოვნებას და ამდენად, უკვდავებაც მოიპოვა.

#### ლიტერატურა:

1. ჯო. იოსელიანი, ენა ერის სული, ლიტერატურული საქართველო, 1999, 16-23 აპრილი.
2. ო. იოსელიანი, ნოველები, თბ., გამ-ა "მერანი, 1974
3. მ . მიქაძე, დიალექტიზმები
4. ლ. უკლება, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, გამ-ა "უნივერსალი", თბ., 2010
5. ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა თბ, გამ-ა "განათლება", 1984.
6. ძოწენიძე ქ. (1974): ზემოიმერული ლექსიკონი, „განათლება“, თბ.

**Manana Mikadze****Imerizms in the Writer's Language (Otia Ioseliani)**

Abstract

Imeretian is the widely used dialect of Georgian language (together with Kartlian).

Imeretian has determined the main tendencies of development of Georgian literary language.

The writers from the west Georgian region of Imerety widely use wealthy treasure of Imeretian dialect.

Otia Ioseliani is one of the most impressive representatives of writers from Imereti region. He establishes his reputation as a short-story writer, novelist, poet, dramatist.

The influence of dialecticisms left profound impression on the works of O.Ioseliani .

There is double meaning of dialecticisms: they create ethnic colour n and show fine psychological studies of the life of Georgian province.

All of Otia Ioseliani 's works demonstrate the writer's mastery of form: an economical and exact rendition of a keen sense of form (place), often an interest for provincial region, depth of the country, equally economical skill in character through dialectic speech.

The dialecticisms are shown through unusual vocabulary and phraseology.

There are a lot of unusual syntagmas in the stories of Otia Ioseliani . There are not shown at dictionaries. Their semantical meanings are not usual.

There are some groups of dialecticisms:

- 1.Usual Imeretian dialecticisms;
- 2.The dialecticisms usual in other regions of Georgia;
- 3.The dialecticism we cannot find at dictionaries.

Otia Ioseliani has published many volumes drawing his imagery from Imeretian dialect. He has contributed a great deal to the Georgian prose.

რეცენზენტი: პროფ. ა. არაბული

ენათმეცნიერება      Языковедение      Linguistic

ლიდა ობოლაძე

ქუთაისი, საქართველო

თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკა  
და ამ დინამიკის ფუძემდებელი პრინციპი  
წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის  
ურთიერთმიმართების განხილვისას

სტატიაში კვლევის შინაარსისა და მიმართულების წარმართველად უნდა მივიჩნიოთ ორი შემდეგი თეორიული და მეთოდოლოგიური პრინციპი - ერთის მხრივ, ის პარადიგმული სიტუაცია, რომელიც გამოიხატება ლინგვისტური აზროვნების ამა თუ იმ პარადიგმის დომინირებით, ხოლო ამავე დროს იმ პრინციპითაც, რომლითაც ზოგადად ხასიათდება ჰუმანიტარული აზროვნების პარადიგმული დინამიკა (ანუ პარადიგმათა ურთიერთმონაცვლეობა კვლევის ჰუმანიტარულ სფეროში): ნებისმიერი ახალი პარადიგმა კი არ აუქმებს წინა პარადიგმით მიღებულ კვლევით შედეგებს, არამედ ეყრდნობა მათ და ახდენს მათ ინტეგრირებას საკუთარ კვლევით პროცესში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ მიმართულების განსაზღვრა, რომელიც უნდა არსებობდეს წინადადებისა და სამეტყველო-კომუნიკაციურ ფორმას შორის და თუ ამავე დროს გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დღეისათვის დომინირებს ლინგვისტური აზროვნების კომუნიკაციური პარადიგმა, მაშინ ცხადი გახდება ისიც, თუ როგორი უნდა იყოს სტატიაში წარმართული კვლევის მაგისტრალური თეორიულ-მეთოდოლოგიური მიმართულება.

ჩვენი მიზანია წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართება განვიხილოთ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ორი პარადიგმის - სისტემურ-სემიოტიკური და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმათა - თეორიულ-მეთოდოლოგიური „შეხვედრის“ საფუძველზე. რა თქმა უნდა, თვით ეს „შეხვედრა“ როგორც ისტორიული ფაქტი იძლევა პრობლემათა უაღრესად ფართო სპექტრის განხილვის საშუალებას და ამიტომ აუცილებელი ხდება ხსენებული სპექტრიდან იმ თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრობლემათა დასახელება, რომლებიც შინაარსობრივად მაქსიმალურად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ჩვენთვის აქტუალურ კონკრეტულ პრობლემასთან. სწორედ ამ უკანასკნელის შინაარსობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სტატიაში ჩვენი კვლევის

თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველად უნდა იქცეს ზემოთ ხსენებულ ლინგვისტურ პარადიგმათა ორი პრინციპის, სახელდობრ დონეებრივი პრინციპისა და კომუნიკაციის პრინციპის სინთეზური შერწყმა, თუმცა ამავე დროს თავიდანვე გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი: იქიდან გამომდინარე, რომ ლინგვისტიკის დღევანდელი პარადიგმული სიტუაცია გულისხმობს კომუნიკაციური პარადიგმის დომინირებას [ლუბანიძე 2004:145], დონეებრივი და კომუნიკაციური პრინციპების ხსენებული სინთეზი უნდა განხორციელდეს კომუნიკაციური პრინციპის პრიმატის საფუძველზე. სტატიაში აუცილებელია განისაზღვროს პრინციპი, რომლის მიმართ კომუნიკაციურმა პრინციპმა უნდა გამოავლინოს თავისი თეორიული და მეთოდოლოგიური უპირატესობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკვე კვლევის ამ ეტაპზე საჭიროა გვექნდეს დონეებრივი პრინციპის დასაყრდენი ტერმინების, ანუ „დონის“ სრული განმარტება. ვფიქრობთ, გამართლებული იქნება, თუ ამ განმარტებას „დავესესხებით“ სისტემურ-სემიოტიკური ლინგვისტიკის ისეთ წარმომადგენელს, როგორცაა ე. ბენვენისტი. ხსენებული ავტორის მიხედვით, „იმის დასადგენად, თუ რას წარმოადგენს ანალიზის პროცედურა, უნდა განისაზღვროს დონის ცნება. ეს სწორედ ის ცნებაა, რომლის საშუალებით შეგვიძლია ადეკვატურად ავსახოთ ენის ისეთი არსებითი თავისებურება, როგორცაა მისი შინაგანი დანაწევრებულობა და მის ელემენტთა დისკრეტულობა. მხოლოდ დონის ცნებას შეუძლია დაგვეხმაროს იმაში, რომ დავინახოთ ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების თავისებურება“ (Бенвенист 1965: 206). როგორ უნდა გავიგოთ ლინგვისტური ანალიზის ბენვენისტის მიერ განსაზღვრული პრინციპის კავშირი ჩვენთვის აქტუალურ პრობლემასთან, ანუ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების განსაზღვრის პრობლემასთან? ვფიქრობთ, ენობრივი დონის ბენვენისტისეული განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს გვექნდეს ამოსავალი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა მიმართებაში იმყოფებიან ერთმანეთთან წინადადება და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა: ამ მიმართების ცენტრალური მომენტი, რომლის თანახმად წინადადება მივიჩნით სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ინტეგრანტად, ინტეგრირებული უნდა იყოს სწორედ ენობრივი სისტემის დონეებრივი მოდელის საფუძველზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ მოდელის მიხედვით წინადადება, ერთის მხრივ, უნდა განვიხილოთ როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ნაწილი, მეორე მხრივ კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ფარგლებში ნებისმიერი წინადადება მოცემულია და ფუნქციონირებას როგორც დისკრეტული ელემენტი.

რა თქმა უნდა, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების ზემოთ მოცემული განმარტება ატარებს ძალიან ზოგად და ელემენტარულ ხასიათს და რომ ხსენებული ურთიერთმიმართება უკვე იგულისხმება ისეთი ტერმინის შინაარსით, როგორცაა „ინტეგრანტი“, მაგრამ ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით ამ შთაბეჭდილების ზედაპირულობაში, თუ გავითვალისწინებთ დონის ცნების ბენვენისტისეული განმარტების შემდეგ ასპექტს:

ა) პირველი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ დონის ცნება იმ სახით, რომლითაც იგი განმარტებულია ბენვენისტის მიერ, უნდა აღქმულ იქნას ჩვენს მიერ არა როგორც სისტემურ-სემიოტიკური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ცნება, არამედ როგორც ამ ლინგვისტური პარადიგმის ცენტრალური კონცეპტი - სწორედ ის კონცეპტი, რომელიც თავის თავში ასახავს მთელი პარადიგმის არსს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ გვესურს გავხადოთ ხსენებული პარადიგმა ჩვენი კვლევის თანამონაწილე, ამ შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული დონის ბენვენისტისეული ცნებით ნაგულისხმევ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ნაბიჯთა მთელი სპექტრი. ჩვენს კვლევით კონტექსტში კი ნათქვამი უნდა ნიშნავდეს შემდეგს: უნდა მაქსიმალური სისრულით გაეცეს პასუხი კითხვას იმის თაობაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს წინადადების როგორც ნაწილის დისკრეტული სახით მოცემულობა სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის როგორც მთელის ფარგლებში;

ბ) მეორე ასპექტი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ განმარტავს ბენვენისტი დონეებრივი ანალიზის მიზანს. მისი აზრით, „ანალიზის მთელი პროცედურის მიზანი მდგომარეობს

იმაში, რომ გამოვყოთ ელემენტები იმ მიმართებათა საფუძველზე, რომლებიც მათ ერთმანეთთან აკავშირებენ. ეს პროცედურა შედგება იმ ორი ურთიერთგანმაპირობებელი ოპერაციებისგან, რომელზეც დამოკიდებულია ყველა დანარჩენი ოპერაცია: 1) სეგმენტაციისგან და 2) სუბსტიტუციისგან" (ibid 1965:206). ავტორი შემდეგნაირად განმარტავს ამ ორი ურთიერთგანმაპირობებელი ოპერაციის არსს: „ნებისმიერი სიგრძის განსახილველი ტექსტი უნდა იქნას პირველ რიგში სეგმენტირებული სულ უფრო და უფრო წვრილ მონაკვეთებად მანამ, სანამ არ იქნება დაყვანილი არასეგმენტირებად ელემენტებად. ამის პარალელურად კი ხდება ელემენტთა იდენტიფიცირება დასაშვებ სუბსტიტუციათა საშუალებით" (ibid 1965:206-207). ავტორს მოჰყავს ამგვარი ანალიტიკური პროცედურის შემდეგი მაგალითი: „ასე მაგალითად, ფრანგული სიტყვა *raison* „გონება“ - სეგმენტირება შემდეგნაირად [r] - [ɛ] - /z/ - {o}. შესაბამისად შეიძლება განვახორციელოთ სუბსტიტუციები [ɛ], [z] მაგიერად (=saison, "сезон"); [ɑ], [ɛ] მაგიერად (=asons - I პირი, მრავლობითი რიცხვი ზმნისა *raser* „პარსვა“)... (ibid 1965:207). ავტორი შემდეგნაირად აჯამებს აქ დემონსტრირებული ანალიზის არსს: „ასეთია, მოკლედ თუ ვიტყვით დისტრიბუციული ანალიზის მეთოდი. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი ელემენტის განსაზღვრა ხდება იმ სიმრავლის საშუალებით, რომლის ფარგლებში იგი შეიძლება შეგვხვდეს და, ამავე დროს შემდეგი ორი მიმართების საფუძველზე: პირველია იმ განსხვავებულ ელემენტებთან მიმართება, რომლებიც ერთდროულად წარმოდგენილნი არიან გამონათქვამის იგივე მონაკვეთში (სინტაგმატიკური მიმართებები) და იმ მიმართების საფუძველზე, რომლებიც ამ ელემენტს აკავშირებენ ჩანაცვლებად ელემენტებად (პარადიგმატული მიმართება) (ibid 1965:207);

გ) ისმის კითხვა: რატომ დაგვჭირდა ცნება „დონის“ და მასთან დაკავშირებული ანალიტიკური პროცედურის ბენვენისტისეული განმარტების და, შესაბამისად, სინტაგმატიკისა და პარადიგმატიკის ცნებათა ბენვენისტისეული განსაზღვრების მეტნაკლებად დეტალიზირებული სახით გადმოცემა? - ეს ხომ სწორედ ის ცნებებია, რომლებმაც უკვე დიდი ხანია მოიპოვეს ქრესტომათიული სტატუსი. საქმე ისაა - და ეს იქნება ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე -, რომ ენობრივი სისტემის დონეებრივი მოდელი და, შესაბამისად, ამ მოდელთან დაკავშირებული ანალიტიკური პროცედურა გამომუშავებულ იქნა, როგორც ზემოთ უკვე არის ხაზგასმული, იმ პარადიგმის საფუძველზე, რომელიც არა მხოლოდ არსებითად განსხვავდებოდა კომუნიკაციური პარადიგმისაგან, არამედ არც ოპერირებდა იმ ტექსტობრივი ცნებებით, რომელთა გენეზისი და არსი უკავშირდება ანთროპოცენტრისტულ კომუნიკაციურ პარადიგმას, სხვანაირად რომ ვთქვათ, დონეებრივი მოდელი ჯერ კიდევ შორსაა იმ კვლევითი პრინციპისგან, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ ჩვენს კვლევაში და რომელიც შინაარსობრივად არსებითად უკავშირდება კომუნიკაციურ პარადიგმას, ანუ ვგულისხმობთ ტექსტოცენტრიზმს, როგორც კვლევით პრინციპს.

### ლიტერატურა

1. ლებანიძე გ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, „ენა და კულტურა“, 2004.
2. Бенвенист Э. Уровни лингвистического анализа. В кн: Новое в лингвистике. Москва: "Прогресс", 1965.

Lida Oboladze

**Парадигмальная динамика современной лингвистики и основополагающий принцип этой динамики при рассмотрении соотношения предложения и композиционно-речевой формы**

Резюме

Учитывая то обстоятельство, что целью исследования в статье является определение соотношения, которое должно существовать между предложением и композиционно-речевой формой, а также то, что в настоящее время в лингвистической мысли доминирует коммуникативная парадигма, становится очевидным, каким должно быть магистральное теоретико-методологическое направление нашего исследования: соотношение предложения и композиционно-речевой формы необходимо рассматривать на основе теоретико-методологической «встречи» двух парадигм – системно-семиотической и антропоцентрическо-коммуникативной.

Lida Oboladze

**Paradigmatic Dynamics of the Modern Linguistics and a Fundamental Principle of this Dynamics Based on the Interrelation of a Sentence and a Compositional - Speech Form**

Abstract

Considering the fact that the article deals with defining the interrelation which must exist between a sentence and a compositional - speech form and also considering the fact, that communicative paradigm in linguistics is dominant, it seems vivid what the magisterial theoretical - methodological approach of our work is like. While presenting and finding a solution to the problem of the interrelation of a sentence and a compositional speech form, we tend to rely on the basis of the theoretical - methodological "junction" of the two paradigms of modern linguistics \_\_\_ systemic-semiotic and anthropocentric-communicative paradigms.

რეცენზენტი: პროფ. მ. ღარიბაშვილი

ენათმეცნიერება      Языковедение      Linguistic

როდინაძე შოთა

ბათუმი, საქართველო

## მთარგმნელობითი ეკვივალენტობა სიტყვის დონეზე

ადამიანის ცხოვრება და საქმიანობა ბავშვობიდან სიკვდილამდე განუყრელად დაკავშირებულია ენასთან. ხოლო ეფექტური კომუნიკაცია ერთი ენიდან მეორეზე კიდევ უფრო მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ლექსიკურ ერთეულთა ურთიერთგაცვლა, თარგმნითი ეკვივალენტობის დაძებნა და მათი სრული დეკოდირება საპირისპირო ენაში ამ საუკუნის ერთერთი ცენტრალური პრობლემაა.

სტატიაში საუბარია სიტყვასა და მის მნიშვნელობას შორის შესაბამისობაზე სამიზნე და წყარო ენებში, თარგმნის პროცესის კანონზომიერებებზე, მთარგმნელობით ეკვივალენტობაზე და სიტყვათა და სამეტყველო ფრაგმენტების ტიპებზე.

ზოგადად, ორი ენის ურთიერთობას შედეგად მიაქვს ლექსიკურ ერთეულთა ურთიერთგაცვლა. ეს პროცესი კი, რიგ შემთხვევაში გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული და უმეტესწილად სრულყოფილი სახით არ ვლინდება, რადგან ენა მრავალფეროვანი და მუდმივად ცვლადი ცოცხალი ორგანიზმია.

ადამიანის ცხოვრება და საქმიანობა ბავშვობიდან სიკვდილამდე განუყრელად დაკავშირებულია ენასთან. ენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ერთმანეთისთვის გაგვეგებინებინა რაიმე, გაგვეზიარებინა ფიქრი, აზრი ან გამოცდილება. უფრო მეტიც - ვერც ვიაზროვნებდით, რადგან აზროვნებაც კი შეუძლებელია უსიტყვოდ.

როგორც მთარგმნელების, ჩვენი უმთავრესი მიზანია უზრუნველყოთ ეფექტური კომუნიკაცია ერთი ენიდან მეორეზე. ამის მისაღწევად აუცილებელია იმ ენობრივი ერთეულებისა თუ სტრუქტურების დეკოდირება, რომლებიც მნიშვნელობის მატარებელი არიან. უმცირესი ერთეული, რომელსაც მნიშვნელობა გააჩნია არის სიტყვა. უფრო ფართო გაგებით, „სიტყვა არის ასეთი თანმიმდევრული წყობა, რომელსაც ორივე მხრიდან ორთოგრაფიული სივრცეები გააჩნია.“ [Baker, 2011: 30].

ბევრი ჩვენგანი ფიქრობს, რომ ენის მთავარი მნიშვნელობის მატარებელი ელემენტი არის სიტყვა. რასაკვირველია, ეს მცდარი მოსაზრებაა. მნიშვნელობა შესაძლოა სიტყვებზე უფრო მცირე ერთეულებმაც კი ატარონ. ამის თვალსაჩინო მაგალითად მორფემა შეიძლება განვიხილოთ. განსხვავება მორფემასა და სიტყვას შორის არის ის, რომ მორფემა არ შეიცავს მნიშვნელობის ერთზე მეტ ელემენტს და მისი უფრო სიღრმისეული გაანალიზება შეუძლებელია. მაგალითად, ინგლისური სიტყვა *inconceivable* ერთ სიტყვას წარმოადგენს,

მაგრამ ის შეიცავს სამ მორფემას: *in* - უარყოფითი თავსართი, *conceive* - ფიქრი, წარმოდგენა და *able* - შესაძლებლობა. სიტყვის *inconceivable* შესაბამისი პერიფრაზი შემდეგნაირია: წარმოუდგენელი.

"თარგმანის ლინგვისტური თეორიის ფუძემდებელთა (რომან იაკობსონი და ჯონ კეტფორდი) მოსაზრებით "თარგმანი" არის ერთ ენაზე (ანუ წყარო ენაზე) მოცემული ტექსტობრივი მასალის შეცვლა ეკვივალენტური ტექსტობრივი მასალით მეორე ენაზე (ანუ თარგმანის ენაზე). აქედან გამომდინარე, თარგმანის პრაქტიკის ცენტრალური პრობლემაა, თარგმანის ერთეულში თარგმნითი ეკვივალენტობის დადებნა, ხოლო თარგმანის თეორია თარგმნითი ეკვივალენტობის ბუნების აღწერას უნდა ემსახურებოდეს" [ფანჯიკიძე, 1995: 37].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სიტყვასა და მნიშვნელობას შორის არ არის ერთი-ერთზე შესაბამისობა სამიზნე და წყარო ენებში. განვიხილოთ სიტყვა *rebuild*. ის შეიცავს მნიშვნელობის ორ განსხვავებულ ელემენტს: *re* და *build*, რაც ნიშნავს „ხელახლა აშენებას“. იგივე შიძლება ითქვას სიტყვაზე *disbelieve*, რაშიც ნიშნავს - „არ დაჯერება“. მნიშვნელობის ელემენტები, რომლებიც რამოდენიმე ორთოგრაფიული სიტყვით არის წარმოდგენილი ერთ ენაში, მაგალითად ინგლისურში, შესაძლოა მეორე ენაში ერთი ორთოგრაფიული სიტყვით წარმოგვიდგეს და პირიქით: *tennis player* ქართულად ითარგმნება როგორც „ჩოგბურთელი“, თურქულში „*tenisçi*“, რუსულში „*двдддддд*“. მაგრამ სიტყვა *type* სამი სიტყვით გადადის ესპანურ ენაში: „*pasar a maquina*“, და უფრო მეტიც, ქართული სიტყვის - „ხეგ“ მნიშვნელობა ინგლისურად ოთხი სიტყვით გამოიხატება: „*the day after tomorrow*“.

მეცნიერება თარგმნის პროცესის კანონზომიერებების შესახებ, მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. ასეთი დაგვიანება სწორედ თარგმნის კომპლექსური ხასიათით და სხვა დისციპლინებთან მჭიდრო კავშირით აიხსნება, ვინაიდან თარგმანი ახდენს არა მხოლოდ სხვადასხვა ენების, არამედ სხვადასხვა კულტურების შეპირისპირებასაც [Ádđđđ, 2003: 4].

თარგმანის, როგორც ენათშორისი კომუნიკაციის პროცესის უზრუნველყოფისათვის გამოვარჩევთ ორ განსხვავებულ ორიენტირს – ერთი მხრივ ფორმალურ ეკვივალენტობას, ხოლო, მეორე მხრივ – დინამიკურ ეკვივალენტობას. ნაიდასეული „დინამიკური ეკვივალენტობის“ პრინციპი აშკარად უპირისპირდება ფორმალური ეკვივალენტობის პრინციპს. მასში პირველ პლანზეა წამოწეული თარგმანის პრაგმატული განზომილება – მთარგმნელის ორიენტაცია თარგმანის ტექსტის ადრესატზე. ეს თარგმანის ისეთი ხარისხობრივი მახასიათებელია, როცა ორიგინალის აზრობრივი შინაარსი ისეთნაირად არის გამეორებული მიმღები ენის ფორმებში, რომ თარგმანის ადრესატის რეაქცია ადეკვატურია საწყისი ტექსტის ადრესატის რეაქციისა [Nida, 1969: 202].

თარგმანმცოდნეობაში გამოყოფენ 7 სახის ეკვივალენტობას, ესენია:

1. დენოტაციური ან რეფერალური ეკვივალენტობა: წყარო და სამიზნე ტექსტები მიუთითებენ ერთსა და იმავე ობიექტზე რეალურ სამყაროში.
2. კონოტაციური ეკვივალენტობა: წყარო ადრესატს და სამიზნე ადრესანტს აქვთ ერთნაირი მენტალური ასოციაციები.
3. ტექსტურ-ნორმატიული ეკვივალენტობა: წყარო და სამიზნე ტექსტები წარმოადგენენ ტექსტების მსგავს ან იდენტურ პორციებს.
4. პრაგმატული ეკვივალენტობა: წყარო და სამიზნე ტექსტები აღწევენ ერთსა და იმავე ემოციურ ეფექტს.
5. ფორმალური ეკვივალენტობა: მსგავსი ორთოგრაფიული და ფონოლოგიური თვისებები ჩნდება წყარო და სამიზნე ტექსტებში.
6. ტექსტური ეკვივალენტობა: მსგავსება შეიმჩნევა ინფორმაციის სტრუქტურულ და კოჰეზიურ როლებზე.
7. ფუნქციონალური ეკვივალენტობა: თარგმნის პროცესში პრიორიტეტი ენიჭება სიტუაციაზე დამოკიდებულ ცვლადებს. [Chantler; Dente, 2009: 36].

გამომდინარე ზემოთქმულიდან, სიტყვის ან ლექსიკური ერთეულის ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც სპეციფიკური ღირებულება, რომელიც მას აქვს კონკრეტულ ლინგვისტურ სისტემაში და როგორც „ინდივიდუალობა“, რომელსაც ის იძენს ამ სისტემის ფარგლებში გამოყენებისას. იშვიათად არის შესაძლებელი რომ გავაანალიზოთ სიტყვა, ფორმა ან სტრუქტურა განსხვავებული მნიშვნელობის კომპონენტებში.

კრუზის თანახმად, განვასხვავებთ სიტყვათა და სამეტყველო ფრაგმენტების ოთხი ტიპის მნიშვნელობას: **პროპოზიციული მნიშვნელობა**, **ექსპრესიული მნიშვნელობა**, **პრესუპოზიციური მნიშვნელობა** და **აღქმადი მნიშვნელობა**. [Cruse, 1986: 271].

სიტყვის **პროპოზიციული მნიშვნელობა** წარმოიშობა ამ სიტყვასა და მის მნიშვნელობას შორის ურთიერთობისგან ან აღწერს მას რეალურ ან წარმოსახვით სამყაროში როგორც კონკრეტული ენაზე მოსაუბრეთა მიერ აღქმულ სიტყვას. ეს არის მნიშვნელობის ტიპი, რომლის მიხედვითაც ჩვენ შეგვიძლია სიტყვის ჭეშმარიტება ან ცრუ არსი განვიხილოთ. მაგალითად, სიტყვის *shirt* პროპოზიციული მნიშვნელობა არის „ტანისამოსის სახეობა, რომელსაც სხეულის ზედა ნაწილზე იცვამენ“. არ იქნება ადეკვატური თუ ჩვენ *shirt*-ს გამოვიყენებთ ჩვეულებრივ სიტუაციაში მნიშვნელობით „ტანისამოსის სახეობა, რომელსაც ფეხზე იცვამენ“, როგორცაა მაგალითად, *socks* (წინდა). როდესაც თარგმანს აღწერენ როგორც „არაადეკვატურს“, მხედველობაში სწორედ პროპოზიციული მნიშვნელობა აქვთ. [Baker, 2011: 32].

**ექსპრესიული მნიშვნელობა** არ განიხილება როგორც ჭეშმარიტი ან მცდარი, ვინაიდან ექსპრესიული მნიშვნელობა უფრო მოსაუბრის განცდებთან, ან დამოკიდებულებასთან არის კავშირში, ვიდრე თვით სიტყვის მნიშვნელობასთან. განსხვავება *Don't complain* და *Don't whinge*-ს შორის უნდა ვეძიოთ არა მათ პროპოზიციულ მნიშვნელობებში, არამედ მათ ექსპრესიულობაში, ვინაიდან *whinge* მიუთითებს იმაზე, რომ მოსაუბრე მოქმედებას შემაწუხებლად აღიქვამს. მაშასადამე, ორ ან რამდენიმე სიტყვას შესაძლოა ჰქონდეთ ერთნაირი პროპოზიციული მნიშვნელობა, მაგრამ განსხვავდებოდნენ ექსპრესიული მნიშვნელობის თვალსაზრისით. ეს მოსაზრება ჭეშმარიტია არა მხოლოდ სიტყვებთან მიმართებით ერთ ენაში, სადაც მსგავსი სიტყვები ხშირად მიიჩნევიან სინონიმებად ან ნაწილობრივ სინონიმებად, არამედ - იმ სიტყვებთან მიმართებითაც, რომლებიც სხვადასხვა ენებს განეკუთვნებიან. განსხვავება ინგლისურ *famous*-სა და ფრანგულ *fameux*-ს შორის არ მდგომარეობს მათ შესაბამის პროპოზიციულ მნიშვნელობებში. ორივე ერთეულის მნიშვნელობაა „ცნობილი“, რაც თავიანთი ექსპრესიული მნიშვნელობებიდან ჩანს. ჩვეულებრივ *Famous* ნეიტრალურია ინგლისურ ენაში: მას არ აქვს შინაგანი შეფასებითი მნიშვნელობა ან კონოტაცია. მეორე მხრივ *Fameux* პოტენციურად შეფასებითი ხასიათისაა და შესაძლოა მისი გამოყენება ზოგიერთ კონტექსტში დამამცირებელი მნიშვნელობით (მაგალითად, *une femme fameuse* ნიშნავს „a woman of ill repute“-ცუდი რეპუტაციის მქონე ქალი).

მსგავსი მიმართება ან შეფასება ფიქსირდება ასევე ორ სიტყვაში, რომელთაც სიძლიერის ფართოდ განსხვავებული ხარისხი გააჩნიათ. მაგალითად, სიტყვები *unkind* და *cruel* არსებითად ექსპრესიული ბუნების არიან, რომლებშიც ნაჩვენებია მოსაუბრის უკმაყოფილება ადამიანის მიმართებისადმი. თუმცა, უკმაყოფილების ელემენტი სიტყვაში *cruel* უფრო ძლიერია, ვიდრე სიტყვაში *unkind*.

**პრესუპოზიციული მნიშვნელობა** გამომდინარეობს შეზღუდვების თანაარსებობის მდგომარეობიდან. ეს არის შეზღუდვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა სხვა სიტყვებსა თუ გამონათქვამებს ველოდებით კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულამდე ან მის შემდეგ. მსგავსი შეზღუდვები ორი ტიპისაა:

1. **სელექციური შეზღუდვები**: ესენი არის სიტყვის პროპოზიციული მნიშვნელობის ფუნქციები. ზედსართავ სახელთან *studious* სუბიექტის როლში ჩვენ მოველით ადამიანს და უსულო სუბიექტს - ზედსართავთან *geometrical*. სელექციური შეზღუდვები შეგნებულად ირღვევა ხატოვანი ენის შემთხვევაში, მაგრამ სხვა შემთხვევაში ის მკაცრად არის დაცული.

2. **კოლოკაციური შეზღუდვები:** ეს არის სემანტიკურად თვითნებური შეზღუდვები, რომლებიც ლოგიკურად არ შეესატყვისება სიტყვის პროპოზიციულ მნიშვნელობას. მაგალითად, ინგლისურ ენაში კანონის დარღვევა არის *break laws*, ხოლო არაბულში - *contradict laws*. ინგლისურ ენაში *teeth are brushed* (კბილებს იხეხავენ), მაგრამ გერმანულსა და იტალიურში - *teeth are polished* (კბილებს იპრიალებენ), პოლონურში კი - *teeth are washed* (კბილებს ირეცხავენ), რუსულში *teeth are cleaned* (კბილებს იწმენდენ).

**ადქმადი მნიშვნელობა** მომდინარეობს დიალექტისგან და რეგისტრის ნაირსახეობისგან. დიალექტი ენის ნაირსახეობაა, რომელსაც მიმართავენ კონკრეტულ საზოგადოებაში ან მოსაუბრეთა ჯგუფში. ის შეიძლება დაიყოს შემდეგ ბაზებად:

1. **გეოგრაფიული** (მაგ.: შოტლანდიური დიალექტი ან ამერიკული როგორც ბრიტანულის საპირისპირო ენა: *lift* და *elevator*).

2. **დროებითი** (მაგ.: სიტყვები და სტრუქტურები, რომელსაც იყენებს საზოგადოების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი, ან სიტყვები, რომლებიც ენის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში გამოიყენება: *verily* და *really*).

3. **სოციალური** (სიტყვები და სტრუქტურები, რომელსაც სხვადასხვა სოციალური ფენები იყენებენ: *scent* და *perfume*, *napkin* და *serviette*).

რეგისტრი არის ენის ნაირსახეობა, რომელსაც ენის მატარებელი მიიჩნევს შესაბამისად კონკრეტულ სიტუაციაში. რეგისტრი შემდეგი პარამეტრების მიხედვით იყოფა:

1. **დისკურსის ველი:** ეს არის აბსტრაქტული ტერმინი მნიშვნელობით - „ის რაც ხდება“, რომელიც რელევანტურია მოსაუბრის მიერ ლინგვისტური ერთეულების შერჩევისა. სხვადასხვა ლინგვისტური არჩევანი სხვადასხვა მოსაუბრის მიერ კეთდება, რაც დამოკიდებულია იმაზე თუ, მათი აზრით, საუბრის რა სახის ქმედებებში, გარდა დაუყოვნებელი ქმედებისა, იღებენ ისინი მონაწილეობას. მაგალითად, ლინგვისტური არჩევანები განსხვავდებიან იმის მიხედვით მოსაუბრე მონაწილეობას იღებს საფეხბურთო მატჩში თუ განიხილავენ მატჩს; უყვართ თუ განიხილავენ სიყვარულს; პოლიტიკურ სიტყვას წარმოთქვამენ თუ განიხილავენ პოლიტიკას; ასრულებენ ოპერაციას თუ განიხილავენ მედიცინას.

2. **დისკურსის ტენორი:** ეს აბსტრაქტული ტერმინი გამოიყენება იმ ადამიანთა ურთიერთობების ასაღწერად, რომლებიც დისკურსში იღებენ მონაწილეობას. საუბრის მონაწილე ადამიანები იყენებენ ვარიაციებს ისეთ ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე დაყრდნობით, როგორცაა დედა/შვილი, ექიმი/პაციენტი ან უფროსი/უმცროსი. პაციენტი ნაკლებად სავარაუდოა, რომ იყენებდეს საფიცარ სიტყვებს ექიმთან ურთიერთობისას და დედა ნაკლებად სავარაუდოა, რომ შვილს ასეთი თხოვნით მიმართავდეს „საინტერესოა, ხომ ვერ შეძლებდით...“ თარგმანში დისკურსის ტენორის ასახვა შესაძლოა გარკვეულ სიძნელეებს უკავშირდებოდეს. ეს დამოკიდებულია იმაზე, რომ ზოგიერთი ადამიანი ფორმალურობის გარკვეულ დონეს მიიჩნევს „სწორად“ წყარო ან სამიზნე კულტურების პერსპექტივიდან გამომდინარე. მაგალითად, ამერიკელმა თინეიჯერმა შესაძლოა მიმართოს არაფორმალურ ტენორს თავის მშობლებთან მიმართებით, მათი სახელების გამოყენებით ნაცვლად *Mum/Mother* და *Dad/Father*. არაფორმალურობის მსგავსი დონე შესაძლოა უაღრესად შეუსაბამო იყოს ბევრ სხვა კულტურაში. მთარგმნელის მოვალეობაა ის, რომ სწორად შეარჩიოს ტენორი: სამიზნე ენაში მკითხველის მოლოდინთან შესაბამისი თუ არაფორმალური ტენორის გადაცემა, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამერიკელ თინეიჯერს აქვს საკუთარ მშობლებთან მიმართებით ამერიკულ საზოგადოებაში. ის, რაზეც მთარგმნელი არჩევანს შეაჩერებს, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რას ითვალისწინებს კონკრეტული თარგმანის საერთო მიზნები.

3. **დისკურსის რეჟიმი:** ტერმინი მიუთითებს იმ როლზე (სიტყვა, ესე, ლექცია, ინსტრუქცია), რომელსაც ენა თამაშობს და გადაცემის საშუალებაზე (ზეპირი, წერიტი). ლინგვისტურ არჩევანებზე გავლენას ახდენს ეს სამი განზომილება. მაგალითად, სიტყვა, როგორცაა *re*, სრულიად შესაბამისობაშია საქმიან წერილთან ან ელექტრონული ფოსტის სუბიექტის ველთან,

მაგრამ იშვიათად, ან იქნებ არც არასდროს გამოიყენება სასაუბრო ინგლისურ ენაში. [Baker, 2011: 35].

მაშასადამე, თითოეულ ეთნიკურ ჯგუფს ამა თუ იმ კულტურაში აქვს განსხვავებული მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის ენა გამოიყენოს შესაბამის სიტუაციაში. ადამიანებისთვის, რომლებიც მიუხეველნი არიან უკიდურესად რიტუალიზებულ სიტუაციებს, როგორცაა, მაგალითად, კომიტეტის შეხვედრები და სამსახურეობრივი გასაუბრებები, რთულია თავიანთი აზრის გამოხატვა, რამაც შეიძლება სასაცილო მდგომარეობამდეც კი მიიყვანოს საუბარი, ვინაიდან მათი ენა სხვა მონაწილეებთან შედარებით შეუფერებელია კონკრეტული სიტუაციისთვის. მსგავს სიტუაციაში აუცილებელია ტექსტის ადექვატური აღქმა და გადაცემა ადრესატისთვის მთარგმნელმა აიღოს საკუთარ თავზე.

#### ლიტერატურა:

1. ფანჯიკიძე დ., თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა, თბილისი, 1995.
2. Ashley Chantler and Carla Dente. Translation Practices Through Language to Culture. Amsterdam - New York, 2009.
3. Cruse, D. A. (1986) Lexical Semantics, Cambridge: Cambridge University Press.3.
4. Mona Baker. In Other Words. A coursebook on translation. New York, 2011.
5. Nida E., Taber Ch., The Theory and Practice of Translation, Leiden, 1969.
6. Бреус, Е. Теория и практика перевода с английского на русский. УРАО. Москва, 2003.

Шота Родинадзе

#### Переводческая эквивалентность на уровне слова

##### Резюме

Жизнь и деятельность человека от рождения и до самой смерти неразрывно связана с языком. А эффективная коммуникация с одного языка на другой связана с ещё большими трудностями, так как взаимообмен лексическими единицами, поиск переводческих эквивалентов и их полное декодирование в противоположный язык является одной из центральных проблем нынешнего века.

В статье речь идет о соответствии слова и его значения в целевом языке и языке-источнике, о закономерностях процесса перевода, переводческой эквивалентности и типах слов и речевых фрагментов.

Shota Rodinadze

#### Translation equivalence at word level

##### Abstract

People's lives and activities are related to the language from their childhood to death. And effective communication among them is related to more and more complexities since the exchange of lexical units, searching translation equivalents and their complete decoding in the opposite language is one of the central problems of this century.

The present article deals with the correspondence between the word and its significance in the target and source languages, the regularities of the translation process, the equivalence of translation, and types of word and speech fragments.

რეცენზენტი: პროფ. მ. მიქაძე

ენათმეცნიერება    Языковедение    Linguistic

Тлеубергенова Гульсум

г. Актобе, Республика Казахстан

## Годонимия как элемент языкового портрета города Актобе

*Классифицируются годонимы г. Актобе, Республики Казахстан, представляющие собой подсистему единиц, в которой хранится историческая, политическая, лингвистическая и культурологическая информация. Язык города является отражением особенностей образа жизни, характера и мировоззрения его жителей.*

Люди воспринимают мир через имена и названия, но редко задумываются над тем, как они возникли и что означают. Особенно много могут рассказать нам годонимы.

Годонимы (греч. *godos*- «путь, дорога, улица, русло» + *оним*) – это названия линейных объектов в городе, в том числе проспектов, улиц, линий, переулков, проездов, бульваров, набережных [2:23].

Если внимательно присмотреться к годонимам, они расскажут о прожитом времени, о своих создателях, о жизни, быте и нравах своих творцов и населявших их людей. Они помнят многие события, назовут дорогие городу имена.

Политические и социально-экономические преобразования города Актобе нашли естественное отражение в переименовании улиц, проспектов, площадей.

Город возник на месте крепости Актюбе/Атйбе (букв. «белый холм»), основанной в 1891 году. Укрепление Ак-Тюбе (рус. дореф. Акъ-Тюбе) стало уездным городом Российской империи. Затем до 1999 года по-русски город назывался Актюбинск (Актюбинскъ). А с 11 марта 1999 года указом президента Казахстана Нурсултана Назарбаева название города на русском языке было изменено на вариант «Актобе». Название города, образованное из слов *а* (от тюрк. *aq* — белый) и *тйбе* (*тцрь* — вершина), означает «белый холм». По этой причине Актобе иногда называют «Город на белом холме» или «Беловершинск» (Бсловершинскъ). Слово *а* в казахском языке, помимо значения «белый», также означает «неосквернённый», «чистый», «невинный» [4].

В течение первых трех десятилетий после основания хозяйственная жизнь Актюбинска была тесно связана с кочевым скотоводством казахов. Одновременно происходило оседание населения вокруг селения. Плодородная почва и прекрасное расположение впоследствии привлекут сюда много переселенцев из разных концов Российской империи. Первый генеральный план застройки укрепления был разработан в 1874 году. Поселение делилось на своеобразные микрорайоны: Курмыш, Татарская слобода, Оторвановка. Первые улицы назывались Гарнизонная, Крепостная, Оренбургская, Илецкая, Георгиевская. В 1891 году гарнизонное укрепление Актюбе преобразовали в уездный город Актюбинск Тургайской области. А в самом начале XX в. через Актюбинск прошла железная дорога Оренбург-Ташкент, которая дала новый толчок к развитию

экономики города. В 1891 году численность населения составляла 2817 человек, а к 1970 году выросла до 149 914 человек.

10 марта 1932 года Актюбинск стал центром Актюбинской области. С середины 60-х годов началось строительство жилых микрорайонов и массивов. В 1977 году Актюбинск стал центром Западно-Казахстанской железной дороги. 11 марта 1999 года по Указу Президента Республики Казахстан город Актюбинск официально был переименован в Ақтөбе (Актобе) [1].

Собрав и проанализировав топонимы города Актобе, мы попытались определить, к каким принципам номинации они восходят и какие из этих принципов получили наибольшее распространение.

В основе описания топонимов лежит типология, разработанная Т.В. Шмелевой. В частности, ученый предлагает классифицировать топонимы следующим образом:

по семиотике: демонстративный принцип, в задачу которого входит предъявление круга ценимых обществом понятий, символов, реалий и меморативный принцип, который «прикрепляет» к улице имя лица или события, чем совершает акт его увековечения;

по семантике: характеризующие топонимы, которые «отражают» образ жизни горожан, и ориентирующие топонимы, которые в свою очередь делятся на две группы: внутренние (выбирают в качестве объекта ориентации здание или сооружение) и внешние (объектом ориентации служит что-либо, не принадлежащее городу, чаще всего какой-либо другой город) [3: 35-36].

На данный момент в Актобе широко представлены наименования улиц, основанные на меморативном принципе.

Названия улиц, образованные от антропонимов – имен знаменитых писателей, ученых, политиков, выдающихся исторических личностей (54%)

1. Большинство из них функционируют в виде имени либо фамилии (25%): ул. Маресьева, ул. Атаниязова, пер. Канахина, ул. Абая, ул. Алтынсарина, ул. Каратаева, ул. Кутузова, ул. Джамбула, ул. Некрасова, ул. Панфилова, ул. Чернышевского, ул. Чехова, ул. Яншина, ул. Ахтанова.

2. Некоторые названия представляют собой сочетание имени и фамилии (5%): пер. Лизы Чайкиной, пр. Алии Молдагуловой., ул. Демьяна Бедного, ул. Маншук Маметовой, ул. Олега Кошевого, ул. Марата Оспанова.

3. Названия улиц представляют собой сочетание имени и титула (3%): ул. Монке Би, ул. Ажибай Би, ул. Айтеке би, пр. Абулхаир-хана, ул. Богенбай-батыра, ул. Бактыбай Батыра, ул. Карагул Батыра, ул. Карасай-батыра. (каз. би – «в традиционной казахской правовой системе: третейский судья, которому стороны доверяли решение судебных тяжб», каз. батыр - «богатырь, герой»)

Среди меморативных номинаций по тематическому принципу можно выделить 5 типов.

1. Названия улиц, носящие имена людей, внесших значительный вклад в развитие науки и культуры (9%): пер. Зеленского, пер. Маяковского, пр. Абая, ул. Баумана, ул. Байсеитовой, ул. Герцена, ул. Глинки, ул. Гоголя, ул. Некрасова, ул. Пушкина, ул. Ш. Калдаякова, ул. Ахтанова, ул. Братьев Жубановых.

2. Имена людей, представляющие имена революционеров, участников Великой Отечественной войны и видных политических деятелей (4%). ул. Жаманкулова, ул. Нокина, ул. Пацаева, ул. Пугачева, ул. Разина, ул. Сатпаева, ул. Суворова, ул. Селиверстова.

3. Улицы, названные в честь людей, ставших Героями Социалистического труда (4%). ул. Кунаева, ул. Вавилова, ул. Акимжанова

4. Названия улиц, носящие имена исторических героев, героев лиро-эпических произведений, сказок и легенд (1%): ул. Карагул Батыра, ул. Карасай Батыра, ул. Есет Батыра, ул. Жанкожа Батыра.

Среди демонстративных годонимов города Актобе можно выделить номинации, связанные с историческими событиями (даты определенных событий и их годовщин и т.д.): ул. 1905 года, ул. 70 лет Октября, ул. 8 Марта. (2%)

Достаточно ярко в городе Актобе представлены характеризующие и ориентирующие названия. Среди характеризующих годонимов (44%) можно выделить четыре группы:

1. Наименования улиц по профессии и роду занятий людей, национальности, общественным ролям, а также названия, обозначающие групп лиц, которые оцениваются обществом положительно (8%): пер. Детский, пер. Механизатора, пер. Нефтяников, пер. Новаторов, ул. Декабристов, ул. Коммунальников, ул. Metallургов, ул. Молодежная, ул. Парковая, ул. Плавильщиков, ул. Рабочая, ул. Радистов.

2. Наименования, описывающие рельеф местности: пер. Береговой, пер. Горный, пер. Лесной, ул. Кленовая, ул. Луговая, ул. Набережная, ул. Береговая, пер. Каменный, пер. Ковыльный, пер. Песчаный.

3. Характеристики самих улиц: пер. Зеленый, пер. Полярный, пер. Самал (каз. «свежий ветерок»), пер. Торговый, пер. Хобдинский, ул. Вагонная, ул. Весенняя, ул. Звездная, ул. Озерная, ул. Садовая, ул. Станционная, ул. Цементная, ул. Ударная, ул. Трудовая.

4. Лексемы, имеющие пространственную семантику (3%). Улицы называются по сторонам света: пер. Восточный, ул. Южная, Юго-запад, пер. Западный. По отношению к другим улицам: пер. Дальний, пер. Короткий, пер. Малый, пер. Первый.

При классификации собранных годонимов нами были обнаружены названия улиц, которые можно выделить в отдельную группу со значением «позитивы» (положительные, вызывающие приятные эмоции названия). Появились такие названия не в связи с какими-то историческими событиями, а для удобства самих жителей (7%): пер. Счастливый, пер. Спортивный, пер. Светлый, пер. Веселый, ул. Аз Наурыз, ул. Фестивальная, ул. Солнечная, ул. Мира, ул. Первомайская, пр. Победы, пер. Театральный.

Характеризующим названиям противопоставляются ориентирующие названия (16%).

Они, в свою очередь, делятся на 2 типа:

1. Лексемы с географической семантикой: ул. Тамдинская, ул. Ташкентская, ул. Турксиба, ул. Уральская, ул. Целинная, ул. Эмбенская, ул. Оренбургская, ул. Орская, ул. Московская, ул. Каргалинская, ул. Кандагачская, ул. Илецкая, ул. Луговая, ул. Ленинградская, ул. Кустанайская, ул. Красногорская, пер. Петропавловский, пер. Полтавский, ул. Алгинская, ул. Алма-Атинская, ул. Актюбинская, пер. Крымский, пер. Бакинский, пер. Ярославский, пер. Илецкий, пер. Казанский.

2. Наименования, называющие городские объекты: пер. Дорожный, пер. Железнодорожный, пер. Местпром, пер. Профсоюзный, ул. Авиационная, пер. Школьный, пер. Элеваторный, пер. Транспортный, пер. Стадионный, ул. Вокзальная, ул. Гарнизонная, ул. Кузнечные ряды, ул. Заводская, ул. Индустриальная, ул. Интернациональная, ул. Мебельная, ул. Мельничная, ул. Локомотивная, ул. Ново-кооперативная, ул. Рентгензаводская, ул. Почтовая, ул. Привокзальная, ул. Промышленная.

Названия, образованные по демонстративному принципу (9%), представляют собой особо ценные для общества понятия, символы, реалии.

Предпринятый анализ продемонстрировал, что годонимы соотносятся с культурой, историей, общественной жизнью города и страны, представляют собой систему наименований, образованных преимущественно по традиционным моделям. Вместе с тем, проанализированный материал выявил группу годонимов, не вписывающихся в классификацию Т.В. Шмелевой.

Таким образом, годонимия современного города Актобе охватывает достаточно большой круг лексики, включающий как общеупотребительные названия, так и профессиональные.

Ведущим принципом именования улиц в городе Актобе является меморативный принцип. Данный факт, по нашему мнению, говорит об Актобе как о городе, стремящемся увековечить память об известных людях, имеющих как «местное», так и «общемировое» значение. Стоит отметить, что в настоящее время Актобе продолжает расти. Хотелось бы, что новые годонимы имели под собой достаточное историческое, культурологическое и социолингвистическое основание.

#### Литература:

1. Официальный сайт акимата Актобе. - [Электронный ресурс]. Режим доступа: <http://akimataktobe.gov.kz/index.php/ru/city/history-of-city>. - Дата доступа: 05.12.2016.
2. Подольская. Н.В. Словарь русской ономастической терминологии / Н.В. Подольская. – 2-е.изд., перераб. и доп./отв. ред. А.В. Суперанская. – М.: Наука, 1988. – 192 с.
3. Шмелева, Т.В. Современная годонимия: семантика и семиотика/ Т.В. Шмелева // Лингвистическое краеведение. - Пермь: Издательство ПГПИ, 1991. – С.33-37.
4. Энциклопедия «Gullivay». - [Электронный ресурс]. Режим доступа: <http://ru.gullivay.org/public/wiki/asia/central-asia/kazakhstan/aqtobe-oblysy/aqtobe.html>. - Дата доступа: 29.12.2016г.

**Gulsum Tkeubergenova**

#### **Gjdjnimia as a element of a language portrait of the city Aktobe**

Abstract

Classified hodonimy Aktobe, Republic of Kazakhstan, which is a subsystem of units in which is stored the historical, political, linguistic, and cultural information. The language of the city is a reflection of the particular way of life, character and worldview of its residents.

**Рецензент: проф. Н. Квирикадзе**

ენათმეცნიერება      Языковедение      Linguistic

დალი ფუტყარაძე, იაკორ ბალანჩივაძე

ქუთაისი, საქართველო

## ადრეული განათლების სფეროში დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტები

ადრეული განათლების სფეროში მონაცემთა შეგროვება, დაკვირვება, დოკუმენტაცია და მონაცემთა შეფასება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბავშვების საჭიროებების გასაცნობად და ამ საჭიროებების გათვალისწინებით განვითარების მხარდასაჭერად, არამედ პროგრამის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესაფასებლადაც. ადრეული განათლების პროგრამებში სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება მონაცემების შესაგროვებლად და დასაკვირვებლად. ნაშრომში ცალ-ცალკე არის განხილული შემდეგი ინსტრუმენტები: **ჩანაწერები, კითხვარები, ცხრილები**. აქვე საუბარია თითოეული მათგანის უპირატესობასა და ნაკლზე, მაგრამ ყველა ერთად სრულ წარმოდგენას გვაძლევს ბავშვზე და გვეხმარება მათი ინტერესების გათვალისწინებით ავაგოთ საადმინისტრაციო პროცესი. ადრეული განათლების სფეროში დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვების ნებისმიერი ინსტრუმენტები გვეხმარება განუვითაროთ აღსაზრდელს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დასჭირდება სწავლების შემდგომ საფეხურზე.

ადრეული განათლების სფეროში დაკვირვებას სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა და შესაბამისად, მონაცემების შეგროვების, დაკვირვებისა და მონაცემთა შეფასების უნარი აღმზრდელის ერთ-ერთ წამყვან პროფესიულ უნარად მოიაზრება. მონაცემთა შეგროვება, დაკვირვება, დოკუმენტაცია და მონაცემთა შეფასება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბავშვების საჭიროებების გასაცნობად და ამ საჭიროებების გათვალისწინებით განვითარების მხარდასაჭერად, არამედ პროგრამის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესაფასებლადაც. ადრეული განათლების პროგრამებში სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება მონაცემების შესაგროვებლად და დასაკვირვებლად. ესენია: **ჩანაწერები** (შემთხვევის ჩანაწერი, მიმდინარე ჩანაწერი, ჟურნალი, რეფლექსური დღიური), **კითხვარები** (ჩეკლისტები, რეიტინგული სკალები), **ცხრილები** (მონაწილეობის ცხრილი, სისწირეების დათვლა, დროის გაზომვა), **ბავშვების ნამუშევრები** (მაგ. ნიმუშები, ნახატები), **ფოტოსურათები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები**. აღმზრდელს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ **მშობლებთან ინტერვიუ** მონაცემების შესაგროვებლად.

განვიხილოთ თითოეული არაფორმალური მეთოდი თავის უპირატესობებით და ნაკლით.

**ჩანაწერები** - ჩანაწერები პირდაპირი დაკვირვების მარტივი ფორმაა. არსებობს შემთხვევის ჩანაწერი, მიმდინარე ჩანაწერები. ასევე ჟურნალი და აღმზრდელის რეფლექსური დღიური.

**შემთხვევის ჩანაწერი** კონკრეტული ინციდენტის მოკლე, ნარატიული ჩანაწერია, რომელიც ხშირად გამოიყენება ბავშვის ქცევის გასაგებად. ეს ჩანაწერი არ საჭიროებს ცხრილებს ან სპეციფიურ ფორმას, ჩარჩოს. ჩანაწერების გაკეთება შესაძლებელია ნებისმიერ გარემოცვაში და არ საჭიროებს სპეციფიური უნარების გააფხვას. რაც გჭირდება ეს არის ქაღალდი, საწერი კალამი და ფაქტების ობიექტური ჩაწერა. ეს ჩანაწერი მოკლე მოთხრობას გავს, რომელსაც აქვს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. შემთხვევის ჩაწერა საჭიროებს დაკვირვებულ თვალს და სწრაფი ჩაწერის უნარს, რომ დეტალები დაფიქსირდეს. ამ დროს უნდა ჩაიწეროს თუ ვინ არის ჩართული, რა, როდის და სად ხდება. ჩანაწერი უნდა გაკეთდეს სწრაფად და აკურატულად.

დაკვირვების ნარატიული ფორმის გამოყენებისას აღმზრდელის თვალები და ყურები ვიდეო კამერის ფუნქციას უნდა ასრულებდეს. ჩანაწერები იმ სურათს უნდა აღწერდეს, რასაც ხედავ, თამაშის, მუშაობის და ინტერაქციის დროს. უნდა ჩაიწეროს თუ როგორ კომუნიკაციას ამყარებენ ბავშვები - სულიერთია ვერბალურს თუ არავერბალურს, - როგორ გამოიყურებიან, რას აკეთებენ, როგორია მათი ჟესტები და მოძრაობები. ასევე იწერება მათი ურთიერთობა სხვა ბავშვებთან, უფროსებთან, მასალებთან. უნდა ჩაიწეროს რაც შეიძლება მეტი დეტალი. დაკვირვების პროცესისას მნიშვნელოვანია ჩაიწეროს მხოლოდ ობიექტური მტკიცებულებები. იმისათვის რომ იყოთ ობიექტური, მტკიცებულებამ, რომელსაც წერთ, ორი კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს: 1) უნდა აღწეროს დაკვირვებადი მოქმედება. ანუ, არ უნდა განახოგადოთ ბავშვების მოტივები, დამოკიდებულებები და განცდები, მაგალითად, მოწყვნილი იყოს ნაცვლად, მარტო იჯდა და სევდიანი გამომეტყველებით იყურებოდა; გაბრაზდას ნაცვლად, კოპები შეკრა და გვერდზე გაიხედა. 2) ჩაწერილი ინფორმაცია არ უნდა იყოს შეფასებითი და განსჯადი; ის არ უნდა მოიცავდეს ინტერპრეტაციას, თუ რატომ მოხდა ესა თუ ის მოვლენა, და არც იმას უნდა ასკენდეს, რომ რაც მოხდა არასწორი ან ცუდი იყო; მსჯელობა და დასკვნები არ უნდა იყოს მოცემული. ქვემოთ იხილეთ ნარატიული დაკვირვების მაგალითი:

„ნინი მოვიდა ბაღში დედაზე ხელჩაჭიდებული. იგი ნელა მიუახლოვდა თავის კარდას, გაიხადა ქურთუკი და ჩამოკიდა. მიუბრუნდა დედას და უთხრა - წადი სამსახურში. დედა ჩაეხუტა და უპასუხა - სამსახურის მერე კბილის ექიმთან წაგიყვან. ნინიმ შეხედა დედას და ტირილი დაიწყო. უპასუხა - არ წავალ ექიმთან, დავრჩები ბაღში. დედა ჩაეხუტა. ნინიმ გააგრძელა ტირილი და ჩამოკიდა დედას. აღმზრდელმა გამოიარა და ყურში უჩურჩულა ნინის. შემდეგ ხელი გაუწოდა და უთხრა - წამო ნინი, ჩვენ ახალი ბავშვი გყავს დღეს ბაღში. გიორგიმ ზაზუნა მოუყვანა. ნინიმ ტირილი შეწყვიტა და აღმზრდელს ხელი ჩაჭიდა. ერთად წავიდნენ ზაზუნას სანახავად. დედა ცოტახანს უყურებდა და შემდეგ დატოვა ოთახი“. ამ მაგალითში დასაკვირვებელი ქცევის მხოლოდ ობიექტური აღწერაა მოცემული. მტკიცებულებები არ მოიცავს არც ერთ ქვემოთ ჩამოთვლილს: მიზეზს, ემოციას, ახსნას, განცდას, მიზანს, მოტივს, საჭიროებას, ან სურვილს (2). თუ აღმზრდელი ახდენს ცალკეული შემთხვევების პერიოდულ ჩაწერას მთელი წლის განმავლობაში, მაშინ სხვადასხვა საშუალება გივრცობათ პროგრესის შესაფასებლად. ჩანაწერების სერია ძალიან მდიდარ დეტალებს იძლევა. ჩანაწერები შეიძლება ძალიან ღირებული იყოს პროგრესის, ძლიერი მხარეების, საჭიროებების და ინტერესების სანახავად.

შემთხვევის ჩანაწერების უპირატესობა და ნაკლი: ამ მეთოდის გამოყენებას აქვს როგორც უპირატესობა, ასევე ნაკლი. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ადვილი გამოსაყენებელია, რადგან არ საჭიროებს სპეციფიურ გარემოცვას ან დროის მონაკვეთს. შემთხვევის ჩანაწერებით შეიძლება გაკეთდეს მიმდინარე დაკვირვება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც კარგი მტკიცებულებაა ბავშვის ზრდისა და განვითარების პროგრესის საჩვენებლად. აღმზრდელს,

რომელიც წლის განმავლობაში აწარმოებს შემთხვევის ჩანაწერებს, მდიდარი მასალა უგროვდება ბავშვის პროგრესის შესაფასებლად.

ამ მეთოდს გარკვეული ნაკლიც აქვს. დასაკვირვებელი შემთხვევა დამოკიდებულია დამკვირვებლის ინტერესზე და სრული სურათი შეიძლება არ იყოს მოცემული, ანუ ის ჩაწეროს აღმზრდელმა, რასაც ის ჩათვლის ღირებულად. ჩანაწერები შეიძლება არ იყოს ყოველთვის ზუსტი და აკურატული. თუ დამკვირვებელი შემთხვევას დღის ბოლოს ჩაიწერს შეიძლება გაუჭირდეს ყველა დეტალის გახსენება და მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაიკარგოს.

**მიმდინარე ჩანაწერის** დროს იგივე ტექნიკა გამოიყენება, რაც შემთხვევის, ინციდენტის ჩაწერისას. ეს არის ფაქტობრივი, დეტალური, წერილობითი ანგარიში რაღაც დროის მონაკვეთზე. მოქმედებები აღწერილია, ფრაზები ციტირებული და მოცემულია რაც შეიძლება მეტი დეტალი. კომენტარები და ინტერპრეტაცია ჩაწერილის შესახებ ცალკეა მოცემულია და არ არის შერეული ანგარიშთან. მიმდინარე ჩანაწერის დროს დამკვირვებელი აკვირდება და იწერს რაღაც ერთ დროის მონაკვეთს და ფოკუსირებას ახდენს ან ერთ ბავშვზე, ან ერთ სათამაშო არეალზე. მიმდინარე ჩანაწერი ჩვეულებრივ იწერება მოვლენის პარალელურად, ხოლო შემთხვევის, ინციდენტის ჩანაწერი ამ მნიშვნელოვანი შემთხვევის შემდეგ მალევე. შემთხვევის ჩანაწერი პატარა მოთხრობის მსგავსია, დასაწყისით, შუით და დასასრულით. მიმდინარე ჩანაწერი კი შერეულია და გვაძლევს ობიექტურ, წუთიერ შთაბეჭდილებას გარკვეული დროის სეგმენტზე. იწერება ყველაფერი, რაც ამ დროის მონაკვეთში ხდება. რაღაც პერიოდის შემდეგ ჩანაწერი წყდება. ეს არ არის აუცილებელი მოხდეს მოვლენის დასრულების დროს. ეს პროცესი დროის რაღაც მონაკვეთში ვიდრე კამერის ჩართვა გამართვას ჰგავს [ნილსენი, 2004].

მიმდინარე ჩანაწერი საჭიროებს ძლიერ კონცენტრაციას და ყურადღების ფოკუსირებას. ამ დროს საჭიროა დამატებითი უფროსი ბავშვების მეტავალყურეობისთვის. მიმდინარე ჩანაწერი გამოიყენება ქცევის ან ქცევების დეტალურად ასაღწერად დროის ერთ მონაკვეთში. ერთ ბავშვზე დასაკვირვებლად. მიმდინარე ჩანაწერების გამოყენება შეიძლება განვითარების ყველა სფეროს გასაანალიზებლად. მაგ. ფიზიკური, სოციალური, ემოციური, მეტყველება, საკუთარ თავზე წარმოდგენა, ყურადღების კონცენტრაცია, პრობლემის გადაჭრის უნარები, მეხსიერება, სწავლების სტილი. მიმდინარე ჩანაწერები ოთახის რომელიმე სივრცის შესწავლაში დაგეხმარებათ - თუ რა ხდება ჩვეულებრივ რომელიმე სათამაშო სივრცეში ან არეალში.

მიმდინარე ჩანაწერის უპირატესობა და ნაკლი. მიმდინარე ჩანაწერი ეხმარება აღმზრდელს დეტალური ინფორმაცია შეინახოს დროის ერთ მოცემულ პერიოდზე. ერთ ჩანაწერში ჩანს განვითარების ბევრი სფერო. შეუძლია ამ მონაცემებით შეაფასოს ცენტრების ეფექტურობა.

რაც შეეხება ნაკლს, ვინც დაკვირვების ქვეშ არის გრძნობს ამ დაკვირვებას და შეიძლება შეცვალოს მოვლენის ბუნებრივი მიმდინარეობა. შეიძლება დაკვირვების დროს არ მოხდეს ის, რაც ჩვეულებრივ ხდება. დამკვირვებელი ვერ ხედავს, რა ხდება ოთახის სხვა ნაწილში. პროცესის ინტენსიურობის გამო დამდღელია დამკვირვებლისთვის [ნილსენი, 2004].

**ჟურნალი** - ხდება დღის განმავლობაში სპეციფიური, მოკლე ინფორმაციის ჩაწერა თითოეულ ბავშვზე. გამოიყენება ერთი ქცევის ან უნარის დასაკვირვებლად ყველა ბავშვთან მაგ.: „მარი-უყურებდა მამას ფანჯრიდან. ჩუმადაა, იტირა შუადღეს“; „ელენე-მოიყვანა ბებიამ, გაუშვა ოთახიდან ბებო. ეძინა“; „ნინი-არ იყო. უნდა დაფურცკა“

ჩვეულებრივ აღმზრდელს ახსოვს ძლიერი შთაბეჭდილებები ყოველდღიური პრაქტიკიდან. ჟურნალი ეხმარება აღმზრდელს ყველა ბავშვზე გააკეთოს მოკლე ჩანაწერი ერთი კატეგორიის ინფორმაციაზე. ეს მეთოდი შეგიძიათ გამოიყენოთ მთელი ჯგუფის კონკრეტულ უნარზე დასაკვირვებლად მაგ. მაკრატლის გამოყენება, ან რომელიმე მსხვილი მოტორული უნარი, მათმატიკური წარმოდგენა, წიგნიერება, ხატვა.

უპირატესობა და ნაკლი. ჟურნალი ჩანაწერების წარმოების ეფექტური მეთოდია. ეს არის სწრაფი და ადვილი გამოსაყენებელი. შესაძლებელია სპეციფიური ინფორმაციის ჩაწერა თითოეულ ბავშვზე. იძლევა მოკლე, ფაქტობრივ ინფორმაციას. შეიძლება ამ ინფორმაციის

ადვილად გადატანა სხვა ფორმაში. შეიძლება ამ ინფორმაციის მოგვიანებით გამოყენება შედარებისთვის. რაც შეეხება ნაკლს, შეზღუდული ინფორმაციაა, რომელიც კარგავს აზრს როგორც კი ბავშვები იზრდებიან, ან ეუფლებიან ახალ უნარებს.

**კითხვარები** - მონაცემების შეგროვების მეორე ფორმაა კითხვარები, სადაც მოცემულია ქცევების და უნარების ნუსხა, რომელიც გაერთიანებულია ან განვითარების ზოგადი სფეროების (მოტორიკა, მეტყველება, სოციალური და ა.შ.), ქვესფეროების (პროსოციალური, სოციალური თამაში), და/ან შინაარსობრივი თემატიკის (წერა, წარმოსახვა, წიგნიერება, შემოქმედება) ქვეშ. კითხვარებია ჩეკლისტები და რეიტინგული სკალები.

**ჩეკლისტები** გამოიყენება სპეციფიური ქცევის, თვისების არსებობა/არ არსებობის ჩასაწერად. ჩეკლისტები ადვილი შესავსებია და განსაკუთრებით კარგი გამოსაყენებელია, როდესაც საჭიროა სხვადასხვა ქცევაზე, უნარზე და სფეროზე დაკვირვება. ჩვეულებრივ ჩეკლისტი მოიცავს სპეციფიური ქცევების ნუსხას, რომელსაც უყურებ დაკვირვების დროს და აღნიშნავ მხოლოდ დასაკვირვებელი ქცევის თუ თვისების არსებობა/არ არსებობას. იმის მიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს, ჩეკლისტები შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის და სირთულის. ჩეკლისტის მოფიქრება და შედგენა შესაძლებელია განვითარების ნებისმიერ სფეროზე - ფიზიკური, სოციალური, ემოციური, და კოგნიტური. კარგად მოფიქრებული ჩეკლისტი ბევრ ინფორმაციას გვაძლევს ბავშვისა და ჯგუფის შესახებ.

ჩეკლისტების მოფიქრება და შედგენა ხდება ბავშვის ან ბავშვების ჯგუფის გამოსაკვლევად. სამიზნე ქცევები ლოგიკური თანმიმდევრობით არის ჩამოწერილი და ერთნაირი საკითხები დაჯგუფებულია. შესაბამისად, სწრაფად შეგიძლიათ აღნუსხოთ ქცევების/ინდიკატორების არსებობა ან არ არსებობა. მაგ.:

ბავშვის უნარის ჩეკლისტი			
#	ემოციური განვითარება	დიახ	არა
1.	. . . ბრაზს უფრო მეტად გამოხატავს სიტყვებით, ვიდრე ნეგატიური მოქმედებებით		
2.	. . . რთულ და სახიფათო სიტუაციებში ინარჩუნებს სიმშვიდეს		
3.	. . . სიყვარულს გამოხატავს სხვების მიმართ		
4.	და ა. შ.		

ჩეკლისტების უპირატესობა და ნაკლი. ჩეკლისტის ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ მონაცემთა შეგროვება არ არის დროში შეზღუდული. ინფორმაცია სწრაფად იწერება და შესაძლებელია პროგრამის ნებისმიერ დროს და ბევრ სიტუაციაში გამოყენება. ჩეკლისტის მონაცემების ინტერპრეტაცია კი ადვილია.

ნაკლი - არ მოიცავს დეტალურ ინფორმაციას. არ არის ისეთი მდიდარი როგორც ნარატიული ჩანაწერი. ფორმატის გამო კონკრეტულ ქცევებზე ხდება დაკვირვება და შედეგად ქცევის მნიშვნელოვანი ასპექტები შეიძლება გამოგვრჩეს, მაგალითად, როგორ ხორციელდება ქცევა, რამდენი ხანი. აქ მოცემულია მხოლოდ არსებობა ან არ არსებობა ქცევის.

**რეიტინგული სკალები** ჩეკლისტების მსგავსია, რომლის მიზანი სპეციფიური ქცევის აღნუსხვაა. რეიტინგული სკალები გამოიყენება დასაკვირვებელი ქცევის გამოვლენის ხარისხის ჩასაწერად. მაგრამ ამ დროს შეიძლება ობიექტურობა დაირღვეს დამკვირვებლის შეხედულებისამებრ.

უპირატესობა: ადვილი გამოსაყენებელია და ცოტა დროს საჭიროებს. ზოგიერთი სკალა მოიცავს რიცხობრივ სკალას, სხვები კი უფრო სპეციფიურად განსაზღვრავს ქცევას.

ნაკლი: ქცევის ფრაგმენტებს მოიცავს. რეიტინგული სკალის არჩევისას დამკვირვებელი

კარგად უნდა იცნობდეს დასაკვირვებელ ქცევას, რომლის ხარისხობრივ შეფასებასაც აკეთებს.  
მაგ.: ტიპური რეიტინგული სკალა - ფიზიკური განვითარება

	აქტივობა	ყოველთვის სწორად ასრულებს	ცდილობს/ ნაწილობრივ ასრულებს	საერთოდ ვერ ასრულებს
1.	დგას ცალ ფეხზე 2-3 წამის განმავლობაში			
2.	20 სმ სიმაღლიდან ხტება			
3.	შეუძლია თითისწვერებზე სიარული			
4.	კიბეებზე ფეხისმონაცვლეობით ადის			

**ცხრილები** - ცხრილების საშუალებით შესაძლებელია როგორც ერთი ბავშვის ასევე ჯგუფის კონკრეტული ქცევების სიხშირის დათვლა, მონაწილეობის ნახვა, დროის გაზომვა.

**მონაწილეობის ცხრილი** დგება სპეციფიურ ქცევაზე დასაკვირვებლად და ინფორმაციის მისაღებად. მონაწილეობის ცხრილი ჯგუფში სხვადასხვა მიზნებისთვის გამოიყენება, მაგალითად, თავისუფალი თამაშის დროს ბავშვების უპირატესი არჩევანის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. ზოგჯერ აღმზრდელები ნახულობენ, რომ ბავშვის არჩევანი არ შეესაბამება მის საჭიროებას. მაგალითად, ელენეს სუსტი თვალისა და ხელის კოორდინაცია აქვს, არადა იგი უმეტეს დროს ატარებს ზღაპრების მოსმენაში, მუსიკის მოსმენასა და სხვა ბავშვების თამაშის ყურებაში. იმისათვის რომ აღმზრდელმა ელენეს საჭიროება დააკმაყოფილოს, მან უნდა მოიფიქროს საინტერესო აქტივობები ხელოვნების ცენტრში, ან სამაგიდო აქტივობები - ფაზილის აწყობა, ან სხვა მანიპულაციური აქტივობები. ასეთი ტიპის აქტივობები და მასალები დაეხმარება ელენეს განვითაროს თვალისა და ხელის კოორდინაცია, რაც შემდგომ წერასა და კითხვაში დაეხმარება.

**სიხშირეების ცხრილის** გამოყენება შეგიძლიათ დასაკვირვებელი ქცევის გამოვლენის სიხშირის სანახავად. ცხრილში მოცემულია, როგორ შეიძლება გამოიყენო სიხშირეების ცხრილი მცირე ჯგუფში პროსოციალური და ანტისოციალური ქცევების დასათვლელად.

ქვემოთ მოცემული ქცევების ნუსხა, რომელთა დასაკვირვებლად შეგიძლიათ სიხშირეების ცხრილი გამოიყენება. მათი ზრდისა და შემცირების ნახვა შესაბამისი სტრატეგიების განხორციელების შემდეგ. მაგალითად:

- აგრესიული მოქმედებების შემცირება
- აღმზრდელის მხრიდან პოზიტიური წახალისების გაზრდა
- აღმზრდელის ჩარევის/დახმარების შემცირება
- მასალის არასასურველად ხარჯვის შემცირება
- დასჯითი ღონისძიებების შემცირება
- ჯგუფში უფროსის დომინანტური ხმის შემცირება
- კოოპერაციული თამაშის გაზრდა
- ბავშვის დონეზე საუბრის გაზრდა
- სასწავლო ცენტრის გამოყენების გაზრდა
- თვითმოვლის გაზრდა (ნილსენი, 2004).

ცხრილების უპირატესობა: ეს არის მონაცემთა რაოდენობრივი საზომი, იმის სანახავად, თუ რისი შეცვლის სტრატეგიაა განსახორციელებელი. ამგვარი ცხრილის შევსება სწრაფად ხდება და იგი ობიექტურად ზომავს ქცევის სიხშირეს.

ცხრილების ნაკლი: მხოლოდ სისწილის დათვლა გვიკარგავს დეტალებს. ზომავს მხოლოდ ერთი ტიპის ქცევას, რის გამოც შედეგი შეიძლება ძალიან სელექციური იყოს.

ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა საშუალებების ის ნაწილი, რომელსაც აქტიურად იყენებენ აღმზრდელები მონაცემების შესაგროვებლად და დასაკვირვებლად ადრეული განათლების პროგრამებში. აქვე საუბარი იყო თითოეული მათგანის უპირატესობასა და ნაკლებზე, მაგრამ აქცენტი უნდა გავაკეთოთ დადებითზე, რადგან ყველა ერთად სრულ წარმოდგენას გვაძლევს ბავშვზე და გვეხმარება მათი ინტერესების გათვალისწინებით ავაგოთ სააღმზრდელო პროცესი. ძალიან შედეგიანი არის როდესაც გავაკეთებთ ბავშვის ნამუშევრების გამოფენას და დავაკვირდებით ბავშვის ქცევას, ან კიდევ შევძლებს ვიდეო გადაღებას და შემდეგ გავუკეთებთ ანალიზს. ადრეული განათლების სფეროში დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვების ნებისმიერი ინსტრუმენტები გვეხმარება განუვითაროთ აღსაზრდელს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დასჭირდება სწავლების შემდგომ საფეხურზე.

#### ლიტერატურა:

1. დოლიძე ხ., ცინცაძე ნ., ბალანჩივაძე ი. და სხვა (2015). ბავა-ბადის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი
2. საიფერი ს., ბალანჩივაძე ი., ბაქრაძე თ. და სხვა (2015). სასკოლო მზაობის პროგრამა **თამაში** სწავლისა და განვითარებისათვის. თბილისი
3. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შეფასების ფორმა (2011). ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასებების ცენტრი
4. A. S. Epstein, L. J. Schweinhart, A. DeBruin-Parecki and K. B. Robin (2004). *Preschool Assessment: A Guide to Developing a Balanced Approach*
5. B.A. Nilsen (2004). *Week by Week: Documenting the Development of Young Children.*
6. J. Beaty (2006). *Observing Development of the Young Child*

Дали Футкарадзе, Иагор Баланчивадзе

#### Полевые наблюдения и инструменты сбора данных для раннего образования Резюме

Сбор данных, наблюдение, документация и оценка данных в области образования важны не только для изучения потребностей детей и поддержки развития, но и для оценки эффективности и эффективности программы. В программах раннего обучения различные средства используются для сбора и наблюдения за данными. В статье анализируются следующие аналитики: образцы, анкеты, таблицы. Вот преимущества и недостатки каждого из них.

Любые инструменты раннего наблюдения и сбора данных в раннем образовании помогают нам развивать навыки ребенка, который нуждается в нем на следующем этапе обучения.

**Dali Phutkaradze, Igor Balanchivadze**

**Early education field observation and data collection tools**  
**Abstract**

გარდატეხის ლიტერატურას, იგივე გარდამავალ პერიოდს საბჭოთა ლიტერატურიდან პოსტსაბჭოთა ლიტერატურაზე გადასვლას, წინ უსწრებდა საბჭოთა ლიტერატურის ფორმირების პროცესი, რაც ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის სახელწოდებით დამკვიდრდა. სოციალისტური რეალიზმის თეორიისა და სტრატეგიის არსის პრაქტიკული შედეგი სიღრმისეულადაა გააზრებული აკაკი ბაქრაძის წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“, სადაც მკვლევარი საბჭოთა მწერლობის ხანაში შექმნილ „პარტიულ ლიტერატურას“ ხედმიწევნით მიმოიხილავს და ხელოვნურად თავსმოხვეული იდეოლოგიის საფუძველზე შექმნილი ლიტერატურის სიღრმისეულ ანალიზს გვთავაზობს, ხოლო აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით ლიტერატორი მაია ჯალიაშვილი სოციალისტური რეალიზმის, როგორც დისკურსის პრინციპებს შემდეგი თანმიმდევრობით აყალიბებს: 1. პარტიულობა; 2. ხალხურობა; 3. ისტორიული ოპტიმიზმი; 3. სოციალისტური ჰუმანიზმი; 5. ინტერნაციონალიზმი.

ჩამოთვლილი პრინციპების დაცვით მწერლობა უნდა ჩამდგარიყო საბჭოთა იდეოლოგიისა და პარტიული ინტერესების სამსახურში. ლიტერატურას უნდა წარმოეჩინა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში ჩართული ადამიანი და შეექმნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნება, რამდენადაც „შემოქმედებითი თავისუფლება უპირველესად ორ აუცილებელ კომპონენტს გულისხმობდა – პირველი, მწერალს (საერთოდ ხელოვანს) უნდა ჰქონოდა საკუთარი კონცეფცია და მეორე – ზნეობრივი პასუხისმგებლობა. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი უარყოფდა ორივე კომპონენტს და შემოქმედებით თავისუფლებასაც" [ბაქრაძე, 1990: 35] შესაბამისად, სოციალისტური რეალიზმი საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში ტრადიციულ ღირებულებებს ფსევდოღირებულებებით ანაცვლებდა [ჯალიაშვილი, 2016: 154-162] და მნიშვნელოვნად ზღუდავდა ლიტერატურული თავისუფლების ფარგლებს [რატიანი, 2015: 123].

ლიტერატურა ხელისუფლებისთვის იქცა მასების მართვისა და მათი ღირებულებების ორიენტაციის განსაზღვრის იარაღად. მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაწილი დაემორჩილა შემოთავაზებულ პრინციპებს და ენერგიულად ჩაება „ახალი სახელმწიფოსა და საზოგადოების" შენების პროცესში, ხოლო მცირე ნაწილმა არ მიიღო შემოთავაზებული დისკურსი და სხვადასხვა ფორმებით ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას, რაც ხშირ შემთხვევაში მათი ფიზიკური განადგურებით სრულდებოდა.

მას შემდეგ, რაც პარტიულობის პრინციპის მიხედვით შექმნილმა შემოქმედებამ და საზოგადოებაში ხელოვნურად დანერგილმა ღირებულებებმა „საბჭოთა საზოგადოება უზნეობის ჭაობში ჩაძირა, მწერლობა გაუბედავად ალაპარაკდა სულიერ ფასეულობაზე, რადგან ადამიანის სულს მარქსიზმ – ლენინიზმმა ვერაფერი მისცა და ადამიანის დამშეული სამშვიინველი ისევ უკან, ქრისტიანობისკენ მიბრუნდა, მწერლობა იძულებული გახდა იქ ეძებნა ზნეობრივი იდეალი" [ბაქრაძე, 1990: 69–70] სწორედ „ზნეობრივი იდეალის" ძიებისკენაა მიმართული 1930-იანი წლებიდან მიმდინარე საბჭოური მოდელების ნაციონალური შინაარსით დატვირთვა. თუმცა, მსგავსი მოდელები გასაგებია მხოლოდ მკითხველთა შედარებით მცირე წრისათვის, მათთვის ვისაც გაცნობიერებული ქონდა ტოტალიტარიზმის ზემოქმედება. „ამ პერიოდში ეროვნული ორიენტაციის მკითხველისათვის (და ეს სწორედ მასობრივი და არა ელიტარული წრე იყო) ნაციონალური მსოფლმხედველობა და შესაბამისი შინაარსის მოდელები ერთადერთ რეალურ, არამარგინალურ სინამდვილეს წარმოადგენდა" [წიფურია, 2016:42].

სოციალისტური რეალიზმი საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლამდე გაგრძელდა, თუმცა გარკვეული ფორმაციითა და ფლექსიურობით, ხოლო 30-იანი წლებიდან დაწყებული ნაციონალური იდენტობის ძიების პროცესი გადავიდა 50-60-იანი წლების „დათბობის პერიოდისა" და 70-80-იანი წლების „უძრაობის ხანაში" [რატიანი, 2015:161], რაც ქართველ მწერლებს გამოხატვისა და რეპრეზენტაციის თავისუფლების მეტ საშუალებას აძლევდა. დათბობის პოლიტიკამ საშუალება მისცა საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს დასავლეთიდან შემოსული პროდუქტის ხილვისა და ტკბობის. შექმნილმა სოციალურმა ფონმა ხელოვნებას, კერძოდ ლიტერატურას, უბიძგა და გააჩინა განსხვავებული, სოციალისტური რეალიზმისთვის მიუღებელი სხვადასხვა დისკურსის მოდელები: ექსისტენციალური პროზა, სუბიექტივისტური დისკურსი, როგორც ანტისაბჭოთა ნარატივის შენიღბული მოდელი. მწერლები სრულიად განსხვავებულ ჟანრებს, მეთოდებსა და სტილისტურ მოდიფიკაციებს მიმართავენ, თუმცა პარალელურად, საბჭოთა დისკურსიც მოდერნიზებული ფორმით აგრძელებდა თანაარსებობას. [რატიანი, 2015: 173–178].

მოცემულ კვლევებზე დაყრდნობით იდეოლოგიისა და შემოქმედების ურთიერთთანაარსების ფონზე შესაძლებელია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში გამოკვეთილი ტენდენციების მიხედვით გამოვყოთ რამდენიმე ეტაპი: 20-იანი წლები: ლიტერატურა პარტიულობის დაცვის სამსახურში; 30–40- იანი წლები: ნაციონალური იდენტობის ძიება; 50–60 დათბობის პოლიტიკა და აღმოცენებული დისკურსები; 70-80-იანი წლების უძრაობის ხანა, გამოკვეთილი

ალტერნატიული კულტურული სივრცე, რომელიც ტიპოლოგიურად ქართული მოდერნიზმის სივრცეს უკავშირდება და ესთეტიკურად ნაციონალური ნარატივის სივრცის ალტერნატივას წარმოადგენს; 1990-იანი წლებიდან: პოსტაბჭოური, პოსტკოლონიური, პოსტმოდერნისტული ორიენტაციის ლიტერატურა;

ცხადია, ქართლი ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაციისა და ეტაპების საკითხს სხვადასხვა დროს იკვლევდნენ ქართველი ლიტერატორები<sup>1</sup>. მკვლევართა შორის საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ლიტერატორი ირაკლი კენჭოშვილი, მისი აზრით „პერიოდს სახელი ჩვენ კი არ უნდა დავარქვათ, არამედ იგი პერიოდმა უნდა გვიკარნახოს“ [კენჭოშვილი, 2007: 133] და გარდა ამისა, პერიოდიზაციის მკვლევართა მიერ შემუშავებული პერიოდიზაციის ყველა მეთოდოლოგიური მცდელობა ორიენტირებულია ქართული მწერლობის მიმართებაზე დასავლურ ქრისტიანულ კულტურასთან [რატიანი, 2015:52]. აღნიშნული თვალსაზრისისა და აქამდე არსებული ქართული ლიტერატურის ისტორიის ეტაპების სქემის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს 80 - დან 90- იან წლებამდე ლიტერატურული ეტაპისთვის გარდამავალი ხანის, იგივე გარდატეხის ლიტერატურის სახელდება, რამდენადაც ქართული ლიტერატურაში ამ ეტაპის განსაზღვრება ისტორიულ - პოლიტიკური კონტექსტისა და დასავლური გამოცდილების გააზრების საფუძველზე არ მომხდარა. აქ უპირველესად ვითვალისწინებთ ისტორიული კონტექსტს, საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლასა და საქართველოს სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ, სოციალური ცვლილებების კვალდაკვარ მიმდინარე ლიტერატურულ ტენდენციებს, რამდენადაც შემოქმედები ვერ აუვლიდნენ გვერდს რეალობის რეფლექსიას ლიტერატურაში.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ 80- 90- იან წლებში ამ პროცესების ინსპირაციითა და გადააზრებით შექმნილი ტექსტები ვერ მოექცევა პოსტსაბჭოთა ლიტერატურის ფარგლებში და ვფიქრობთ, ეს პერიოდი უმჯობესია შეფასდეს გარდამავალი ლიტერატურის სახელით, როგორც ხიდი ძველის გააზრებისა და ახლის გადაფასების მიჯნა. აქვე ვითვალისწინებთ აღმოსავლეთ გერმანიის ლიტერატურულ გამოცდილებას, სადაც 80-90-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების პარალელურად, გერმანიის გაერთიანებამ შექმნა ანალოგიური სივრცე ძველისა და ახლის სინთეზური ანალიზის და მოგვცა აურაცხელი, ზღვა ტექსტები ბერლინის კედლის რღვევამდე და შემდეგ, რამდენადაც მწერლების გარკვეული ნაწილისთვის დაიწყო ახალი ერა (Neue Zeit) და გამოიკვეთილი ისტორიული ფაზების (რევოლუცია, არჩევნები, ეკონომიკური გადატრიალება, კონსოლიდაცია და ა.შ.) კვალდაკვალ უნდა გაეაზრებინათ ადამიანის ბედი ახალ პოლიტიკურ რეალობაში, რაც რასაკვირველია ეფუძნებოდა ძველს და ითავსებდა ახალს თანმდევი დრამატულობითა და ექსპრესიულობით. ლიტერატურულ პერიოდს კი ეწოდა გარდატეხის ლიტერატურა (Wende Literatur).

ამდენად, ორი მნიშვნელოვანი არგუმენტად, თუ რატომ ვუწოდებთ 80-90 - იანი წლების ლიტერატურულ პერიოდს გარდამავალს, მიგვაჩნია: ისტორიული კონტექსტი, საბჭოთა კავშირის დაშლა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, იგივე გარდამავალი ხანა ერთ პოლიტიკური მოცემულობიდან მეორე პოლიტიკურ მოცემულობაში და ასევე, მცდელობა დასავლურ, კერძოდ აღმოსავლეთ გერმანიის ლიტერატურულ პროცესებთან მიერთებისა, რაც კომპარატივისტული თვალსაზრისით საინტერესო და მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანისკენ გვიბიძგებს.

<sup>1</sup> ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის საკითხის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს პროფესორი ირმა რატიანი აჯამებს წიგნის ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი ერთ-ერთ თავში: "კანონი, ლიტერატურული ისტორია და ქართული მწერლობის პერიოდიზაციის საკითხი"

**ლიტერატურა:**

ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა. მწერლობის მოთვინიერება. თბილისი: სარანგი, 1990

გრუბი 2006: TGrub F.G. "Wemde" und "Einheit" im Spiegel der deutschsprachigen Literatur. Berlin: Hubert und Co., 2016

კენჭოშვილი 2007: კენჭოშვილი ი. "გარდამავალი მეგაპერიოდი ქართულ ლიტერატურაში". წგ-ში: საერთაშორისო სიმპოზიუმის "ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები". მასალები. თბილისი: ნეკერი, 2007

რაციანი 2015: რაციანი ი. ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 2015

ჯალიაშვილი 2016: ჯალიაშვილი მ. "სოციალისტური რეალიზმი". ჭგ-ში ქართული ლიტერატურა: ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში. თბილისი: საარი, 2016

წიფურია 2016: წიფურია ბ. ქართული ტექსტი საბჭოთა/ პოსტსაბჭოთა/ პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016

**Tea Talakvadze**

**Трансформация грузинской литературы  
Резюме**

Периодизация истории грузинской литературы стала предметом многих исследователей. В этой статье далее рассматривается вопрос о состоянии современной грузинской литературы после постсоветского пространства, обсуждаются различные взгляды ученых по этому вопросу.

**Tea Takarvadze**

**Transformation of Georgian literature  
Abstract**

Periodization of the history of Georgian literature has become the subject of many researchers. In this article, the question of the state of modern Georgian literature is further analyzed after the post soviet space, the different scholars' views on this issue are discussed.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ხელაია

ლიტერატურათმცოდნეობა    Литературоведение    Literature

ნათია ნასარიძე

ქუთაისი, საქართველო

„ობიექტური კორელატები“ გიუნტერ გრასის რომანში  
„თუნუქის დოლი“

გიუნტერ გრასის შემოქმედებას თვითმყოფადი, სპეციფიკური ხასიათი გამოარჩევს, მას ყველასაგან განსხვავებული სტილი და წერის მანერა გააჩნია. მასთან ფორმა და შინაარსი ერთმანეთთან მჭიდროდ გადახლართულ ერთეულებს წარმოადგენს, რომლებიც წერის პროცესში ბუნებრივად და ერთდროულად წარმოიქმნება. ყოველი ფორმა წარმოქმნის შინაარსს და შინაარსიც თავადვე განაპირობებს ფორმას. გიუნტერ გრასზე, როგორც მწერალზე, დიდ ზეგავლენას ახდენს მისი გამოცდილება სახვით ხელოვნებაში. თითქოს ყოველი სიტყვა თუ საგანი მასთან ფერწერული ტილოს შექმნის მცდელობად მოიაზრება, იგი საგნებს თუ მოვლენებს გრაფიკოსის თვალით აკვირდება და ისე აღწერს. მასთან თითოეულ საგანს თუ ნივთს კონკრეტული დატვირთვა და მდებარეობა გააჩნია საერთო სურათში.

მეცნიერები მსჯელობენ იმის თაობაზე, რამდენად ღებულობს სიმბოლურ მნიშვნელობას გრასთან საგნები თუ მოვლენები. თავად მწერალმა ერთ-ერთ ამერიკელ კრიტიკოსთან საუბრისას კატეგორიულად განაცხადა, რომ სიმბოლოები მასთან არაფერ შუაშია, როცა იგი საუბრობს კარტოფილზე, გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ კარტოფილს. მაგრამ თვითონვე რომანში „Aus dem Tagebuch einer Schnecke“ წერდა, რომ ლოკაკინა მასთან პროგრესის სიმბოლოა. გიუნტერ გრასის შემოქმედების მკვლევარი გეორგ იუსტი გრასთან „ობიექტური კორელატების“ არსებობაზე მიუთითებს, რათა თავიდან აირიდოს სიმბოლოს ცნებასთან დაკავშირებული სირთულეები. თავად ცნება „ობიექტური კორელატი“ პირველად ტომას სტერნზ ელიოტიმ გამოიყენა თავის ერთ-ერთ თხზულებაში. ელიოტი ამ ტერმინს უწოდებს „საგნობრივ შესაბამისობას“ [ელიოტი, 1969: 98], სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს წყება საგნებისა, სიტუაციებისა, ჯაჭვი მოვლენებისა, რომლებიც რომელიმე სულიერი განცდის ფორმულად იქცევიან და მათი გამოჩენა უკვე ამ განცდის არსებობაზე მიუთითებს. ე. ი. გარეგნული მოვლენა და შინაგანი გრძნობა ერთმანეთის ადეკვატურია. „თუნუქის დოლი“ ჩნდება მთელი რიგი სულიერი განცდებისა, რომლებიც კონკრეტულ საგნებთან კავშირს ავლენენ, ისე რომ ხშირად რომელიმე საგანი თუ ნივთი ამა თუ იმ ფსიქიკური პროცესის მიმდინარეობას გვატყობინებს. ერთ-ერთ ლექსში „Diana – oder die Gegenstände“ მწერლის პოზიცია საგნებთან მიმართებაში აშკარად ფიქსირდება: „Als sie mich traf, traf ihr Gegenstand meine Seele, die ihr wie ein Gegenstand ist.“ ([http://www.beck-shop.de/fachbuch/leseprobe/9783423344463\\_Excerpt\\_001.pdf](http://www.beck-shop.de/fachbuch/leseprobe/9783423344463_Excerpt_001.pdf)).

ე. ი. გრასისათვის სულიც კი საგნობრივი ხდება. საგნებისადმი ასეთი დამოკიდებულება ჩნდება „თუნუქის დოლში“, სადაც საგნები ადამიანებზე უფრო სწორად კი ოსკარ მაცერატზე გარკვეულწილად ბატონობენ. საგნებს ძალუძთ ადამიანი აქციონ სუბიექტად, რომელსაც აიძულებენ, აცთუნებენ, უბრძანებენ. სუბიექტის შესაძლებლობების პროექცია საგნებში ამ შესაძლებლობის მატერიალიზებას უწყობს ხელს. ადამიანი ხდება დამოკიდებული საგნებზე. ფსიქიკურის კონკრეტიზება საგნებში ამ საგნების დინამიურობას იწვევს. საგნები ადამიანური ქმედების უბრალო სასცენო ფონად კი არ აღიქმება, როგორც ტრადიციულ ლიტერატურაში იყო, არამედ იგივენაირად წონადი ხდება, როგორც თავად ადამიანური სამყარო.

ოსკარის პერსპექტივა რომანში დომინანტურია, ჩვენც მისი პერსპექტივიდან აღქმული ინფორმაცია მოგვეწოდება, თუმცა მისი ხედვა და საგნებისადმი მისი დამოკიდებულება განსხვავდება მისი გარემომცველი, „ზრდასრულთა“ სამყაროს ხედვისაგან და მკითხველის მიერ აღიქმება, როგორც სასაცილო, თვალშისაცემი. თუ „ზრდასრული“ ადამიანები საგნებში ვერაფერს უყურებენ თუ არა უბრალო ნივთებს, რომლებიც საჭიროებისამებრ უნდა მოიხმარონ და რომლებიც მათ დაქვემდებარებაშია, ოსკარისათვის საგანთა სამყარო ცოცხლდება, იძენს თვითმყოფადობას, ავლენს ნებას, რომელსაც პროტაგონისტი მშვენივრად გეზულობს, მაგ. რისი გახსენება სურს დოლს და რისი არა. საგნებისადმი ზრდასრულთა დამოკიდებულებაში იკვეთება ე. წ. „ბიურგერული იდეოლოგია“, რომელიც გარემომცველ სამყაროს უყურებს მომხმარებლის პრიზმიდან და შესაბამისად, მისთვის უცხო არ არის ამ სამყაროს და მასში არსებული ნივთებისა თუ მოვლენების საკუთარ მიზანზე დაქვემდებარება. სწორედ ასეთი ხედვის წინააღმდეგ, კრიტიკული ინტენციით გამოდის გრასი, როცა იგი ოსკარს სამი წლის ასაკში ჩარჩენით ბიურგერული სამყაროსგან აუცხოებს და საგნებისადმი ახლებურ ხედვას აძლევს. სწორედ ასეთი გაუცხოებული მიდგომით სამყაროსადმი, ადამიანისადმი ქმნის მწერალი ახალ ენას, „თუნუქის დოლისეულ“ ენას, რომელიც ადამიანური კომუნიკაციის პოლარულ პოლუსს ქმნის და შინაგანი სამყაროს, წმინდა ცნობიერის გადმოცემას ვირტუოზულად ახერხებს.

საგნებისადმი ასეთ მიმართებას საფუძველში რუსული ფორმალისტური სკოლის, კერძოდ კი შკლოვსკისეული იდეა უდევს გაუცხოების ხერხების შესახებ. თავის თხზულებაში „ხელოვნება როგორც ხერხი“ (1917) შკლოვსკი გამოდის იქედან, რომ ლიტერატურული ნაწარმოების მიზანს წარმოადგენს ჩვეული ამოცნობისა და ავტომატიზირებული აღქმის წინააღმდეგ მიმართული „დეავტომატიზაცია“, რაც მიიღწევა ე. წ. „გაუცნაურების ხერხით“. შკლოვსკისეული „გაუცნაურება“ ესაა საგნისა თუ მოვლენის „ავტომატიზმიდან“ გამოყვანა და მისი უჩვეული, ახლებური აღქმა, „სემანტიკური გადაწევა“, რაც ფორმას ართულებს და აღქმას აუცხოებს (შკლოვსკი, 1990: 64). მასში დევს წინაპირობა ახალი, ესთეტიკური აღქმისა. გაუცხოების ფორმალისტური გაგება იქცევა ოსკარის მიერ სამყაროს აღქმის მთავარ პრინციპად, რაც თამაშის ხელოვნებად ჩამოყალიბდება რომანში. მაგ. როდესაც ოსკარი „ზრდასრულთა“ სამყაროს ებრძვის, ძალას პირდაპირ მათ წინააღმდეგ კი არ მიმართავს, არამედ შუშის მსხვერველს იწყებს. ე. ი. ბიურგერული სამყაროს იდეოლოგია ხორცს ისხამს და მატერიალიზდება შუშის სახით. სასიყვარულო ურთიერთობებიც კონკრეტული საგნების მეშვეობით რეალიზდება: მაგ. მარიასადმი სიყვარული შუშხუნა ფხვნილით, მედლა დროთეასადმი ქოქოსის ჭილოფით. ხანდახან ეს მატერიალიზება სუნის მეშვეობით ხორციელდება: მაგ. მარია ვანილის სუნთან ასოცირდება, როზვიტა დარიჩინის სუნთან, ხოლო გრეფებს ჩამოყალიბებულად მუავე სუნი გამოარჩევთ. ეს ლაიტმოტივური ატრიბუტიკა სუბიექტის ფუნქციას იღებს და პიროვნებას ჩაანაცვლებს. ხდება ფსიქიკურის მატერიალიზება. სული იქცევა საგნად, რომელიც დროით-სივრცული კატეგორიებით იზომება და რომელზეც მოქმედებს გარესამყაროს, ფიზიკური სამყაროს კანონები. თვალსაჩინოდ გამოდგება ოსკარის შეხედულება დედამისზე, სადაც სწორედ ხემოთქმული თეორიული მოსაზრება მართლდება: „თვალებით, რომლებიც თითქოს მიჩვეულნი არიან საგნებად აღიქვან გარშემომყოფი ადამიანები და საკუთარი სულიც კი, მაგალითად ყავის ჭიქა ან სიგარეტის წვერი“ [გრასი,

2012: 53]. ოსკარის ხედვაც დედამისის ხედვის ანალოგია, ისიც საგანთა სამყაროში ცხოვრობს. რეფლექსიის პროცესი მიმდინარეობს არა „გმირის“ ცნობიერებაში, არამედ ობიექტებსა და ცნობიერებას შორის, სადაც ცნობიერებაც მატერიალიზებულია. მოტივები, რომლებიც ქმედებებს განაპირობებენ, გვევლინება არა როგორც სუბიექტური იმპულსები, რომლებზეც სუბიექტი იქნებოდა პასუხისმგებელი, არამედ მოტივები იმალეა საგნებში, ხდება ობიექტები, რომლებზეც ვერ ბატონობს სუბიექტი. აქედან გამომდინარე სუბიექტის თავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია და შესაბამისად, მორალური პასუხისმგებლობაც ასეთი პერსპექტივისას არ არსებობს. სამყაროსა და საგნებისადმი სწორედ ასეთი მიდგომით აზრსმოკლებული ხდება „wollen“-ისა და „sollen“-ის დაპირისპირება პიროვნებაში. ოსკარი, როგორც წმინდა ესთეტი, გაურბის ნებისმიერ მორალურ პასუხისმგებლობას და უარს აცხადებს ზრდასრულთა სამყაროს წევრობაზე, რომელიც გულისხმობს სუბიექტის ნების თავისუფლებას და შესაბამისად, მის პასუხისმგებლობასაც. თვით თხრობაც კი მატერიალიზებულია რომანში, ოსკარი კი არ მოგვითხრობს თავისი ნებით რაც უნდა, არამედ ის მხოლოდ ფაქტებს გადმოსცემს, რასაც მას ფოტოალბომი, სხვა შემთხვევაში კი თუნუქი აიძულებს. ფოტოალბომში ფოტოსურათების მიმდევრობით გადაფურცვლა ანალოგიურია თხრობის პროცესის მიმდევრობისა. ფოტოალბომი ნივთად განხორციელებული თხრობაა. „მსოფლიოში ვის ან რომელ რომანს შეიძლება ჰქონდეს ფოტოალბომით ეპიკური სივრცე“ [გრასი, 2012: 47] აღნიშნავს ოსკარი. მას საკუთარი სუნიც კი გამოარჩევს: „ალბომს ტყავის ყდა გააჩნია და დაძველებასთან ერთად სულ უფრო იგრძნობა ტყავის სუნი“ [გრასი, 2012: 47]. თუნუქის დოლიც მატერიალიზებული თხრობაა, თან ამავედროულად მთხრობელიცაა, ოსკარის მოკარნახეც და დამხმარეც: „დღესაც შემიძლია ჩემი დოლის ჯოხების დახმარებით იმ თითის ყველა ნაწილი შევიგრძნო და მოვთვალო კიდევ... როგორც კი ... გახსენება მინდოდა, ... დოლზე დაკვრას ვიწყებდი, ამ გზით მეხსიერებას ვეხმარებოდი.“ [გრასი, 2012: 190]. როცა თხრობა მძაფრი და ტრაგიკულია, დოლი თავგამოდებით ბრახუნობს, ხშირად დაღეწილია კიდევ: „დოლი გაუტყდა, დოლი ვეღარაფერს ამბობდა, დოლს აღარც კი ახსოვდა...“ [გრასი, 2012: 231].

ტიუნტერ გრასისეულ „ობიექტურ კორელატებთან“ ერთი თვისება ხდება თვალშისაცემი. ისინი ძალიან ხელგონურად და გაანგარიშებულად არიან მოფიქრებულნი. რაც უფრო არაბუნებრივია კავშირი საგანსა და მის „ობიექტურ კორელატს“ შორის, მით უფრო დიდ სტილისტურ მომზადებას ითხოვს იგი მთხრობელისგან. „თუნუქის დოლში“ საგნები თხრობის პროცესში იძენენ „ობიექტური კორელატების“ ფუნქციას. როგორც აღვნიშნეთ ოსკარი გარე სამყაროსთან უშუალო კავშირს ვერ ამყარებს, იგი კომუნიკაციისათვის საჭიროებს საგნებს, ამიტომ ეს საგნები უფრო მეტს უნდა იტევდეს საკუთარ თავში, ვიდრე უბრალოდ მათი კონკრეტული მნიშვნელობაა. მათში ფსიქოანალიტიკურად უნდა იქნას გახსნილი წარმოსახვითი სამყაროს ფუნქციური დეტალები.

„თუნუქის დოლის“ „ობიექტურ კორელატებს“ შორის მნიშვნელოვანია გველთევზების, ფერების, დოლზე ბრახუნის და სხვა მრავალი მოტივები.

ვნების პარასკევს მაცერატების ოჯახი იან ბრონსკისთან ერთად ზღვის სანაპიროზე გაისეირნებს, სადაც ზვირთსაჭრელთან აღმოაჩენენ, რომ მოხუცი მტვირთავი თევზაობს. მალე იგი წყლის ზედაპირზე შავი ცხენის თავს ამოათრევს, რომელშიც გველთევზები დაფუთფუთობენ. ოსკარის დედას ამის დანახვაზე გული აერევა, იანი მას აწყენარებს, აღფრედ მაცერატი კი აღტაცებული ცდილობს მოხუცს რაც შეიძლება ნაკლებ ფასად დასტყუოს კარგი სადილი გველთევზების სახით. ერთი შეხედვით თხრობის ემპირიულ დონეზე უჩვეულო არაფერი მოსჩანს, მაგრამ თუ ფსიქოანალიზს მოვიშველიებთ, უკვე გველთევზა „ობიექტური კორელატის“ სახეს მიიღებს. ფსიქოანალიზის მიხედვით, გველთევზა მამრობითი სქესის სიმბოლური განსახიერებაა, სიზმრის სიმბოლიკის მიხედვით კი მისი ძილში დასიზმრება სექსუალური სურვილების გაღვივებაზე მიუთითებს. (<http://traum-deutung.de/aal/>) ცხენის შავი ფერი ტრადიციული ფერთა სიმბოლიკის მიხედვით, სიკვდილის ფერს წარმოადგენს.

შესაბამისი სიმბოლიკის გათვალისწინებით გიუნტერ გრასმა ეპიკურ კონტექსტში გველთევზები „ობიექტური კორელაციების“ ფუნქციით შემოიყვანა. სექსუალურობა და სიკვდილი აგნეს კოლიაინეკის, მოგვიანებით კი მედლა დოროთეას მხატვრულ სახეებში ერთმანეთს ერწყმის.

ორივე კონტექსტში კი სწორედ გველთევზები შემოდის. ვნების პარასკევის ეპიზოდში გველთევზები იან ბრონსკის და ალფრედ მაცერატს წარმოადგენს, ცხენის თავი კი აგნესის ნაცვლად გვევლინება. ასევე ფსიქოანალიზის მიხედვით, ცხენის თავი მდედრობითი სქესის სექსუალურ სიმბოლოს წარმოადგენს, არქეტიპულად მდედრობითი სქესის ცხენი სიცოცხლის, დიდი დედის სიმბოლო იყო, მხატვრულ ლიტერატურაში კი ცხენი ხშირად შეყვარებულის სიმბოლოდაც ქცეულა. (<http://www.symbolonline.de/index.php?title=Pferd>)

საინტერესოა რა მხატვრული საშუალებებით ახერხებს გრასი საგნების „ობიექტურ კორელაციებად“ ქცევას. ტექსტის ასეთი ინტერპრეტაცია ხდება არა ემპირიული მოქმედების დონეზე, არამედ უფრო ღრმა, შინაგან შრეში შეღწევისას. მწერალი სხვადასხვა არამოტივირებული ელემენტების ალოგიკური კავშირით, სტილიზირებული ციტატებით, ეპიზოდთა სიმულტანურობით, ალუზიებით, ლაიტმოტივური განმეორებებით ახერხებს სასურველი მიზნის მიღწევას. „დედას“ ამორალური, გულისამრევი ურთიერთობა ორ მამაკაცთან თავის „ობიექტურ კორელატს“ პოულობს გველთევზების ეპიზოდში. იქ უკვე ხილულად ერევა გული აგნეს კოლიაინეკს გველთევზების დანახვაზე, რომლებიც ცხენის თავში დასრიალებენ. „თავიდან პატარა, გაცოფებული, ღია მწვანე გველთევზები ხტებოდნენ... და როდესაც მტვირთავი ორივე ხელით ცხენს ხახაში ჩაუძვრა და ერთდროულად ორი, ხელის სისქის და სიგრძის გველთევზა ამოაძვრინა, პირი დედაჩემსაც მოერდვა: მთელი საუზმე ზვირთმჭრელის ქვაბზე ამოადებინა.“ (გრასი, 2012: 160). გულისამრევი ურთიერთობა გრასმა ხილულ გულის არეკად წარმოგვიდგინა და ამაში მას სწორედ „ობიექტური კორელატი“ გველთევზა დაეხმარა. ხსოვნამ ვნების პარასკევის გასეირნებაზე და ხელახალი გასეირნების შიშმა, ოსკარის აზრით, დედამისი სასიკვდილოდ გასწირა. ის, რაც მან შეიცნო, იყო ცხოვრების უაზრობა, ცხოვრებისა, რომელიც წრიულად მოძრაობს. ამ უაზრობის შეცნობაც საგნობრივად ხდება გრასთან: დედა უყურებს, როგორ იჭერს მტვირთავი გველთევზებს, რომლებიც ზღვის ფსკერზე დამხრჩვალ მებღვაურების გახრწნილი სხეულებით იკვებებიან და მათ სწორედ მებღვაურებზე ყიდის, რომლებიც მათ მიირთმევენ და ასე გრძელდება უსასრულოდ. დედა თავის სიკვდილით გადაწყვეტს ამ წრიულ ამოებას წერტილი დაუსვას და ჭამს გველთევზებს, რათა თავისთან ერთად მიწაში დამარხოს და ამით სიმშვიდე დამყარდეს: „მაგრამ დედას არ უღებინებია. ყველაფერი დაიტოვა, თან წაიღო, გველთევზის მიწაში ჩატანა უნდოდა, რათა ყველაფერი ამით დასრულებულიყო“ [გრასი, 2012: 174] გეორგ იუსტს მიაჩნია, რომ რადგან მარადისობის ეს წრებრუნვა სექსუალური სიმბოლოებით გამოიხატება ნაწარმოებში, ნიშნავს იმას, რომ გრასმა ამით სამყაროს განვითარების ფილოსოფიური პრინციპი ბიოლოგიურ სუბსტრატამდე დააკნინა [იუსტი, 1972: 138].

#### ლიტერატურა:

1. გრასი 2012: გრასი გ. თუნუქის დოლი. ფავორიტი პრინტი. თბილისი 2012.
2. გერსტენბერგი 1980: Gerstenberg R. Zur Erzähltechnik von Günter Grass. Carl Winter Universitätsverlag. Heidelberg 1980.
3. ელიოტი 1969: Eliot T. S. Essays II. Frankfurt am Main 1969.
4. იუსტი 1972: Just G. Darstellung und Appel in der „Blechtrömmel“ von Günter Grass. Athenäum Verlag. Frankfurt am Main 1972.
5. ნოიჰაუსი 1993: Neuhaus V. Günter Grass. Verlag J. B. Metzler. Stuttgart. Weimar 1993.
6. შკლოვსკი 1990: Шкловский В. Гамбургский счёт. Москва 1990.
7. შმიდტი 2014: Schmidt N. J. Konstruktionen literarischer Authentizität in autobiographischen Erzähltexten. Unipress. Göttingen 2014.

**ნათია ნასარიძე****«Объект коррелирует» в романе Гюнтера Грасса «The Tink of Dolly»****Резюме**

Творчество Гюнтера Грасса отличается уникальным, специфическим характером, который отличается стилем и стилем письма. Форма и содержание с ним тесно переплетаются друг с другом, которые возникают естественно и одновременно в процессе написания. Каждая форма создает контент, а сам контент формирует форму.

Гюнтер Грасс, как писатель, оказывает большое влияние на его творчество в искусстве. Как будто каждое слово считается попыткой создать живописную картину с ним, он или она видит вещи или события в глазах графики. Каждый предмет или предмет имеет конкретную нагрузку и местоположение в общем изображении.

**Natia Nasaridze****“Object Correlates” in Günter Grass’s novel “The Tink of Dolly”****Abstract**

Günter Grass’s creativity is distinguished by its unique, specific character, which has a different style and writing style. The form and content with him is closely intertwined with each other, which arise naturally and simultaneously in the process of writing. Each form produces the content and the content itself forms the form.

Günter Grass, as a writer, has great influence on his work in art. As if every word is considered as an attempt to create a pictorial painting with him, he or she sees things or events in the eyes of the graphic. Each subject or thing has a specific load and location in the overall picture.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ვასილევა

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

М. В. Михайлова, А. В. Назарова

Москва, Россия

## ТАЛАНТ, СЛАВА, СУДЬБА (РАЗМЫШЛЕНИЕ Е.Н. ЧИРИКОВА ОБ УЧАСТИИ ПИСАТЕЛЕВ РОССИИ)

*В статье рассматривается своеобразие пьесы Е.Н. Чирикова «За славой» (1902), посвященной конфликту творческой личности и прессы в царской России. В ней писатель одним из первых озвучил мысль о катастрофической зависимости художника от средств информации, которые по своему усмотрению способны с легкостью как создать, так и разрушить репутацию писателя, что вынуждает его следовать предписанной журналистом модели поведения и неизбежно лишает творческой свободы. Тем самым драматург затронул проблему, ставшую еще более актуальной в современном мире, – о роли и месте литератора в обществе, о всевластии СМИ, манипулирующих сознанием публики.*

Размышления о судьбе художника слова, его месте в жизни общества – одна из значимых тем русской литературы. Традиционно в читательском сознании писатель представлялся как «властитель дум» и «пророк», носитель оппозиционных власти настроений, образец достоинства и гражданского мужества. От него ждали обличения несовершенств окружающей жизни, защиты «униженных и оскорбленных», рецептов справедливого социально-политического переустройства государства, нравственного воспитания граждан. Но если он не соответствовал этим ожиданиям или же проводил некую собственную линию, не совпадающую с общедемократическими представлениями, то подвергался остракизму, как Н.С. Лесков, или записывался в лагерь противников прогресса, что произошло с Н.В. Гоголем и Ф.М. Достоевским. Их полемика с приверженцами радикальных идей вызвала волну негодования в кругах передовой интеллигенции, они шельмовались революционно-демократической критикой и журналистикой, а их произведения замалчивались либо интерпретировались односторонне и крайне негативно.

Не менее сурово относились рецензенты и к тем авторам, кто не соответствовал их литературным вкусам и созданному канону. Интересный пример в этой связи представляет фигура Евгения Николаевича Чирикова (1864–1932). Яркий художник рубежа XIX–XX веков и первой трети XX века (до революции дважды были изданы его собрания сочинений в 16 томах,

а в эмиграции он создал потрясающие эмигрантский мир роман-трагедию «Зверь из бездны» о Гражданской войне в России и эпопею «Отчий дом»), он был недооценен современной ему критикой, чье мнение так окончательно и не сформировалось. Доброжелатели ценили его как хорошего знатока провинциальной жизни и талантливый бытописателя, произведениям которого свойствен неподдельный юмор, недоброхоты упрекали за мелкотемье, отсутствие глубокого психологического анализа и подлинного философского содержания. В итоге он был отнесен к разряду беллетристов, и общий вердикт был таков: он не из тех писателей, «которых можно перечитывать» [1:275]. Сам художник в одном из писем не без грусти заметил по этому поводу: «Критики меня никогда не любили. <...> Только почему? Шекспиром я себя никогда не считал. <...> Уж, кажется, веду себя скромно, а вот поди же...» [2:152].

Осмысление причин столь пристрастного отношения к литератору пронизывает и художественное творчество Чирикова, причем его рефлексия почти не имеет аналогий в русской литературе этого периода. Важно отметить, что его интересовало не столько общественное звучание творчества художника, хотя и этому он придавал огромное значение, поскольку связал себя с демократической струей в литературе, сколько, если так можно выразиться, личная психология, внутреннее самочувствие человека, оказавшегося в литературной среде. Темы «писатель и его миссия», «писатель и семья» легли в основу замысла тетралогии Чирикова «Жизнь Тарханова», начатой в России и завершенной уже в эмиграции. В ней воссоздан процесс духовно-нравственного формирования человека, увлеченного литературой и решившего стать писателем. Его молодость пришлась на рубеж 1880–90-х годов, характеризовавшийся бунтарскими настроениями. Сначала Тарханов всецело погружен в них, а потом, разуверившись в революционных идеях, нащупывает свой путь в литературе.

Но подступом к этой теме и ее разрешению, которое выглядит как разочарование в писательском поприще – ведь служение литературе требует полной самоотдачи, что неизменно оборачивается утратой семьи, родственных связей и друзей, " может служить пьеса «За славой» (1902). Крах семейной жизни переживает молодой успешный драматург Николай Григорьевич Кронин, чей быстрый успех, а затем охлаждение публики к его творениям, приводят его к нервному срыву и моральному краху. Его жена, Вера Николаевна, не выдерживает скандалов и неожиданно обрушившейся нищеты и уходит от него. Финал остается открытым: Кронин узнает, что она ждет ребенка, но, по-видимому, не вернется к нему; его же физическое состояние внушает опасение (он серьезно болен).

Что же привело к такому исходу? И здесь Чириков касается острейшей проблемы: взаимоотношение творца духовных ценностей и прессы, роль газет, критических отзывов для репутации художника. Поэтому серьезную роль в создавшемся конфликте (желание славы, ее обретение, а затем исчезновение) играет сотрудник газеты «Молва» (многозначительное название!) Ухов. Он всеми возможными способами желает выведать детали биографии, семейные перипетии и творческие планы Кронина, чтобы сделать это достоянием публики и таким образом обеспечить рекламу. Причем сам Ухов прекрасно сознает, что «мы, маленькие труженики печатного слова, иногда бываем воленс-ноленс назойливы» [3:91], но не только без смущения признается в своей порой откровенно бестактной манере добывать новости, но даже бравирует ею. Когда же достоверных фактов не хватает, он с ловкостью их придумывает. В результате драматург живет в постоянном напряжении: от него ждут очередного шедевра, приходят неожиданные посетители, докучающие своим вниманием. Все это становится одной из причин его творческого кризиса. Тем самым Чириков напрямую связывает судьбу художника с той репутацией, которая формируется в печатных органах помимо его воли и во многом определяет мнение широких читательских и зрительских масс. А репутация во многом зиждется на случайности и сенсации.

О роли критики и газетных откликов рассуждают на страницах пьесы все персонажи, тем самым подготавливая зрителя к постижению драмы художника, который нуждается «в одобрении, как машина в смазочном масле», что делает его зависимыми и беззащитными перед лицом тех, кто «приготавливает» это «масло». «Успех, похвала, рукоплескания, – признается друг Кронина художник Козыренко, – это для нас то же, что поливка для комнатных растений» [3:72]. А бывший драматург, ныне обозреватель газеты «Северное слово» Стрельский утверждает, что «у нас критика имеет только два девиза: один – “в морду”, другой “ручку, пожалуйста”» [3:75]. Однако мысль, что «пусть лучше ругают, чем молчат...» [3:76], является их общим кредо. Ведь в таком случае имя творца у публики на слуху, а ее пристальный интерес и есть, по их мнению, залог его творческого долголетия. Подобное отношение к наделенному творческим даром человеку Кронин называет «надзором публики» [3:90].

Но главным надзирателем, как явствует из текста пьесы, все же является газетчик, который и формирует эту потребность видеть и знать все о восходящей звезде. Поэтому из уст Кронина вырывается такое признание: «Иногда мне кажется, что, написав свою драму, я совершил какое-то ужасное преступление, и вот теперь меня таскают на допрос к следователю» [3:91]. Но личная его трагедия как раз и происходит во многом потому, что, как только внимание публики переключается на кого-то другого, эти «допросы» прекращаются, и он чувствует себя забытым и ненужным. Этот парадокс точно подмечен Чириковым и придаст оригинальность конфликту пьесы.

Причиной, по которой Кронин внезапно выпадает из обоймы популярных авторов, становится фельетон, где Ухов, являющийся, очевидно, противником драматургии «настроений», безжалостно «отделал» [3:114] его последнюю пьесу, расценив ее как «декадентские выкрутасы». И этого оказалось достаточно, чтобы, как иронически заключает Вера Николаевна (кстати, заметим удачное обыгрывание имени героини: утратив свою Веру, Кронин теряет и веру в себя), из известного и выдающегося он теперь превратился просто в «небезызвестного» [3:120], то есть вышел в тираж.

Так, в этой пьесе Чириков одним из первых озвучил мысль о катастрофической зависимости художника от средств информации, которые, по сути, определяют его творческий настрой и самочувствие, моделируют его поведение. Обнаружив в газете основанное на сведениях из «достоверных источников» сообщение о том, что он «кончил новую драму» и «на этот раз она без всяких “претензий” и без “настроения”» [3:123], Кронин приходит в ужас, поскольку он ни к какой драме еще не приступал. Он чувствует себя в ловушке, ведь отныне вынужден действовать только так, как ему предписано кем-то, и не имеет права поступить иначе... Однако на примере бывшего драматурга Стрельского Чириков показывает, что и тот, кто идет на поводу у толпы, не всегда может претендовать на успех. Пьеса «Крокодиловы слезы» Стрельского с треском провалилась... И хотя остается неясным, приложил ли к этому свою руку Ухов, но некое подозрение сохраняется.

Таким образом, можно сделать вывод, что семейная драма, о которой говорилось вначале, составляет лишь внешний сюжет пьесы. А подлинная ее сущность – конфликт социально-психологический, вырастающий из драматичных отношений творческой личности и прессы, которая программирует будущее художника по своему усмотрению, отчуждает от него создаваемый им «продукт», превращая оный в забаву для толпы.

## Литература

1. Без подписи. Беллетристика // Русская мысль. 1900. № 8. С. 275–276.
2. Поссе В.А. Мой жизненный путь: Дореволюционный период (1864–1917 гг.) / Ред. и примеч. Б.П. Козьмина. М.–Л.: Земля и фабрика, 1929. 547 с.
3. Чириков Е.Н. За славой // Чириков Е.Н. Пьесы. СПб.: изд-во т-ва «Знание», 1904. Т. 4. 288 с.

**Maria V. Mikhailova, Anastasia V. Nazarova**

**The peculiarity of E. N. Chirikov's the play "For glory"**

**Abstract**

The article discusses the peculiarity of E. N. Chirikov's the play "For glory" (1902), devoted to the conflict of the creative personality and the press in tsarist Russia. In this play the writer was one of the first announced the idea of the catastrophic dependence of the artist from the media, which at its discretion can easily how to create and destroy the reputation of the writer, forcing him to follow a prescribed pattern of behaviour and inevitably deprives creative freedom. Thus, Chirikov has addressed the issue has become even more relevant in the modern world – about the role and place of the writer in society, about the omnipotence of the media, manipulating the public consciousness.

**Рецензент проф. Н. Квирикадзе**

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

მაია ნაჭყეჟია

ქუთაისი, საქართველო

„სელინჯერისეული ტრაგიზმი“ როგორც  
ინტერდისციპლინარული ავლევის ეულტუროლოგიური  
ასპექტი და მისი ავშირი სელინჯერისეულ ქვეტექსტთან

წინამდებარე სტატიაში განხილულია ჩვენ მიერ შემოტანილი „სელინჯერისეული ტრაგიზმის“ ცნება, რომელიც წარმოადგენს კონცეპტუალურ ჰიპოთეზას. საჭიროა, გავიაზროთ სელინჯერისეული ნაწარმოების სპეციფიკა, რომელიც გულისხმობს ჩვენი კვლევითის მნიშვნელოვანი ცნების – „ეგზისტენციალური ფრუსტრაციის“ (გ. ფრანკლი) – „ეგზისტენციალურ ტრაგიზმად“ (მ. ნ.) ტრანსფორმირებას. სელინჯერის ნოველაში „A Perfect Day for Bananafish“ („ბანანათევზის ამინდი“) წარმოდგენილი გმირი – კონკრეტულად კი – სიმორ გლასი – თავისი ბედითა და აღსასრულით – სწორედ სელინჯერისეული ტრაგიზმის გამოსატყულებად გვევლინება.

მოცემულ სტატიაში განვიხილავთ ისეთ ცნებას, როგორცაა „სელინჯერისეული ტრაგიზმი“ და მისი ავშირი ჯ. დ. სელინჯერის მოკლე მოთხრობის „A Perfect Day for Bananafish“ ქვეტექსტთან.

იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ „სელინჯერისეულ ტრაგიზმზე“ და, რაც მთავარია, გამოვიყენოთ ეს ცნება სელინჯერისეული ნოველის ისეთი ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისთვის, რომლის ფარგლებში განხორციელდება ნომინაციისა და ეგზისტენციის ფენომენტო სინთეზი, რაც ჩვენი კვლევითის არსებითი მნიშვნელობისაა, აუცილებლად მიგვაჩნია, პირველ რიგში, დავსვათ შემდეგი კითხვა: როგორ უნდა იქნას დანახული შინაგანი ავშირი ისეთ ორ ცნებას შორის, როგორცაა ერთის მხრივ ეგზისტენციალური ფრუსტრაცია, მეორეს მხრივ კი ტრაგიზმის ცნება? მაგრამ, სანამ შევეცდებოდეთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, საჭიროდ მიგვაჩნია თვით ამ კითხვის ამგვარად დასმის შინაგანი ლოგიკის განმარტება. ამ განმარტებას კი, ჩვენი აზრით, უნდა ჰქონდეს შემდეგი ეტაპობრივი სტრუქტურა: ა) უპირველეს ყოვლისა, განმარტებული უნდა იქნას თავად სიტყვათშეხამება „სელინჯერისეული ტრაგიზმი“ იმ თვალსაზრისით, რომ ამ განმარტების ფარგლებში ერთმანეთს დაუკავშირდეს ერთის მხრივ სელინჯერისეული ნოველის მოდერნისტული არსი, მეორეს მხრივ კი ის ანალიტიკური როლი, რომელიც ხსნებულმა ცნება-სიტყვათშეხამებამ უნდა შეასრულოს ჩვენი კვლევის ფარგლებში;

ბ) იქიდან გამომდინარე კი, რომ ჩვენ ვუკავშირებთ ჩვენს კვლევას ისეთი თანამედროვე მოაზროვნის სახელს, როგორიცაა **ვიქტორ ფრანკლი**, აუცილებლად მიგვაჩნია გავიაზროთ შესაძლო შინაგანი კავშირი ისეთ სიტყვათშეხამებითად გამოხატულ ცნებას შორის, როგორიცაა **„ეგზისტენციალური ფრუსტრაციის“** ფრანკლისეული ცნება და **„სელინჯერისეული ტრაგიზმის“** ის ცნება, რომლის საშუალებითაც გვსურს, დავინახოთ სელინჯერისეული ქვეტექსტის შინაგანი კავშირი მოდერნისტული მხატვრული კულტურის შინაგან დინამიკასთან; გ) და იმის შემდეგ, როცა უკვე განხორციელებული იქნება „სელინჯერისეული ტრაგიზმით“ ნაგულისხმევი ხსენებული ორი შინაარსობრივი მომენტი, შესაძლებელი და აუცილებელიც გახდება იმის გარკვევა, თუ რას იძლევა კვლევითი თვალსაზრისით **„სელინჯერისეული ტრაგიზმის“** ცნება ისეთ ლინგვოკულტუროლოგიურ კონტექსტში, რომელიც ინტერდისციპლინარულად უკავშირებს ერთმანეთს **ნომინაციისა და ეგზისტენციის** ფენომენებს.

როგორც დასაწყისშივე ითქვა, აუცილებელი იქნება „სელინჯერისეული ტრაგიზმის“ დაკავშირება ვიქტორ ფრანკლისთვის ისეთ მნიშვნელოვან ცნებასთან, როგორიცაა **„ეგზისტენციალური ფრუსტრაციის“** ცნება; ჩვენი კვლევის კულტუროლოგიურ ასპექტს ვუკავშირებთ სწორედ ამ მოაზროვნის მიერ დაფუძნებულ **ეგზისტენციალურ ანალიზს (ვიქტორ ფრანკლი - „ეგზისტენციალური ანალიზი“)**. მაგრამ, ამავე დროს, მიგვაჩნია შემდეგიც: იმისათვის, რომ მთლიანად და ადეკვატურად იქნას გააზრებული მოდერნისტული მხატვრული კულტურის სელინჯერისეული ეტაპი, აუცილებელია ხსენებული ეტაპი ადვილად ისეთი ფართო სულიერ-კულტურული ცნების ფონზე, როგორიცაა **„ტრაგიზმის“** ცნება. მხოლოდ „ტრაგიზმის“ ცნებას ძალუძს ისეთი ორი ფენომენის ადეკვატურად ურთიერთდაკავშირება, როგორიცაა **„ნომინაცია“** და **„ეგზისტენცია“**. შესაბამისად კი ვფიქრობთ, ჩვენთვის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს **ტრაგიზმის (თუ ტრაგიკულის) შემდეგნაირ ზოგად განსაზღვრას: „ტრაგიკულობა (ანუ ტრაგიზმი – მ.წ.) წარმოადგენს ისეთ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ კატეგორიას, რომელიც ასახავს ცხოვრების იმ დამღუპველ და აუტანელ ასპექტებს, სინამდვილის იმ გადაულახავ წინააღმდეგობებს, რომლებიც ხელოვნებაში წარმოგვიდგებიან გადაულახავი კონფლიქტის სახით“** [ლიუბიმოვა 2010: 85]. რა თქმა უნდა, ტრაგიზმის ამ ზოგადმა გაგებამ გარკვეული ევოლუცია განიცადა საუკუნეების განმავლობაში, რომელსაც ბოლომდე ვერ მივყვებით ჩვენი სტატიის ფარგლებში, თუმცა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი გარემოება: **„მეოცე საუკუნეში ტრაგიკულობა გაგებულია როგორც ადამიანის არსებობის ეგზისტენციალური დახასიათება“** (იქვე). ვფიქრობთ, კვლევის ამ ეტაპზე ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომელიც, ჩვენი აზრით, ლაკონურად, მაგრამ ადეკვატურად გამოხატავს ტრაგიზმის არსს: თანამედროვე ეპოქაში ტრაგიზმის გაგება შეუძლებელი ხდება **ეგზისტენციის ცნებაზე** დაყრდნობის გარეშე.

მაგრამ, რა თქმა უნდა, აუცილებელია – და ამას მოითხოვს თავად ჩვენს მიერ უკვე ზემოფორმულირებული კონცეპტუალური ჰიპოთეზა – დავამყაროთ კავშირი ისეთ ორ ცნებას შორის, როგორიცაა, ერთის მხრივ, **ტრაგიზმის** ხემოგანხილული **ზოგადი ცნება**, მეორეს მხრივ, კი **ეგზისტენციალური ფრუსტრაციის ფრანკლისეული ცნება**. და რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ მართლაც აუცილებელია ამ ორ ცნებას შორის ამგვარი კავშირის დამყარება? ამ კითხვაზე საბოლოო პასუხი გვექნება, ალბათ მაშინ, როცა მეტნაკლებად დასრულებული გვექნება სელინჯერის იმ ნოველის ინტერდისციპლინარული ანალიზი, რომლითაც იწყება მისი ნოველათა ციკლი (ანუ მისი პირველი ნოველა „A Perfect Day for Bananafish“) [სელინჯერი 1976: 3]. საჭიროდ მიგვაჩნია ფრანკლისეული **„ეგზისტენციალური ფრუსტრაციის“** როგორც კონცეპტის შინაარსობრივი მომენტების გამოყოფა; ეს მომენტებია:

1) პირველ რიგში, უნდა მივუთითოთ ფრანკლისეული **„ეგზისტენციალური ფრუსტრაციის“** ფუძემდებელ კავშირზე ისეთ ფენომენტთან, როგორიცაა **„სწრაფვა საზრისისკენ“**. როგორც ფრანკლი ამბობს, **„ჩვენს დროში ბევრი ადამიანის სწრაფვა საზრისისკენ ვერ აღწევს თავის მიზანს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანები იტანჯებიან თავიანთი არსებობის უაზრობის განცდისაგან, ანუ იმ განცდისაგან, რომელსაც უნდა ვუწოდოთ „ეგზისტენციალური ფრუსტრაცია“** [ფრანკლი 2009: 67];

2) მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფრანკლთან „ეგზისტენციალური ფრუსტრაციის“ ცნება უკავშირდება ისეთ ცნებას, როგორცაა „ეგზისტენციალური ვაკუუმი“: „როცა ადამიანი იტანჯება ეგზისტენციალური ფრუსტრაციისაგან, მან აღარ იცის, თუ რით შეავსოს ეს ეგზისტენციალური ვაკუუმი“ (ანუ ეგზისტენციალური სიცარილე – მ.ნ.);


3) და, როგორც ფრანკლს მიაჩნია, „უფრო ხშირად „ეგზისტენციალური ფრუსტრაცია“ იქნეს ფარულ, ანუ ლატენტურ ფორმას“ (იქვე).

„ადამიანი განიცდის სიცარიელის შიშს, ანუ "horror vacui"-ს, და ამ შიშს იგი განიცდის არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ, ასევე, ფსიქოლოგიურ დონეზე“ (იქვე, გვ: 70). ამ თვალსაზრისით, ჩვენის აზრით, მნიშვნელოვანია ხემოხსენებული „ეგზისტენციალური ფრუსტრაციის“ შემდეგი ფრანკლისეული განმარტება: „ეგზისტენციალურ ფრუსტრაციას, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, საზრისისაკენ აუსრულებელ სწრაფვას არაფერი აქვს საერთო ავადმყოფობასთან, რადგან საზრისისაკენ სწრაფვა წარმოადგენს ადამიანის ბუნებრივ სურვილს – შეიტანოს საზრისი თავის არსებობაში. ამიტომაცაა, რომ ამ სწრაფვის სტიმულირება მედიკამენტების საშუალებით შეუძლებელია“ [ფრანკლი 2009: 71]. ფრანკლი ცდილობს დაინახოს ეგზისტენციალური ფრუსტრაციის ფენომენი ზოგადად ადამიანური სინამდვილის მთელი რეალობის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით კი იგი წერს: „homo sapiens, ანუ გონიერი ადამიანი არსებობს სამი იპოსტასით: როგორც homo faber, ანუ როგორც რაღაცის შემქმნელი, ადამიანი რომელიც თავისი სიცოცხლის საზრისს შრომაში ხედავს; როგორც homo amans, ანუ როგორც მოსიყვარულე ადამიანი, რომელიც სიცოცხლის საზრისს სიყვარულში ხედავს და როგორც homo patiens, ანუ როგორც ტანჯული ადამიანი“ [ფრანკლი 2009: 73].

იქიდან გამომდინარე, რომ სელინჯერთან საქმე გვაქვს არა მხოლოდ ადამიანის ამ ბოლო ტიპთან – რაც თავისთავად ცხადია – არამედ ასევე მოდერნისტული სინამდვილით ნაგულისხმევ (თითქმის) მთელ ადამიანურ სინამდვილესთან, საჭიროდ მიგვაჩნია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ ახდენს ფრანკლი ადამიანთა წარმოდგენილი ტიპოლოგიის მოდელირებას:

თავად ფრანკლი შემდეგნაირად განმარტავს ხემოთმოცემულ გრაფიკულ მოდელს: homo faber აფასებს თავის ცხოვრებას პორიზონტალური შკალით, ხოლო homo patiens კი – ვერტიკალური შკალით. ასე რომ, „შინაგანი ჰარმონიის“ კატეგორია უსწრებს „წარმატების“ კატეგორიას. შეიძლება ითქვას, რომ homo patiens-ს შეუძლია მიაღწიოს შინაგან ჰარმონიას წარუმატებლობის შემთხვევაშიც. მისთვის „წარუმატებლობა“ არ გამორიცხავს „შინაგან ჰარმონიას“, „წარმატება“ კი არ გამორიცხავს „სასოწარკვეთილებას“ [იქვე].

სქემა №1



სელინჯერის ნოველაში ფრანკლისეული წარუმატებლობა შეიძლება შევადაროთ ნოველის ფინალში გამოხატულ მთავარი მოქმედი პერსონაჟის (ანუ სიმორის) ბედს – კონკრეტულად კი – თვითმკვლელობას. თუმცა ეს "წარუმატებლობა" ანუ თვითმკვლელობა არ გამოირიცხავს "წარმატებასაც" – სიმორისთვის ეს თვითმკვლელობა ერთგვარი გამოსავალია შექმნილი სიტუაციიდან, მისი აზრით ესაა ერთადერთი "ხსნა".

როგორც ვხედავთ, სიმორის თვითმკვლელობა მოთხრობაში ესაა სელინჯერისეული ტრაგიზმის რეალური გამოხატულება, რომელიც ასევე ქვეტექსტურად უკავშირდება მოთხრობაშივე ასახულ **ბანანათევზის** ამბავს, რომელიც ამავედროულად იღუპება.

#### ლიტერატურა:

1. მატარაძე ნ., „მხატვრული დეტალი როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და ქვეტექსტური სემანტიკა მეოცე საუკუნის მხატვრულ ციკლში“, ავტორეფერატი, თბილისი, 2005.
2. ჩიგოგიძე ე., „სიმბოლური ნომინაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და სიმბოლურ-სემანტიკური ველი მხატვრულ ნარატიულ ციკლში“, ავტორეფერატი, თბილისი, 2005.
3. Braak I., “Poetik in Stichworten”, Verlag Ferdinand Hirt, Wien, 1966.
4. Salinger, J.D. – “Nine Stories”, A Bantam Book/published by arrangement with Little, Brown, and Company, Inc. 1976.
5. Кожина М. Н., "Дискурсный Анализ и функциональная стилистика с речеведческих позиций", Текст-Дискурс-Стиль, СПб., 2004.
6. Любимова Т. В., "Трагическое, Новая Философская Энциклопедия, том четвертый", Мысль, Москва, 2010.
7. Франк В.Э., <<Страдания от бессмысленности жизни>>, Сибирское университетское издательство, 2009.

**Maia Nachkonia**

«Трагизм Сэлинджера» как «модернистский дискурс»

#### Резюме

В представленной статье мы имеем дело с введенным нами термином «Трагизм Сэлинджера». Этот термин-понятие является нашей концептуальной гипотезой, насколько это должно помочь нам понять внутреннюю связь между такими двумя явлениями, как «модернистский дискурс» в его общем и широком смысле, а также работы Сэлинджера. Восприятие этой связи поможет нам понять специфику работы Сэлинджера, что означает превращение понятия «экзистенциальная фрустрация» (В.Франкл) в понятие «экзистенциального трагизма» (М.Н.). Главный герой, представленный в рассказе Сэлинджера «Совершенный день для бананафиша», а именно - «Сеймур Гласс» - с его судьбой и трагическим концом - является самой реализацией трагизма Сэлинджера.

Maia Nachkepia

**"Salinger's Tragicizm" as a culturological aspect of interdisciplinary research****Abstract**

In the presented article we deal with the term-notion “Salinger’s Tragicizm” brought in by us. This term-notion is our conceptual hypothesis as much as it should help us perceive the inner connection between such two phenomena as “**modernist discourse**” in its general and wide meaning and **Salinger’s works**. Perceiving this connection will help us realize the specific character of Salinger’s work, which means transforming the notion of “**existential frustration**” (**V. Frankl**) into the notion of “**existential tragicizm**” (**M. N.**). The main character introduced in Salinger’s short story “A Perfect Day for Bananafish,” namely - **Seymour Glass** – with his fate and tragic end - is the very realization of **Salinger’s tragicizm**.

რეცენზენტი: პროფ. ტ. სიმიანი

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

თამარ ოსიძე

თბილისი, საქართველო

ბიბლიური ალუზიის, როგორც ქვეტექსტის წარმომქმნელი  
ინტერტექსტის თარგმანში ტრანსფორმაციისათვის  
(დევიდ ჰერბერტ ლორენსის მოთხრობის "The Shadow in the Rose  
Garden" ერთი ფრაგმენტის ქართულ თარგმანთან შეპირისპირების  
საფუძველზე)

ინტერტექსტუალობა, როგორც მნიშვნელობის წარმომქმნელი მექანიზმი, ტექსტთაშორისი ურთიერთქმედებით ბადებს ასოციაციათა ჯაჭვს. მართალია, ტექსტი, როგორც „განდევნის მექანიზმი“, წინააღმდეგობას უწევს უკვე არსებული ტექსტების შემოქმედებას, მაგრამ ახალი ტექსტის წარმომშობი გონება მაინც ინახავს მათი მეშვეობით განცდილ შთაბეჭდილებებს.

ამ თვალსაზრისით, ლორენსის ტექსტები მართლაც „მეხსიერების მანქანად“ [კინწურაშვილი 2009:57] წარმოგვიდგება. ეს მანქანა, მწერლის სუბიექტური მსოფლადქმედან გამომდინარე, ეპოქალური კონტექსტის პრიზმაში გაატარებს და გადაამუშავებს სხვათა ტექსტებისაგან მანამდე მიღებულ შთაბეჭდილებებს – იქნება ეს ბიბლია, მითოსი, ფრაიდის ნააზრევი თუ ნიცშეს შემოქმედება.

დევიდ ჰერბერტ ლორენსის ცნობიერება სიყმაწვილეში ისე გაჯერდა ბიბლიური სინამდვილით, რომ მთელი კრიტიკული განწყობა, რაც მას წლების განმავლობაში ეუფლებოდა ბიბლიის დოგმატური განმარტებების მოსმენისას, შემდგომში აისახა მწერლის როგორც მხატვრულ, ისე არამხატვრულ შემოქმედებაში, რომელიც რელიგიურ გავლენებზე რეაქციის ერთგვარ ასპარეზად წარმოგვიდგება.

**ბიბლიური ალუზია**, სხვა დანარჩენებისაგან გამოირჩევა იმით, რომ ხანგრძლივად ინარჩუნებს აქტუალობას დროსა და სივრცეში. ეს ფაქტორი მისი სტილისტური სიძლიერის ნიშნადაა მიჩნეული. ზოგადად კი – „ალუზიის ტექსტში რეალიზაციის პროცედურა წარმოგვიდგება როგორც ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ მოვლენათა წყება, რომელთა განხორციელების დინამიკაც შეიძლება შემდგენიარად წარმოვიდგინოთ (იმის დაშვებით რომ პრესუპოზიცია არსებობს)

1. ალუზიური სიტყვა-სიგნალის ამოცნობა;
2. ასოციაცია ანდა ასოციაციათა ჯაჭვი;

3. დეკოდირება ანუ ასოციაციურ ინფორმაციასა და კონტექსტურ ინფორმაციას შორის ურთიერთკავშირის ხასიათის დადგენა და **ახალი ინფორმაციის მიღება**;

4. **ინტერპრეტაცია** ანუ მიღებული ახალი ინფორმაციის აღქმა მიკრო და მაკრო კონტექსტების ფონზე.“ [მარტაშვილი, 2010: 39]

აღუზიის ტექსტში რეალიზაციის პროცედურის ჩამოთვლილი ოთხი ეტაპიდან თარგმანის ანალიზისას განსაკუთრებით აქტუალურია მესამე და მეოთხე ეტაპები ანუ ორგვარი კონტექსტის ურთიერთკავშირით ახალი ინფორმაციის მიღება, კერძოდ ტექსტის ინფორმატულობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვეკატეგორიის – ქვეტექსტის წარმოშობა და ინტერპრეტაცია, რომელიც, თავის მხრივ, თარგმნის პროცესის ორგანული ნაწილია. მომეტებულ ინტერესს იწვევს ბიბლიური აღუზიის უნარი, წარმოშვას ორშრიანი ქვეტექსტი, რასაც განაპირობებს ბიბლიური ტექსტის მეტაფორულ-იგაფური თავისებურება, რაც, თავის მხრივ, უკვე გულისხმობს ქვეტექსტის არსებობას დასამოწმებულ ტექსტში. მისი მეორეული გამოყენება კი უზრუნველყოფს ბიბლიური ქვეტექსტის ახალი ნაწარმოების ქვეტექსტზე დაშრეებას. „The Tree of Heaven“<sup>1</sup> ლორენსის მოთხრობაში „The Shadow in the Rose garden“ წარმოადგენს ბიბლიურ აღუზიასიმბოლოს, ამიტომ მისი ამოცნობა შედარებით მარტივია და ამგვარი სტილისტური ხერხის გადატანა თარგმანშიც არ უნდა გაძნელებულიყო.

დევიდ ჰერბერტ ლორენსის განსაკუთრებულად თამამი ინტერპრეტაციის სამიზნეს წარმოადგენდა დაბადების წიგნი ძველი აღთქმიდან. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა მთელს მის როგორც პოეტურ, ისე პროზაულ შემოქმედებაში ერთი დიდი აღუზიაა ადამისა და ევასი, რომელთა მრწამსს, პირადი რელიგიიდან გამომდინარე, ინგლისელი მწერალი ახლებურად გადაიაზრებს.

ისევე როგორც მოთხრობაში „The Shadow in the Rose Garden“, კიდევ ბევრგან თავის მხატვრულ შემოქმედებაში ავტორი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ვაშლის ნაყოფის გასინჯვაზე, რომელიც, მისი წარმოდგენით, ტანჯვის დასაწყისთან არ უნდა ასოცირდებოდეს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ რომანში „Sons and Lovers“ (ითვლება, რომ ამ ნაწარმოებით ავტორმა სრულად გააცნობიერა „საკუთარი რელიგია“, შეასხა რა მას ხორცი მხატვრული ფორმით.) პოლ მორელი ბიბლიის დაბადებისეულ ეპიზოდს ამგვარად ავითარებს: ადამი განრისხებული იყო და აინტერესებდა, რა ჯანდაბად ატყდა მთელი ეს აყალმაყალი – ნუთუ ვაშლის ერთი მოკბენვის გამო? – რომ მოენდომებინათ, ასე ჩიტებიც კი ამოკორტინდნენ ხილსო, - ამბობს მთავარი პერსონაჟი. საინტერესოა, რომ რედაქტორმა, ედუარდ გარნეტმა, სწორედ ეს ეპიზოდი ამოჭრა ნაწარმოებიდან, როგორც ჩანს, ამ განცხადების რელიგიური თვალსაზრისით თამამი ხასიათის გამო [Wright, 2009:46] მოთხრობის „The Shadow in the Rose Garden“ ჩვენ მიერ განსახილველ პასაჟშიც ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი თავდაჯერებულად და მადიანად კბენს ვაშლს, რომელიც, მისდა გასაკვირად, ტკბილი აღმოჩნდა. ვაშლის გემო აქ შემთხვევით არაა ნახსენები, მით უფრო, რომ სიტუაციურ კონტექსტში აღნიშნული პერსონაჟი ყურადღებასაც არ მიაქცევს, ისე ჩაუვლის სამოთხის ხეს („The Tree of Heaven“) და მიადგება მისთვის სასურველ ნაყოფით დახუნძლულ ვაშლის ხეს. ჩვენ ვიცით, რომ სამოთხის ხეც ვაშლის ხეა, რომლის ნაყოფის გასინჯვამაც დიდი უბედურება მოუტანა ადამსა და ევასს, ამიტომ ეს ცნობილი „დაგემოვნება“ შედგვის თვალსაზრისით მწარე აღმოჩნდა – ამას მოჰყვა საკუთარი სიშიშვლის გაცნობიერება, სირცხვილის ცნების გაჩენა, სამოთხიდან განდევნა. ლორენსის მსოფლმხედველობას უწყვეტად გასდევს მტკიცება იმისა, რომ თავდაპირველად ხორციელება არ ყოფილა სამარცხვინო, რომ ვაშლის გასინჯვა სულაც არაა დასაგმობი აქტი, რომ ეს მხოლოდ თავისუფალი ნების მქონე ადამიანებს ძალუძთ – მონური მორალის წინაარმდეგ მებრძოლთ – და რომ აკრძალული ხის არსებობა მიუთითებს უზენაესის შიშზე

<sup>1</sup> ესაა იგივე ხე ცნობადისა, რომლის ნაყოფის გასინჯვა ადამსა და ევასს აკრძალული ჰქონდათ.

– არ დაკარგოს ყოვლისმცოდნისა და ყოვლისმპყრობლის სტატუსი სამყაროში – ადამიანთა სახით მეტოქეთა გაჩენის შიშზე, ამიტომაც ხორციელების განდიდება, რომელიც ერთ-ერთი პედალირებული თემაა ლორენსის შემოქმედებაში, დასავლურ კულტურაში წმინდა ავგუსტინეს მიერ დამკვიდრებული პირველყოფილი ცოდვის მემობელი დოგმატური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლა უფროა, ვიდრე თავად ლორენსის ახირება. ცოდვის ავგუსტინესეული ცნების მიხედვით, ცდუნებისათვის ბრალი მთლიანად ადამსა და ევას ეკისრებათ. ლორენსი გამუდმებით ამტკიცებდა, რომ ყოველ დროში ბიბლია ახლებურ ინტერპრეტაციას საჭიროებს და, რომ უამისოდ ეს წიგნი მოკვდება.

ზემთ აღნიშნულ შეხედულებას უკავშირდება სწორედ ინტერტექსტის, როგორც ორიგინალური და არა სხვისი სიტყვის არსი – როცა ის სხვა დროსა და სხვა სუბიექტის მიერ სხვა სივრცეში სხვა პრაგმატული პრიზმიდანაა გააზრებული და ორი დროით-სივრცული კონტექსტის ერთურთზე დაშრეებით ამდიდრებს და კრავს თხრობას. როგორც ჩანს, უკვე არსებული ტექსტის ახლებურ ინტერპრეტაციას გულისხმობდა ბლუმი, როდესაც „ტექსტს განიხილავდა, როგორც განდევნის მექანიზმს, რომელიც ცდილობს, გაანადგუროს წინამავალი ტექსტების კვალი, მაგრამ ვერ ახორციელებს ამას“ [კინწურაშვილი 2006 : 46] კერძოდ, ლორენსის შემოქმედებაში ამგვარ განდევნაში უნდა ვიგულისხმეთ ბიბლიურ ამბავთა თუ სიმბოლოთა თანამედროვე ეპოქალურ კონტექსტში მოქცევით მისი მოძველებული დოგმატური აღქმის განდევნა და წმინდა წერილის იდეათა ახლებური, დროისა და სოციალურ-კულტურული გარემოს შესაბამისი ინტერპრეტაცია.

ქვემოთ ვეცდებით, ვაჩვენოთ, თუ რა კავშირი არსებობს უკვე წარმოდგენილ მსჯელობასა და განსახილველი პასაჟის ქართული თარგმანის დედნის ტექსტთან შეუსაბამობას შორის. წარმოვადგენთ ფრაგმენტის ქართულ თარგმანს:

‘In a state of self-suppression, he went through into the garden. His jacket, however, did not look dejected. It was new, and had a smart and self-confident air, sitting upon a confident body. He contemplated the Tree of Heaven that flourished by the lawn, then sauntered on to the next plant. There was more promise in a crooked apple tree covered with brown-red fruit. Glancing round, he broke off an apple and, with his back to the house, took a clean, sharp bite. To his surprise the fruit was sweet. He took another. Then again he turned to survey the bedroom windows overlooking the garden. He started, seeing a woman’s figure; but it was only his wife. She was gazing across to the sea, apparently ignorant of him.~ [Lawrence, 1994 :301]

„სხვებისაგან შეუმჩნევლად ბაღში გაიპარა. ახალთახალი, ელეგანტური ქურთუკი ტანზე მშვენივრად ადგა და მის თავდაჯერებულ ხასიათს კიდევ უფრო ცხადად წარმოაჩენდა. გაზონის შორიახლოს მსხმოიარე ვაშლის ხე შენიშნა. სხვა ხეხილისკენაც გაისეირნა. მოყავისფრო-მოწითალო ნაყოფით დახუნძლული ვაშლის ხე შეარჩია. ირგვლივ მიმოიხედა, ერთი ცალი მოწვევითა და სახლისაკენ ზურგშექცეულმა მადიანად ჩაკბინა. ხილი უჩვეულოდ ტკბილი აღმოჩნდა. სხვასაც მისწვდა. შემდეგ ისევ შემოტრიალდა და ბაღში გამომავალი საძინებელი ოთახის ფანჯრები შეათვალიერა. ქალის ფიგურას მოჰკრა თვალი. მისი ცოლი იყო. ზღვას მიშტერებული კაცს ვერც კი ამჩნევდა“ [ბოლაშვილი, 2007:55]

სამიზნე ტექსტის ანალიზისათვის შევნიშნავთ, რომ მთარგმნელმა გამოტოვა შესიტყვება „The Tree of Heaven“ (სამოთხის ხე) – ლორენსის მსოფლმხედველობაზე მიმანიშნებელი მნიშვნელოვანი მარკერი. ცნობადის ხიდან მოწვევტილმა ვაშლმა იმდენი ტანჯვა მოუვლინა ადამსა და ევას, რომ ლოგიკის მიხედვით, იგი ტკბილი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლორენსი განზრახ ასახელებს აქ ვაშლის ორ ხეს (ერთია The Tree of Heaven, (ბიბლიიდან აღუზიერებული „ხე ცნობადისა“, რომელიც ედემის ბაღში იზრდებოდა), ხოლო მეორე -- ჩვეულებრივი ვაშლის ხე, რომლის ნაყოფის სიტკბოც სასიამოვნო აღმოჩნდა მამაკაცისთვის). ამ ხეთა სხვადასხვაობა თარგმანში არ ჩანს და ამიტომ, ერთი მხრივ, დაკარგულია ბიბლიური აღუზიერებული, ხოლო, მეორე მხრივ, გაურკვეველია, რატომაა ხაზგასმული მამაკაცის მიერ გასინჯული ნაყოფის უჩვეულოდ ტკბილი გემო. აქედან გამომდინარე, დაკარგულია მნიშვნელოვანი ქვეტექსტიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლორენსი მთელი ცხოვრება ეძიებდა მიწიერ სამოთხეს. ბევრს მოგზაურობდა და თავისი შემოქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემად სწორედ ადამისა და ევას მიერ დაკარგული სამოთხის დაბრუნების პრობლემა აირჩია. ამქვეყნიური ედემის ძიების წყურვილის ფონზე მიწიერი ვაშლის ხის სამოთხის ხესთან შეპირისპირება ქვეტექსტის კიდევ ერთ საგულისხმო შრეს აჩენს, რომელიც იკარგება სამოთხის ხის ქართულ ტექსტში უთარგმნელობით. მეორე მხრივ, ამ ხარვეზმა გამოიწვია ის, რომ თარგმანში არ გამოჩნდა ტექსტის ლინგვისტიკაში გამოყოფილი ისეთი პრინციპული კატეგორიის მნიშვნელობა, როგორცაა თანმიმდევრულობა. დედნის თხრობის მიხედვით, ლორენსის „ადამი“ ჯერ სამოთხის ხესთან შეჩერდება და მისი დაწუნების შემდეგ მიდის ნაყოფით დახუნძლულ ჩვეულებრივ ვაშლის ხესთან. აღუზიის შემფასებლურ-სტილისტური ფუნქცია ქვეტექსტთან ერთად აქ ისაა, რომ სამოთხის ხის უგულვებელყოფით ავტორმა მისი ნაყოფის სიმწარეს გაუსვა ხაზი: ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნა გააპროტესტა და ამის შემდეგ შემოიტანა ტექსტში ჩვეულებრივი და არა ედემს რგული ვაშლის ხე, რომელიც ამქვეყნიური ედემის სიმბოლოდ უნდა აღვიქვათ. ამგვარი თანმიმდევრულობა რომ არ ყოფილიყო დედანში, დაირღვეოდა თხრობის კონცეპტუალური ხაზი. თარგმანში კი ვაშლის ორი ხის ერთმანეთთან გათანაბრებით ზემოთ აღნიშნულ თანმიმდევრობას ახრი ეკარგება და ავტორის ჩანაფიქრიც გაუგებარი ხდება. „თანმიმდევრობის საფუძველია ახრობრივი ურთიერთკავშირი. ამ უკანასკნელში გადამწყვეტია ის ინფორმაცია, ის სემანტიკა, რომელიც გადმოცემულია პირველ მეტატექსტში. მეორე ან სხვა მეტატექსტები გვაწვდიან სხვადასხვა ახალ-ახალ ინფორმაციას პირველი მეტატექსტის რეფერენტის შესახებ“ [სერგია, 1997:258]. „მეტატექსტთა თანმიმდევრობა ახრის ლოგიკის მკაცრ კანონზომიერებას ემორჩილება“ [იქვე]. „თუ კომპონენტთა თანმიმდევრობას დავარღვევთ, თუ მეტატექსტებს ადგილებს შევუცვლით, არა თუ შეიცვლება და დაირღვევა ტექსტის შინაარსი, არამედ ვერ მივიღებთ ტექსტს“ [იქვე]. ჩვენს შემთხვევაში თარგმანის ტექსტში კომპონენტთა თანმიმდევრობა არ ირღვევა, მაგრამ ინფორმაციულად მათი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, აღუზია-სიმბოლოს გაუჩინარების გამო, თანმიმდევრობის კატეგორიის მნიშვნელობა გაუფასურებულა.

წარმოდგენილი ანალიზიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდა აღუზიის სამიხნე ტექსტში რელიზაციისათვის საჭირო ვერც ერთი ფაზა: ამოცნობა; ასოციაციის წარმოშობა; ასოციაციის ქვეტექსტთან კავშირით ახალი ინფორმაციის მიღება და აქედან გამომდინარე – სწორი ინტერპრეტაცია. შედეგად თარგმანში დედნის ქვეტექსტის ვერც ერთი შრის კოდირება ვერ მოხდა: პირველი შრე უნდა ყოფილიყო ბიბლიური, რაც წყარო ტექსტში სამოთხის ხის ხსენებით ედემის ბაღიდან ადამიანთა წინაპრების განდევნის, ტანჯვის დასაწყისის ასოციაციას იწვევს, ხოლო მეორე შრე ქვეტექსტისა მომდინარეობს უშუალოდ ნაწარმოების სიტუაციური კონტექსტიდან და ზოგადად მწერლის მსოფლმხედველობიდან, რომელიც კონფლიქტშია ბიბლიურ ქვეტექსტთან: ლორენსის მოთხრობის პერსონაჟი სამოთხის ხის გვერდის ავლითა და იქვე მდგარი ჩვეულებრივი ვაშლის ხის ნაყოფის მოწყვეტით აპროტესტებს ადამიანთა მოდემის სატანჯველის მიზეზის – ბიბლიური ედემის ხის არსებობას და მიწიერი სამოთხის ძიებისაკენ, მოგვიწოდებს, რასაც თავად ავტორი მთელი ცხოვრება ელტვოდა.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ თარგმანის ეკვივალენტურობის მისაღწევად მნიშვნელოვანია მსგავსი ინტერტექსტებით მდიდარი ტექსტის თარგმანს მთარგმნელმა დაურთოს შესავალი წერილი ან კომენტარი, როგორც ამას გვიჩვენებს თარგმანის თანამედროვე თეორეტიკოსი ლორენს ვენუტი [Venuti, 2009: 159], რომელშიც წარმოდგენილი იქნება ინტერტექსტის გასაშიფრად აუცილებელი ფონური ინფორმაცია.

**ლიტერატურა:**

1. ბოლაშვილი მ., „ვარდნარის ჩრდილში“, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 5 იანვარი 2007 წელი;
2. კინწურაშვილი მ., „ენა, ტექსტი, ინტერტექსტი“, 2009
3. მარტაშვილი ქ., „ბიბლიური ალუზია“, 2010;
4. სერგია ვ., „ქართული ენის ტექსტის ლინგვისტიკა“, თბ. 1997;
5. „Collected Stories“, D.H. Lawrence; The Millenium Library; 1994;
6. „Translation, Intertextuality, Interpretation“, Lawrence Venuti; Romance Studies; Vol. 27; # 3; July 2009;
7. Wright T.R.; „D.H. Lawrence and the Bible“, Cambridge University Press; 2000.

**Тамар Осидзе****Для трансформации в переводе библейской аллюзии как переводчик подтекста генератора****Резюме**

Интертекстуальность, в качестве важного концептуального механизма, увеличивает цепь ассоциации с текстом в том взаимодействии. Правда, текст, как «механизм освобождения» противоречит воздействиям существующих текстов, но ум нового текста все еще сохраняет впечатление их восприят

**Tamar Osidze****For transformation in the translation of biblical allusion as the subtext generator interpreter****Abstract**

Intertextuality, as an important conceptual mechanism, increases the chain of association with inter text interaction. True, the text as a “mechanism of emancipation” contradicts the impacts of existing texts, but the mind of the new text still keeps the impression of their perception.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ჩიხლაძე

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნესტან რატიანი

ჰომეროსიდან გალაკტიონამდე -  
ერთი პრობლემა, სამნაირი ხედვა

სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ გალაკტიონ ტაბიძის ოთხ ლექსს, რომლებიც 1911-1915 წლებშია შექმნილი, შესაძლოა, შთაგონების ერთი წყარო, შექსპირის „ჰამლეტი“ ჰქონდეთ. თუმცა ის დისკურსი, რომელიც რამდენიმე პრობლემას უკავშირდება, ბევრად უფრო ადრე დაიწყო. პირველი პრობლემა, რომელიც ცოლისა და დედის გათხოვებითაა გამოწვეული, ანტიკურ საბრძანოში ორ ლეგენდასთანაა გადაჯაჭვული. ერთია ტროას სახელოვანი გმირის აგამემნონის ცოლის კლიტემნესტრას გათხოვება, და წლების შემდეგ აგამემნონისა და კლიტემნესტრას ვაჟის მიერ დედის მკვლელობა. საუკუნეების შემდეგ ეს ამბავი სხვადასხვა ტრაგედიის თემა გახდა. იგივე თემა უკვე შექსპირის „ჰამლეტის“ კონტექსტად იქცა. გასაგებია, რომ დისკურსში მონაწილე ავტორები პრობლემის განვითარებისა და გადაწყვეტის სხვადასხვა ხედვას გვთავაზობდნენ. სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გალაკტიონმა ლექსში „მესაფლავე“ ამ პრობლემის განსხვავებული კუთხიდან შეხედვა შემოგვთავაზა და ამით საუკუნეების მანძილზე განხილული თემა სხვა სიბრტყეზე გადაიყვანა. სტატიაში გამოთქმული ვარაუდის დასამტკიცებლად განხილულია კიდევ სამი ლექსი, რომლებიც დაახლოებით ერთსადაიმთხვე პერიოდშია შექმნილი. მეტიც, მიღებული დასკვნები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ გალაკტიონმა არა მარტო ეს თემა (sc. დაქვრივებული ქალის გათხოვების ამბავი) წასწია წინ, არამედ მკითხველს შექსპირის „ჰამლეტში“ დასმული სხვა პრობლემების ახლებური პერსპექტივაც შემოგვთავაზა.

ამბობენ, მაიაკოვსკი ტრაბახობდა, პუშკინთან დიდი სიახლოვე მაქვს, რუსულ ანბანშიც ასო მ და პ, ის ასოები, რომლებზეც ჩვენი გვარები იწყება, ერთმანეთთან ახლოს დგას, მხოლოდ მათ შორის ორი ასოა, ნ და ო-ო. ამაზე ესენინი იცინოდა, რადგან რუსულ ენაზე სიტყვა, რომელიც ამ ორი ასოს ერთმანეთთან შეერთებით გამოდის, "თუმცა" არის. ეს ამბავი ჩემმა ერთმა დაინტერესებამ გამახსენა. როდესაც გალაკტიონის წიგნს გადაშლი, ლექსები "მესაფლავე", "გმართებს ტირილი", "ჰამლეტის ქნარი" და "ლურჯა ცხენები" ერთმანეთთან ახლოს დგას, რადგან ისინი 1912-დან 1915 წლებშია შექმნილი. თუმცა ოთხი წელი არცთუ ისე ცოტა დროა და ლექსების სიახლოვე წიგნში უფრო კარგად ჩანს, ვიდრე – ერთი წაკითხვით, მე მაინც მგონია, რომ მათ კიდევ სხვა რამეც აერთიანებთ.

გასული საუკუნის ათიან წლებში გალაკტიონის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წუთისოფლის ამალებზე შექმნილ ლექსებს. პოეტის დაინტერესება ამ თემატიკით სხვადასხვა მიზეზით შეიძლება აიხსნას. ერთი მიზეზი, შესაძლოა, მსოფლიოში მომხდარი კატაკლიზმები იყოს. მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ფაქტორები, ცხადია,

გაგლენას მოახდენდა ნებისმიერ შემოქმედზე, თავისებურად აისახებოდა, მნიშვნელოვან კვალს დაამჩნევდა და გამოძახილს ჰპოვებდა მის შემოქმედებაში. რა გასაკვირია, თუკი გალაკტიონის პოეზიის წაკითხვაც ამ კონტექსტში მოხდება. თუმცა, ჩემი აზრით, რამდენიმე, კერძოდ, ოთხი ლექსი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა წლებშია შექმნილი, შესაძლებელია, ერთ ციკლად გაერთიანდეს, რადგან მათი შთაგონების წყარო აშკარად საერთოა. ეს ლექსებია ზემოთ ნახსენები და ყველასთვის კარგად ნაცნობი „მესაფლავე“, რომელიც 1912 წელს დაიწერა, „ღურჯა ცხენები“, რომელიც 1915 წელსაა დაწერილი, 1911 წელს რაისა ჩიხლაძისადმი მიძღვნილი ლექსი „ჰამლეტის ქნარი“ და იმავე წელს შექმნილი უსათაურო ლექსი „გმართებს ტირილი და ცრემლთა ფრქვევა“, რომელიც მონაზონ ქალ ოფელიას ეძღვნება.

ამ ოთხი ლექსის ერთ ციკლად გაერთიანებისკენ ერთმა ცხოვრებისეულმა ამბავმა მიბიძგა. უნივერსიტეტის სასწავლო კურსების შექმნისას ხშირად ადგილს ვუცვლი, ვამატებ ტექსტებს, რადგან ვფიქრობ, გარკვეული კანონზომიერების დაცვით მოფიქრებული თანმიმდევრობა გაუადვილებს სტუდენტებს მასალის უკეთ აღქმას. ერთ-ერთი ასეთი მორიგი გადაადგილებისას საჭიროდ მივიჩნიე, ჰომეროსის „ოდისეა“-ს შემდეგ ესქილეს ტრილოგია „ორესტეა“-ს პირველი ნაწილი, ტრაგედია „აგამემნონი“ შესწავლებინა, ხოლო „აგამემნონის“ შემდეგ შექსპირის „ჰამლეტი“. საუკუნეებით დაშორებული ეს ტექსტები სხვადასხვა მკვლევარის მიერ განსხვავებული ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს. ჩემთვის ამ ტექსტებს კი ერთი ლაიტმოტივი გასდევს, ესაა მეფის ცოლის, რომელიც იმავდროულად დედაცაა, გათხოვებით გამოწვეული ტრაგედიის არაერთგვაროვანი განვითარება. მოგეხსენებათ, ამ ტექსტებში მეფის ცოლი და დედა თხოვდება მაშინ, როცა იგი ან დაქვრივებულია („ჰამლეტი“) ან, როცა იგი ცოცხალი ქმრის არსებობის შემთხვევაში იჩენს ახალ ქმარს („აგამემნონი“) ან, ჯერ არ გათხოვილა, მაგრამ მისი შესაძლო გათხოვების შემდეგ სერიოზული საფრთხე ემუქრება კანონიერ მემკვიდრეს („ოდისეა“). თავდაპირველად ვასწავლიდი „ოდისეას“, ვასწავლიდი ისე, როგორც უნივერსიტეტებში არსებული ტრადიცია გვავალდებულებს, ანუ ქრონოლოგიურ ჭრილში. მაგრამ ტექსტის სწავლების მრავალწლიანმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ „ოდისეა“ სხვა არაერთ საჭირობორტო საკითხთან ერთად ქვეყნის, კუნძულ ითაკაზე შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე მოგვითხრობს. ტროას ათწლიანი ომის გამარჯვებით დამთავრებამ ომში სიმამაცით და საზრიანობით გამორჩეული პოლიტიკური ლიდერები ვერ გააბედნიერა. კლიტემნესტრამ სხვა მამაკაცი აირჩია ცხოვრების მეგზურად და უკანდაბრუნებული ქმარი, უდავო ლიდერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე აგამემნონი აბანოში მოაკვლევინა. მისი ინიციატივა იყო ძმის, მენელაოსის, პარისთან ერთად ტროაში გაქცეული ცოლის, ელენეს, დაბრუნება და, ამ მოტივით, სხვა დანარჩენი, იმას, რასაც მოგვიანებით საბერძნეთის მხარეები დაერქვა, ხალხის გაერთიანება და ომში ერთიანი ძალით გალაშქრება. აი ასეთ სამაგალითო მამაკაცს ღუპავს ცოლი. ამის შემდეგ რაღა უნდა ვიფიქროთ ქალებზე და როგორღა უნდა ენდონ შედარებით ნაკლებად ცნობილი მამაკაცები თავიანთ ცოლებს? თუკი აგამემნონს გაუბედა ცოლმა დალატი, თუკი აგამემნონის ცოლი არ შეშინდა და მოაკვლევინა ქმარი, დაღუპა ტროას ომის გამორჩეული მებრძოლი და დაასამარა მასთან ერთად ძლიერი სახელმწიფოს სანიმუშო მეთაურის იდეა, რისი იმედი უნდა ჰქონდეთ სხვა კაცებს? მაგრამ დანაშაული დაუსჯელი არ დარჩა, დმერთები იმის მხარეს არიან, ვინც შურისძიებას გადაწყვეტს. ოღონდაც შურისძიების უფლება ყველას არა აქვს. შურისძიება მხოლოდ კანონიერი მემკვიდრის ლეგიტიმური უფლებაა და ეს უფლება განმტკიცებულია მიწიერი და ზეციური კანონებითაც. ცოლისა და მისი საყვარლის მიერ მოკლული აგამემნონის გამო შური იძია ორესტემ, კლიტემნესტრასა და აგამემნონის ვაჟმა, მას შემდეგ, რაც ის სრულწლოვანი გახდა. ორესტემ მოკლა დედაც და დედის ახალი ქმარიც. მიუხედავად იმისა, რომ მშობლის, და ამ შემთხვევაში, დედის მკვლელობა უდიდესი დანაშაულია, ორესტეს საქციელი არაა დანაშაული. თავდაპირველად იგი საშინლად იტანჯება, მას არ ასვენებენ, ძილშიც და ღვიძილშიც არ ავიწყებენ ჩადენილ სისასტიკეს, ძილს უფროსობენ, დევნიან, ფეხდაფეხ დასდევენ ერთნიები, ქალღმერთები, რომლებიც არავის პატიობენ ოჯახის წევრების მკვლელობას, მაგრამ საბოლოოდ

ერინიებიც დაშოშმინდებიან, რადგან ორესტეს დანაშაული რეალური დანაშაული კი არაა, არამედ სამართლიანი განაჩენია. შესაძლოა, ეთიკის არსებული კანონების მიხედვით, დედის მკვლელობა უპატიებელი ცოდვა იყოს, მაგრამ ეთიკის კანონები ხომ ადამიანების შექმნილია და ზოგიერთ შემთხვევაში მათი გადახედვა და შეცვლა ხდება. ეთიკის ნორმები დროებითია, მათი დაცვა სავალდებულოა, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ დრომდე, იქამდე, სანამ მათზე უკეთესი, უფრო დახვეწილი და უფრო სამართლიანი არ დაიწერება. მაგრამ, სანამ ეთიკის კანონების გადახედვა მოხდება, ჯერ საჭიროა დასტური ღმერთებისგან. ორესტეს შემთხვევაში კი ღმერთები მის მხარეს არიან. ამიტომაც იხევენ უკან ერინიები, ამიტომაც იბრუნებს ორესტე სიმშიდეს, ამიტომაც გადაიქცევა ორესტე უბრალო დედის მკვლელიდან სანიმუშო გმირად, ვაჟი - შვილად, რომელმაც დარღვეული წონასწორობა, ჰარმონია კანონზომიერად აღადგინა.

ახლა წარმოვიდგინოთ და ერთი წამით მაინც ჩავდგეთ ტელემაქეს მდგომარეობაში. ჰომეროსს სხვა საკითხებთან ერთად სწორედ ეს უნდა, მას აინტერესებს მის მიერ მოთხოვნილი ამბის მსმენელმა გაიგოს და გაითავისოს ტელემაქეს თავს დატეხილი უბედურება. „ოდისეა“ ოდისევსის შინ დაბრუნების ამბავს მოგვითხრობს, მაგრამ ოდისევსის შინ დაბრუნება აუცილებელია არა მხოლოდ იმის გამო, რომ ტროას სახელოვანი გმირი ამას იმსახურებს, არამედ იმიტომაც, რომ ეს ყველაზე მეტად მის კანონიერ მემკვიდრეს სჭირდება. სხვაგვარად ტელემაქე დაკარგავს სამეფოს, მას ყველანაირად გაანადგურებენ, ჯერ სულიერად და მერე, თუ ამის საჭიროება იქნება, ფიზიკურადაც. ოდისევსის ღირსეული მემკვიდრე, მიუხედავად ასაკისა, საკმაოდ ბრძენია, თუმცა ეს, ერთი შეხედვით, ასე არ გამოიყურება. ტექსტის კარგად გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ოდისევსს საუკეთესო მოჭადრაკესავით გათვლილი აქვს ყველა სვლა, რომელსაც იგი მოგებამდე მიიყვანს. მაგრამ ამ პარტიას ერთადერთი რამ აფერხებს, ესაა კლიტემნესტრას მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ მოვლენების განვითარება აჩვენებს, რომ ოდისევსის ცოლი მეუღლის ერთგულია, ავტორს უნდა დაგვანახოს, რომ იგი პირველ რიგში საკუთარი შვილის ერთგულია და მის ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებს. საყოველთაოდაა აღიარებული პენელოპეს ერთგულება ქმრის მიმართ, საუკუნეების მანძილზე ეტალონადაა მიჩნეული მისი თავდადება. მაგრამ ამაში ეჭვი ეპარება მის საკუთარ შვილს. და, ცხადია, ეს გამოწვეულია კლიტემნესტრას მიერ ჩადენილი საქციელით. კუნძულიდან კუნძულზე ამბები ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა მომდერალთა წყალბოთით. აედები მდეროდნენ ლეგენდებდქცეულ საგმირო ისტორიებს, თუმცა მათ ნამდერში დიდი ადგილი ეკავა იმ მზაკერულ ქმედებებსაც, რომლებსაც ვერ აირიდებდა კაცთა მოდგმა. საინტერესოა, რომ „ოდისეას“ პირველი სიმდერა ღმერთების კრებით იწყება. ამ თავყრილობაზე გააუდერებს ოლიმპოელ ღმერთთა მეთაური ზევსი თავის გულისწყრომას იმის გამო, რომ თავის უგვან საქციელს ადამიანები მას აბრალევენ, არადა, მას არანაირი ბრალეულობა არა აქვს კაცთა დანაშაულებში. ეს შეეხება კლიტემნესტრას, ეგისტოსს, აგამემნონისა და ორესტეს ურთიერთობებსაც, რაზეც უკვე ყველა საუბრობს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა განიხილავს საბაბებს, მიზეზებს და შედეგებს. აზრები იყოფა, ვიდაცა ხდება, რომ ადამიანის ბუნება ვერაგია, ვიდაცა კი ადამიანების ცუდ არჩევანს იმით ამართლებს, რომ ისინი ოდენ მორჩილი მარიონეტები არიან ღმერთების ხელში. ამ თავყრილობაზე იხელთებს დროს ოდისევსის მფარველი დეოთაეა ათენა და ზევსს შეახსენებს, რომ დროა, ხელი შეუწყონ ოდისევსის სახლში დაბრუნებას. თუმცა ამაზე საუბარი არაა, მაგრამ მოქმედების განვითარება იმას მიუთითებს, რომ ოდისევსის შინ დაბრუნების დრო პირდაპირ კავშირშია ტელემაქეს სრულწლოვანებასთან, ე.ი. იმ დროსთან, როდესაც ტელემაქემ უნდა ივაჟკაცოს და, თუკი უნდა მიიღოს ლეგიტიმური ძალაუფლება, რომელიც მას ყველანაირი კანონით ეკუთვნის, სადავეები ხელში უნდა ჩაიგდოს და თავის სასიკეთოდ შემოაბრუნოს არსებული ვითარება. ძალიან ბევრი რამ უშლის ტელემაქეს ხელს, თავხედი და ურჩი სასიძოების თავგასული საქმინობის აღადგმა არც ისე ადვილია, თანაც მის მხარეს არ დადგება არავინ რამდენიმე ადამიანის გარდა. ითაკის მოსახლეობას კი ახსოვს მამამისი, ბრძენი და მოხერხებული ოდისევსი, მაგრამ ითაკის მოსახლეობა სამართლიანადაა განაწყენებული მასზე. გარდა იმისა, რომ ოდისევსი თავად დაიკარგა, მან მშვიდობიანად ვერ დააბრუნა სახლებში ლაშქარი, ამ ლაშქარში კი

სწორედ ის კაცები შედიოდნენ, ვისი ოჯახებიც ცხოვრობენ ითაკაზე, მეომართა მამები, ძმები, შვილები. ალბათ ომიდან შინმოუსვლელების ოჯახის წევრები კუნძულის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. ამიტომაც მათ არანაირი საფუძველი არა აქვთ, მხარი დაუჭირონ ცუდი ლიდერის ვაჟიშვილს, რომელიც ალბათ მამასავით ცუდი ლიდერი იქნება. ამ მიზეზის გარდა ტელემაქეს მეორე მიზეზიცა აქვს, ფრთხილად იყოს და ამ შიშს უნებლიეთ გაამჟღავნებს ათენასთან საუბარში. კუნძულზე სტუმრის სახით მოსული ქალღმერთი ტელემაქეს ეკითხება: ვინ ხარ, ჭაბუკო. ტელემაქეს უცნაურ პასუხში ჩანს მისი დიდი გონიერება. იმის ნაცვლად, რომ ტელემაქემ მარტივი პასუხი გასცეს და უთხრას სახელი, მამის სახელი, ამბობს, როგორც დედა მეუბნება, შვილი ვარ სახელოვანი მამისო. დიახ, იმ დროს, როდესაც არ არსებობს ლაბორატორიები, რომლებიც დნმ ანალიზის პასუხებს გასცემენ და დაადგენენ ჭეშმარიტი მშობლის ვინაობას, ერთადერთი, ვინც დაზუსტებით იცის, ვინაა მისი შვილის ნამდვილი მამა, დედა. ოდისევს კლიტემნესტრას ისტორია აქვს მაგალითად. მან არ იცის, უნდა ენდოს თუ არა დედას, რომელსაც წლებია, რაც სასიძოები აწუხებენ. ერთ მშვენიერ დღეს, რომელიც ტელემაქესთვის სულაც არ იქნება მშვენიერი, თუკი პენელოპე თავისი ნებით აარჩევს სასიძოს და გათხოვდება, კაცმა არ იცის, რა ბედი ეწევა ტელემაქეს. მას ახალ ქმართან შეიძლება შეეძინოს ვაჟი, ასეთ შემთხვევაში კი მის პასუხზე იქნება ყველაფერი დამოკიდებული, ვის ხელში გადავა ითაკის სამეფო. ამიტომაც მან იქამდე უნდა იმოქმედოს, ვიდრე დედა გაუთხოვდება, ვიდრე დედის პასუხზე იქნება დამოკიდებული მისი ბედი. სანამ დედა განცხადებას გააკეთებს, მან უნდა დაასწროს და მოძებნოს ის ხალხი, ვინც იცნობდა მამამისს და დაადასტურებს ოდისევსისა და ტელემაქეს მსგავსებას. პირველი, ვინც ამის დასტურს იძლევა, ათენაა, რომელიც ამ პასუხიდან გამომდინარე ამბობს, რომ მოსწრებული გონივრული სიტყვა-პასუხით დარწმუნდა ტელემაქეს გონიერებაში, რაც მის მსგავსებას ადასტურებს მამამისთან. ამის შემდეგ დიაგნოსს სვამენ ოდისევსის მეგობრები, ნესტორი და მენელაოსი. ამ ორ სახელოვან მეფესთან ტელემაქეს ხანმოკლე სტუმრობისას იკვეთება, რომ ისინი არ გაუწბილებია ტელემაქეს, რადგან მათ მოლოდინი ჰქონდათ, რომ ოდისევსის ვაჟიშვილი ღირსეული გამოდგებოდა და მამის სახელს არ შეარცხვენდა. მენელაოსისა და ნესტორის მოლოდინი კი გაამყარა ორესტეს საქციელმა, რომელმაც სრულწლოვანების დადგომისთანავე ადასრულა სამართალი. მათი წარმოდგენით, ახლა ჯერი ტელემაქეზეა და ვერავინ ვერ დაიწყებს მისი გასაკეთებელი საქმის შესრულებას. ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ ისაა, მხარში ამოუდგნენ მეგობრისა და თანამებრძოლის ვაჟკაცს, მანამდე კი გაამხნევონ ფრახით, რომლის მოსმენაც მას ყველაზე მეტად სწადია, ანუ უთხრან, როგორ ჰგახარ მამაშენს, ჭკუა-გონებითა და სიტყვა-პასუხით გამორჩეულ ოდისევსსო. მოკლედ, ტელემაქეს გარჯამ ტყუილად არ ჩაიარა, მისი გათვლები უზუსტესი აღმოჩნდა და მისმა გეგმამ, ანუ თავად მან, გაიმარჯვა კიდევ. ნაწარმოების მსმენელმა თუ მკითხველმა კი თავად უნდა განსაჯოს, რამდენი ტაქტიკური სვლის მოფიქრება მოუხდებოდა ოდისევსის ვაჟს, სანამ შედეგამდე მივიდოდა, როგორ მოამზადა სასიძოებისა და პენელოპეს ნებისმიერ შესაძლო რეაქციაზე საპასუხო. ახლა ამ საკითხებზე მსჯელობა შორს წავიყვანს და ეს არ არის ამ სტატიის მიზანი.

ცხადი ერთია, „ოდისეას“ ამბის განვითარებას საფუძველად დაედო ორესტეს ისტორია, ორესტეს ამბავი ტელემაქეს სამოქმედო გეგმის კონტექსტია. სწორედ ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ, ჰომეროსის „ოდისეა“ და ესქილეს „აგამემნონი“ ერთ სილაბუსში მომექცია და ისე მიმეწოდებინა სტუდენტებისთვის. თუმცა არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ესქილეს ტრაგედია ბევრად უფრო გვიანაა დაწერილი, მაგრამ მასში აღწერილი მოვლენები „ოდისეაში“ აღწერილ მოვლენებზე უფრო ადრე მოხდა. საქმე ისაა, რომ ცოლის ღალატი, დედის გათხოვება იმდენად საინტერესო თემა აღმოჩნდა ბევრი მწერლისთვის, რომ ისინი ხშირად ამუშავებდნენ მას. იმ ავტორებს, რომელთაც მეტი ფანტაზია აღმოაჩნდათ, კიდევ უფრო შორს წავიდნენ და მათ დასაფიქრებლად თემის გაგრძელება შემოგვთავაზეს. ამის მაგალითია შექსპირის „ჰამლეტი“. მიიუხედავად იმისა, რომ შექსპირის პერსონაჟებს არავინ უამბობს არც ორესტეს და არც ტელემაქეს ამბავს, ნაწარმოებში თვალნათლივ ჩანს, რომ მისი კონტექსტი სწორედ

ეს ორი ნაწარმოებია. „ჰამლეტის“ შემთხვევაში მამა ჰამლეტის ქვრივი დედოფალი გერტრუდა გათხოვდა ქმრის სიკვდილის შემდეგ. პენელოპესგან განსხვავებით, ის არ ფიქრობს ვაჟიშვილის მომავალზე. შვილი ჰამლეტი კი, რომელიც საფუძვლიან განათლებას იღებს საზღვარგარეთ, მარტო ფილოსოფიით კი არ უნდა იყოს გატაცებული, არამედ კლასიკურ ტექსტებსაც უნდა კითხულობდეს ორიგინალში. მკითხველს აუცილებლად უნდა გაახსენდეს და ამიტომაც ადვილად უნდა მიხვდეს, რატომ დაეჭვდება ჰამლეტი და რატომ მოინდომებს გონზავოს მკვლელობის გათამაშებას თავისი ეჭვების დასადასტურებლად. მან ლიტერატურიდან იცის, რომ ისტორიაში უხვადაა ისეთი ფაქტები, როცა დედა შვილის მომავალს თავის კეთილდღეობას ანაცვალავს. ალბათ მამა ჰამლეტის სიკვდილის შესახებ გავრცელებული ჭორები, რომ მას ყურში საწამლავი ჩააყარეს, უსაფუძვლო არაა და ამგვარი მინიშნებით ავტორი გვეუბნება, რომ მკვლელმა პირველ რიგში ყურები დაუხშო მსხვერპლს, რომელსაც ალბათ მანამდეც აწვეთებდნენ და მიანიშნებდნენ ცოლის დაღატაკის ამბავს. მეფეს პირდაპირ ვინ გაუბედავს რამის თქმას. ალბათ ძველ, ყველასთვის ნაცნობ ისტორიებს შეახსენებდნენ საბრალო დანიის მმართველს. დანიაც ისევე ყარდა და ყარს, როგორც მანამდე ყარდა არგოსი, როგორც მანამდე ყარდა ითაკა. უბრალოდ არგოსში ეს სუნი კასანდრამ იგრძნო, დანიაში კი მარცვლუსმა. მიუხედავად იმისა, რომ შექსპირმა თავისებურად დაამუშავა გაცვეთილი თემა და ამ უძველესი მოტივის ორიგინალური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა, იგი უფრო წინ წავიდა და მაშინ, როდესაც ჰამლეტს ცნობილი მონოლოგი წარმოათქმევინა, ხელში ადამიანის თავის ქალა დააჭერინა. ფილოსოფიით ზომასე მეტად გატაცებული ჰამლეტისთვის კაცობრიობის მარადიულ შეკითხვაზე პასუხი ნაპოვნი არაა, ამიტომაც მისთვის ყოფნა და არყოფნა თითქმის ერთია, მისთვის თითქმის სულ ერთია, რა ელის, დაკარგავს თუ არა სამეფო ძალაუფლებას, მის ადგილს სხვა მემკვიდრე, თუნდაც არაღეგტიმური დაიკავებს თუ არა. მისთვის ერთადერთი ჭეშმარიტება გარდაცვლილისგან დარჩენილი ჩონჩხია, რომელიც წუთისოფლის ამოების სინონიმია. ეს წუთისოფლის ამოება კი ყველაზე უკეთ მესაფლავემ იცის, მესაფლავემ, რომლის ვითომ უმნიშვნელო საქმიანობაც ყველაზე მნიშვნელოვანია და ის აქცევს მას ბრძენკაცად.

როდესაც ჩემს სილაბუსში შექსპირის „ჰამლეტსაც“ მიუჩინე თავისი ადგილი, მივხვდი, რომ ლექციის მსვლელობისას ქართველი სტუდენტებისთვის გალაკტიონის „მესაფლავეს“ თემაც არ იქნებოდა ძნელად მოსაქცევი ამ ჩემს მიერ შემოთავაზებულ ციკლში. თუმცა ჰამლეტის მონოლოგის ანალიზისას, ჩემდა უნებურად, გალაკტიონის სიტყვებს ვიყენებდი „ლურჯა ცხენებიდან“, რადგან მიღმიერი სამყაროს უიმედო განწყობილება, რომლის განცდაც აქვს დანიის უფლისწულს, საუკეთესოდ აღწერს გალაკტიონი. ეს სიტყვებია „არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი, ცივ და მიუსაფარი სამუდამო მხარეში. სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა, ცეცხლი არ კრთის თვალეში, წვეხარ ცივ სამარესი, წვეხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია. შემწილი სახეები, ჩონჩხიანი ტყეები, უსულდგმულო დღეები რბიან, მიიხარია... გასაგებია, რომ გალაკტიონი ამ ლექსით ჰამლეტს არ განმარტავს, მაგრამ ჩემი ვარაუდია, რომ ეს ლექსი, ისევე როგორც „მესაფლავე“, შექსპირის „ჰამლეტის“ ყველაზე პოპულარული პასაჟის გაველენითაა დაწერილი, რომელზეც, თავის მხრივ, ჰომეროსის „ოდისეამ“ და ორესტეს ამბავმა მოახდინა გავლენა. ამ ვარაუდის დასამტკიცებლად დავინტერესდი, რამდენად შეიძლებოდა, შესაძლებელი ყოფილიყო გალაკტიონის ამ ორ კონკრეტულ ლექსზე ამის თქმა. გასაგებია, რომ პოემას გალაკტიონი კი არა, თითქმის ყველა მოკვდავი იცნობს შინაარსის დონეზე მაინც. მაგრამ გალაკტიონის შემთხვევაში ეს შინაარსის უბრალო ცოდნა კი არა, ესაა თემის ახლებური დამუშავება და მისი კიდევ უფრო წინ წაწევა. შესაბამისად, დავინტერესდი, ხომ არ გვხვდება პოეტის პოეზიაში სხვა ლექსებიც, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს ამ კავშირზე. ძიებამ დამარწმუნა<sup>1</sup>, რომ გასული საუკუნის ათიან წლებში გალაკტიონი უდავოდ

<sup>1</sup> როგორც მოხერხდა, ახალგაზრდობაში გალაკტიონის „ოდისეას“ თარგმნიდა კიდევ.

დაინტერესებულია შექსპირის „ჰამლეტი“ და ეს აისახა მის ორ ლექსში. ერთი ლექსის სათაური უშუალოდ ასახავს ამ კავშირს, რადგან მას „ჰამლეტის ქნარი“ ჰქვია. მეორე ლექსი კი მონაზონ ქალ ოფელიას ეძღვნება. ამ ლექსის ადრესატი, ცხადია, ჰამლეტის პერსონაჟია, რომელმაც პოემაში არ დაუჯერა ჰამლეტის თხოვნა-შეგონებას მონასტერში წასვლის თაობაზე და ამის გამო მისი ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა. ოფელიამ უმძიმესი ცოდვა ჩაიდინა და ცხოვრება თვითმკვლელობით დაამთავრა. აი ეს შეგონება გალაკტიონის ზემოთ აღნიშნულ ლექსში მოწოდებასავით, განა თხოვნასავით, არამედ უფრო ბრძანებასავით გაისმა: „წადი, წადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია“. ამიტომაც მეორე ლექსში პოეტი უკვე მონაზვნად აღკვეცილ შექსპირის პერსონაჟს მიმართავს, წარმოგვიდგენს იმ სიტყვების ადრესატად, რომლებშიც ტირილითა და ცრემლითა ფრქვევით უნდა მოხდეს სხვათა ცოდვების, თვით ადამისა და ევას ცოდვების გამოსყიდვაც კი. ბიბლიურმა ადამმა და ევამ ბოროტი გველის შთაგონებით კაცობრიობის ოცნება გაანადგურეს. მათ ღმერთი მოთარეშე შურისმძიებლად აქციეს.

რა თქმა უნდა, გალაკტიონის „მესაფლავეს“ სხვა შთაგონების წყაროც შეიძლება ჰქონოდა. იმიტომ რომ გალაკტიონის ლექსში არ ჩანს, რომ ქვრივი იმაგდროულად დედაცაა, შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ მასში ვაჟა-ფშაველას ლექსის „მოგონება“ მოტივის გაგრძელებაა. „ნუ მიწყნო, მომაგონდება ქალის ვაჟისთვის ნათქომი: „თუ შენ არ გხედავ ცოცხალსა, არც მე ვარ ცოცხლად დამჩნომი! ცოცხალი თან ჩამოგყვები, საფლავში დაგეტანები სატრფო დასტირის ჭაბუკსა, ცრემლი სდიოდა ღვარადა, გულიც რომ უწუხდებოდა, წყალსაც ასხამდნენ კვალადა. გულდაბნედილსა დიაცსა, აბრუნებდიან ძალადა. – რა უყავ ფიცი, გოგონავ, ჩაჰყვე, ვის მეელოდები? – სად გავყვე, ძმაო, რას ვარგებ, მკვდარს რა გუშეველო ამითა?“

მიუხედავად გალაკტიონისა და ვაჟას ამ ორი ლექსის მსგავსებისა, მე, ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტების გამო, მივიჩნევ, რომ გალაკტიონი სწორედ „ჰამლეტში“ დასმული პრობლემით იყო დაინტერესებული და მან საკითხი სხვადასხვანაირი დამუშავებით შემოგვთავაზა და იმ დისკურსის მონაწილე აღმოჩნდა, რომელიც ძველ საბერძნეთში დაიწყო და ორიგინალური გადამუშავებით წინ წასწია შექსპირმა. გასული საუკუნის ათიან წლებში კი გალაკტიონის „ჰამლეტი“ გატაცების დასტურია მისი ოთხი ლექსი, რომლებშიც სხვადასხვა სახით აისახა ეს გატაცება.

და ბოლოს უნდა აღვნიშნო, რომ „ღურჯა ცხენებში“ ცენტრალური თემა მხოლოდ მიღმიერი სამყაროს აღწერა არ არის. სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად ლექსში ჩანს, რომ ღურჯა ცხენები, როგორც ორი სამყაროს შემაკავშირებელი საშუალება, გალაკტიონს არა მხოლოდ საიქიოში გადასასვლელად, არამედ კონკრეტული „ადამიანების“ იქიდან გადმოყვანისთვისაც სჭირდება. რადგან იმ სამყაროში არაფერია სანახავი, იქ აზრი არა აქვს არც ასპარეზობის გამართვას და არც სხვა ამქვეყნიური მოლოდინების განხორციელების იმედად დარჩენას. ამიტომაც უკვე სხვა ლექსში, კერძოდ, 1922 წელს დაწერილ „ეფემერაში“ პოეტმა უკვე სრულიად ახლებურად გააგრძელა საკითხი და მიღმიერი სამყაროს მკვიდრ პოეტთა შეჯიბრი, სადაც უკვე ყველაფერი ამოა და აზრი ეკარგება მსგავს საქმიანობებს, ამ სამყაროში გადმოიტანა.

#### ლიტერატურა:

გალაკტიონი: <http://galaktion.ge/?page=Poetry&id=308>  
<http://galaktion.ge/?page=Poetry&id=22>  
<http://galaktion.ge/?page=Poetry&id=312>  
<http://galaktion.ge/?page=Poetry&id=332>  
<http://galaktion.ge/?page=Poetry&id=500>  
 ვაჟა-ფშაველა: <http://www.face.ge/blog/224542/mogoneba>  
<http://litklubi.ge/biblioteka/admin/files/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%20-%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98.pdf>

შექსპირი: <https://www.w3.org/People/maxf/XSLideMaker/hamlet.pdf>

ჰომეროსი: <http://classics.mit.edu/Homer/odyssey.html>

**Nestan Ratiani**

**From Homer to Galaktion - one problem, three vision**

**Abstract**

In the article Varasu says that Galaktion Tabidze's four poems, written in 1911-1915, may have one source of inspiration "Shakespeare's Hamlet".

However, the problem associated with the marriage of the wife and the mother is related to the two legends of antiquity in Greece.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ხელაია

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნესტან სულავა

თბილისი, საქართველო

გიორგი მცირის ცნობები ქართული საეკლესიო გალობის  
მრავალხმიანობის შესახებ

"წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების" მიხედვით

*წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობის, ქართული გალობის მრავალხმიანობისადმი მისი დამოკიდებულების შესასწავლად საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება მისივე ბიოგრაფის, გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების მონაცემებსა და წმ. გიორგი მთაწმინდისეული ჰიმნოგრაფიული კრებულებისათვის მის მიერვე დართულ ანდერძებს, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა ქართული გალობის მრავალხმიანობის, მეხელთა და მათი შემდგომი თაობის მგალობლების საქმიანობის შესახებ. ამ მხრივ გიორგი მცირის თხზულებაში ყურადღებას სამი ეპიზოდი იქცევს.*

1. წმ. გიორგი მთაწმინდელი ქართულ გალობას უკვე მრავალხმიანად რომ აღიქვამს, უწინარეს ყოვლისა, ამას გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების რამდენიმე ეპიზოდი მოწმობს. წმ. გიორგი მთაწმინდელის სამგალობლო მონაცემების თაობაზე გიორგი მცირე თავის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოგვითხრობს, რომ გიორგი ყმაწვილობაშივე “უმეტეს ყოველთა ჰასაკის - სწორთა მისთასა წარებატა. და საგალობელნი იგი საწელიწდონი და შეწყობილებანი იგი გალობათანი მეყსა შინა ზეპირით დაისწავლნა” [ძეგლები 1967: 116], რაც იმას ნიშნავს, რომ ხმათა შეწყობას ადვილად იმახსოვრებდა და ზეპირად იცოდა მთელი წლის საგალობლები ხმათა შეწყობით, რითაც თავის თანამგალობელთ აღემატებოდა და რითაც საოცრად ჰგავდა თავის დიდ წინამორბედებს წმ. გრიგოლ ხანძთელს და მიქაელ მოდრეკილს. ხმათა შეწყობაში კი გალობის მრავალხმიანობა იგულისხმება. გალობა მრავალხმიანი რომ არ ყოფილიყო, ხმათა შეწყობაზე საუბარი არც იქნებოდა.

2. ივანე ჯავახიშვილმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ თხზულებაში დაცულ ცნობას წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ გაწვრთნილი ოთხმოცი ობოლი ბავშვის გალობის შესახებ ბიზანტიის კეისრის წინაშე, რომელმაც ბავშვების მიერ შესრულებული გალობის მოსმენის ბოლოს ქართველ წმინდა მამას შემდეგი სიტყვებით მიმართა: “განვისწავლიან ბერძულსა გუარსა ზედა, კეთილ ბერო, შენნი ობოლნი” [ძეგლები 1967: 184]; ე. ი. ბიზანტიის იმპერატორმა იცოდა, რომ ქართული და ბერძნული გალობების გვარები სხვადასხვა იყო; ეს სიტყვები უცილობლად ამტკიცებენ ქართული და ბერძნული გალობის სხვადასხვაობას. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით: “ათონის

ქართველი ბერები თავიანთ მონასტერში ქართულსა “გუარსა ზედა” გალობენ და ის ბერძნული გვარი გალობა, რომელიც წმ. გიორგი მთაწმინდელმა მოასმენინა, პირადად მის საამებლად იყო მოწყობილი” [ჯავახიშვილი, 1998: 600]. ფაქტობრივად, ამ ეპიზოდში მითითებულია, რომ ქართული გალობა მრავალხმიანია, ხოლო ბერძნული გალობა - ერთხმიანი, ისინი განსხვავებული ბუნებისაა.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადების შემდეგ საეკლესიო გალობაც, როგორც საზოგადოდ ლიტურგია, პალესტინიდან შემოვიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ განვითარდებოდა და ეროვნულ, ქართულ ხასიათს არ შეიძენდა. ქართული ენის ბუნება და ქართული მუსიკალური მრავალხმიანობის სისტემა პალესტინური და ბერძნული წიაღიდან წამოსული ქრისტიანული საეკლესიო გალობის გაქართულებას მოითხოვდა. ცნობილია, ყოველი ერის წარმომადგენელი გარესამყაროს აღქმას და მის გამოსატყვის ყველაზე უკეთ მშობლიურ ენაზე აღწევს, რაც იმას მიუთითებს, რომ რელიგიური განცდა და განწყობაც, მელოსით გამოსატყვლი, ყველაზე ნათლად მშობლიური მუსიკალური სისტემით აღიქმება და გადმოიცემა.

3. ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას მოწმობს წმ. გიორგი მთაწმინდელის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, როდესაც ათონის ივირონის მონასტრის ერთ-ერთმა უდიდესმა მოღვაწემ ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვედრილობა და მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა დაასაბუთა. გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულება მოგვითხრობს წმ. გიორგი მთაწმინდელისა და ანტიოქიის პატრიარქის თვედოსის შეხვედრის მიზანზე. მსჯელობა შეეხებოდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის, ქართველთა მართლმადიდებლობისა და ქართულ ეკლესიაში ლიტურგიის აღსრულების საკითხს. პატრიარქმა წმ. გიორგი მთაწმინდელისაგან გამოიკითხა ყოველი, რაც მას აინტერესებდა, “გულისკმა-ყო პატრიარქმან, ვითარმედ მადლი ღმრთისაჲ დამკვდრებულ არს მის თანა” და ბერს შემდეგი სიტყვებით მიმართა: “პატიოსნაო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელ ვიხილე სიწმიდე შენი. და აჰა ესერა, გხედავ მოწყალებითა ღმრთისაჲთა, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხუთა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ. ხოლო მითხარ ნათესავისა შენისათჳს, არს რაჲ ნაკლულევანებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ მათ თანა გინა ურთიერთარს განყოფილებაჲ მათ შორის და ჩუენ შორის?” [ძეგლები, 1967: 151]. წმ. გიორგი მთაწმინდელმა მოატანინა წმ. ანდრია პირველწოდებულის “მიმოსღვანი” და ანტიოქიის პატრიარქს წარუდგინა, რომელშიც ქართული ეკლესიის სამოციქულოდ მიხნევის საფუძველი იყო დასაბუთებული, მან ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა დაიცვა: “...წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და ვინაჲთგან ერთი ღმერთი გვცნობიეს, არღარა უარ-გვყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი. და ყოველთა უარის-მყოფელთა და მწვალებელთა შევანუენებთ და ვსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ” [ძეგლები, 1967: 154].

ვფიქრობ, რომ გიორგი მთაწმინდელის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან მოწმობს ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას, როდესაც ათონის ქართველთა მონასტრის ერთ-ერთმა უდიდესმა მოღვაწემ მოწინააღმდეგეებს დაუმტკიცა ქართული ეკლესიის საუკუნეობრივი დამოუკიდებლობა, სამოციქულო წილხვედრილობა და მართლმადიდებლობის განუხრელი დაცვა ისე, რომ არასოდეს მიდრეკილა რომელიმე მწვალებლური მიმდინარეობისაკენ. იმ დროისათვის, როდესაც ეს პოლემიკა გაიმართა წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის, ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობა აღიარებული რომ არ ყოფილიყო, ცხადია, ანტიოქიის პატრიარქი წმ. გიორგი მთაწმინდელს უთუოდ უსაყვედურებდა და ლიტურგიის არაკანონიკურობაში დასდებდა ბრალს ისევე, როგორც ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობის თაობაზე მოსთხოვა პასუხი. წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის კამათი იმას მოწმობს, რომ ამ დროისათვის ქართული გალობის მრავალხმიანობა საუკუნეებგამოვლილია და იგი კანონიკურია. წმინდა მამა ამას ასე თამამად ვერ განაცხადებდა, ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობა რომ დიდი ხნის დაკანონებული არ ყოფილიყო. ეს თვალსაზრისი წმ. გიორგი მთაწმინდელმა ბიზანტიის იმპერატორთან საუბრის დროსაც განამტკიცა: “ესე არს

სარწმუნოებად მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ. და რაჟამს ერთგვის გუცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ არცა მარცხელ, გინა მარჯულ და არცა მიედრკებით, თუ ღმერთსა უნდეს” [ძეგლები, 1967: 178]. ეს ვრცელი ამონარიდები “წმ. გიორგი მთაწმიდელის ცხორებიდან” იმისთვის დავიმოწმეთ, რათა გვეჩვენებინა წმ. გიორგი მთაწმიდელის შეუპოვარი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის უფლებების დასაცავად.

გიორგი მცირის “გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში” დაცული ცნობები და ხელნაწერებზე დართული წმ. გიორგი მთაწმიდელის ანდერძ-მინაწერები უტყუარად ადასტურებენ, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობის დროს ქართული გალობა მრავალხმიანი იყო. საფიქრებელია, რომ IV საუკუნის დასაწყისში გაქრისტიანებული საქართველოს ეკლესიის მრევლი, რომლის სმენა საუკუნეების მანძილზე მრავალხმიან ხალხურ სიმღერასა და წარმართული პერიოდის მრავალხმიან საკულტო გალობას იყო შეჩვეული, ერთხმიან გალობას დიდხანს ვერ იგუებდა და მასში უთუოდ ადრევე შეიტანდა ეროვნული მუსიკალური სააზროვნო სისტემის უპირველეს, უმთავრეს მახასიათებელს - პოლიფონიურობას. როგორც ლიტურგიისათვის აუცილებელი საღვთისმეტყველო წიგნები ითარგმნა ქართულად ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ ეტაპზე, ასევე გამრავალხმიანდა ქართული საეკლესიო გალობაც.

მართალია, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებისას საეკლესიო გალობაც, როგორც საზოგადოდ ლიტურგია, პალესტინიდან და საბერძნეთიდან შემოვიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ განვითარდებოდა და ეროვნულ, ქართულ ხასიათს არ შეიძენდა. ქართული ენის ბუნება და ქართული მუსიკალური მრავალხმიანობის სისტემა მოითხოვდა პალესტინური და ბერძნული წიაღიდან წამოსული ქრისტიანული საეკლესიო გალობის გაქართულებას. ცნობილია, ყოველი ერის წარმომადგენელი გარესამყაროს აღქმის გამოხატვას მშობლიურ ენაზე აღწევს ყველაზე უკეთ, რაც იმას მიუთითებს, რომ რელიგიური განცდა და განწყობაც, მელოსით გამოხატული, ყველაზე ნათლად მშობლიური მუსიკალური სისტემით აღიქმება და გადმოიცემა. ქართველი ერი ფრთხილად ეკიდებოდა ყოველივე უცხოურს, რაც მისი სულიერი და ფსიქიკური წყობისათვის მიუღებელი იყო და ცდილობდა ეროვნულის შენარჩუნებას, ხოლო საჭირო შემთხვევაში - საუკუნეთა მანძილზე ოფიციალურ დონეზე მიჩქმალული, მაგრამ ერის მეხსიერებაში შემონახული ეროვნული ფენომენის აღორძინებას, გაქართულებას.

რას ნიშნავს გალობის გაქართულება? გალობის გაქართულება ნიშნავს ქართული გალობისათვის ეროვნული მუსიკალური თვისებების შექმნებას. ქართული ეროვნული მუსიკის, წინარექრისტიანული გალობა-სიმღერის უმთავრესი თვისება კი მისი პოლიფონიურობაა. ამრიგად, საეკლესიო გალობის გაქართულება მის მრავალხმიანობაში გამომჟღავნდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა: “მრავალხმიანობა ქართული მუსიკის ორსავე, საეკლესიო და საერო შტოშიც გვაქვს. დაუჯერებელია, რომ მრავალხმიანობა ერთსაცა და მეორეშიც სრულებით დამოუკიდებელივ გაჩენილიყო, ამიტომ ერთი მათგანი უნდა მრავალხმიანობის დამწყები და შემქმნელი იყოს, მეორე მის შემთვისებლად და დამწინაურებლად არის საგულისხმებელი” [ჯავახიშვილი, 1998: 663].

საქართველოში ადრევე ითხზებოდა ქართული მელოდიის მქონე საგალობლები, ე. ი. იქმნებოდა ქართული ეროვნული სამგალობლო ტრადიცია, რის დამკვიდრებასა და კანონიზებას საუკუნეები დასჭირდა. საეკლესიო გალობის გაქართულება მის მრავალხმიანობაში გამომჟღავნდა, ხოლო მრავალხმიანობა ქართველი ერის მუსიკალური სააზროვნო კატეგორიაა. XII საუკუნეში ქართული გალობის მრავალხმიანობის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური განზოგადება მოგვცა იოანე პეტრიწმა, რომელმაც ქართულ გალობაში სამი ხმა გამოყო: “მზახრ, ჟირ, ბამ”. იოანე პეტრიწის მუსიკალური ტერმინოლოგია იმას მოწმობს, რომ ყოველი თეორიული დებულება პრაქტიკული საქმიანობის განზოგადების შედეგია. ამიტომ, “მზახრ, ჟირ, ბამის” ერთობა, “შეყოფლება” (ანუ ყოვლადობა, ყოვლისმომცველობა) ქართულ მუსიკალურ ყოფაში საუკუნეების დამკვიდრებული ჩანს და იგი თეორიულად იოანე პეტრიწმა განზოგადდა.

ამრიგად, ქართველი ერის მუსიკალური აზროვნება ისევე ძველია, როგორც ქართული სიტყვა, ლექსი, ცეკვა, მითოპოეტური სამყარო, ფოლკლორი. მრავალფეროვნება ქართველი

ერის აზროვნების, მისი ეროვნული ცნობიერების, შინაგანი სულიერი სამყაროს გამოვლინებაა, ქართველი ერის სააზროვნო სისტემაა. ამიტომ ქართულ საეკლესიო გალობაში მრავალხმიანობა, რომელიც წინარექრისტიანული მუსიკალური კულტურის არსებითი ნიშანი იყო, ადრევე შევიდა, იმ დროიდან მაინც, როდესაც პირველი ქართული ორიგინალური საგალობლები შეიქმნა. ქართულ საეკლესიო გალობაში ისევე შევიდა წინარექრისტიანული საერო და წარმართული გალობის მრავალხმიანობის ტრადიცია, როგორც ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის წიაღში საგალობელთა პარალელურად არსებული ქართული ლექსის უძველესი ფორმები, როგორც ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში – წინარექრისტიანული არქიტექტურის ელემენტები.

#### ლიტერატურა:

ძეგლები 1967 – ძეგლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაძიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., "მეცნიერება", 1967.

ჯავახიშვილი 1998 – ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თხზ. XI, თბ., თსუ გამომც., 1998.

Нестан Сулава

#### Георгий Мцир из грузинской духовной полифонии «Живого святого Георгия Мтацминдели» Резюме

Георги Мцир в своей агиографической работе рассказывает о полифонии святого Георгия Мтацминдели. Он говорит, что святой Георгий Мтацминдели получил образование в области полифонии в юности. Он знал все гимны лет и легко принимался в устном учении, для этого он был превосходным среди своих коллег и как его великие предки святого Григола Хандзели и Микаэля Модрекили.

Чтобы изучить гимнографическое наследие и его отношение к грузинской полифонии, мы должны познакомиться с его биографией из агиографических работ Георги Мцира, а также с «Волей», добавленными к гимнографическим произведениям святого Георгия Мтацминдели. Из агиографических работ Георги Мцира мы подтверждаем, что гимны Георги Мтацминдели были полифоническими. Грузинская наука Иване Джавахишвили обратила большое внимание на тот факт, что в этой истории сохранились 80 сирот, выросших Святым Георгием Мтацминдели, они скандировали перед Цезарем Византии, и Цезарь упомянул полифонический стиль песни. Это означает, что Цезарь знал о различиях грузинских и греческих песнопений, и он уже упомянул об этом.

Из полемики Патриарха Антиохии и святого Георгия Мтацминдели мы подтверждаем канонически полифонию грузинских песнопений. Святой Георгий Мтацминдели подтверждает апостольскую историю и длительную независимость грузинской церкви. Во время этой полемики каноничность полифонии грузинского песнопения уже была подтверждена, иначе Патриарх Антиохийский выговорил бы святого Георгия Мтацминдели, и его обвинили бы в неканонической литургии. Эта полемика подтверждает, что грузинские полифонические песнопения являются каноническими и имеют долгую историю. Предполагается, что первые годы христианство и христианские люди в церквях не использовали монофонический стиль скандирования, потому что грузинский народ и традиции были ознакомлены только с полифоническим стилем песен. Это означает, что изменения в стиле песнопений должны быть сделаны с самого начала. Грузинские песнопения изменились с монофонического на полифоническое

с ранней стадии литургии. Разнообразие - это главное обнаружение грузинского ума, грузинской национальной духовной жизни, разнообразие - это система мышления. Это дает нам возможность сказать, что полифония, должно быть, была стилем грузинских песнопений с раннего этапа развития нашей церкви. Параллельно с грузинской гимнографией использовался старый стиль грузинской поэзии, как это было в архитектуре грузинской церкви, на грузинском архитекторе есть много элементов докрестьянства.

**Nestan Sulava**

**Giorgi Mtsire of the Georgian spiritual polyphony of "The Live Saint Giorgi Mtatsmindeli"  
Abstract**

Giorgi Mtsire in his hagiographical work tells us about the polyphony of the Saint Giorgi Mtatsmindeli. He says that Saint Giorgi Mtatsmindeli was educated in the art of polyphony in his youths. He knew all hymns of years and was easily adopted in oral teaching, for this he was excellent within his colleagues and as like his great ancestors Saint Grigol Khandzteli and Mikael Modrekili.

To study the hymnographical heritage and his attitude to the Georgian polyphony we must get acquainted his biography from the Giorgi Mtsire's hagiographical works and also with The Will added to the hymnographical works of Saint Giorgi Mtsatsmindeli. From the hagiographical works of Giorgi Mtsire we confirm that hymns of Giorgi Mtatsmindeli were polyphonic. Georgian science Ivane Javakhishvili payed great attention to the fact saved in this story about the 80 orphans grew up by the Saint Giorgi Mtatsmindeli, they chanted in front of the Caesar of Byzantium and the Caesar mentioned the polyphonic style of the song. It means that the Caesar knew about the differences of Georgian and Greece chants and he had already mentioned that.

From the polemics within the Patriarch of Antioch and the Saint Giorgi Mtatsmindeli we confirm the canonically of polyphony of Georgian chants. The Saint Giorgi Mtatsmindeli confirms the apostolic history and long independency of Georgian church. At the time of this polemics the canonicity of Georgian chant's polyphony had already been confirmed otherwise the Patriarch of Antioch would reprimanded Saint Giorgi Mtatsmindeli and he would have been accused in noncanonicity of liturgy. This polemic confirms that the Georgian polyphonic chants are canonical and has long history. It is supposed that the first years Christianity and Christian people in churches did not get used the monophonic style of chants because Georgian folk and traditions were acquainted only to the polyphonic style of songs. It means that the changes in the style of chants must be made from the beginning. The Georgian chants would have changed from the monophonic to the polyphonic from the early stage of liturgy. Diversity is the main detection of Georgian mind, Georgian national spiritual life, diversity is the system of thinking. So it gives us the chance to say that the polyphony must have been the style of Georgian chants from the early stage of our church development. In parallel of Georgian hymnography there were used the old style of Georgian poetry as it was in architect of Georgian church, there are plenty of pre-Christianity elements on Georgian architect.

რეცენზენტი: პროფ. ნ. ხელაია

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

ნანა ფროიძე

ქუთაისი, საქართველო

ახალი წერეთლის „სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“

*XIX საუკუნის 80-იან წლებში „ვეფხისტყაოსნის“ დასაბუქდად მომზადება რომ დაიგეგმა, მტერმაც და მოყვარემაც კარგად გააცნობიერა, რომ ეს რიგითი გამოცემა არ იქნებოდა, რადგან პოემა თითოეული ქართველისთვის არა მარტო ეროვნული სიამაყის საგანი, არამედ თავისუფალი, ერთიანი და ძლიერი საქართველოს სიმბოლოც გახლდათ.*

სახელმწიფოებრიობადაკარგული ქართველობა სამი რამით ამაყობდა: ისტორიით, ენითა და კულტურით, რომლის გვირგვინადაც სამართლიანად მიიჩნეოდა რუსთველის ქმნილებას. შესაბამისად, რუსეთის რეაქციული წრეების მხრიდან სწორედ ამ „სამეზაზე“ ხორციელდებოდა მუდმივად თავდასხმა. გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ხშირად არა მარტო ოფიციალური წარმომადგენლები, არამედ მეცნიერებიც სცოდავდნენ. ამ თვალსაზრისით სხვათაგან უდავოდ გამოირჩევა ო. სენკოვსკი – აღმოსავლეთმცოდნე, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მწერალი, რედაქტორი, ცნობილი ჟურნალის - „Библиотека для чтения“-ს დამაარსებელი. სამწუხაროდ, მის უსამართლო და, ამავდროულად, სრულიად უსაფუძვლო ბრალდებებს მეტად ხანგრძლივმოქმედი ეფექტი აღმოაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთგზის გაეცა საკადრისი პასუხი.

რასაკვირველია, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ქართული ინტელიგენცია სერიოზულად მოეკიდა საქმეს: შეგროვდა ხელნაწერი ნუსხები, შედგა ტექსტის დამდგენი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ისეთი ავტორიტეტული ადამიანები, როგორებიც იყვნენ გრიგოლ ორბელიანი, გაბრიელ ქიქოძე, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, პეტრე უმიკაშვილი, დავით ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვები - პოემის გამოცემის ფაქტმა კულტურულზე მეტად პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა. ცხადია, გააქტიურდნენ ჩვენი „კეთილის მოსურნეებიც“ და, როგორც ჩანს, გაიხსენეს ო. სენკოვსკი მისი თეორიით – საქართველო, როგორც ქვეყანა მე-12 საუკუნემდე არ არსებობდა, ქართველ ხალხს ნაყალბევი და სხვებისთვის მოპარული ისტორია აქვს, აღმოსავლეთ საქართველო დიდი სომხეთის ნაწილია, ხოლო რაც შეეხება რუსთველის გენიალობას, ეს საერთოდ აბსურდია, რამდენადაც რიცხობრივად პატარა ერს არ გააჩნია გენიოსის წარმოშობის უნარი.

რატომ ვფიქრობთ, რომ სენკოვსკის მიერ XIX საუკუნის 30-იან წლებში გამოთქმული

მოსახრებები 80-იან წლებში კვლავ გახსენეს? იმიტომ, რომ ისინი არც არავის დავიწყებია. სენკოვსკის არაერთი მიმდევარი გამოუჩნდა. საკმარისი იქნება თუნდაც პროფ. პატკანოვისა (1833-1889) და აკად. ნიკო მარის (1865-1934) დასახელება. სენკოვსკის თეორიამ ბევრ სხვა მეცნიერსაც აურია დავთრები. ასე, მაგალითად, 1881 წლის სექტემბერში თბილისმა უმასპინძლა არქეოლოგთა მე-5 ყრილობას. სტუმართა შორის იყო ვინმე პროფესორი დ. ხოლსონი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, დარწმუნებული იყო, რომ სომხეთში იმყოფებოდა და თბილისიც სომხეთის დედაქალაქი ეგონა. ცნობილია, რომ პატივცემულ პროფესორს სწორედ აკაკიმ განუმარტა ჩვეული იუმორით, რომ მწარედ ცდებოდა.

აქ, ალბათ, ისიც უნდა გავისხენოთ, რომ 1881 წლის თებერვალში, ანუ მაშინ, როცა მუშაობას იწყებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია, სულ ხუთიოდე თვის გარდაცვლილია ქართველთა დიდი გულშემატკივარი და მთამაგე მარი ბროსე (1802-1880). სწორედ ის დაუპირისპირდა «Bulletin scientifique»-ის ფურცლებზე სენკოვსკის, როცა ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ქართველებს მე-12 საუკუნემდე არ უცხოვრიათ საქართველოს ტერიტორიაზე. ხოლო სენკოვსკის 1838 წელს გამოქვეყნებული საკმაოდ ვრცელი ნარკვევის - „Некоторые сомнения касательно истории грузинов“ - პასუხად ბროსემ ლექციების მთელი ციკლი წაიკითხა ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურისა და ლიტერატურის შესახებ (ნიშნობილია, რომ ამავე 1881 წლის მაისში აკაკი გამოვიდა ინიციატივით, მარი ბროსეს სახელის უკვდავსაყოფად დაეწესებინათ პრემია საუკეთესო ისტორიული გამოკვლევისთვის. პოეტი ფიქრობდა, რომ ეს კარგი შესტი იქნებოდა და მკაფიოდ გამოკვეთდა „რომ ის კაცი (მარი ბროსე – ნ. ფ.) ღირსი ყოფილა დაუფიწყებლობის და ჩვენც გვცოდნია დაფასება“).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობას 1881 წლის დამდეგს შეუდგა. პირველ სხდომას, რომელიც 6 თებერვალს შედგა, აკაკი წერეთელი ვერ დაესწრო, მაგრამ 13 თებერვალს უკვე აქტიურად ჩაერთო კომისიის მუშაობაში. შესაძლოა, სწორედ ამ შეხვედრაზე გაჩნდა საჯარო ლექციების წაკითხვის იდეა, რადგან უკვე მეორე დღეს, 14 თებერვალს, გახ. „დროებაში“ თავის მკითხველებს აუწყა, რომ აკაკი წერეთელი მოკლე ხანში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ საჯარო ლექციების წაკითხვას გეგმავდა. ხსენებული ვარაუდი სარწმუნოდ გვეჩვენება, რადგან ლექციები ამ ინფორმაციის გავრცელებიდან დაახლოებით თვენახევრის შემდეგ ჩატარდა – აკაკის, ცხადია, დრო სჭირდებოდა; ჯერ ერთი, ხელისუფლებისგან ნებართვა უნდა აეღო, ამის გარდა უამრავი ტექნიკური საკითხი იყო მოსაგვარებელი. მართალია, ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილისადმი მიწერილ ერთ პირად ბარათში ქუთაისში შექმნილ სირთულეებზე საუბრობს, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმის მოგვარება ნაკლებ პრობლემური არც თბილისში იქნებოდა: „გუშინ იყო ჩემი პირველი ლექცია. თუმცა ისე გამტანჯა პოლიციამ, რომ აფიშები სადამომდე არ გამოუშვიათ. ასე რომ, თითქმის განცხადება არ ყოფილა, მაგრამ ხალხი მაინც დიდძალი შეიკრიბა.“ (წერეთელი, 1963, გვ. 242); მეორეც, საკუთარი გამოსვლები ისე უნდა დაეგეგმა და კომპოზიციურად ისე შეეკრა ტექსტი, რომ მაქსიმალურად ეფექტურად მიეტანა მსმენლამდე სათქმელი.

27 მარტს „დროებაში“ გამოაქვეყნა განცხადება იმის თაობაზე, რომ 29 მარტს, 2 და 5 აპრილს აკაკი წერეთელი წაიკითხავდა სამ ლექციას „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ვინმეს რომ არ ეფიქრა, რომ ეს ლექციები პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობასთან და ამ მუშაობის პროცესში გამოკვეთილ პრობლემებიკასთან იყო დაკავშირებული, აკაკიმ საჭიროდ მიიჩნია წინასწარ გამოექვეყნებინა ნუსხა და თანმიმდევრობა საკითხებისა, რომლებსაც ლექციებზე შეეხებოდა. ეს ნუსხა ცხადყოფს, რომ აკაკი, უპირველეს ყოვლისა, სენკოვსკის იდეების რეანიმატორთა წინააღმდეგ ილაშქრებს. ეს რომ ნამდვილად ასეა, ადასტურებს პირველი საკითხი, რომლითაც პოეტმა მსჯელობა დაიწყო: საქართველოს მოუხსენებლობა საქვეყნო ისტორიაში. საქმე ისაა, რომ სენკოვსკის მთავარი არგუმენტი სწორედ ის გახლდათ, რომ უძველეს საისტორიო წყაროებში ტოპონიმი „საქართველო“ ნახსენები არსად იყო. იგი ირონიულად შენიშნავდა: ქართველები თავს უძველეს ხალხად ასაღებენ, მაგრამ სტარბონი, პლინიუსი, დიონისე, პტოლემეოსი, პლუტარქე, ტაციტუსი და სხვა ავტორები მათ არ ახსენებენ.

იბერია კი ზოგადი სახელია ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მთიელთა მრავალრიცხოვანი ტომებისა და მას ქართველობასთან საერთო არაფერი აქვს. ამიტომაცაა, რომ აკაკი სწორედ სენკოვსკის მთავარი დებულების დარღვევით იწყებს საუბარს და არწმუნებს მსმენელს რუსი მეცნიერისა და მის მიმდევართა მოსაზრებების უნიადაგობაში.

გაგა კიდევ თითქმის ოცი წელი და 1898 წელს „სენკოვსკიადას“ მოტივებზე აკაკი შექმნის წარმოუდგენლად შთამბეჭდავ, ისტორიული წყაროების გასაოცრად ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით აღსავსე სტატიას „ისტორიული განხილვა სახელწოდებისა არმენის, ჰაისტანის და სომხეთის“ (კრებ. „უცნობი აკაკი“, 2001); ხოლო როდესაც ნიკო მარი შეეცდება შედავებას, აკაკი გამანადგურებელ პასუხს გასცემს სტატიით „პროფესორ მარრის პასუხად“ (იქვე). 1899 წელს სენკოვსკის „უკვდავ“ იდეას იღია დაუპირისპირებს თავის ერთ-ერთ უბრწყინვალეს პუბლიცისტურ წერილს „ქვათა დაღადი“, რომელშიც იტყვის: „საოცარი აქ კიდევ ის არის, რომ ეს სამოცი წლის მთელი ხანა რუსის მწერლისგან იწყება (ო. სენკოვსკით – ნ.ფ.) და რუსის მწერლითვე თავდება (გ. გოლმსტრემით – ნ. ფ.), ამათ შუა მთელი მწკრივია სომეხ მეცნიერ-მწიგნობრებისა ასე, რომ თავიდან ბოლომდე ერთი ღარი გაჭიმოთ, სულ ყველას იგი ღარი მხარზე გადაუვლის, ასე მწყობრად მღადადებულნი არიან ერთისა და იმავე განგებ აკვიატებულ აზრისა“ (ჭავჭავაძე, 2007, გვ. 177). ძნელია, არ დაეთანხმო დიდ ილიას, მაგრამ, ჩვენი აზრით, ის უფრო საოცარია, ზოგიერთებს XXI საუკუნეშიც კარგად რომ ახსოვთ სენკოვსკის სახელიცა და მისი მოსაზრებებიც - 2008 წელს სოხუმში ცალკე წიგნად დაბეჭდეს სენკოვსკის ზემოხსენებული ნარკვევი „Некоторые сомнения касательно истории грузинов“.

რა თქმა უნდა, ლექციების წაკითხვა აკაკის მხოლოდ სენკოვსკის ცილისმწამებლური მსჯელობის გაქარწყლების მიზნით არ დაუპირებია. უბრალოდ, უსათუოდ ამ საკითხით უნდა დაეწყო, თორემ სხვაგვარად მის მთავარ სათქმელს საყრდენი გამოეცლებოდა. იმისათვის, რომ თვალნათლივ დაეინახოთ, თუ რა მიზანს ისახავდა პოეტი და რა იყო მისი მთავარი გზავნილი საზოგადოებისადმი, საკმარისია დაგხედოთ ლექციების პროგრამას.

### პირველი ლექცია

შესავალი

- ა. საქართველოს მოუხსენებლობა საქვეყნო ისტორიაში
- ბ. საქართველოს ბედის შედარება პრომეთეოსის ბედთან
- გ. ქართველთა ენა – იმისი სიმდიდრე და ქართულში შემოსული უცხო ენების სიტყვები
- დ. ჩვენი უმეცრება საქართველოს ტომთა შესახებ  
ხასიათები საქართველოს ხალხისა
- ე. ქართლელი
- ვ. იმერელი
- ზ. გურული
- თ. მეგრელი
- ი. მთიული

### მეორე ლექცია

ვეფხვის ტყაოსანი

კაცები

- ა. ტარიელი
- ბ. ავთანდილი
- გ. ფრიდონი
- დ. ამათი განსხვავება ხასიათებით

### მესამე ლექცია

ვეფხვის ტყაოსნის შესახებ

ქალები

ა. ნესტან დარეჯან

ბ. თინათინ და

გ. ფატმან ხათუნ

დიდი მნიშვნელობა რუსთაველისა საქართველოს ბედის წინასწარმეტყველებაში.

როგორც ვხედავთ, სამივე ლექცია კონცეპტუალურად ერთ მთლიანობას წარმოადგენს და მსმენელთათვის ერთი იდეის გადაცემას ისახავს მიზნად. ცხადია, ისტორიული ექსკურსითა და ქართული ენის უკვდავ ბუნებაზე საუბრით ავტორს ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივება სურს. გულგატეხილ ქართველობაში ოპტიმისტური განწყობის შესაქმნელად ავტორი პრომეთეოსის ბრწყინვალე ალგორითულ სახეს მოიხმობს, ხოლო შემდეგ ერთგვარ ანალოგია-პარალელურ სთავაზობს მსმენელებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებისა და „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ხასიათებს შორის. ეს ყველაფერი პოეტს სჭირდება, რათა მსმენელი თავის მთავარ დებულებამდე მიიყვანოს: **შოთა რუსთაველის გენიალური პოემა ღრმად ეროვნული ქმნილებაა, ამასთან, მასში ერთგვარად კოდირებულია საქართველოს ისტორიული ბედ-იღბალიცა და ძნელბედობის ჟამს წარმატების მიღწევის გზაც. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი განასახიერებენ ამიერ, იმიერ და ზღვისპირა ქართველებს; და ისევე, როგორც ვერ მოხერხდა ნესტანის არათუ გამოხსნა, არამედ პოვნაც კი მანამ, სანამ სამი გმირი რაინდი არ გაერთიანდა, საქართველოსაც არაფერი ეშველება ეროვნული ერთიანობის მიღწევამდე.** ავტორს სურს თანამედროვეებს შთააგონოს, რომ სახელმწიფოებრიობის აღდგენა არათუ შესაძლებელი, არამედ გარდუვალია – პრომეთე ჯაჭვს აუცილებლად გაწყვეტს, მაგრამ ამ იდეის ხორცშესხმისთვის აუცილებელია სრულიად საქართველო ჩანგურის სიმებივით შეხმატკბილებულად მიიღტვოდეს ერთი მიზნისკენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, აკაკი წერეთლის მიერ წაკითხულმა პირველივე საჯარო ლექციამ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. უმრავლესობა მოხიბლული დარჩა. შგაზ. „დროების“ 31 მარტის ნომრის ახალი ამბების განყოფილებაში გამოქვეყნდა ხელმოწერილი წერილი, რომლის ავტორიც აღნიშნავდა: „აკაკი წერეთელს ორატორული ნიჭი, მართალია, არა აქვს; ის გამუსაიფება, გელაპარაკება, თითქო ამბავს რასმე ვიამბობსო; მაგრამ ეს ლაპარაკი და მუსაიფი ისეთი ტკბილია, ისეთ საამოა, რომ არ შეგიძლიათ ყური მოაშოროთ. ამას დაუმატეთ მშვენიერი შინაარსი თვითონ ლექციისა, მახვილი შედარებანი, მოხდენილ ანდაზებითა და იუმორით კილოთი შეზავებული საუბარი და თქვენ ადვილად გაიგებთ, როცა გეტყვით, რომ წუხანდელმა იმის ლექციამ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებში, მომეტებული ნაწილი აღტაცებაშიაც მოიყვანა“ („დროება“, 1881, 31 მარტი, №68). მსგავსი რეაქცია ჰქონდა მსმენელს დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ქუთაისშიც. აი, როგორ აღწერს მომხდარს აკაკი: „ხშირათ მაწყვეტინებდენ კითხვას ტაშითა და „ბრავოთი“. ძალიან კმაყოფილი დარჩა ხალხი. . მე მხოლოდ იმ მხრით დავრჩი კმაყოფილი, რომ ხალხმა ქართულ კითხვას თანაუგრძნო“ (წერეთელი, 1963, გვ. 242). „დროების“ კორესპონდენტი კი ქუთაისის ამბებს უფრო ხატოვნად აღწერს: „თეატრის დარბაზი თითქმის ვერ იტევდა მაყურებლებს და კედლები კინაღამ დასქდენ აღტაცებაში მოსულ დამსწრეთა ტაშის კვრისა და „ბრავოსგან“. სწორედ მოსწრებულ დროზედ იყო წაკითხული ეს ჩინებული საკითხავნი; სწორედ დროზედ გაისმა მილლიონჯერ განმეორებული მოწოდება მამულის შვილთა ძმობისა და ერთობისადმი; მოწოდება, რათა დავივიწყოთ პიროვნული ინტერესები საზოგადო სარგებლობისათვის, ვსდევნოთ ყველამ თითოსი და თითომ ყველასი სენი“ („დროება“, 1881, 1 მაისი, №89). თუმცა გამომჩნდნენ განმაქიქებელნიც. მოგვიანებით პოეტი „სამ ლექციას“ რომ დაბეჭდავს, წინასიტყვაობაში აღნიშნავს: „გამოვიდენ მეტუკე მეგანგაშეები და ამტკიცებდენ, რომ მე რუსთაველი დავამცირე, შეურაცხყოფა მივაყენე, ქართლებს სულელები დაუჟდახე, იმერლებს გაიძვერა და სხვანი“.

აკაკი წერეთლისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რამდენად სწორად გაუგებდა საზოგადოება და რამდენად მკაფიოდ ჩაიბეჭდებოდა მსმენელთა გონებაში მისი მთავარი გზავნილი. სწორედ ამით აიხსნება მისი თითქოსდა გაუმართლებლად მწვავე რეაქცია ალ. ყაზბეგის სტატიასზე.

ყაზბეგი დაესწრო აკაკის პირველ ლექციას და მიზნად დაისახა, ხსენებული ლექციების შესახებ ჯერ ერთგვარი ინფორმაციული ხასიათის სტატიები გამოექვეყნებია, შემდეგ კი კრიტიკულად განეხილა ისინი - „მე საჭიროთა ვხედავ, რომ ჯერ სამივე ლექცია მოვისმინო, გადმოვცეთ იმათი შინაარსი და შემდეგ შეუდგე იმათ გარჩევას“ („დროება“, 1881, №69). ის გარემოება, რომ აკაკი წერეთლის მიერ საჯაროდ წაკითხული ლექციის მოკლე შინაარსის დაბეჭდვის საკითხი დადგა, მიუთითებს საზოგადოების დიდ ინტერესზე. ცხადია, დედაქალაქში ჩამოსვლას და ლექციების მოსასმენად მთელი კვირით დარჩენას ყველა ვერ შეძლებდა. მით უფრო, რომ, როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ საკმაოდ ციოდა და ცუდი ამინდები იყო. თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ არც აკაკის შემდეგი ორი ლექციის შინაარსი და არც, მით უფრო, ამ ლექციების ყაზბეგისეული გარჩევა „დროებაში“ აღარ დაბეჭდილა, რადგან აკაკი წერეთელმა მკაცრად გააკრიტიკა ყაზბეგის სტატია და მას „ცილისწამება“ უწოდა.

საზოგადოდ, ალ. ყაზბეგი ცნობილი იყო თავისი უკომპრომისო ხასიათით. მოსალოდნელი იყო, რომ მას ეპასუხა აკაკისთვის და თავისი პოზიცია განემარტა, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც აღვნიშნეთ, თავისთავად ეს იდეა – გაზეთის მკითხველებისთვისაც გაეცნოთ აკაკის ლექციების შინაარსი - ცუდი არ იყო და აკაკის საწინააღმდეგო, ცხადია, არაფერი უნდა ჰქონოდა. მით უფრო, რომ დარწმუნებულიც არ იყო, სრული სახით ამ ლექციების ტექსტის დაბეჭდვის უფლებას ოდესმე მიიღებდა თუ არა. კორესპონდენტი კი, ამ შემთხვევაში ალ. ყაზბეგი, რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა: ლექციები საკმაოდ ვრცელი იყო, საგაზეთო პუბლიკაციის ფორმატი მითხვოდა ყველაზე არსებითის გამოყოფას, ოღონდ ისე, რომ ლექტორის მთავარი სათქმელი დაუმახინჯებლად გადასცემოდა გაზეთის მკითხველებს.

მართალია, ყაზბეგი ძალზე ნიჭიერი მწერალი იყო, მაგრამ როგორც კორესპონდენტმა ამჯერად თავი ვერ ისახელა. პირველი ლექციის შინაარსის გადმოცემისას ყაზბეგი, მართალია, შეეცადა ესაუბრა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე, მაგრამ დაეკარგა შინაგანი ძარღვი, თხრობა ფრაგმენტული, არადამაჯერებელი გამოუვიდა. სრულიად უღიმღამოდ გამოჩნდა საქართველოს შედარება, ერთი მხრივ, ჩანგურთან და, მეორე მხრივ - პრომეთეოსთან. დასასრულ კი, ყაზბეგის თქმით, აკაკიმ საკმაოდ არასასიამოვნო დახასიათება წარმოადგინა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებისა. ამგვარი კორესპონდენციით ყაზბეგმა უნებურად „წაშალა“ ის უმთავრესი „მეისიჯი“, რომელიც აკაკიმ საზოგადოებას გაუგზავნა. შესაბამისად, „დროების“ მკითხველებისთვის უკვე სრულიად გაუგებარი აღმოჩნდებოდა, როგორდა მოხდა, რომ „საზოგადოების მომეტებული წილი მადლობელი დარჩა ლექციისა. ტაში იყო მრავალი, ლექტორი რამდონჯერმე გამოიხმეს“ („დროება“, 1881, №69).

საგარაუდოდ, სწორედ ლექციის მთავარი სათქმელის დაკარგვამ აადეღვა აკაკი, ამიტომაც „დროებაში“ მეორე დღესვე დაბეჭდა მისი მოკლე, მაგრამ მწვავე პასუხი. მისი აზრით, ყაზბეგის სტატიის მდარე ხარისხი ან „განძრახვის“ ბრალი იყო, ან „უცებობის“.

„აკაკის წარმოდგენით, რუსთაველი იყო ნაციონალური გენია, რომელიც ქართულ ხასიათებს ძერწავდა და ქართული სახეების მეშვეობით საკაცობრიო ჰუმანურ იდეებს ქადაგებდა, ხოლო მეთორმეტე საუკუნის დიდი ოსტატის მიერ მხატვრულად გამოძერწილი ქართული ხასიათი ზოგად ადამიანურ სულიერ სამყაროს ამდიდრებდა და ამშენებდა. აკაკი წერეთლის ეს დებულება დიდად საყურადღებო მოვლენაა და ამ შეხედულებას თავის დროზე დიდი ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა. შოთა რუსთაველის გმირებზე წაკითხულ ლექციებში გამოთქმული შეხედულებები აკაკიმ თავის ლექსებშიც გადაიტანა“ (ჩიქოვანი, 1963, გვ. 264). სიმ. ჩიქოვანის ამ მეტად მართებულ დაკვირვებას ჩვენი მხრიდან მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ არა მარტო შეხედულებები, არამედ „სამი ლექციაში“ გააქტიურებული მხატვრული

სახეებიც მისი პოეზიის მუდმივი თანამგზავრნი გახდნენ. ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების იმ იდეას, რომელიც, აკაკის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ იყო ჩაშენებული, პოეტმა ახლებური გამოსატყულება მოუძებნა ამირანისა და ჩანგურის სახით.

„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ლექციების წაკითხვამდე მიჯაჭვულ ამირანსა და დამონებულ საქართველოს შორის პარალელი მხოლოდ ერთ პუბლიცისტურ წერილშია გავლებული („ერთი მეც მერგოს ბანკზედა“, „დროება“, 1873, №13). ჩანგური კი, როგორც ქვეყნის ერთიანობის სიმბოლო – ლექციების წაკითხვამდე ასევე მხოლოდ ერთხელაა გამოყენებული ამავე სახელწოდების სტატიაში („დროება“, 1876, 4 თებერვალი, №13), რომელიც „გ. ქართველიშვილის“ ფსევდონიმით არის გამოქვეყნებული.

ლექციების წაკითხვისას აკაკიმ თვალნათლივ დაინახა, რამდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა ეს ორი მხატვრული სახე-სიმბოლო, როგორი ზეგავლენა მოახდინეს მათ მსმენელებზე, ამიტომაც სულ მალე მათ შეუცვლელი ადგილი დაიმკვიდრეს მის მხატვრულ-სახეობით სისტემაში.

ლექციების წაკითხვიდან რამდენიმე თვეში არქეოლოგებისათვის გამართულ სადილზე წარმოთქმულ მისასალმებელ სიტყვაში („დროება“, 1881, 19 სექტემბერი, №195) აკაკიმ საქართველო კვლავ შეადარა მიჯაჭვულ ამირანს, რომელიც უსათუოდ დაიხსნის თავს ტყვეობიდან. ორიოდ წელიწადში, 1883 წელს, აკაკიმ შექმნა თავისი ერთ-ერთი შედევრი – პოემა „თორნიკე ერისთავი“, რომლის იდეურ ღერძს ქმნის ომიდან დაბრუნებული ქართველი ჯარის სიმღერა - „კაკასიის ქედზე იყო ამირანი მიჯაჭვული..“. სიმღერის ტექსტი, ერთი შეხედვით, შინაარსობრივად სრულიად შეუფერებელ ადგილასაა ჩასმული – ალოგიკურად უღერს გამარჯვებული ჯარის სიტყვები: „მოვა დრო, და თავს დაიხსნის, იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა-გმირი, სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს სიტყვები თავის თანამედროვეთა გასაგონად ათქმევინა ავტორმა პერსონაჟებს. მიჯაჭვული ამირანი, როგორც დამონებული საქართველოს სიმბოლო, ფიგურირებს ლექსში „გაზაფხული“, რომელიც ასევე 1883 წელსაა დაწერილი (პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „შრომა“, 1883, 27 აპრილი). მხედართა სიმღერა „თორნიკე ერისთავიდან“ ცალკე ლექსად დაბეჭდა ავტორმა კრებულში „სალამური“ (1893), ხოლო მოგვიანებით ჩართო პოემაში „საქართველოს დღევანდელი სახე“. ამირანის სიმბოლური სახე აკაკიმ გამოიყენა ისტორიულ მოთხრობაშიც „ქუთათელის სიზმარი“ („კვალი“, 1894, №39-40).

1896 წელს კი აკაკი ქმნის პოემას „ნათელა“, რომელშიც, ისევე, როგორც „თორნიკე ერისთავიში“, ნაწარმოების იდეური ღერძის ფუნქცია სიმღერას ეკისრება – ამჯერად ესაა ნათელას სიმღერა: „ჩანგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შევლაო..“. „ამირანიც“ და „ნათელას სიმღერაც“ აკაკიმ ცალკე ლექსად არაერთხელ დაბეჭდა პერიოდულ პრესასა თუ ცალკეულ კრებულებში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რამდენად მნიშვნელოვანად მიაჩნდა პოეტს ამ ლექსებით გამოსატყუელი იდეები.

ამრიგად, თავისი ლექციების ციკლით აკაკიმ შექმნა პრეცედენტი, ეროვნული ინტერესების დასაცავად სრულიად ორიგინალური მეთოდით ბრძოლისა; აკაკის ლექციებს დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ზეგავლენაც მოახდინა პოეტის თანამედროვეთა ცნობიერებაზე.

#### ლიტერატურა:

1. გურგენიძე ნ., გორგაძე ი. (1989): აკაკი წერეთელი. ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე. თბილისი, მეცნიერება.
2. კრებ. „უცნობი აკაკი“ (2001): შემდგ.: ვგენიძე, ი., ფრუიძე, ნ., თბილისი, თსუ გამომცემლობა.
3. წერეთელი აკაკი (1960): თხზულებათა სრული კრებული (15 ტომად), ტ. XII, საბჭოთა საქართველო, თბილისი.

4. წერეთელი აკაკი (1963): თხზულებათა სრული კრებული (15 ტომად), ტ. XV, საბჭოთა საქართველო, თბილისი.
5. ჭავჭავაძე ილია (2007): თხზულებათა სრული კრებული 20 ტომად, ტ. XIV, თბილისი, ილიას ფონდი.
6. ჩიქოვანი ს. (1963): რჩეული წერილები. თბილისი, ლიტერატურა და ხელოვნება.

**ნანა პრუიძე**

**Лекции Акакия Церетели о поэме Руставели „Барсова Кожа“**

Резюме

В 80-х годах XIX-го столетия подготовка к печати поэмы Руставели „Барсова Кожа“ из культурного скоро превратился в политический акт. Этот факт заставил антигрузински настроенных сил действовать активнее. Акакий Церетели своими лекциями воспротивился тем людям, которые старались дискредитировать Грузинскую культуру и историю.

В своих публичных выступлениях поэт оригинальным суждением доказывал, что гениальная поэма Руставели сугубо национальное творение, в котором содержится своеобразное предсказание по поводу счастливого будущего страны. В качестве иллюстрации, поэт практически впервые использовал художественные образы Прометея/Амирани и Чангури (нац. Муз. инструмент) с аллегорическим значением, а в дальнейшем эти образы неоднократно встречаются в его произведениях.

**Nana Pruidze**

**Akaki Tsereteli’s three lectures about “Vepkhistaosani”**

Resume

In the 80’s of 19<sup>th</sup> century the fact that “Vepkhistaosani” was getting ready to be published had more political than cultural importance, that made Anti-Georgian societies more active. Akaki Tsereteli with his lectures went against those people, who tried to humiliate Georgian culture and honor.

In his public speeches the poet used original discussion to state that Shota Rustaveli’s great poem is deeply national creature, in which there is predicted Country’s bright future. To illustrate his idea, poet used Prometheus/Amirani’s artistic icons and Changuri (national musical instrument) with allegoric definition practically for the first time. Then they were repeated many times in his other works.

ლიტერატურათმცოდნეობა Литературоведение Literature

თეა ხერხაძე

ქუთაისი, საქართველო

პერსონაჟის გარეგნობის რეპრეზენტაციის ზოგიერთი  
ასპექტი მხატვრული პროზის ტექსტში

*წინამდებარე სტატიაში განხილულია მხატვრულ-ვერბალური პორტრეტის პრობლემა მხატვრული პროზის ტექსტში პერსონაჟის გარეგნობის რეპრეზენტაციის თვალსაზრისით.*

*მხატვრული სახეების სისტემის ცენტრში დგას ადამიანის გამოსახვა - პერსონაჟებისა და მათი ურთიერთობების აღწერა. ადამიანი როგორც პორტრეტირების ობიექტი აღიქმება გარეგნობის მიხედვით. ეს კი პერსონაჟის აღქმის ის ასპექტია, რომელიც, მიუხედავად მისი მრავალნაირი ტრანსფორმაციისა, შენარჩუნებულია პორტრეტის ნებისმიერ ტიპში — როგორც არავერბალურში, ისე ვერბალურში.*

*ლიტერატურული პერსონაჟის აღწერა აყალიბებს ვიზუალურ სახეს მკითხველის გონებაში. ამავე დროს ლინგვისტური მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე განსაკუთრებულ ინტერესს წარმადგენს მხატვრული პორტრეტის ორი ასპექტის შესწავლა: ავტორის მიერ მისი შექმნის საშუალებები და მხატვრულ ნაწარმოებში მათი გამოყენების მექანიზმი.*

*მხატვრულ-ვერბალური პორტრეტის პრობლემა, მისი როლი მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაში იპყრობს ბევრი ლინგვისტისა და ლიტერატურათმცოდნის ყურადღებას. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის პორტრეტის ცნება საკმაოდ ფართოა. სხვადასხვა მკვლევარები ძირითადად გამოყოფენ პორტრეტის სამ სახეობას, მათ შორის, ლიტერატურული პერსონაჟის გარეგნობის აღწერა, მისი სოციალური პორტრეტი, ფსიქოლოგიური პორტრეტი, პერსონაჟის ემოციური მდგომარეობის გამომსახველი პორტრეტი.*

*ბევრი მკვლევარი ხშირად ტოლობის ნიშანს სვამს ისეთი ცნებების შორის, როგორცაა „პერსონაჟის პორტრეტი“ და „პერსონაჟის სახე“, საუბრობენ მათ სინონიმიაზე.*

*შეიძლება ითქვას, რომ მხატვრული ტექსტი წარმოადგენს ურთიერთმქმედ (ინტერაქციული) სახეების ერთობლიობას, რომლებიც სამყაროს მოდელირებადი სურათის ნაწილის წარმოადგენენ. მხატვრული ნაწარმოების მხატვრული სახეების სისტემის ცენტრში დგას ადამიანის გამოსახვა - პერსონაჟებისა და მათი ურთიერთობების აღწერა - რაც, კერძოდ, შეადგენს ნაწარმოების შინაარსს, რომელშიც ავტორი ახდენს ობიექტური სინამდვილის მოდელირებას [სოროკინა 1981]. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ შექმნილი რეალური სამყაროს მოდელის*

მნიშვნელოვანი ნაწილი არის მკითხველის მიერ მისი „ცნობადობა“: მკითხველის ცნობიერებაში უნდა ჩამოყალიბდეს ვიზუალური სურათი, ხოლო აღწერილი პერსონაჟები კი უნდა „გაცოცხლდეს“. ამ მიზნის მისაღწევად მწერალი ქმნის ვიზუალურ შთაბეჭდილებას, რომელსაც წარმოქმნის ობიექტური რეალობის მოვლენები და ადამიანის გარემოცვაში მყოფი ხალხი. პერსონაჟის გარეგნობის სიტყვიერი აღწერა ხელს უწყობს მის ვიზუალიზაციას, მენტალური სურათის, ცოცხალ სახის შექმნას.

ადამიანი როგორც პორტრეტების ობიექტი უპირველეს ყოვლისა აღიქმება გარეგნობის მიხედვით. ეს კი პერსონაჟის აღქმის ის ასპექტია, რომელიც მიუხედავად მისი მრავალნაირი ტრანსფორმაციისა, შენარჩუნებულია პორტრეტის ნებისმიერ ტიპში — როგორც არავერბალურში, ისე ვერბალურში. პორტრეტის სემანტიკურ კონსტანტში ადამიანის გარეგნობის პირველადობა დასტურდება პორტრეტის ლიტერატურათმცოდნეობითი განსაზღვრით: „პორტრეტი პირველ რიგში არის ადამიანის სახის, ფიგურის, მისი გარეგნული აღნაგობის აღწერა...“ [კორმილოვი 2001: 762].

თუმცა ასევე მნიშვნელოვანია პორტრეტის როგორც ესთეტიკური ფენომენის ის ასპექტიც, რომლის მიხედვით მისი მნიშვნელობა სცილდება ინდივიდის ფარგლებს და იძენს როგორც სოციალურ, ისე ეპოქის ამსახველ ნიშნებს: „მოდელის განუმეორებელი ინდივიდუალური თავისებურების პარალელურად პორტრეტი მის გარეგნობაში ავლენს ეპოქისა და სოციალური გარემოს ტიპურ ნიშან-თვისებებს“ [კორმილოვი 2001: 762].

დღესდღეისობით მკვლევართა უმეტესი ნაწილი თვლის, რომ პორტრეტი ლიტერატურულ ნაწარმოებში არის პერსონაჟის სახის შემადგენელი ნაწილი: „ლიტერატურული პერსონაჟის პორტრეტი, რომელიც წარმოადგენს მისი სახის შექმნის ერთ-ერთ საშუალებას, შეიძლება განხილული იყოს როგორც ცალკეული პრობლემა, რომლის გამოკვლევა ხელს უწყობს მხატვრული ნაწარმოების უფრო ზუსტ გაგებას, მისი იდეური შინაარსის გახსნას“ [ტიტოვა 1990: 155].

როგორც პორტრეტული აღწერისადმი მიძღვნილი ნაშრომები მოწმობენ, ლიტერატურული პერსონაჟის პორტრეტი შეიცავს პერსონაჟის გარეგნობის, სახის ნაკვთების, ფიგურის, პოზის, მიმიკის, ჟესტების, სისრულის, ტანსაცმლის, ასაკის და სხვა მახასიათებელი ნიშნების გამოსახვას, კერძოდ, ფონური. თანამედროვე რომანების პორტრეტების თავისებურება ვლინდება იმაში, რომ პორტრეტის აღწერის ზოგიერთი ხერხი გადმოდებულია ხელოვნების სხვა დარგებიდან, მაგალითად, კინომატოგრაფიიდან, რას ხდის აღწერას მოცულობით, თვალსაჩინოს და დინამიურს [ტიტოვა 1990: 149]. პორტრეტული აღწერის ელემენტები ერწმის მხატვრული ტექსტის სხვა კომპოზიციურ ელემენტებს, რის შედეგადაც ხდება ორი სამეტყველო ფორმის დაახლოება - თხრობის და აღწერის. პერსონაჟის მოძრაობა, მისი ჟესტები, მიმიკა თამაშობს ძალიან დიდ როლს და უმეტეს შემთხვევაში ძალიან ხშირად არის ნახსენები, ამიტომაც თანამედროვე კვლევებში სტატიკური პორტრეტის განხილვისას აუცილებლობას წარმოადგენს დინამიური პორტრეტის გათვალისწინება/განხილვა. პორტრეტის შექმნის პრინციპი, კომპონენტების სემანტიკური გაჯერებულობა და აღწერის სისრულე პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ რა ადგილი უკავია კონკრეტულ პერსონაჟს ნაწარმოებში, აგრეთვე განისაზღვრება ავტორის ინდივიდუალური სტილით, მის სიტყვიერ და მხატვრულ მიდგომაზე მოცემულ ტექსტში და იმას, თუ რა ანარს მიეკუთვნება მოცემული ტექსტი [სირიცა 1986].

კვლევების უმეტეს ნაწილში, რომლებიც ეძღვნება ლიტერატურული გმირის პორტრეტის შესწავლას, პირველ ადგილზე დგას მისი გარეგნობის აღწერა როგორც პორტრეტის მთავარი შემადგენელი ნაწილი. ასეთი კვლევების შედეგად აშკარა ხდება, რომ პერსონაჟის გარეგნობის აღწერა მიზნად ისახავს არა მარტო იმას, რომ შეუქმნას მკითხველს წარმოდგენა მისი გარეგნობის, ვიზუალური მხარის შესახებ, არამედ იმასაც, რომ დაეხმაროს მას პერსონაჟის შინაგანი სამყაროს წვდომაში. „პერსონაჟთა გარეგნობის სიტყვიერ-მხატვრული აღწერის ენობრივი ქსოვილის ფილოლოგიური ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოიკვეთოს პოტენციური, რომელიც ხელს უწყობს ლიტერატურული გმირის ხასიათის და ზოგადად ნაწარმოების ჩანაფიქრის გახსნას“,

აგრეთვე გამოვავლინოთ ის „თუ რა დონეზე ხდება ამა თუ იმ სიტყვის არჩევანი, შესიტყვებაში სიტყვების დინამიური ზემოქმედება და ამ დროს წარმოქმნილი სხვადასხვა კონტონაციები, აზრობრივი გადასვლები სიტყვებში ხელს უწყობს მხატვრული სახის შექმნას, მწერლის იდეისა და შეხედულებების ასახვას“ [ტიტოვა 1990: 13].

ამგვარად, გარეგნობის აღწერა დიდ როლს თამაშობს ლიტერატურულ ნაწარმოებებში. პერსონაჟის გარეგნობის აღწერა ხშირად „იმალება“ მათი სულიერი და ემოციონალური მდგომარეობის ასახვა, ამა თუ იმ მოვლენაზე ფსიქოლოგიური რეაქცია; ამიტომ ლიტერატურული გმირის გარეგნობის აღწერა წარმოადგენს მისი ხასიათის გახსნის ერთ-ერთ ხერხს. „ყოველი პორტრეტული შტრიხი - წარმადგენს ერთ საფეხურს მხატვრული სახის გახსნაში“ [ტიტოვა 1990: 65].

ამრიგად, ლიტერატურული პერსონაჟის აღწერა აყალიბებს ვიზუალურ სახეს მკითხველის გონებაში. ამავე დროს ლინგვისტური მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ამ სახის ორი ასპექტის შესწავლა: ავტორის მიერ მისი შექმნის საშუალებებს გამოყენება და მხატვრულ ნაწარმოებში მათი გამოყენების მექანიზმი.

#### ლიტერატურა:

1. კორმილოვი 2001 \_ Кормилов С. Лингвистическая энциклопедия терминов и понятия. Москва: Интелвак, 2001.
2. სოროკინა 1981. Сорокина И.Г. Речевая характеристика как средство создания художественного образа персонажа и проблема исполнения текста. // Сб. научн. тр. МГПИИЯ им. Мориса Тореза. Вып. 174. - М., 1981. - С.174-190.
3. სირიცა 1986. Сырица Г.С. Язык портрета в романах Л.Н.Толстого «Война и мир» и «Воскресение»: Дис. канд. филол. наук. М., 1986. - 254 с.
4. ტიტოვა 1990. Титова С.В. Лингвопоэтическая значимость словосочетания в описаниях внешности персонажей (на материале английской прозы XVIII-XX веков): Дис. канд. филол. наук. -М., 1990. 182 с.

Tea Херхадзе

#### Некоторые аспекты репрезентации внешности персонажа в тексте художественной прозы

##### Резюме

В данной статье рассматривается проблема вербально-художественного портрета в тексте художественной прозы с точки зрения репрезентации внешности персонажа.

В центре системы художественных образов стоит изображение человека - персонажей и описание их взаимоотношений. Это является тем аспектом восприятия персонажа, который, несмотря на разнообразную трансформацию, сохраняется в любом типе портрета – как невербальном, так и вербальном.

Описание литературного персонажа формирует визуальный образ в сознании читателя. В то же время на данном этапе развития лингвистической науки особый интерес представляет изучение двух аспектов художественного портрета: средства, используемые автором при его создании и механизм их использования в художественном тексте.

**Tea Kherkhadze****Some aspects of representing the character's appearance in a prosaic text****Abstract**

The given article deals with the problem of literary-verbal portrait in the fiction prosaic text through presenting the character's appearance.

In the center of the system of fiction images, there is a person \_ the description of the characters and their relationships. A person as the object of portrait is, first of all, understood according to his/her appearance. And this is the aspect of perceiving the character which, despite their various transformations, is preserved in all types of portrait \_ in both non-verbal and verbal.

The description of a literary character establishes a visual image in the reader's mind. At the same time, at this stage of the development of linguistic science, the study of two aspects of a literary portrait is particularly interesting: the means of creating them by the author and the mechanisms of their usage in a literary work.

რეცენზენტი: პროფ. ვ. სტარიჩენოვი

ისტორია

История

History

მალხაზ (სოსო) ვახტანგიშვილი

თბილისი, საქართველო

## შიდა ქართლის მთიანეთის ტოპონიმია

შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმური მასალა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისტორიული სურათის აღდგენის საკითხში. ცენტრალური საქართველოს მთიანეთის მოსახლეობასთან ერთად ჩამოყალიბდა შესაბამისი ქართულენოვანი ტოპონიმები. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი ისტორიული დოკუმენტი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტოპონიმების ცვლილება ნაწილობრივ მაინც მოხდა შიდა ქართლის უკიდურესად ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც ოსურმა ელემენტებმა გეინ საუკუნეებში ჰპოვეს ასახვა, თუმცა ეს გარემოება ოდნავადაც ვერ ცვლის საერთო სურათს.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმური მასალა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ობიექტური ისტორიული სურათის გაშუქებაში. ცენტრალური საქართველოს მთიანეთის მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად ჩამოყალიბდა შესაბამისი ქართულენოვანი ტოპონიმებიც. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი ონომასტიკური მასალა.

ტოპონიმია – ქვეყნის ტერიტორიის გეოგრაფიული სახელწოდებათა ერთობლიობა გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები ძირითადი ერისათვის ისტორიული მემკვიდრეობის არსებითი და უტყუარი შემადგენელი კომპონენტია. იგი განიხილება ენათმეცნიერების, ისტორიოგრაფიის, გეოგრაფიის პოზიციებიდან, როგორც კვლევის ობიექტი და წარმოადგენს მოსახლეობისა და მისი კულტურის წარსულის შემეცნებისა და ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს [ხარაძე, გვ. 31].

ტოპონიმების წარმოქმნა–განვითარება ურთულესი პროცესია. განსაკუთრებით ქვეყნის იმ კუთხეებში, რომლებიც მტრის მრავალრიცხოვანი შემოსევებითა და დაპყრობა–განადგურებით ხასიათდებოდა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც შიდა ქართლის მთიანეთი წარმოადგენს, რის გამოც ბევრი წარსული გეოგრაფიული სახელწოდებები შეიცვალა ან საერთოდ გაქრა დროთა ვითარებაში. ამ მხრივ ქართული ტოპონიმები განსაკუთრებულ იგნორირებას, უარყოფა–ხელყოფასა და დევნას განიცდიდნენ ოსი მკვლევრების მხრიდან. მათ ყოვლად უსაფუძვლოდ, არასწორი თარგმანისა და მოსახლეობის ყალბი გამოკითხვის შემდეგ გადაკეთების გზით საჭიროდ მიიჩნიეს ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების გადასინჯვა.

საქმე ისაა, რომ ამის შემდგომ კომისიამ ყალბი მასალები წარუდგინა სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (კაკ-ი), რომელმაც 1933 წლის 6 მარტს, სხდომაზე მიიღო ყოვლად უკანონო გადაწყვეტილება და დაამტკიცა ტოპონიმთა ახალი ჩამონათვალი.

1934 წელს ქ. სტალინში (ოსურად „სტალინის ოსეთი“ – მ.ვ.), სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა გამოსცა ბროშურა – „სამხრეთ ოსეთის დასახლებული პუნქტების, მდინარეების და მთების ახალი სახელწოდებები“, რომელიც მოიცავდა ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 686 ტოპონიმიდან 411-ის შეცვლას. მართალია იმდროინდელმა საბჭოთა საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არ დაამტკიცა ახალი ნომინაციები, მაგრამ სახეზეა აშკარა ტოპონიმიკური აგრესია ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის ოცდაათიან წლებში აქტიურად განვითარდა.

საინტერესოა თუ რას გულისხმობდა ზემოთ აღნიშნული ბროშურა? – მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს უძველესი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების მექანიკური თარგმანისა და ხელოვნურ გადაკეთებას ოსურ ენაზე: – ვაშლოვანი – ფატკუჯინ (ფატკუ-ვაშლი – მ.ვ.); დამწვარა – სილდუთაე (სილდუ – დამწვარი – მ.ვ.); კოშკა – კუსდჯითა; ნადაბური – ნოგ ძიმირ; საბუე – რაბინ; კვერნეთი – კუბფიტე; ჩასავალი – ნიკასან; დიდმუხა – სტირტულ; ფრინველი – კოსტაე ყაუ; ხუნდისუბანი – ახატ; საჯვარე – ულაფან; ღაშე – დალლაგურსდურ; ორჭოსანი – ზილახარ; ღომისი – ხუსარ; მეტეხი – ცაგათ; იკეთი – ჩერტკოთე; მონასტერი – დონგარონ; ჭორჭოხი – უალვაზ და სხვა კიდევ მრავალი სახელწოდების დასახლება შეიძლება. თითოეული მათგანის ახსნას არ ჭირდება დიდი ლინგვისტური განათლება, მაგრამ ოსი „მკვლევარები“ გულმოდგინედ ცდილობენ სახელწოდებები მაინცდამაინც ოსური ლექსიკით ახსნან. თითოეულ სახელწოდებასთან დაკავშირებით მკვლევარი კ. ხარაძე აღნიშნავს: „ყოველ მათგანში ერის, ადგილის ისტორია და ოს მკვლევარებს ერთი ხელის მოსმით სურდათ წაეშალათ ქართული ისტორიის ცოცხალი მემკვიდრეები, მათ მაგივრად კი დაემკვიდრებინათ გამოგონილი სახელები“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არ დააკმაყოფილა აღნიშნული ნომინაციების შეცვლა, ზოგიერთი ქართული ტოპონიმი მაინც შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი დღეს. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილა ზოგიერთი ოსი მეცნიერის სურვილი. ერთ-ერთი მათგანი ზ. ცხოვრებოვა დიდი გულისტკივილით აღნიშნავს – „ბევრი სახელწოდების წამოყენებული წინადადება ბროშურის ფარგლებს არ გასცდენია“ [ოსთა საკითხი, გვ.177].

ქართული და არამარტო ქართული წყაროების მიხედვით, საკვლევი რეგიონის ტოპონიმიკა აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ქართულია, თუმცა აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ოსებით დასახლებულ ზოგ ადგილებში, როგორც გამონაკლისი, გვხვდება ოსური წარმოშობის ტოპონიმებიც. სავარაუდოა, რომ ეს ტოპონიმიკური ერთეულები არც თუ ისე ძველია და უნდა მოიცავდეს XVII-XIX საუკუნეებს, რადგან სწორედ ამ პერიოდში ხდება მდ. დიდი ღიახვის, ქსნის და ფრონეების ხეობების ნაწილობრივ ოსებით დასახლება. ამ ადგილებში გვხვდება არაქართული წარმოშობის ტოპონიმები. მიუხედავად ამისა, ხეობებში ქართული ტოპონიმები მაინც ბევრად აღემატება არაქართულს. მაგალითისათვის მოვიყვანოთ დიდი ღიახვის ხეობის ტოპონიმებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქართული ლექსიკით იხსნება: – როკი, ჟბა, მსხლები, ხვცე, კოშკები, კოშკების-ხევი, როკის ხევი, ჯავა, სხლები, გერი, აწრისხევი და სხვა. ამასთან, ოსების მიერ წარმოდგენილი ე.წ. ოსური ტოპონიმები რომ ყალბია ამას ამტკიცებს ისიც, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ოსები ხანგრძლივად სახლობენ, იქ მსგავსი ტოპონიმები არ გვხვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენილი ტოპონიმები საერთოდ არ ახასიათებთ ოსებს და ისინი აქ ყალბად შექმნეს.

ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაძლევს ვახუშტი ბაგრატიონი ქსნის ხეობის შესახებ: „ხოლო ქარჩოხის დასავლით არს ესანსა ზედა ჟამური. აქ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალოს ჟამურსა არს ციხე ბერცისედ წოდვილი“ [ვახუშტი, გვ. 69]. ცხადია, ჟამური და ბერცისე ქართულ ტოპონიმებს წარმოადგენს, ახლად შექმნილ ოსურ ეთნიკურ გარემოში. ორივე ქართულ ტოპონიმს ქართული ეტიმოლოგიური ახსნა აქვს.

საჭიროდ მიგვაჩნია მდ. დიდი ლიახვის შუა წელზე მდებარე დასახლებული პუნქტების აღნიშვნაც. მათი სრული უმრავლესობა ქართული წარმოშობისაა – თამარაშენი; ანაბეთი; ქურთა; ხეთი; ზღუდერი; ქემერტი; მონასტერი; სვერი; დგვრისი; ცხინვალი და სხვა.

აღნიშნული ტოპონიმებიდან აბსოლუტურად ყველა ქართული წარმოშობისაა. ანალოგიური ვითარებაა მდ. პატარა ლიახვის ხეობაშიც: – ბელოთი; საცხენეთი; ვანათი; ინაური; აწრისხევი; ყლარწვი; ერედვი; არგვიცი; ბერულა და სხვა.

ასევე წმინდა ქართული ტოპონიმებია მდ. ფრონეს ხეობის გეოგრაფიული სახელწოდებებიც, მაგ.: – ჭლიბაური, დვანი, ოქონა, ავნევი, დიდმუხა, მუგუთი, ველეხი, გვირგვინა, ფრინევი, წუნარი, ყორნისი, თიღვა, წორბისი, არკნეთი, ძაღინა, მუხაური, ოჟორა, გომართა და სხვა უამრავი ტოპონიმი, მხოლოდ ქართული ლექსიკის მეშვეობით აიხსნება. ეს ტოპონიმები დანარჩენ საქართველოს ისეთ ტერიტორიებზეც გვხვდება, სადაც ოსთა დასახლებები არ არსებობს. ხოლო ჩრდ. კავკასიაში, სადაც ოსები სახლობენ – არსად არ ფიქსირდება.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქი ცხინვალი წმინდა ქართული წარმოშობის სახელწოდებაა. იგი მრავალ ისტორიულ დოკუმენტებშია მოხსენებული. მისი წარმოშობის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, მაგრამ აქ მოსახლეობა რომ უძველეს დროშიც ცხოვრობდა, დაადასტურა არაერთმა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა, მათ შორის აღსანიშნავია ბ. ტეხოვის [Техов, 115], გ. გობეჯიშვილის, ო. ჯაფარიძის და სხვა მეცნიერთა მიერ გამოვლენილი მასალა.

ცხინვალთან დაკავშირებით ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „დიდის–ლიახვის კიდეზედ არს მცირე ქალაქი ქრციხილვანი, კეთილჰაოვანი. მსახლობელნი არია ქართველნი, სომეხნი და ურიანი. გარემო წალკოტოვან ვენახოვანი საზრდილით მაძღარი“ [ვახუშტი, გვ. 76]. როგორც ირკვევა, ვახუშტი ბაგრატიონის დროს (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი მ.წ.) ცხინვალში ოსი მოსახლეობა საერთოდ არ ცხოვრობდა. მათი ამ ქალაქში დასახლება საკმაოდ გვიან, მე-20 საუკუნეში მოხდა. გამომდინარე აქედან, გასაოცარია თუ რა მოტივით უნდოდათ ოს მეცნიერებს შეეცვალათ ქალაქ ცხინვალის სახელწოდება სხვა ნებისმიერი დასახელებით. ცხადია, რომ ოსებს გასულ საუკუნეებში ცხინვალთან პრაქტიკულად კავშირი არ გააჩნდათ.

უძველესი დროიდან შიდა ქართლის ტერიტორია ქართველური ტომებით იყო დასახლებული და აქ განვითარებული ტოპონიმებიც შესაბამისად ქართველურია, თუმცა ტოპონიმების ცვლილება ნაწილობრივ მაინც მოხდა უკიდურესად ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც ოსები ჩასახლდნენ, მათ მოგვიანებით ოსური ტოპონიმები ჩაენაცვლა. დანარჩენ ადგილებში გავრცელებულია მხოლოდ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები. ეს გახლავთ ქართველი ერის ისტორიული კვალი, რომელსაც დაცვა და სათუთად მოვლა სჭირდება. „ქართული ტოპონიმია... ისევე ძველია და მრავალფეროვანია, როგორც ქართული სალიტერატურო ენა. ადამიანი უძველესი დროიდან მიაკუთვნებდა ამა თუ იმ ადგილს შესაფერის სახელს და ამას იგი თაობიდან თაობას გადასაცემდა. ტოპონიმების დარქმევის პროცესს აქვს საკუთარი კანონზომიერებანი და განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით.“<sup>9</sup> შიდა ქართლის მთიანეთში ანუ იმ ადგილებში, სადაც მოგვიანებით (XVIII-XIX ს.ს.) ოსური კომპაქტური მოსახლეობა დასახლდა, ტოპონიმების უმეტესი რაოდენობა ქართველური ენების მიხედვით არის წარმოქმნილი. ჩვენ ვხვდებით მეგრულ–ჭანურ, სვანურ ტოპონიმებსაც. ამასთან დაკავშირებით ცნობილია მკვლევარმა ჯ. გვასალიამ ძალზედ საინტერესო თვალსაზრისი გამოთქვა: – „შესაძლებელია შიდა ქართლი წარმოადგენდა იმ ტერიტორიის ნაწილს, სადაც მოხდა წინარე ქართველური ენის დაშლა ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად. არ ვთვლი გამორიცხულად, რომ სვანურსა და ზანურის მატარებელმა ტომებმა შორეულ წარსულში გაიარეს შიდა ქართლის ტერიტორია და კვალი დატოვეს ტოპონიმიაში“.<sup>10</sup> იქვე მკვლევარს მოჰყავს მრავალი მეგრულ–სვანური სახელწოდება: – კუცხოვეთი, კორა, ჩხორეთი, ცხრომი, წიფორი, ჩხუნეთი, გერი, ისროლი, ფაჩური, ლაფაჩი, საცხუმეთი, ლარგვისი და სხვ.

ჯერჯერობით ამ მეცნიერ–მკვლევარის აბსოლუტურად ყველა ვერსია დასაბუთებული არ არის, მაგრამ სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება. ამ საკითხს ქართული მეცნიერება

აღბათ საფუძვლიანად შეისწავლის და შეიძლება ისტორიის კიდევ ერთ საიდუმლოსაც აეხადოს ფარდა.

#### ლიტერატურა:

1. კ. ხარაძე; ჟურნალი „სახელმწიფო და სამასრთალი“
2. კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია
3. ოსთა საკითხი, ა. ბაქრაძის და ო. ჩუბინიძის რედ.
4. З.Д.Цховребова; Топонимия Южной Осетии в письменных источниках
5. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის რედ.
6. Б.В.Техов. Позднебронзовая культура Лиазвского бассейна.
7. გ.გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა „მიმომხილველი“
8. ო. ჯაფარიძე; „ცხინვალის განძი“
9. ჯ. გავასალია; აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები; აკად.

**Малхаз (Сосо) Вахтангашвили**

#### **Топонимика Шиды Картли Мтианети Резюме**

В статье анализируются грузинские топонимы Шиды Картли, историческое поселение Самачабло и осетинские попытки сменить грузинские топонимы из Осетии в 30-е годы 20-го века. Однако они этого не достигли, и было выражено мнение, что многие осетинские ученые выразили свою озабоченность.

Но после 90-х годов XX века, когда они рассматривали патронаж земли и грузинского населения, превратилась в войну на родине, используя силу и войну.

**Malkhaz (Soso) Vakhtangishvili**

#### **Toponymica of Shidaa Kartli Mtianeti Abstract**

The article analyzes Georgian toponyms of Shida Kartli, historic Samachablo settlement and Ossetian attempts to change Georgian toponyms from Ossetia in the 30s of the 20th century. However, they did not achieve this, and it was expressed that many Ossetian scholars expressed their concerns.

But after the 90s of the twentieth century, when they considered the patronage of the land and the Georgian population, turned into war in the homeland, using force and war.

რეცენზენტი: პროფ. გ. მჭედლიძე

ისტორია      История      History

რუსულან ჯაშია

ქუთაისი, საქართველო

## პარტიული დაპირისპირება დემოკრატიულ საქართველოში (ქუთაისური პერიოდული გამოცემების მიხედვით)

დემოკრატიული საქართველოს პერიოდში მნიშვნელოვან საინფორმაციო-სააგიტაციო როლს თამაშობდა ქუთაისური პრესა.

პოლიტიკური პარტიების შეხედულებებს მკაფიოდ გამოხატავდნენ მათი პერიოდული გამოცემები: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის გაზეთი – „ჩვენი ქვეყანა“. სოციალ-ფედერალისტური პარტიის ქუთაისის პერიოდული ორგანო – „ხალხის მეგობარი" და სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოცემა – „სოციალ-დემოკრატია".

სოციალისტურ პარტიებსა და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას შორის ძირითადად აზრთა სხვადასხვაობასა და პრინციპულ დაპირისპირებას რამდენიმე საკითხი იწვევდა, კერძოდ: მიწის, აგრარული რეფორმა. მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის განსხვავებული შეხედულებები. დამფუძნებელი კრების არჩევნები.

დაპირისპირება განსაკუთრებით გამაფრთხილებელი კრების არჩევნების დროს. საგაზეთო პუბლიკაციებს თვისობრივად ამსგავსებს ის, რომ საარჩევნო აგიტაცია ძირითადად მოწინააღმდეგე პარტიების სამოქმედო პროგრამების კრიტიკითა და განქიქებით მიმდინარეობდა.

ქუთაისური პრესის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ, საგაზეთო სტატიები არა მარტო აკრიტიკებდნენ ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას, არამედ, სთავაზობდნენ მთავრობას ეკონომიკური სტაგნაციიდან გამოსვლის გზებს; ნათლად აშუქებდნენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, ფინანსურ, სოციალ-ეკონომიკურ მოვლენებს.

დემოკრატიული საქართველოს პერიოდის ბუჭდური მედია იძლევა მკაფიო სურათს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური ვითარების შესახებ.

XX ს. დასაწყისის ქუთაისი პერიოდული გამოცემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. 1912 წ. ქუთაისში იბეჭდებოდა 18 დასახელების გაზეთი, ჟურნალი და ალმანახი (იმავე წელს თბილისში 13 გამოცემა გამოდიოდა)

იმ პერიოდისათვის მთავარი სააგიტაციო საშუალება პერიოდული გამოცემები იყო. მაშინდელი ქუთაისური პრესა მნიშვნელოვან საინფორმაციო-სააგიტაციო როლს ასრულებდა, დროულად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

ქუთაისში მოღვაწეობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ძლიერი ჯგუფი. მათი პერიოდული ორგანო „ჩვენი ქვეყანა“ გამოდიოდა 1917–19 წწ. (თბილისში იბეჭდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი – „საქართველო“) გაზეთი იცავდა იმ მიმართულებებს, რომლებიც მემკვიდრეობით მიიღო 1915–17 წწ. ქუთაისში გამოშვებულ გაზეთ „სამშობლოსაგან“ [იარალოვი, 1988: 80]. გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია იმყოფებოდა ახლანდელ თამარ მეფის ქუჩაზე, სოლომონ მიქელაძის სახლში, იბეჭდებოდა სტამბაში – „ძმობა“. თავდაპირველად გაზეთის გამომცემელ-რედაქტორი იყო ვეჭილი დ. კვიციანი, 1919 წლიდან კი გაზეთს სათავეში ჩაუდგა სარედაქციო კოლეგია, ცნობილი პუბლიცისტის, ვასილ წერეთლისა და კონსტანტინე კაპანელ-ჭანტურიას ხელმძღვანელობით [თაღუმაძე, 2010: 21]

სოციალ-ფედერალისტური პარტიის პროგრამასა და სამოქმედო გეგმებს მკითხველს აცნობდა თბილისში გამომავალი გაზეთი „სახალხო საქმე“, ხოლო ქუთაისის მოსახლეობას – პარტიის ბეჭდვითი ორგანო „ხალხის მეგობარი“. ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1917 წ. იგი წარმოადგენდა 1915 წ. გამომავალ სოციალ-ფედერალისტთა საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „მეგობრის“, ხოლო 1916 წ. კი „ჩვენი მეგობრის“ გაგრძელებას. გაზეთი სრულად აღიარებდა პარტიის იდეურ კონცეფციას, მის სათავეში სარედაქციო კოლეგია იდგა [თაღუმაძე, 2010: 27].

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვით ორგანოს თბილისში ეწოდებოდა „ერთობა“. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის ორგანიზაცია გამოსცემდა იმავე სახელწოდების გაზეთს – „სოციალ-დემოკრატი“. იგი იბეჭდებოდა 1919–21 წწ. გაზეთის რედაქცია მდებარეობდა ბაღახენისა და პუშკინის ქუჩის კუთხეში. გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე – გრიგოლ ურატაძე, ხოლო ფაქტობრივი რედაქტორი – პუბლიცისტი და მკვლევარი, ვიქტორ ნოზაძე.

გაზეთები მკაფიოდ გამოხატავდნენ თავიანთი პარტიების პოზიციებს და მკვეთრად აკრიტიკებდნენ სხვა პარტიების სამოქმედო პროგრამებს.

ძირითადად აზრთა სხვადასხვაობასა და პრინციპულ დაპირისპირებას რამდენიმე საკითხი იწვევდა, კერძოდ: მიწის, აგრარული რეფორმა; მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის განსხვავებული შეხედულებები; დამფუძნებელი კრების არჩევნები.

აგრარული რეფორმის საკითხი დაისვა ჯერ კიდევ ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის წინაშე. დემოკრატიული მთავრობის დროს რეფორმა დაჩქარდა. სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა სახაზინო მიწის ფონდი, ჩატარდა მსხვილი კერძო მამულების კონფისკაცია. მიწები გამგებლობაში გადასცეს ადგილობრივი თვითმმართველობის საადგილმამულო კომიტეტებს, რომელთაგან გლეხებს უვადო იჯარით უნდა აეღოთ ნაკვეთები.

სახელისუფლო გაზეთად მიჩნეული „სოციალ-დემოკრატი“ (რადგან პარლამენტში უმრავლესობა მენშევიკებს ეჭირათ) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პარლამენტის მიერ შემუშავებულ მიწის კანონპროექტზე, თავამოდებით იცავს მას და მოუწოდებს მოსახლეობას მხარდაჭერისაკენ.

პარლამენტის ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მხრიდან აგრარულ პროგრამას წინააღმდეგობა შეხვდა. მათი აზრით, ასეთი პროექტი არ შეესაბამებოდა გლეხობის მოთხოვნებს. პარტიის ინტერესებს აქტიურად ახმოვანებდნენ გაზეთი „საქართველო“ და ქუთაისის პერიოდული გამოცემა „ჩვენი ქვეყანა“. 1919 წ. 21 მარტის ნომერში (№146) – ვასილ წერეთელი წერდა, რომ მთავრობის მოქმედებით „კერძო საკუთრების საფუძველი შერყეულია“. იმავე წლის 26 მარტის (№50) სარედაქციო სტატია სრულად აღწერს გლეხთა მდგომარეობას და აკრიტიკებს მიწის რეფორმას.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა (განსხვავებით სოციალ-ფედერალისტებისა და ესერებისაგან, რომლებიც კოლპერატიული მეურნეობების შექმნას ვარაუდობდნენ), ითვალისწინებდა მიწის კერძო საკუთრებისა და ინდივიდუალური მეურნეობების შექმნას.

სოციალ-ფედერალისტთა და ესერთა ფრაქცია, პირიქით, მთავრობის აგრარულ პოლიტიკას აკრიტიკებდა და სოციალიზმის იდეებისადმი ლალატში ადანაშაულებდნენ.

სოციალ-ფედერალისტური პარტიის გაზეთი „ხალხის მეგობარი“ წერილში „აი სოციალისტები“ [1919წ. №378, 19 თებერვალი. ავტორი ი. ძერულისპირელი] აღნიშნავდა: „დღევანდელს გლეხობაში ჯერ კიდევ საკუთრების სიყვარულის ინსტიკტებს დიდად აქვს ფესვები გამჯდარი, მაგრამ ის მუდამ ასეთ იქნება, თუ ჩვენ არ შევანვიეთ იგი კერძო საკუთრების მოსპობის აუცილებლობას როგორც მიწებზე, ისეთ საწარმოვო იარაღებზე. უიმისოდ ჩვენ მუშათა სამეფოს, ანუ სოციალიზმს ვერ დაეუახლოვდებით“.

იგივე გაზეთი, ჟურნალისტი ს. ჯინჯიხაძე სტატიაში „მიწის საკითხი და გლეხობა“ მიუთითებდა: „ჩვენი აგრარული რეფორმა, რომელიც სოციალ-დემოკრატიის „სახელმწიფოებრივი მოსახრებით“ მოგვევლინა, სრულიად არ შეესაბამება, როგორც გლეხობის მოთხოვნილებას, ასევე სოციალისტურ პარტიას“.

ხელისუფლებამ მიიღო კრიტიკა როგორც ეროვნულ-დემოკრატიის, ასევე სოციალ-ფედერალისტებისა და ესერთა მხრიდან. ამიტომ მთავრობის აგრარული პოლიტიკა კომპრომისულ ხასიათს ატარებდა. 1919წ 28 იანვარს აგრარულ კანონს დაემატა რამდენიმე მუხლი, რომელთა მიხედვით მიწის ნაკვეთები გლეხობის საკუთრებად გამოცხადდა.

დამოუკიდებელი საქართველო უმძიმესი ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. I მსოფლიო ომის, რევოლუციების პერიოდში მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკური სტაგნაციის პროცესი სულ უფრო დრამატული იყო. მოიშალა სავაჭრო კავშირები, შემცირდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ქვეყანა უმუშევრობამ მოიცვა. დემოკრატიული საქართველოს სამწლიანი არსებობის პერიოდში მთავარი პრობლემა – ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევაში მდგომარეობდა.

დემოკრატიული მთავრობა, რომელშიც წამყვან როლს სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ასრულებდნენ, არ ავიწროებდა კაპიტალისტურ წარმოებას, არ ზღუდავდა კერძო ინიციატივას, მაგრამ მათი მთავარი ეკონომიკური პროგრამა საკუთრებისა და წარმოების თანწყობაში მდგომარეობდა.

ქართული მედია, მათ შორის ქუთაისში გამომავალი პერიოდული გამოცემები, აქტიურად აშუქებდნენ საქართველოს რეგიონებში არსებულ მძიმე ფინანსურ და ეკონომიკურ ვითარებას: „შიმშილობაა რაჭის, ლეჩხუმის, ოსურგეთის მაზრებში, ითხოვენ სიმინდს“ – წერდა 1918წ. გაზეთი „ხალხის მეგობარი“ (№67, 23 მაისი). იგივე გაზეთი 24 ივლისის ნომერში აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში მძვინვარებს „სიძვირე და უმუშევრობა“. 1918წ. 21 ივნისს გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ შეშფოთებული წერდა, რომ „შიმშილობა მოგველის, თან ერთვის უამიდობა“. იგივე გაზეთი 24 ივლისს მიუთითებდა, რომ საქართველოს მოსახლეობა ცხოვრობს „საშინელი სიძვირისა და შიმშილის“ პირობებში.

ქუთაისური პერიოდული გამოცემები სწორად აფასებდნენ ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს პოლიტიკურ ფონს, იმ საფრთხეებს, რაც იწვევდა მწვავე ეკონომიკურ პრობლემებს, სიდუხჭირესა და ინფლაციას: „პურისა და სანათ-სათბობის საქმე იმდენად გადაუღებელი საკითხია მთავრობისა და ქვეყნისათვის დღეს, როგორც საგარეო ომის წარმოება ან ანარქიული ცეცხლის ჩაქრობა... ჯუღაშვილი ჩრდილოეთით და ოსმალები და თათრები ადერბაიჯანით ყველა ღონეს ხმარობენ ჩვენში შიმშილის გასამეფებლად“ – ვკითხულობთ „ხალხის მეგობარში“ (1919წ. №112, 12 ივნისი)

„სოციალ-დემოკრატიის“ (1919წ. №67, 26 მარტი) ჟურნალისტი, ფსევდონიმით „ალი“ ობიექტურად აფასებს ეკონომიკური გაჯანსაღების ხელისშემშლელ მიზეზებს, საუბრობს იმ სერიოზულ ფინანსურ და ეკონომიკურ საფრთხეებზე, რაც დღითი-დღე იზრდებოდა და საშიშროებას უქმნიდა ქვეყნის დამოუკიდებლობას. ამავე დროს ავტორი აკრიტიკებს სისუსტეს ხელისუფლების მხრიდან: „უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკამ დღემდე ვერ მოიცალა ეწარმოებინა შიგნი ის მუშაობა, რომელიც საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის მტკიცე ნიადაგზე დაყენებისთვის ეკონომიური მხრივ“ – ვკითხულობთ გაზეთში.

ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ემატებოდა სუბიექტური სიძნელეები. დამფუძნებელი კრების სპეციალური კომისიის მიერ გამორკვეულ იქნა სახელმწიფო უწყების ზოგი მოხელის მხრიდან

დაუდევარი, კორუფციული ქმედებები. ფინანსური დანაშაულის აღკვეთის მიზნით ჩამოყალიბდა სახელმწიფო კონტროლის ინსტიტუტი. ჩატარებული რევიზიები ავლენდა მოხელეთა მიერ სახელმწიფო ქონების მითვისების ფაქტებს. 1920წ. 27 ნოემბრის ნომერში გაზეთი „ხალხის მეგობარი“ სტატიით „ვის ხელშია სურსათის საქმე?“ ეხმიანებოდა ამ მოვლენას. საგაზეთო წერილში ვკითხულობთ: „ხელისუფლება ხელში უვარდება გამოუცდელ, უცოდინარ და არა საიმედო ხალხს. ჩვენმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს, რომ მილიციამ დაატუსადა მთავრობის რწმუნებული სასურსათო საქმეში“. გარდა ამისა, ავტორი (დ. გოცირიძე) ამხელს ნეპოტიზმის ფაქტებს.

გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ სტატიაში „როდის გვეშველება?“ (ავტორი გ. ფარცხნაღელი) მწვავედ აკრიტიკებს მთავრობის ქმედებებს: „ქალაქის ვაჭრები და სოფლელები ერთმანეთს ეჯიბრებიან, პირველი თუ ძვირად ყიდის საქონელსა, მეორეც არ ჩამოუვარდება მას და ერთი ათად უფრო ძვირად ყიდის თავის სანოვაგეს. დღემდე სოციალისტური მთავრობის იმედი გვქონდა, გვეგონა თუ ის გვიშველიდა, საქმეს მოაგვარებდა და ყიდვა-გაყიდვის საქმეს წესიერ კალაპოტში ჩააყენებდა... გამოსავალი ამ საერთო გაჭირვებიდან ის არის, რომ მთავრობამ როგორმე უნდა მოახერხოს და სიმინდი ჩრდილო კავკასიიდან მიიღოს, ამას მთავრობა ადვილად მოახერხებს, თუ ამ საქმეში მცოდნე, მოხერხებულ და გამოცდილ პირებს ჩააყენებს, ვინაიდან მარტო სოციალ-დემოკრატობა არ კმარა ამ საქმის მოსაგვარებლად“ – ვკითხულობთ გაზეთში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ მძიმე ვითარებიდან გამოსავალს ეროვნული ბურჟუაზიისა და წარმოების გაძლიერებაში ხედავდა. გაზეთში ვკითხულობთ: „ჩვენში ჯერ არ არის განვითარებული წარმოების საქმე იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს ეროვნული ეკონომიკის ფეხზე დაყენების საქმე. მართალია, ეროვნული ბურჟუაზია ძლიერ ნორჩია, მაგრამ თუკი სათანადო გზას აღმოვუჩინებთ, ქვეყნის აღორძინების საქმეს ღირსეულად გადავჭრით“ (1919წ. №74, 29 აპრილი)

ქუთაისში გამომავალი ზემოხაზოთვლილი გაზეთები, როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური პარტიების ბეჭდვით ორგანოებს წარმოადგენდნენ; ისინი მწვავედ აკრიტიკებდნენ როგორც ხელისუფლების, ასევე მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიების ეკონომიკურ პროგრამებს.

პარტიული დაპირისპირება განსაკუთრებით გამწვავდა დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს. ქუთაისური პრესაც აქტიურად ჩაება წინასაარჩევნო მარათონში. ამ პერიოდის საგაზეთო პუბლიკაციებს თვისობრივად ამსგავსებს ის, რომ საარჩევნო აგიტაცია, ძირითადად, მოწინააღმდეგე პარტიების სამოქმედო პროგრამების კრიტიკითა და განქიქებით მიმდინარეობდა.

განსაკუთრებით ძლიერ იდეოლოგიურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი ეროვნულ პარტიებსა და სოციალისტური მიმართულებების პარტიებს შორის. განხეთქილების მთავარ მიზეზს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასა და სოციალ-ფედერალისტებს შორის, ავტონომიის საკითხი წარმოადგენდა (მჭედლიძე, 1993: 451) ხოლო წინააღმდეგობა ეროვნულ-დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის, კერძო საკუთრებისადმი დამოკიდებულებაში მდგომარეობდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტის გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ (1919წ. №5, 30 იანვარი) – სტატიაში „დამფუძნებელი კრების გარშემო“ – მენშევიკურ პარტიას ბოლშევიკურს ადარებს და ამომრჩეველს სიფრთხილისაკენ მოუწოდებს: „ხმას თუ მისცემთ სოციალისტურ პარტიებს, უფსკრულში გადაიხეხებით“ – ვკითხულობთ გაზეთში.

იმავე ნომერში გამოქვეყნებულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში ხაზგასმულია, რომ სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ვერ უზრუნველყო ქართული ფულის სიმყარე, წაგებაზე მუშაობს რეინიგზა და ა. შ. სტატია მთავრდება მოწოდებით: „მართვა-გამგეობა ხელში არ ჩაუგდონ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსისაკენ მიჰყავთ“.

გაზეთი მწვავედ აკრიტიკებს სოციალ-დემოკრატების მიერ შემუშავებულ მიწის კანონპროექტს და ამომრჩეველს აფრთხილებს: „თუ მათ ექნებათ ხმის უმეტესობა, საფუძველი შეერყევა კერძო საკუთრებას“ – ნათქვამია გაზეთში („ჩვენი ქვეყანა“, №4, 29 იანვარი).

საარჩევნო პერიოდში (თებერვლის პირველი რიცხვები) პირველ გვერდს გაზეთი იწყებდა მოწოდებით ამომრჩევლებისადმი – „ხმა არ მისცეთ სოციალისტურ პარტიებს“.

საპირისპიროდ, სოციალ-ფედერალისტების პერიოდული ორგანო „ხალხის მეგობარი“ ილაშქრებს ეროვნული პარტიების წინააღმდეგ და მოუწოდებს: „მოქალაქეებმა არ უნდა მისცენ ხმა ისეთ პარტიებს, რომლებმაც არაფერი არ გაუკეთეს ქვეყანას“. სტატიის ავტორი (ძერულისპირელი) ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას უწოდებს კაპიტალისტების პარტიას და მოუწოდებს: „არც ერთი ხმა №2 (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო ნომერი), რადგან მათი გამარჯვებით დაიკარგება რევოლუციით მონაპოვარი“. გაზეთი აგრძელებს პარტიების სამოქმედო პროგრამების კრიტიკას და ბრალს სდებს სოციალ-დემოკრატებს სოციალიზმის იდეებისადმი დალატში: „სოციალ-დემოკრატები ცნობილია თავისი შეპირებებით და არ ასრულებით. მათ უდალატეს ხალხის ინტერესებს და მიიღეს მიწის შესახებ ბურჟუაზიული პროგრამა“ – ვკითხულობთ 11 თებერვლის ნომერში.

განსაკუთრებული აქტიურობით მოწინააღმდეგე პარტიების მიმართ გამოდინდა გაზეთი – „სოციალ-დემოკრატი“.

1919წ. 8 თებერვლის №30-ში ვკითხულობთ: „სხვა სოციალისტური პარტიები [სოციალ-ფედერალისტები და ესერები] არ არიან ნამდვილად ხალხის ინტერესების დამცველნი“. გაზეთი მწვავედ ილაშქრებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ, უწოდებს მათ „თავადებისა და მღვდლების პარტიას“. სტატიის ავტორი მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს მოიხსენიებს, როგორც „ხალხის მესაიდუმლესა და გულშემატკივარს“.

გაზეთის 33-ე ნომერში (12 თებერვალი) სტატიაში „დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის“, „აღის“ ფსევდონიმით ცნობილი ჟურნალისტი წერს: „დამფუძნებელ კრებაში ჩვენებური მემარჯვენე ჯგუფების – ნაციონალ-დემოკრატების, ეროვნული პარტიისა და სხვების გამარჯვება, მათი უმრავლესობის გაყვანა, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველმა დემოკრატებმა, ხალხმა თვით მოაწეროს საკუთარ სიკვდილის განაჩენზე ხელი... ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხი უნდა გამოეთხოვოს მიწას, მუშა 8 საათის სამუშაო დღეს“ და ა. შ.

„სოციალ-დემოკრატის“ №34 (1919წ. 13 თებერვალი) ისევ უპირისპირდება ეროვნულ პარტიებს, გაზეთში ვკითხულობთ: „ყველაზე დიდ საფრთხეს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, ნაციონალ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენს“ და მოუწოდებს მუშათა კლასს, არ მისცენ ხმა ამ პარტიას.

გაზეთის იმავე წლის მომდევნო ნომერი (15 თებერვალი, №36) – ესერთა პარტიას აკრიტიკებს, მიუთითებს, რომ მათ არ აქვთ მტკიცე პოლიტიკა და ტაქტიკა არც ერთ საკითხში. „სოციალ-დემოკრატის“ იგივე ნომერი სომეხ ნაციონალისტთა პარტიას – დაშნაკცუტიუნს აკრიტიკებს, უწოდებს მათ შოვინისტთა პარტიას. 18 თებერვლის (№37) სტატია მიმართულია ქართველი ბოლშევიკების წინააღმდეგ. საგაზეთო წერილში ხაზგასმულია, რომ ბოლშევიკები გენერალ დენიკინზე უარესად იქცევიან, მუშათა კლასს ამხედრებენ ქართული დემოკრატიის წინააღმდეგ.

გაზეთის ყველა ნომერი მთავრდებოდა მოწოდებით: „ხმა მიეცით მხოლოდ №1, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“

როგორც აღვნიშნეთ, საარჩევნო-სააგიტაციო საქმიანობა მიმდინარეობდა როგორც საკუთარი საპროგრამო დებულებების წარმოჩენით, ასევე სხვა პარტიებისა და მათი პერიოდული გამოცემების კრიტიკის ფონზე.

ქუთაისური პრესის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ, საგაზეთო სტატიები არა მარტო აკრიტიკებდნენ ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას, არამედ, სთავაზობდნენ მთავრობას ეკონომიკური სტაგნაციიდან გამოსვლის გზებს; ნათლად აშუქებდნენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, ფინანსურ, სოციალ-ეკონომიკურ მოვლენებს.

**ლიტერატურა:**

- თადუმაძე მ., 1917–21 წლების ქუთაისური პრესა, ქ., 2010  
 იარაღოვი გრ., ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის, თბ., 1988  
 კაშია რ., დამფუძნებელი კრების არჩევნები ქუთაისური პრესის  
 მიხედვით, წელიწადეული (ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის კრებული) V, ქ., 2013  
 მჭედლიძე მ., ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები, ქ., 1993  
 ნიკოლეიშვილი ა., კულტურა დემოკრატიულ საქართველოში, ქ., 1996

**Русудан Кашиа**

**Политические разногласия в демократической Грузии  
 (по данным Кутаисской прессы)**

**Резюме**

Периодические издания, которые издавались в Кутаиси, сыграли значительную информационно-агитационную роль в демократической Грузии.

Политические партии чётко изображали политические взгляды, при помощи своих периодических изданий: „Наша страна,, - газета Кутаисской организации национально-демократической партии, „Друг народа,, - периодический орган социально-федеральной партии и „Социал-демократ,, - издание социал-демократической партии.

Разногласие и принципиальное противостояние, между партиями социалистического и национального направления, вызвали следующие вопросы: аграрная реформа, социально-экономическое состояние страны, выборы грузинского законодательного органа.

Противостояние особенно осложнилось во время выборов законодательного органа („Дамфудzneბელი კრება,,). Публикации всех изданий критиковали программ других партии.

На профессионализма Кутаисских журналистов указывает тот факт, что статьи не только критиковали экономическую политику правительства, но и предлагали пути, выходы из экономической стагнаций, чётко освещали все политические, финансовые, социально-экономические явления страны.

**Rusudan Kashia**

**Opposition Parties in Democratic Georgia  
 (According to Kutaisi periodical issues)**

**Abstract**

Kutaisi Press played a very important informative and agitated role in Democratic Georgia. The attitudes of political parties were obviously expressed by their periodical issues. Kutaisi National-Democratic party published the newspaper –“Our Country”. Kutaisi Social-Federal Party’s newspaper was – “People’s Friend” and Social-Democratic Party had a periodical issue – “Social-Democrat”.

The principal opposition and variety of opinions between social and national-democratic parties were mainly caused by several points. Agricultural land reform, hard financial-economic conditions, the elections of the foundation committee were the most controversial topics for political parties.

Their argument became more complicated during the election of the foundation committee. All the publications were similar as their agitation was based on the critic of the opposition parties.

Kutaisi Press was highly qualified. The newspaper articles were not just criticizing the government’s economic policy, but they were also offering the way how to overcome the economic, political and financial problems of the country.

რეცენზენტი: პროფ. გ. სანიკიძე

სწავლების მეთოდოლოგია    Методика    Methodic of teaching

ნინო ბენდელიანი

ქუთაისი, საქართველო

თავდაჯერებულობის ჩამოყალიბება აღსაზრდელებში

სასწავლო პროცესი უნდა იყოს იყოს გათვლილი მოსწავლის საჭიროებაზე, უნარსა, შესაძლებლობაზე, რისთვისაც აუცილებელია მასწავლებლის ინდივიდუალური მიდგომა თითოეული აღსაზრდელის მიმართ, რათა მან გაააქტიუროს ის შესაძლებლობები და უნარები, რომლებიც აუცილებელია მისი წარმატებისთვის. წარმატების მნიშვნელოვან გასაღებს წარმოადგენს თავდაჯერებულობა, თვითრეგულაციის უნარი. ბავშვებში საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცების სასურველ შედეგს იძლევა ყურადღების გამახვილება მათ უნარებსა და დადებით თვისებებზე, წახალისება და მხარდაჭერა მცირე წარმატებაზე კი. მნიშვნელოვანია მათ მიმართ გამოჩენილი ნდობა, კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

მოსწავლეთა წარმატების გასაღებს ხშირად წარმოადგენს თავდაჯერებულობა. მოზარდობის პერიოდში თავდაჯერებული აღსაზრდელები უფრო ამუშავებენ პოზიტიურ სოციალურ ქცევას. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასკოლო ცხოვრებაში და გამოირჩევიან უკეთესი აკადემიური მიღწევებით, ნაკლებად თავდაჯერებულ ბავშვებთან შედარებით.

პიროვნების თავდაჯერებულობის დონის განმსაზღვრელია სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, თუ როგორ ეპყრობოდნენ მათ ადამიანები ბავშვობისა და მოზარდობის ხანაში. მნიშვნელოვანია, როგორ აღიქვამს პიროვნება საკუთარ უნარებსა და შესაძლებლობებს. ცდიდი გავლენა აქვს მოსწავლეთა თავდაჯერებულობაზე მშობლებს, მასწავლებლებსა და სკოლას. ბავშვის განვითარებისთვის საყურადღებოა პოზიტიური ურთიერთობები, რადგან ამ დროს მათ უვითარდებათ თავდაჯერებულობა, რის შედეგადაც აღწევენ წარმატებას.

შედეგები გასაოცარია, როცა ოჯახი, სკოლა და საზოგადოება ერთად მოქმედებენ მოზარდებში თავდაჯერებულობის გასაღვივებლად.

ბავშვები ვითარდებიან მათი შინაგანი და გარე სამყაროს ურთიერთობის გზით, ამდენად მნიშვნელოვანია მშობლის როლი, მშობლები უდიდეს როლს თამაშობენ ბავშვის სამყაროში. ბავშვები, როგორც წესი, მკვლევან რჩევებს მშობლებისგან, ისევე, როგორც გამხსნელებას და იმის სწავლებას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამ სამყაროში ან როგორ უნდა დაიმკვიდრონ თავი.

ბავშვის პირადი რწმენის გასაღვივებლად მნიშვნელოვანია თავდაჯერებულობა. ამ ყველაფრის ჩამოსაყალიბებლად კარგ შედეგს იძლევა ყურადღების გამახვილება ბავშვის უნარებსა და მის დადებით თვისებებზე, მცირე წარმატების ხაზგასმაც მნიშვნელოვანია თავდაჯერებულობის განვითარებისთვის. ბედნიერი ბავშვის აღზრდა შეიძლება მისი მუდმივი წახალისებითა და ოცნებების რწმენის მხარდაჭერით.

როგორ გამოვიყვანოთ ბავშვი რთული გარემოდან, ანუ როგორ შევუწყოთ ხელი ირწმუნონ პირადი შესაძლებლობების? აღნიშნული პრობლემის დაძლევისთვის დიდი როლი ენიჭება მათდამი უფროსების, თანატოლების მიერ ნდობის გამოხატვას. აღსაზრდელებში თავდაჯერებულობის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანია გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამები, წარმატების მიღწევისთვის, თავდაჯერებულობის მნიშვნელოვანი როლის შესახებ. ამ დროს ბავშვები იწყებენ ფიქრს, აკეთებენ შედარებას თუ რამდენად ეხმარება თავდაჯერებულობა პიროვნებას და როგორ აბრკოლებს აღნიშნული უნარის ნაკლებობა. ჯანსაღი დასკვნების გამოტანისთვის სასურველ შედეგს იძლევა დისკუსია, აზრობრივი რუკის შედგენა, სადაც დაასახელებენ ბავშვები თავდაჯერებული ადამიანების თვისებებს და იმსჯელებენ თავდაჯერებულობის არსზე ანუ უნდა დავეხმაროთ მივიდნენ საკითხის კარგი გაგებითა და გააზრებით შემდეგ დასკვნამდე: თუკი იქნება თავდაჯერებული, ყველა ადამიანს აქვს წინსვლის და აღმასვლის შესაძლებლობა.

თავდაჯერებულობა ყოველთვის ახდენს ზეგავლენას პიროვნების ფიქრებზე, გრძნობებსა და ქმედებებზე. ის გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობაზე და იმაზეც თუ რისი შესრულება შეუძლია მას. რაც უფრო მეტად თავდაჯერებულია ადამიანი, მით მეტია მასში სიახლეების შეცნობის სურვილი. ადამიანს მიღწევები და წარმატებები სძენს მეტ თავდაჯერებულობას და აღუძრავს სურვილს მიიღოს მეტი ინფორმაცია.

აღსაზრდელებთან თავდაჯერებულობის განვითარების პროცესში საჭიროა მათდამი მხარდაჭერა. სასურველია მხარდაჭერა გამოვხატოთ თუნდაც იმის გამო, რომ ის იყო ყურადღებიანი მსმენელი ან გაამხნევა მეგობარი და ა.შ.

თავდაჯერებულობა ეფუძნება საკუთარი შესაძლებლობების სათანადო შეფასებას. ბავშვის თვითშეფასება იზრდება, როდესაც მშობლები და მოზრდილები ენდობიან ბავშვს და აქვთ მათდამი რწმენა. ეს რწმენა შემდეგ ბავშვის შინაგან სამყაროზე აისახება. ყოველდღიურად, ნაბიჯ-ნაბიჯ ბავშვი ავითარებს საკუთარი თავისადმი რწმენას. ძალიან ბევრ ცნობილ ადამიანს უთქვამს, რომ სწორედ თავდაჯერებულობის წყალობით შეძლო წარმატებების მიღწევა. მაგალითად: „ირწმუნეთ საკუთარი თავის. ჩამოაყალიბეთ საკუთარი თავი ისეთ პიროვნებად, რომელთანაც ბედნიერად იცხოვრებთ მთელი ცხოვრება. მაქსიმალურად გამოიყენეთ საკუთარი შესაძლებლობები და პატარა ნაპერწკლები გადააქციეთ წარმატების უზარმაზარ ალადა“- გოლდა მაერი.

მოსწავლეს რომ დავეხმაროთ გახდეს თავდაჯერებული, მას უნდა გავაცნოთ ეფექტური მოსმენისა და პასუხის გაცემის ტექნიკები. ისინი შეძლებენ, როგორ იმოქმედონ სიტუაციის შესაბამისად, გავაცნობიერებენ საკუთარი თავისა და სხვებისადმი პატივისცემის მნიშვნელობას, კომფორტულად იგძნობენ თავს თითქმის ყველგან, შეძლებენ საკუთარი შეხედულებებისა და ღირებულებების დაცვას, ექნებათ პოზიტიური დამოკიდებულება სხვების მიმართ, არ შეეშინდებიან შეცდომების დაშვების, გაუადვილდებიან მეგობრების შექმნა, პატივისცემით მოეპყრობიან ადამიანებს, დაეხმარებიან სხვებს.

სასურველია ავუხსნათ მოსწავლეებს, რომ თავდაჯერებულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხედავენ და რას ხედავენ საკუთარ თავში. თუ პიროვნება ამოიცნობს საკუთარ შესაძლებლობებს და განივითარებს უნარებს თავდაჯერებულობაც აუცილებლად გაიზრდება.

მოსწავლეებს თავდაჯერებულობის განვითარებაში დაეხმარება წარმატებების მიღწევა. მათი წარმატებისთვის მნიშვნელოვანია დავეხმაროთ „წარმატების“ ცნების არსის გააზრებაში. განვემარტოთ, რომ წარმატება არის ის, რაც პიროვნებამ გააკეთა და შესრულებულმა სამუშაომ მისცა მას სიამაყისა და საქმის დასრულების შეგრძნება. მაგალითად, როცა ეხმარება სხვას სწავლაში, იღებს მაღალ შეფასებას რომელიმე საგანში, ხდება უფრო მომთმენი და ზრდილობიანი, ბეჯითად სწავლობს ინსტრუმენტზე დაკვრას და ა.შ.

წარმატებისთვის მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის გრძნობა პქონდეს ადამიანს ანუ არ დაივიწყოს თავისი მოვალეობა. მაგალითად: ასრულებს დაწვებულ საქმეს, ვიდრე მოქმედებს,

ჯერ ფიქრობს; იცავს კანონებს და წესებს, აკეთებს იმას, რაც ევალება, არის სანდო, ამუღანებს პატივისცემას საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, ამბობს სიმართლეს, ასრულებს თავის სიტყვას.

მაშასადამე, ყველა ბავშვს შეუძლია გახდეს თავდაჯერებული, განავითაროს საკუთარი თავისადმი რწმენა, თუ ხელს შევეუწყობთ უსაფრთხო, მისთვის საჭირო გარემოს შექმნით. მენტორების, განათლების კრეატიული პროგრამების დახმარებით აღსაზრდელები მოახერხებენ, ისწავლიან, თუ როგორ ირწმუნონ საკუთარი შესაძლებლობების. ისინი შეძლებენ გახდნენ თავდაჯერებულნი.

### ლიტერატურა:

1. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2005წ.
2. ინტერაქტიული სწავლა-სწავლება. გამომცემლობა „მერანი“ 2012წ.
3. ა.ბანდურა „სოციალური სწავლების თეორია“ 1981წ.
4. რ.ბალანჩივაძე, ვ. ასათიანი-„პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები“
5. ნ.ვასაძე-„პედაგოგიკის ისტორია“ თბილისი 2004წ.

**Нино Бенделиани**

### Формирование самоуверенности в воспитанниках

#### Резюме

Учебный процесс должен быть рассчитан на нужды, способности и возможности учеников, для этого необходим индивидуальный подход преподавателя к каждому из учеников, чтобы они смогли активизировать те возможности и способности, которые необходимы для достижения успеха. Важным ключом в достижении успеха является самоуверенность, навык саморегуляции. Для достижения желаемого результата в деле укрепления самоуверенности в детях большую роль играет фокусирование внимания на их навыки и положительные качества, поощрение и поддержка преподавателем даже малых успехов ученика. Также важным является проявление доверия к ученикам и создание для них комфортной и безопасной среды.

**Nino Bendeliani**

### Building up Student's Self-confidence

#### Abstract

Teaching process should be aimed at student's needs, skills and possibilities. So teacher's individual approach is important for each student in order to activate his/her possibilities and skills, which are necessary for success. An important key for success is developing self-confidence and self-regulation skills. In order to make self-confidence stronger we must focus on their skills and positive features. We must encourage and support them even at the time of small success. It is significant to trust them, and to make their environment safer and more comfortable.

რეცენზენტი: პროფ. რ. ბალანჩივაძე

სწავლების მეთოდოლოგია    Методика    Methodic of teaching

**Natia Gabashvili**

თელავი, საქართველო

## **IMPORTANCE OF TEACHING FOREIGN LANGUAGE VOCABULARY**

*Language is the key means of communication between people. Information couldn't be exchanged without words, thus, for this main reason the knowledge of vocabulary is essential. Vocabulary represents one of most important skills necessary for teaching and learning a foreign language. It is the basis for the development of all the other skills: reading comprehension, listening comprehension, speaking, writing, spelling and pronunciation.*

*The article deals with the three significant aspects teachers need to be aware of and focus on. These are: form, meaning, and use or receptive and productive dimensions of vocabulary teaching. Categories of vocabulary are also discussed.*

*The presented paper also refers to Steven Krashen's theory of language acquisition and his hypothesis which is in connection with the teaching vocabulary. We also deal with the teachers' hard work who can use various activities and strategies to deepen the knowledge of vocabulary.*

*In this article we tried to highlight some of the strategies of teaching vocabulary and the importance of its knowledge. We consider the article will be some help for English language teachers and learners.*

Globalization process worldwide has demanded the necessity of communication and nearness of people in this rapidly changing universe.

Foreign language has become one of the most important factors for people who are studying, working or searching a job. As language is the means of communication human beings practice it for getting and conveying information among themselves. Information couldn't be exchanged without words, thus, for this main reason the knowledge of vocabulary is essential. Vocabulary is the knowledge of words and word meanings. The knowledge of a word not only implies a definition, but it also implies how that word fits into the world. Vocabulary is commonly defined as all the words known and used by a particular person. Words are the main carriers of meaning. This means that the more words students are able to handle accurately, the better their chances of understanding English and making themselves understood.

Vocabulary teaching is very important in English language teaching methodology as without enough amount of vocabulary, learners cannot properly understand others or express their own opinions. According to Wilkins (Wilkins, D.A.1972), "without grammar very little can be conveyed, without vocabulary nothing can be conveyed".

According to Nation (2001), vocabulary can be divided into four categories. These are: high frequency words, academic words, technical words, and low frequency words.

The most commonly used list of high frequency words is General Service List of English Words (GSL), by West (1953), which includes around 2,000 word families. They cover about 80% of the running words in academic texts. Technical words refer to types of words that usually occur in a specific subject area. Academic vocabulary is the vocabulary which is used across all academic disciplines but is not the technical vocabulary of a particular academic discipline. Academic words are based on more Latin and Greek roots than most everyday spoken words. They cover about 10% of the running words in an academic text. This means that knowing the 2,000 high frequency words plus academic words will give about 90% coverage of the running words in academic texts. The last category is low frequency words. They are the biggest groups of words but only cover about 5% of the running words in an academic text (Zhou, 2010).

Vocabulary or the words we teach are thought to be "the basic nuts and bolts"(Tsitsishvili, R.2008) .When teaching a word we must definitely teach three aspects of a word: The shape or form of the word; the meaning of the word and the rules of their connection or usage as the form and the meaning of the word go together.

Form: refers to the visible and audible parts of vocabulary and functional expressions. With regards to form of vocabulary, language learners must understand pronunciation of a certain word, when writing students should also know the spelling of a word. Students should be able to break down the words into components, thus, prefixes, suffixes and roots are also necessary to know. Learners should also recognize if a word is a noun, adjective, adverb or others.

Meaning: There exists two aspects of **meaning**. First, what is literal or 'essential' meaning of the word, phrase or functional expression and the second, what does it mean in the context it's being used in? Students should be able to connect the form of a word with its meaning. But guessing the meaning of a word is quite difficult as English word have numerous meanings, so, learners should be able to guess by the context and situation.

Use: it is interconnected with the meaning and implies how word meaning and form come together and how they are used. While usage, students should know when and what kind of word they should use. They should determine by the situation they are in and what they want to communicate to their listeners.

The above mentioned three aspects could be regarded as receptive and productive dimensions of vocabulary teaching. When one is a language learner s/he requires developing and possessing these both dimensions.

Receptive skills include understanding when you listen and when you read. Thus, you are in **receptive** control of the words that you understand when you hear them or read them.

Productive skills imply speaking and writing. You use the language that you have acquired and produce a message through speech or written text that you want others to understand.

Many scientists believe that the best way of learning a foreign language vocabulary is the linguistic environment. When there is an appropriate environment, the feedback from learners is fruitful.

In the early 80s of the 20th century, Steven Krashen (Krashen, S.D. 1982) established his theory of second language acquisition. His theory consists of five main hypotheses: a. the Acquisition-Learning hypothesis; b. the Monitor hypothesis; c. the Natural Order hypothesis; d. the Input hypothesis; and e. the Affective Filter hypothesis According to his Monitor hypothesis of second language acquisition, he raised two conditions of SLA . Firstly, in order to make learners acquire large amount of information input, the teacher has to pay attention to the filtering function of emotional factors upon input. Secondly, the input level should be higher than the existing language level of the student, and at the same time, a linguistic environment of lower affective filter should be created. Only when the above mentioned two conditions are satisfied can the input information be absorbed by students (Krashen, S.D.1985).

We know that there is an important distinction between learning and acquisition. As learning is deliberate, explicit and conscious process which is often boring and suffering while, acquisition is a subconscious process and the material learned during acquisition is better remembered and put into the brain. Acquisition is an intuitive process of acquiring and building language system in the mind. The success of a student is a result

of acquisition rather than learning. As acquisition is similar process to learning a mother language, acquired language is penetrated deeply in the mind and brain and is seldom forgotten.

According to Beck and Mckeown (Beck & McKeown, 1991) between the ages of two and five, children learn an estimated 1500 new words every year, or about 5 words a day. For students between the ages of five and ten, vocabulary acquisition increases to approximately 8 new words per day. Adolescents aged ten to nineteen acquire 4800-6500 words per year, or 13 to 18 words per day. Thus, Students need to be engaged in such a vocabulary acquisition activities to become familiar and remember with such a large number of new words and concepts.

In vocabulary teaching, teachers have very important roles in presenting new lexical items; teachers can use various activities and strategies to deepen the knowledge of vocabulary. As Hatch and Brown declare teaching strategies can refer to anything that teachers do or should do in order to help their learners learn (Hatch, E; Brown, C.2000). Thus, presenting new vocabulary by teachers is the basement on which the results of teaching and feedback from students depends greatly.

According to Tsitsishvili, (Tsitsishvili, R. et al 2008) the amount of presented items depends on the following factors:

- Target language level of students
- the difficulty of the vocabulary
- The "teachability"-can they be easily explained or not
- whether the words are learnt for production (in speaking and writing) or for recognition only (in listening and reading). More time is necessary for productive learning of course.

The teacher explains both form and meaning of a word which may take place in either order. But the most often we meet vocabulary presentation in the following ways:

- connecting target language item with the first language equivalent to point out similarities or differences
- meaning definition, which should be as clear as possible. Here teachers can use all the possible strategies- verbal or visual ways for defining an item, by synonyms, antonyms, by connection or examples.
- presenting words via context. In a situation created by the teacher a learner clearly contextualizes an item. Students can guess a word meaning through the context quite well.
- involvement learners in explanation-discovering the words through pictures or certain realia. The use of realia, or [real-life objects in the ESL classroom](#) can make a huge difference in student learning. **It engages them and motivates them to learn.** It's fun and sets a more natural learning environment.

According to Linse (Linse, C.2005), knowing a word includes:

- a. Receptive knowledge: Recognizing & Understanding its meaning when heard/ read
- b. Memory: Recall it when needed
- c. Conceptual knowledge: Use it with correct meaning
- d. Using it correctly in spoken form (in isolation and in discourse)
- e. Grammatical knowledge: Accurate use
- f. Collocation knowledge
- g. Orthographic knowledge: spelling
- h. Pragmatic knowledge: style and register
- i. Connotational knowledge: positive and negative associations
- j. Metalinguistic knowledge: grammatical properties

There exist various exercises from matching words to pictures to completing gaps which teachers can offer the students to practice the presented words to make the knowledge of vocabulary systemic and target language usage fluent. The activities that help learners practice vocabulary could be the following:

- complete the gaps
- matching the words with the definitions or pictures
- choosing and inserting the correct words
- odd one out

- word building
- synonyms, antonyms

Vocabulary knowledge has great importance in communicative competence. Without words to express wide range of meaning, communication in foreign language can't take place in a meaningful manner. Vocabulary knowledge is significant determinant of communication efficiency.

For vocabulary improvement reading is the best way. The context of reading materials help students to understand the meaning of words that are new for them. Reading also provides repetition of vocabulary words one has already learned to help learners remember them. Thus, lots of reading is required for learners to increase the number of vocabulary.

In conclusion, vocabulary is the most required skill when learning a foreign language. Vocabulary represents one of most important skills necessary for teaching and learning a foreign language. It is the basis for the development of all the other skills: reading comprehension, listening comprehension, speaking, writing, spelling and pronunciation. Vocabulary is the main tool for the students in their attempt to use English effectively. People need to use words in order to express themselves in any language. In this article we tried to highlight some of the strategies of teaching vocabulary and the importance of its knowledge. We consider the article will be some help for English language teachers and learners.

#### References:

1. Beck, I.L., & McKeown, M. (1991). Conditions of vocabulary acquisition. In R. Barr, M. L. Kamil, P. Mosenthal, & D.D. Pearson, (Eds.), Handbook of reading research (Vol. 1, pp. 789-814). New York: Longman
2. Hatch, E; Brown, C. (2000). Vocabulary, semantics and language Education. Cambridge University Press.
3. Krashen, S.D. (1985) "We Acquire Vocabulary and Spelling by Reading: Additional Evidence for the Input Hypothesis," Modern Language Journal, vol. 73 (4), pp. 440-464, 1989.
4. Krashen, S.D. (1982) Principles and Practice in Second Language Acquisition. Oxford: Pergaman Press.
5. Linse, C. Teaching (2005). Vocabulary to young learners.
6. Nation, I. S. P. (2001). Learning vocabulary in another language. Cambridge: Cambridge University Press.
7. Tsitsishvili, R. Nizharadze, N. et all. (2008). Becoming an English teacher: Theory and practice of teaching English in Georgia. Tbilisi. British Council.
8. West, M. (1953). A General Service List of English Words. Longman, London.
9. Wilkins, D.A. (1972). Grammatical, situational, and notional syllabuses. The communicative approach to language teaching. Oxford University Press.
10. Zhou, S. (2010). Comparing Receptive and Productive Academic Vocabulary Knowledge of Chinese EFL Learners. Vol.6.N10.

**ნათია გაბაშვილი**

#### **Важность обучения словарь иностранному языку**

##### **Резюме**

Язык является ключевым средством общения между людьми. Информация не может быть обменена без слов, поэтому по этой основной причине знание лексики имеет важное значение. Словарь представляет собой один из самых важных навыков, необходимых для обучения и изучения иностранного языка. Это основа для развития всех других навыков: понимание прочитанного, понимание слушания, говорение, письмо, орфография и произношение.

В статье рассматриваются три важных аспекта, о которых нужно знать и сосредоточиться. Это: форма, смысл и использование, или восприимчивые и продуктивные размеры обучения лексике. Также обсуждаются категории лексики.

Представленная статья также относится к теории восприятия языка Стивена Крашена и его гипотезе, которая связана с учебным лексиконом. Мы также занимаемся упорной работой учителей, которые могут использовать различные виды деятельности и стратегии для углубления знания лексики.

В этой статье мы попытались выделить некоторые из стратегий обучения лексике и важность ее знаний. Мы считаем, что эта статья будет полезной для преподавателей английского языка и учащихся.

ნათია გაბაშვილი

## უცხო ენის ლექსიკი სწავლება

### რეზიუმე

ენა ადამიანებს შორის კომუნიკაციის ძირითადი საშუალებაა. სიტყვების გარეშე კი შეუძლებელია ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. სწორედ ამის გამო ლექსიკური მარაგის ქონა აუცილებელია. ლექსიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან უნარ-ჩვევას, რომელიც აუცილებელია უცხო ენის სწავლება-სწავლისათვის. მისი საშუალებით ენის ფლობის სხვადასხვა კომპონენტების განვითარებაა შესაძლებელი, ესენია: კითხვა, მოსმენა, საუბარი, წერა.

სტატიაში განხილულია ის სამი მთავარი ასპექტი, რაზეც პედაგოგებმა დიდი ყურადღება უნდა გაამახვიონ ლექსიკის სწავლებისას. ესენია: ფორმა, მნიშვნელობა და გამოყენება ანდა ლექსიკის სწავლების რეცეპტული და პროდუქტული მიმართულებები. განხილულია ლექსიკის კატეგორიებიც.

წარმოდგენილ ნაშრომში მიმოხილულია სტივენ ქრეშენის ენის შეთვისების თეორიაც და მისი ჰიპოთეზები, რომლებიც კავშირშია ლექსიკის სწავლასთან. აგრეთვე სტატიაში საუბარია უცხო ენის პედაგოგზე და მის თავდაუზოგავ შრომაზე, რომელთაც ენის ფლობის დონის გასაუმჯობესებლად ბევრი მუშაობა და სხვადასხვა სტრატეგიისა თუ აქტვობის გამოყენება სჭირდებათ.

მიგვაჩნია სტატია მნიშვნელოვნად დაეხმარება უცხო ენის პედაგოგებსა თუ სამიზნე ენის შემსწავლელებს.

რეცენზენტი: პროფ. მ. მიქაძე

## სწავლების მეთოდოლოგია    Methodika    Methodic of teaching

იულია გორჯელაძე

ბათუმი, საქართველო

### უცხო ენის სწავლების ინოვაციური ტენდენციები

სტატიაში საუბარია იმ ინოვაციური მიდგომებისა და სწავლების ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რომლის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სასწავლო პროცესი. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა აქტიურად მიმდინარეობს საქართველოში. არსებობს ქართული ინტერნეტ-რესურსები, რომელთა გამოყენება შეუძლიათ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, რაც თავის მხრივ, უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის სწავლისა და სწავლების პროცესს. უცხო ენების შესწავლის მიზნების თანამედროვე მეთოდებიდან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ მოსწავლის და მასწავლებლის სტატუსი იცვლება და სქემა „მასწავლებელი-მოსწავლე“ გადადის სწავლების პიროვნებაზე ორიენტირებულ მჭიდრო თანამშრომლობით ტექნოლოგიაში.

უცხო ენების სწავლების მეთოდოლოგია და დიდაქტიკა მთავარი ამოცანების ამოხსნისთვის მიმართავენ ისეთ კვლევებს, სადაც განიხილება ენის, მეტყველებისა და აზროვნების, აზროვნებისა და კომუნიკაციის, სიტყვის შემეცნებითი და კომუნიკაციური ასპექტების თანაფარდობა.

ვარიანტულობის პრინციპის საშუალებით სასწავლო დაწესებულებას შეუძლია აარჩიოს პედაგოგიური პროცესის ნებისმიერი მოდელი. ასეთ პირობებში მასწავლებელი თავისუფალია იმ ინოვაციური მოდელებისა და სწავლების ტექნოლოგიების გამოყენების არჩევანში, რომლის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სასწავლო პროცესი. ინოვაციური მოდელები განსაზღვრავენ პედაგოგიური პროცესის ცოდნის პარადიგმიდან პიროვნებადგე, „ინფორმატიულობიდან“ სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებადგე გადასვლას.

უცხო ენების სწავლების პრობლემა სასწავლო დაწესებულებებში მითითებს მეტყველებისა და აზროვნების სისტემურ ანალიზს ფსიქოლინგვისტური, ენობრივი და ფსიქოლოგიური პოზიციებიდან. აზროვნების განვითარების ყველაზე ეფექტური საშუალებაა იმიტაციური მოდელირება. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს პროფესიული საქმიანობის, მისი მნიშვნელოვანი ტიპური ელემენტების იმიტაციას. მისი გამოყენება გაკვეთილებზე ავითარებს კომუნიკაციის უნარებს, თვითკონტროლის ჩვევას; იმიტაციური მოდელირების გამოყენებით გაკვეთილი ხდება უფრო ცოცხალი, საინტერესო, ინფორმატიული, სტრუქტურულ კი ეძლევა საშუალება უფრო ხშირად გამოხატოს თავისი გრძნობები, აზრები, შეფასებები, სხვა სიტყვებით, ის ფიქრობს უცხო ენაზე.

უცხო ენის სწავლების პროფესიული უნარ-ჩვევების გასავითარებლად გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა: კომუნიკაცია-პროფესიულ ინფორმაციასთან დაკავშირებული დიალოგი, სოციალური და პროფესიული სიტუაციების ანალიზი, პროფილური შინაარსის შემოქმედებითი ამოცანების შესრულება, როლური თამაშები.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის ხდება უფრო შესამჩნევი, როდესაც ეს ტექნოლოგიები გამოიყენება მეცადინეობების სისტემაში და უზრუნველყოფენ უნარ-ჩვევების მთელი კომპლექსის ათვისებას, რაც, თავის მხრივ, უყალიბებს სტუდენტს პროდუქტიულ ბაზას მისი ეფექტური პროფილირებისთვის ცხოვრებაში.

**უცხო ენის სწავლების ინოვაციური ტენდენციები.**

ინოვაციური მეთოდები მიმართულია პიროვნების უფრო ეფექტურ განვითარებაზე და ადაპტაციაზე (როგორც სოციალური, ასევე პროფესიული) თანამედროვე ცვალებადი საზოგადოების ფარგლებში.

**მრავალმხრივი მეთოდი.** თანამედროვე მრავალმხრივი მეთოდი დაფუძნებულია ე.წ. „კლიველენდის გეგმის“ (1920წ.) შემდეგ პრინციპებზე: 1. უცხო ენა არ ისწავლება მექანიკური დამახსოვრების გზით, რადგან ის იქმნება ინდივიდუალურად. შესაბამისად, პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს სტუდენტის სპონტანურ მეტყველებას; 2. ენა არის კულტურა, ანუ კულტურული ცოდნა გადაიცემა ენის შესწავლის დროს ავთენტური ენობრივი მასალების მეშვეობით; 3. თითოეული გაკვეთილი უნდა იყოს მიმართული მხოლოდ ერთ ფოკუსზე, ანუ ერთ გაკვეთილზე სტუდენტი სწავლობს მხოლოდ ერთი გამოყოფილი ერთეულის გამოცნობას; 4. გრამატიკა და ლექსიკონი ისწავლება გაზომილ ნაწილებად მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით. სწავლების პროცესში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული სამეტყველო მოქმედების ოთხივე უნარ-ჩვევა. სასწავლო მასალა წარმოდგენილია გრძელი დიალოგებით და თავისი სავარჯიშოებით, კითხვა-პასუხის ფორმით.

მოცემული მეთოდით ნასწავლი ტექსტები, როგორც წესი, უყალიბებს სტუდენტს შესასწავლი ენის ქვეყნის კულტურის შესახებ წარმოდგენას. თუმცა, მასწავლებლის როლი აქ ზღუდავს სტუდენტის მიერ შესწავლილი მასალის შემოქმედებითი გამოყენების შესაძლებლობას პირდაპირი კომუნიკაციის დროს.

**ბუნებრივი მეთოდი.** მისი მიზანია მიაღწიოს უცხო ენის საშუალო დონით ფლობას. მასწავლებელი არასოდეს აქცევს ყურადღებას მეტყველებაში დაშვებულ შეცდომებს, რადგან მან შეიძლება ხელი შეუშალოს სამეტყველო უნარების განვითარებას. ადრეული პროდუქტიული პერიოდი იწყება მაშინ, როცა სტუდენტის პასიური ლექსიკონი აღწევს დაახლოებით 500 ლექსიკურ ერთეულს.

პედაგოგიკის თვალსაზრისით ინოვაციური მიდგომის მთავარი შემადგენელია **შემოქმედებითი მიდგომა (Activity Approach)**. მას საფუძვლად უდევს ის გაგება, რომ პიროვნების ფუნქციონირება და განვითარება, ისევე როგორც სტუდენტების ინტერპერსონალური ურთიერთობები, განისაზღვრება სოციალურად მნიშვნელოვანი საქმიანობის მიზნებით, შინაარსით და ამოცანებით.

**აქტიური სწავლება.** ეს მეთოდი მიმართულია პიროვნების განვითარების ორგანიზაციის, მისი თვითგანვითარებისა და თვითორგანიზაციისთვის. მთავარი პრინციპი იმაშია, რომ სტუდენტი საკუთარი ცოდნის თვითშემქმნელია. უცხო ენების სწავლების თანამედროვე ეტაპზე აქტიური სწავლება, რა თქმა უნდა, პრიორიტეტულ წარმოადგენს, რადგან სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ეფექტური მართვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ეყრდნობა მოსწავლის აქტიურ გონებრივ მოქმედებას.

ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება უცხო ენის სწავლებაში გულისხმობს ისეთი ფსიქოლოგიური მიდგომების გამოყენებას (კოგნიტური, პოზიტიური, ემოციური, მოტივაციური, ოპტიმისტური, ტექნოლოგიური), რომელიც მიმართულია სტუდენტის პიროვნებაზე.

**უცხო ენის სწავლება ინტერნეტ ქსელის გამოყენებით.**

საინფორმაციო კომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების პროცესში საოცრად სწრაფი ტემპით ვითარდება. ინტერნეტ-ტექნოლოგიების გაკვეთილზე გამოყენება ეფექტური ფაქტორია მოსწავლეების მოტივაციის განვითარებისთვის. უმეტეს შემთხვევაში კომპიუტერთან

მუშაობა ახალისებს მათ. დღესდღეობით ინტერნეტის გამოყენების პერსპექტივები საკმაოდ ფართოა. ეს შეიძლება იყოს ინგლისურენოვან ადამიანებთან მიმოწერა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით; სხვადასხვა საერთაშორისო ინტერნეტ-კონფერენციებში, სემინარებში და სხვა პროექტებში მონაწილეობა; ქსელში საიტების და პრეზენტაციების შექმნა და განთავსება, სკაიპით მუშაობა. აგრეთვე სტუდენტებისთვის საინტერესოა ინტერნეტ-რესურსების შექმნის პროცესი, რომელიც ხასიათდება სიახლეებით, აქტუალურობით და კრეატიულობით. შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზაცია მცირე ჯგუფებში აძლევს საშუალებას თითოეულ სტუდენტს გამოაჩინოს თავისი აქტიურობა.

ახალი მედიის დანერგვა აქტიურად მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში. არსებობს ქართული ინტერნეტ-რესურსები (მაგ., [www.readwritethink.org](http://www.readwritethink.org), [www.ascd.org](http://www.ascd.org), <http://espnnet.eu>), რომელთა გამოყენება შეუძლიათ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტერნეტ-ტექნოლოგიები არ წარმოადგენს შემეცნებით პროცესში მოსწავლის მოტივაციის და დამოუკიდებლობის გაზრდის პანაცეას. სწავლების პროცესში მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად აუცილებელია როგორც სხვადასხვა საგანმანათლებლო მედია ტექნოლოგიების, ასევე სხვა ფართო სპექტრის ინოვაციური საშუალებების გამოყენება.

**ენობრივი პორტფოლიო როგორც უცხო ენის სწავლების ერთ - ერთი პერსპექტიული საშუალება.** თანამედროვე პირობებში ენობრივი პორტფოლიო განისაზღვრება იმ სამუშაო მასალების პაკეტით, რომლებიც წარმოადგენენ მოსწავლის ამა თუ იმ სასწავლო საქმიანობის გამოცდილებას ან შედეგს. მასალების ამგვარი ნაკრები მოსწავლეს და მასწავლებელს საშუალებას აძლევს გააანალიზოს ენობრივ პორტფოლიოში დაგროვებული მოსწავლის სასწავლო საქმიანობის შედეგები, შეაფასოს სასწავლო სამუშაოს მოცულობა, განსაზღვროს მოსწავლის მიღწევები და პროგრესი. ენობრივი პორტფოლიო წარმოადგენს მოქნილ სასწავლო საშუალებას, რომელიც შეიძლება იყოს ადაპტირებული ნებისმიერი სასწავლო სიტუაციაში. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა ისაა, რომ მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად ადევნოს თვალი შესასწავლი ენის ათვისების დონის დინამიკას გარკვეულ დროთა განმავლობაში. ეს სასწავლო საშუალება ქმნის განვითარების სიტუაციას და უზრუნველყოფს რეალურ ჩართულობას სასწავლო პროცესის მსვლელობაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხო ენების სწავლების მეთოდების განვითარება, გაუმჯობესება და ოპტიმიზაცია ყოველთვის იყო და რჩება ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად განათლების სფეროში. როგორც კვლევებმა გვიჩვენა, უცხო ენების შესწავლა დღეს შეუძლებელია ინოვაციური მიდგომის გარეშე. უცხო ენების შესწავლის მიზნების თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ მოსწავლის და მასწავლებლის სტატუსი იცვლება და სქემა „მასწავლებელი-მოსწავლე“ გადადის სწავლების პიროვნებაზე ორიენტირებულ მჭიდრო თანამშრომლობით ტექნოლოგიაზე.

#### ლიტერატურა:

1. ნ. დაუშვილი “ახალი მედია-ტექნოლოგიები სწავლისა და სწავლების პროცესში” ([file:///C:/Users/Admin/Downloads/2089%20\(1\).pdf](file:///C:/Users/Admin/Downloads/2089%20(1).pdf))
2. Devon C. Duhaney, „TECHNOLOGY AND THE EDUCATIONAL PROCESS: TRANSFORMING CLASSROOM ACTIVITIES“ Int'l J of Instructional Media Vol. 27(1), 2000
3. Gary Motteram “The benefits of new technology in language learning”, 2013, (<https://www.britishcouncil.org/voices-magazine/the-benefits-new-technology-language-learning>)
4. Mostyaeva I. V. „ACTIVITY APPROACH IN THE EDUCATIONAL PROCESS FOR THE PREPARATION OF FUTURE INFORMATICS TEACHERS“. The International Conference on the

Transformation of Education proceedings Held by SCIEURO in London, 22-23 April 2013, Vol.2, p.103-108. (<http://scieuro.com/activity-approach-in-the-educational-process-for-the-preparation-of-future-informatics-teachers/>)

5. Иванченко Т. Языковой портфолио как стратегия изучения иностранного языка в течение всей жизни/ Молодой ученый. — 2013. — 15. — №. 704-707. (<https://moluch.ru/archive/52/6837/>)

**Июлия Горджеладзе**

**Изучения иностранных языков инновационных подходов и технологий**

**Резюме**

В статье речь идет о применении тех инновационных подходов и технологий обучения, без которых немислим современный учебный процесс. Современные технологии активно внедряются в Грузии. Существуют Грузинские интернет-ресурсы, которые могут быть использованы как преподавателями, так и учащимися, благодаря чему учебный процесс становится более интересным и многогранным. Задача развития, совершенствования, оптимизации методов обучения иностранным языком всегда была одной из актуальных проблем образования. Проведенные исследования педагогической работы в этой области показали, что обучение иностранным языкам в школе сегодня невозможно без инновационной составляющей. В ракурсе современных требований к целям обучения иностранному языку меняется статус как обучаемого, так и преподавателя, которые переходят от схемы "учитель \_ ученик" к технологии личносно-ориентированного обучения в плотном сотрудничестве.

**Iulia Gorjeladzethe**

**Use of innovative technologies in educational process of foreign languages**

**Abstract**

The article deals with the use of those innovative approaches and technologies that are necessary for the modern educational process. Media technologies are actively implemented in Georgia. There are Georgian Internet-resources, which could be successfully used by both teachers and students. They make an educational process to be more interesting and versatile. In the context of modern requirements to the goals of foreign language teaching, the status of both a student and a teacher changes from the "teacher-student" scheme to the technology of personal-oriented learning in close cooperation.

რეცენზენტი: პროფ. მ. ღარიბაშვილი

სწავლების მეთოდოლოგია    Методика    Methodic of teaching

ლელა ეძგვერაძე

ქუთაისი, საქართველო

ასპექტის სწავლებისათვის

სტატიაში საუბარია ასპექტის, როგორც ზმნის მორფოლოგიური კატეგორიის, სწავლების პრობლემებზე და განხილულია ამ პრობლემათა გადაჭრის გზები. სწავლების შემოთავაზებული მოდელი, რა თქმა უნდა, არ არის უნივერსალური. მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქ გამოკვეთილი მომენტების გათვალისწინება დაეხმარება დაინტერესებულ პირებს მოცემული საკითხის სწავლება-სწავლასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაში.

ასპექტი ქართული ზმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა. შესაბამისად, სწავლების პროცესში მას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმოს. ასპექტის კატეგორიის გაგება-გააზრებას ახლავს გარკვეული სირთულეები, რაც ხშირად ვლინდება ზმნის ფორმათა ანალიზის დროს. მოსწავლეები უმეტეს შემთხვევაში საანალიზო ზმნის ასპექტს განსაზღვრავენ მექანიკურად, მხოლოდ ზმნისწინის დართვა-დაურთველობის მიხედვით, რასაც შედეგად მოსდევს უასპექტო და ასპექტის კატეგორიის წარმოების ისტორიული ვითარების ამსახველ ზმნათა ფორმების არასწორი კვალიფიკაცია. ეს ფაქტი ნათელს ხდის, რომ მოსწავლეებს არა აქვთ გააზრებული ასპექტის, როგორც ზმნის კატეგორიის, რაობა.

მოცემული პრობლემა განპირობებულია, ერთი მხრივ, ასპექტის გრამატიკული კატეგორიის შინაარსობრივი მახასიათებლის სირთულით, მეორე მხრივ, სწავლების ხარვეზებით.

ასპექტი რთული გრამატიკული კატეგორიაა. ასპექტის სემანტიკურ მახასიათებლად მოიაზრება შედეგობითობა-არაშედეგობითობა, სისრულე-უსრულობა, განგრძობითობა-წყვეტილობა, ასპექტს უკავშირებენ მრავალგზისობის სემანტიკის გამოხატვასაც. ქართული ზმნა თავდაპირველად განარჩევდა დიურატიულ (განგრძობით) და მომენტობრივ (წყვეტილ) ასპექტს. ენის ისტორიული განვითარების პროცესში თანდათანობით ჩამოყალიბდა სრული და უსრული ასპექტის სემანტიკა.

აკაკი შანიძის დეფინიციით, თანამედროვე ქართულ ენაში „ასპექტი ანუ სახე არის ზმნის ფორმა, რომელიც ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს ან ისე, რომ მას ბოლო უჩანს, ან ისე, რომ მას ბოლო არ უჩანს“ (ა. შანიძე, გვ. 262). ლ. კვაჭაძე ასპექტს განმარტავს, როგორც „ზმნის ფორმას, რომელიც მიგვითითებს, რომ ზმნის მიერ გამოხატული მოქმედება დასრულებულია (დამთავრებულია) ან დაუსრულებელი (დაუმთავრებელი)“ (ლ. კვაჭაძე, გვ. 246).

სასკოლო და, შესაბამისად, განათლების მიმართულების საბაკალავრო სასწავლო კურსი ეყრდნობა შანიძე-კვაჭაძისეულ დეფინიციას. სწავლების პროცესის ერთ-ერთი მთავარი

სირთულე სწორედ დეფინიციის დონეზე იჩენს თავს. მოსწავლეები ხშირად ვერ იაზრებენ რას ნიშნავს დეფინიციათა კონტექსტში ცნებები - დასრულებული და დაუსრულებელი - ან განსაზღვრა - მოქმედებას ბოლო უჩანს და ბოლო არ უჩანს. მათთვის არსებითად გაუგებარი რჩება, როგორ შეიძლება წარსულში მომხდარი მოქმედება დაუსრულებელი იყოს, ხოლო ის მოქმედება, რომელიც არც კი დაწყებულია - დასრულებული. მასწავლებლის ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ სწავლება ისე წარმართოს, რომ ამგვარი ბუნდოვანება თავიდან აიცილოს.

ჩვენი აზრით, **ასევე** მნიშვნელოვან პრობლემას წარმოშობს სწავლების პროცესში ასპექტური ოპოზიციის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე გაცნობის დამკვიდრებული პრაქტიკაც. შესაბამისად არის ორგანიზებული სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მასალაც, მეთოდურ მითითებებში მასწავლებლებს ურჩევენ ერთი და იმავე ზმნის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შედარების გზით წარმოაჩინონ ასპექტის, როგორც გრამატიკული კატეგორიის არსი. როგორც წესი, ხდება აწმყოსა და წყვეტილის მწკრივთა ფორმების შეპირისპირება ან ერთმანეთს ადარებენ წყვეტილის მწკრივის სრული და უსრული ასპექტის ფორმებს.

ამ პრაქტიკას, რა თქმა უნდა, აქვს თავისი უპირატესობა. ზმნის ასეთ ფორმებში განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ასპექტური ოპოზიცია. მაგრამ, აქ იმალება საფრთხეებიც. ორივე გზას აქვს მნიშვნელოვანი ნაკლი. პირველ შემთხვევაში (აწმყო-წყვეტილის ოპოზიცია) მოსწავლეები რეალურად ვერც კი აღიქვამენ ასპექტის რაობას, დაუსრულებლობას მიიჩნევენ ახლანდელ დროში მიმდინარე პროცესის თვისებად, ხოლო დასრულებულობას - წარსულში მომხდარი, უკვე შეწყვეტილი მოქმედების მახასიათებლად. თავისი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს წყვეტილის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა შეპირისპირების ხერხსაც. ასპექტიან ზმნათა დიდი ნაწილი წყვეტილში მხოლოდ სრული ასპექტის ფორმას გვიჩვენებს. სწავლებისას შეიძლება თავიდან ვერ ავიცილოთ კითხვა, რომლის პასუხიც არსებითად გასცდება შესასწავლ საკითხს, ხოლო იგნორირების შემთხვევაში გაურკვეველობას წარმოშობს. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამომდინარე, ხშირად მოსწავლეები მარტივ გზას ირჩევენ. ისინი არ იაზრებენ ასპექტის სემანტიკურ მხარეს და მხოლოდ ის ამახსოვრდებათ, რომ ზმნისწინიანი ფორმა სრული ასპექტისაა, ხოლო უზმნისწინო - უსრული ასპექტის.

ჩვენი შეხედულებით, ასპექტის რაობის გაცნობის პირველ ეტაპზე არ არის გამართლებული სრული ასპექტის წარმოებაში ზმნისწინის როლის ხაზგასმა. მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა, მოსწავლეებმა სწორად გაიაზრონ ასპექტის სემანტიკა. „ასპექტის რაობის შესწავლისას მთავარია მოსწავლეთათვის ნათელი გავხადოთ, რომ სრული ასპექტის ზმნები უმთავრესად მოქმედების შედეგს აღნიშნავენ და არა ხანგრძლიობას, ხოლო უსრული სახის ზმნები მოქმედების მიმდინარეობას" (მ. თალაკვაძე, გვ. 69) ამ მიზნის მისაღწევად უნდა ვაჩვენოთ როგორც ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა ოპოზიცია, ისე ზმნები, რომლებიც სრულ ასპექტს უზმნისწინოდ გამოხატავენ და ზმნები, რომელთა ზმნისწინიან ფორმებს ახლანდელი დროის გაგებით უსრული ასპექტის შინაარსი აქვთ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ასპექტის რაობის გასაცნობად ერთმანეთს შევუპირისპიროთ ერთი და იმავე ზმნის აწმყოსა და მყოფადის მწკრივის ფორმები. აქ თავი შეიძლება იჩინოს სირთულემ, რომელიც მომავლის ფორმათა დასრულებულობის აღქმის სიძნელეში მდგომარეობს, მაგრამ ამ გზას აქვს უდავო უპირატესობა. ასპექტური ოპოზიცია ყველა ასპექტიან ზმნაშია გამოხატული და არის შესაძლებლობა თანამედროვე ქართულ ენაში სრული და უსრული ასპექტის გამოხატვის ყველა ფორმა ვაჩვენოთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადემონსტრაციო მასალაში შექმნილი დაგვარად სრულად უნდა მოვიცვათ თანამედროვე ქართულში გამოყენებული სრული და უსრული ასპექტის ფორმები. ამასთან, თავდაპირველად უნდა ავიღოთ ფორმები, რომელთა ასპექტური შინაარსი კონტექსტზე არ არის დამოკიდებული. თუმცა უმჯობესია საანალიზო ზმნები იმთავითვე წინადადებებში წარმოვადგინოთ. ჩვენი აზრით, უმჯობესია გამოვიყენოთ სპეციალურად შექმნილი მარტივი

კონსტრუქციები და არა ნაწყვეტები მხატვრული ტექსტებიდან, რომლებშიც, ჩვენი მიზნის შესაბამისი ფორმების გარდა, გვხვდება სხვა ზმნებიც. ასევე სასურველია, ზმნისწინიან ფორმებში გამოვიყენოთ ნეიტრალური ზმნისწინები, რომლებიც არ ასრულებენ მნიშვნელობის ცვლის ან გეზისა და ორიენტაციის გამოხატვის ფუნქციას.

ნინო წერილს წერს	ნინო წერილს დაწერს
კატა მზეზე თბება	კატა მზეზე გათბება
ბავშვი გაკვეთილს სწავლობს	ბავშვი გაკვეთილს ისწავლის
გოგონა ყვავილებს ყიდულობს	გოგონა ყვავილებს იყიდის
დათო ლექსს ამბობს	დათო ლექსს იტყვის
სათქმელს ყურში ჩასძახის	სათქმელს ყურში ჩასძახებს

მოცემული მაგალითების განხილვის საფუძველზე მოსწავლეებს უნდა გავააზრებინოთ, რომ პირველ სვეტში მოცემულ ფორმებში მოქმედება წარმოდგენილია როგორც პროცესი და არ არის ნაჩვენები ეს მოქმედება შედეგით დასრულებულია თუ არა, ხოლო მეორე სვეტის ფორმებში ჩანს, რომ მოქმედება შედეგით დასრულებულია.

სრული და უსრული ასპექტის სემანტიკის გააზრების კვალობაზე უნდა შემოვიტანოთ ასპექტის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, დეფინიციაც. განვმარტოთ სრული და უსრული ასპექტის ცნება.

ამის შემდეგ შესაძლებელია მოსწავლეებს გავაცნოთ ფორმები, რომლებიც ახლანდელი დროის გაგებით უსრული ასპექტისანი არიან, ხოლო მომავლის გაგებით - სრული ასპექტისანი.

გიორგი დათოს წიგნს სთხოვს (ახლა). (რას შვრება?)	გიორგი დათოს წიგნს ხვალ სთხოვს. (რას იზამს?)
ნიკო სურათს აღწერს (ახლა). (რას შვრება?)	სახლში მისვლის შემდეგ ნიკო სურათს აღწერს. (რას იზამს?)
მომხსენებელი საინტერესო საკითხს განიხილავს (ახლა). (რას შვრება?)	ამ საკითხს მომხსენებელი ხვალ განიხილავს. (რას იზამს?)

ყველა ზემოთ მოცემულ ფორმაზე დაკვირვების შედეგად გაკეთდება დასკვნა, რომ ქართულ ენაში არსებობს ასპექტის გამოხატვის სხვადასხვა საშუალება:

1. სრული და უსრული ასპექტის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდება ზმნისწინის დართვა-დაურთველობით (წერს - დაწერს, კერავს - შეკერავს, რეცხავს - გარეცხავს, თბება - გათბება, იყინება - გაიყინება...)
2. სრული და უსრული ასპექტის ფორმები სხვადასხვა ფუძით არიან წარმოდგენილნი. (ამბობს - იტყვის, ეუბნება - უთხრა, შვრება - იზამს...)

3. სრული და უსრული ასპექტის ფორმები ერთმანეთისაგან თემის ნიშნებითა და ხმოვანპრეფიქსებით განსხვავდება (ეკითხება - ჰკითხავს, ყიდულობს - იყიდის, შოულობს - იშოვის, ნახულობს - ნახავს, სწავლობს - ისწავლის...)

4. ზმნა სრულ და უსრულ ასპექტს კონტექსტთან მიმართებაში ერთი და იმავე ფორმით გამოხატავს (სთხოვს, სცემს, აღრიცხავს, აღნიშნავს, განიხილავს, განმარტავს)

ამის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ქართულში სრული ასპექტის წარმოება ძირითადად ზმნისწინს ეკისრება, მაგრამ საკმაოდ დიდია ხვედრითი წილი ზმნებისა, რომლებიც ასპექტურ ოპოზიციას სხვა საშუალებებით გამოხატავენ.

ასპექტის სემანტიკისა და წარმოების ფორმების დაზუსტების შემდეგ მოსწავლეებს უნდა ვაჩვენოთ, რომ ასპექტური ოპოზიცია ერთი მწკრივის ფარგლებშიც არის შესაძლებელი (წერა -დაწერა / უწერია - დაუწერია, კერა - შეკერა / უკერია - შეუკერია, რეცხა - გარეცხა / ურეცხია - გაურეცხია...). აქვე უნდა განვუმარტოთ, რომ ამ უნარს ფაქტობრივად ავლენენ მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნები, რომლებიც სრულ ასპექტს ზმნისწინის მეშვეობით აწარმოებენ.

ზმნისწინის როლის აქცენტირება გამართლებულად არ მიგვაჩნია უასპექტო ზმნების გაცნობის დროსაც. ამ შემთხვევაშიც, პირველ რიგში, საკითხის შინაარსობრივ მხარეზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. მოსწავლეებს უნდა ვაჩვენოთ, რომ ქართულ ენაში არის ზმნები, რომელთა ფორმები გამოხატავს ან მხოლოდ უსრული ასპექტის შინაარსს ან მხოლოდ სრული ასპექტის შინაარსს.

ამ მიზნით ჯერ მივაწვდით მაგალითებს, როცა ზმნები ყველა ფორმაში მოქმედებას წარმოგვიდგენენ როგორც პროცესს, რომელსაც შედეგი არ უჩანს (მოქმედებას დაუსრულებელი სახით წარმოგვიდგენენ), ხოლო შემდეგ ზმნებს, რომლებიც ყოველთვის მოქმედების შედეგს უჩვენებენ.

1.

წყალი დულს	წყალი იდუღებს	წყალმა იდულა	წყალს უდულია
ერეკლე ფეხბურთს თამაშობს	ერეკლე ფეხბურთს ითამაშებს	ერეკლემ ფეხბურთი ითამაშა	ერეკლეს ფეხბურთი უთამაშია
დავითი ტბაში ცურავს	დავითი ტბაში იცურებს	დავითმა ტბაში იცურა	დავითს ტბაში უცურია
ბიჭი ეზოს დარაჯობს	ბიჭი ეზოს უდარაჯებს	ბიჭმა ეზოს უდარაჯა	ბიჭს ეზოსთვის უდარაჯია
ბავშვს ძინავს	ბავშვს ეძინება (ძილის მდგომარეობაში იქნება)	ბავშვს ეძინა	ბავშვს ძინებია

2.

ეზომი ხილი ყრია (არის დაყრილი)	ეზომი ხილი ეყრება (დაყრილი იქნება)	ეზომი ხილი ეყარა (იყო დაყრილი)	*ნაყრელა (ყოფილა დაყრილი)
ოთახში ხალიჩა აფენია (არის დაფენილი)	ოთახში ხალიჩა ეფინება (იქნება დაფენილი)	ოთახში ხალიჩა ეფინა (იყო დაფენილი)	
ხეს ნაყოფი ასხია (აქვს მოსხმული)	ხეს ნაყოფი ესხმება (ექნება მოსხმული)	ხეს ნაყოფი ესხა (ჰქონდა მოსხმული)	ხეს ნაყოფი სხმია (ჰქონია მოასმული)
ქვაბს სახურავი ახურავს (დახურული აქვს)	ქვაბს სახურავი ეხურება (დახურული ექნება)	ქვაბს სახურავი ეხურა (დახურული ჰქონდა)	ქვაბს სახურავი ხურებია (დახურული ჰქონია)
სანთელი ანთია (არის დანთებული)	სანთელი ენთება (იქნება დანთებული)	სანთელი ენთო (იყო დანთებული)	*ნთებულა

მოცემული მაგალითების განხილვის შემდეგ აღვნიშნავთ, რომ ოპოზიციური ცალის არმქონე ზმნებს ვუწოდებთ უასპექტო ზმნებს. სასურველია, მოსწავლეებს გაეცნოთ ამ ტიპის ზმნების აღსანიშნად გამოყენებული ტერმინი - ასპექტნაკლი ზმნები. აქვე დავაზუსტებთ, რომ ასეთი ზმნები ხშირად ვერ აწარმოებენ ყველა ფორმას.

მხოლოდ ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ვისაუბროთ უასპექტო ზმნებში ზმნისწინის როლის შესახებ. ფრინავს/მიფრინავს/ მოფრინავს/დაფრინავს, მიდის/მოდის/დადის, ქრის/მიქრის/მოქრის/დაქრის, მირბის/მორბის/დარბის/გარბის... ფორმების მეშვეობით ვაჩვენებთ, რომ უასპექტო ზმნებს ზმნისწინი არ ანიჭებს სრული ასპექტის გაგებას. აქვე უნდა გაეცნოთ შემთხვევები, როცა ზოგი ზმნისწინი ზმნაში მხოლოდ მიმართულებას გვჩვენებს (მიცურავს/მოცურავს/დაცურავს, დაათრევს/მიათრევს/მოათრევს...), ხოლო სხვა ზმნისწინებით ეს ზმნები სრული ასპექტის გაგებას იძენენ (გაცურავს, წაათრევს).

ნიმუშებზე დაკვირვების შედეგად გაკეთდება დასკვნა, რომ უასპექტო ზმნები ზმნისწინის საერთოდ არ დაირთავენ ან ამ ზმნისწინებს ეკისრება არა სრული ასპექტის, არამედ სხვა სემანტიკური ნიუანსის (უმეტესწილად მიმართულების) გამოხატვა.

მხოლოდ ამ ეტაპზე მიგვაჩნია მიზანშეწონილად მოსწავლეებს მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ უასპექტო ზმნები, როგორც წესი, სტატიკურ ვნებითსა და საშუალო გვარს განეკუთვნებიან.

ბოლოს უნდა დავძინოთ, რომ ასპექტის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, სწავლების

შემოთავაზებული მოდელი, რა თქმა უნდა, არ არის უნივერსალური. მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქ გამოკვეთილი მომენტების გათვალისწინება დაეხმარება დაინტერესებულ პირებს მოცემული საკითხის სწავლება-სწავლასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრაში.

#### ლიტერატურა:

1. მ. თალაკვაძე, ზმნის სწავლება სკოლაში, თბილისი, 1955
2. თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია: სალიტერატურო ენა, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბილისი, 2011
3. ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი პირველი, თბილისი, 1981
4. ნ. მაღლაკელიძე, მ. მიქაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, ქუთაისი, 2007
5. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი, 2001
6. ქ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი 1992
7. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973

ლელა ედგვერადზე

#### К вопросу обучения виду глагола

##### Резюме

Вид является одним из наиболее сложных морфологических категорий глагола в грузинском языке и в процессе обучения довольно трудно донести до учащихся его семантику. Существующая практика обучения приводит к тому, что большинство учеников все глаголы с приставками механически причисляют к глаголам совершенного вида, а без приставок - к глаголам несовершенного вида. Такое решение вопроса приводит к частым ошибкам в ходе практических занятий. В данной статье обсуждаются способы организации передачи материала таким методом, который будет способствовать пониманию семантики данной грамматической категорий, что, по нашему мнению, избавит учащихся от неправильной квалификации конкретных форм глагола.

Lela Edzveradze

#### Aspect category teaching problems of in Georgian language

##### Abstract

Aspect is a difficult grammar category. Mistakes caused by misunderstanding the idea of aspect as a verbs' category are frequent in the process of analyzing verb forms. It is often difficult for learners to realize semantic of aspectual distinction between perfective and imperfective aspect. So they are tend to determine the aspect of concrete verb by formal characteristics. They consider all verbs with preverbs as perfective aspect forms and verbs without preverbs \_ as imperfective aspect forms.

The article deals with practical questions of teaching grammar category of aspect and suggests the possible ways of understanding and overcoming these issues. To prevent the above mentioned difficulties it is of great significance, to form clear and sequential idea of aspect semantic characteristics. We consider it is necessary to show there is no direct correspondence between the using preverbal particles and aspect category. In particular, we must show that, in many cases, perfective aspect is conveyed without preverb and verbs with preverbs often express imperfective aspect.

რეცენზენტი: პროფ. რ. გაბეჩავა

სწავლების მეთოდოლოგია    Методика    Methodic of teaching

ათინა თოიძე

ბათუმი, საქართველო

## "Motivation in second language learning"

Motivation has been defined in different ways: it is what makes us act; It is a desire to work towards a goal or to reach an objective. If motivation is present, learning can be facilitated; but without it, effective learning becomes difficult.

Motivation is the key to all learning. Lack of motivation is perhaps the biggest obstacle faced by teachers, counselors, school administrators, and parents. Behavioral problems in the classroom often, or always, seem to be linked to the lack of motivation. Intelligent students are often outperformed by less bright students with high motivation. If a child is motivated enough he/she can accomplish learning of any scale. Intrinsic motivation. The main idea of motivation is to capture the child's attention and curiosity and channel their energy towards learning. Intrinsic motivation is motivation from within the student. An intrinsically motivated student studies because he/she wants to study. The material is interesting, challenging and rewarding, and the student receives some kind of satisfaction from learning.

To have an intrinsically motivated student is the goal of all motivational development. Extrinsic motivation. An extrinsically motivated student studies and learns for other reasons. Such a student performs in order to receive a reward, like graduating or passing a test or getting a new shirt from his or her mother, or to avoid a penalty like a failing grade. Here is - description of one of extrinsically motivated students. She is a very good student, and actually shows signs of being intrinsically motivated, but in general she is inclined to put forth the minimal effort necessary to get the maximal reward. When she is given an assignment in class, she often tries to chat with her friends or fails to get started, but if the teacher says this will be taken up and graded, she is often the first one to finish.

Her intrinsic motivation shows when the material is of great interest to her, or something she feels strongly about. Also, if the teacher can get her curious about something, without her being distracted, she works hard at it. She performs well if she is given a task where she has control, the task is very clear, and she is involved in the dynamics of the class. It seems that when intrinsic motivation is low or absent, extrinsic motivation must be used. Although extrinsic motivation can, and should, be used with intrinsically motivated students, too. If students aren't given a reward or credit for their efforts, and no feedback is given to the student, then most students' intrinsic motivation would begin to decrease.

Becoming intrinsically motivated. There are many ways teachers can help their students become intrinsically motivated:

There should be a mild level of anxiety, or "low affective filter" in the classroom and in the whole learning environment. The attitude the student has towards the learning environment, the teacher, the material, and towards him/herself all affect this level of anxiety. A student will find it difficult to perform in a stressful environment. Proper classroom explanation is needed by the teacher, so the students can well understand what is expected of them. In the EFL classroom it is more apt to create anxiety because the explanations are given in another language that takes even more effort by the students to comprehend than their own language. A well-planned lesson is essential. The teacher must be creative and flexible. Depending on the nature of the class and the students' levels, the dynamics of the class must be appropriate. The lessons must be very simple, yet funny and interesting, with a lot of changes from a writing exercise, to speaking, listening, back to writing, and so on, all in the same class. The material must also be relevant to the students. Try to use vocabulary that the students can relate to and material they would find interesting. Another important aspect of improving the intrinsic motivation of the students is to be a caring teacher. Although guidelines and rules must be set and understood by the students, and if they cross the guidelines and punishment follows, the teacher must be approachable and understanding. Students must feel the teacher is genuine and supportive, and the students' values and opinions will be respected. Teachers must be kind and listen fairly to the students, and be patient when they don't understand. A caring teacher tries to develop a relationship with the students. If the teacher sees potential in all students, and communicates this well to the students, they will in return build a desire to learn and participate.

Utilize video clips in lessons

Videos have always had enormous potential in the language class. Those of us who have been teachers for a while might remember the olden days when it took great effort to wheel in a TV and a VHS or DVD player to the classroom to teach a video lesson based on material that came with the course book. Fortunately, thanks to recent advances in technology, using visual stimuli is much easier - and much more motivating - nowadays. As with the previous points, though, you need to think through what you're doing.

Things you can easily do wrong

As with the use of pop culture, don't assume you should be the one to choose the material. One of the things I love about YouTube is that people are always willing to share the good stuff that they find. The chances are your teenage students are going to watch a video clip during break between classes. If and when they ask you to watch, make use of this opportunity to be introduced to a potential classroom resource!

One forty-minute lesson block does not equal one forty-minute video clip. Never use lesson length as an absolute indicator of how much of a video clip you will be able to watch, nor the amount of time teenage students will watch before their interest starts to wane.

How to get it right

As with their pop culture interests, put the power in their hands. Explain what you will be covering in the upcoming lesson and ask your teens to research YouTube for a short clip on that subject. Trust me: this is homework that doesn't feel like homework.

Length, or rather lack of it, is the key. To keep teens focused on the task, choose short interviews, movie trailers, music videos, or how-to videos on YouTube.

If you can, download the video clip beforehand, so that you're not overly reliant on a constant internet connection.

Motivating teens need not be an impossible task. By incorporating what they like into what we do, we can start to build the bridges we need to connect with them as language learners.

Energy sells. A teacher's positive energy could lead to the students becoming more motivated. If the students see that the teacher is happy to be in the classroom and excited to teach them, then the students can learn by example. A smile is essential. Positive attitude is a must for a successful learning atmosphere. To promote self-confidence, it helps if the teacher is self-confident. Positive approval and praise for student efforts is very effective, even if the student is wrong. Let the students know that you're glad they tried and being wrong isn't such a big problem, and the students won't be so reluctant the next time they're called on to participate. Positive energy affirming a belief in the students' ability develops a comfortable atmosphere for the students in the classroom.

Increased parental awareness is also crucial to a child's motivation. To support motivation, parents must participate actively in the student's life. The same set of goals and practices at school that promote motivation should be followed at home. If they are not followed at home, it could dilute classroom efforts.

The following suggestions of motivating students may also be helpful in any language classroom: Make use of the students' environment. Foreign language teaching should always be linked to the environment of the learners. A teacher who teaches English without addressing the immediate environment of the school makes the English lesson detached from the learners' experiences. In order to remedy the situation, teachers can link the environment of the school to any activity or exercise that they want to carry out in the classroom. A child has a natural context in which he organizes the various activities that make up his life. If these activities are "reproduced" in the language classroom, it is possible to motivate him/her to do the task at hand. Therefore games and other daily activities should constitute the heart of the English class. The only new factor will be the language itself.

Used in this way, English will no longer be feared and students will be more inclined to study it. Present the language in natural chunks. In a foreign language situation, the teacher remains the main source or model for the pupils. She or he should try hard to use the language as naturally as possible. Use appropriate visual aids. Visual aids are important tools for the teacher. Used appropriately in the classroom, they enable the teacher to avoid long and confusing explanations. At the same time they help the teacher to have a lively class as students associate real objects with their English equivalents.

Include cultural components. Language and culture are interrelated. One cannot study a language without noting the cultural aspects of the people who use the language natively. However, cultural aspects can be a real hindrance because they may set up barriers to comprehension. This is more evident to teachers who are not native speakers of the target language themselves. For this reason, teachers should provide sufficient background information to enable the learners to understand the cultural content that is naturally present in the target language.

Become an efficient manager. A company's success is usually attributed to the way in which it is managed. Likewise, the success of a language course reflects the teacher's dexterity or expertise. In other words, the teacher should know how to talk to his students if they are to fully participate in the lesson. In this respect, their interests, needs, and experiences must be taken into consideration. The student factor, as it is often called, should be carefully examined. The deciding factor here is the way in which the teacher talks to his pupils. When the teacher is humane and sensitive, seeing his students as capable of contributing something to the lessons, a warm and enjoyable classroom atmosphere can be created and maintained.

If the above principles are taken into account and implemented with care, teachers will be able to have lively English lessons.

### Conclusions

One of the main contributions of the study to the literature is the identification of specific motivation types as they apply to language learning. Of particular interest is the distinction between Motivation about the Language and Motivation about the Class, and, to lesser extent, Confidence, which under a traditional system might be lumped together under the heading "intrinsic motivation." This study is also relatively unique in its treatment of motivation as a dependent, as well as an independent, variable. It is interesting to note that when treated as dependent variables, these relatively intrinsic motivation types can be marginally predicted by the frequency of certain activity types (Personalized Language Use and Fun). It may be possible for teachers to affect their students' motivation through curricular design. Because Motivation about the Language in particular is positively associated with several outcomes of interest (notably Study Time and whether a student will choose to Continue Next Semester or Major or Minor in the language), the potential ability to influence such motivation is particularly noteworthy.

### Bibliography:

1. Haycraft, J. An Introduction to English Language Teaching. - Singapore: Longman, 1992
2. Harmer, J. The Practice of English Language Teaching. - London: Longman, 1994
3. Teaching English as a Second or Foreign Language. (Marianne Celce Murcia, the editor). Boston: Heinle & Heinle Publishers, 1991.

### ათინა თოიძე

#### მოტივაცია მეორე ენის სწავლებისას რეზიუმე

მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებული და მნიშვნელოვანი ტერმინია თანამედროვე პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. ის მოიცავს მოსწავლის ქმედებისა და ქცევის განმაპირობებელ ფაქტორებს, რომლებიც მას შიდა (ემოციები, გრძნობები, განცდები...) და გარე (გარემო) სტიმულებზე საპასუხო რეაქციისკენ უბიძგებენ. საზოგადოდ, ადამიანის ქმედება უმეტესად მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული და მას განსაზღვრული მოტივები უდევს საფუძვლად. პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლის მოტივაციას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს. აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გააზრება როგორც პედაგოგის, ასევე მოსწავლის მიერ გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა მომავალ წარმატებაში. მნიშვნელოვანია ასევე, მოსწავლემ იცოდეს, რომ მოსწავლეთა დამოკიდებულება გარკვეული საკითხების მიმართ და მათი ქცევა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ის, რომ მოსწავლე უმეტესად მომზადებული მოდის გაკვეთილზე, შესაძლოა სულაც არ ნიშნავდეს, რომ მას პოზიტიური დამოკიდებულება აქვს სწავლის მიმართ. მისი ეს ქმედება შესაძლოა სულ სხვა მოტივით იყოს განპირობებული – დასჯის შიშით ან/და საჩუქრის მიღების დაპირებით. მოსწავლელის მთავრი ამოცანა კი ის არის, რომ მოსწავლეთა მოტივაცია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და განვითარებისკენ მიმართოს.

რეცენზენტი: პროფ. მ. ლარიბაშვილი


## სწავლების მეთოდოლოგია    Методика    Methodic of teaching

ათინა თოიძე, ნონა მსხალაძე

ბათუმი, საქართველო

### „ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა და კლასის მართვის თანამედროვე სტრატეგიები“

კლასის მართვა მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც აერთიანებს ყველა დამოუკიდებელ კომპონენტს - მოსწავლეთა ცოდნას, გეგმის შედგენასა და შესრულებას, ინსტრუქციის ნათლად მიწოდებას, მოსწავლეთა პასუხისმგებლიან ლიდერებად ჩამოყალიბებას და თვით-რეფლექსიას. ჩვენს მიერ წარმოდგენილი კვლევა არა მარტო ხაზს უსვამს კლასის მართვის მნიშვნელობას, არამედ ასახავს მის დინამიკურობას (ფუნქციურობას). გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ თანამედროვე კლასები იზრდება სოციალ-კულტურული, ემოციური და აკადემიური მრავალფეროვნების მიხედვით, კლასებიც მეტად ინკლუზიური და სხვადასხვაგვარია. ბოლო დროს მშობლის როლიც შეიცვალა შვილის აღზრდის პროცესში და მბრძანებლური დამოკიდებულება მეგობრულით შეიცვალა.



21-ე საუკუნის კლასები მოსწავლეთა საჭიროებასა და სურვილზეა მორგებული და საგანმანათლებლო თემს ჰგავს სადაც მოვალეობები თანაბრად ნაწილდება და საერთო მიზანს წარმატებას ემსახურება თითოეული წევრის ნაბიჯი - ძლიერი სწავლება, რომელიც ეფუძნება გარკვეული პირობებისა და ინსტრუქციების მიწოდებას, რაც საბოლოოდ კლასის ეფექტურ მართვამდე მიგვიყვანს. 21-ე საუკუნის მასწავლებელიც ერთპიროვნული მართვის ნაცვლად ხელს უწყობს მოსწავლეებში თვითკონტროლის და პასუხისმგებლობის უნარების ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, საკლასო ატმოსფეროც თბილი, მეგობრული და მზრუნველია. კლასის ყოველ წევრს ასეთი მიდგომა ურთიერთპატივისცემის გრძნობით ადავსებს და უვითარებთ თანამშრომლობით უნარ-ჩვევებს. ვიდრე უშუალოდ ეფექტური სწავლების სტრატეგიებსა და მეთოდებზე გადავალთ, ჯერ განვიხილოთ რას ნიშნავს „მასწავლებელი“? ერთი შეხედვით ცხადია - ეს არის მოვალეობებით დატვირთული არსება, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია.

პრაქტიკამ და კვლევებმა ცხადყო რომ არსებობს მასწავლებლეთა 3 კატეგორია, რომელთაც სხვადასხვა მიდგომა და დამოკიდებულება აქვთ კლასების მიმართ: 1. ასერტული. 2. მტრულად განწყობილნი. 3. თავისუფალი (არაასერტული). ჩვენ - მასწავლებლებს მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ შესტური ენა, ხმის ტონი და სახის გამომეტყველება ადრესატზე დიდ გავლენას ახდენს. მსგავს შეტყობინებას შეუძლია დარწმუნებაც და დაშინებაც. გააჩნია როგორ ვიტყვი. სიტყვებზე ბევრია დამოკიდებული. ჩვენს გამომეტყველებასა და ხმის ტონზე ბევრად მეტი პასუხისმგებლობა ირიცხება და მეტი გავლენა აქვს ვიდრე გვინდა, რომ ვიგულისხმობთ.

**ქეროლ ჯერარტ მუნი:**

- „წარმატებულია მასწავლებელი ვინც კლასის მართვისას ყურადღებას აქცევს: ხმის ტონს, შესტებს და მოსწავლეთა ზუსტ სახელებს“!

ჩვენ, როგორც მასწავლებლები ყოველთვის ვცდილობთ, რომ: ჩვენთან მოსწავლემ თავი კარგად იგრძნოს. ...



### ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა

ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა როგორც კომფორტული ფიზიკური გარემოს, ისე უსაფრთხო ემოციური ატმოსფეროს შექმნას გულისხმობს. კომფორტული გარემოს შექმნაში ისეთი მარტივი ელემენტებიც კი მნიშვნელოვანია, როგორცაა კლასში შემოსვლისთანავე მოსწავლეების მისაღება და მოკითხვა, მათი სახელების დამახსოვრება და ყოველთვის სახელით მიმართვა, საკუთარი თავის შესახებ მცირედი საინტერესო ინფორმაციის მიწოდება, მერხებისა და სკამების ისე განლაგება, რომ მასწავლებელს კლასში მოძრაობის, ხოლო მოსწავლეებს ჯანსაღი ინტერაქციის საშუალება ჰქონდეთ. ეფექტური გარემოს შესაქმნელად კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია მასწავლებლის მხრიდან პოზიტიური დამოკიდებულების დემონსტრირება. აკადემიური თვალსაზრისით ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა გულისხმობს მოსწავლეების დონისა და შესაძლებლობების შესაბამისი მასალის გამოყენებას, აგრეთვე ინსტრუქციების მკაფიოდ მიცემას.



**არასდროს უარყოფთ:** ყოველთვის უნდა ვეცადოთ ყურადღება გავამახვილოთ მოსწავლეთა დადებით მხარეებზე, შევთავაზოთ ინდივიდუალური საგარჯიშოები, რათა მოხდეს მისი მაქსიმალურად ჩართვა სასწავლო პროცესში.

**გადაჭარბებული შექება** – ნუ ვეცდებით, რომ როდესაც დავალებას შეასრულებენ, სხვაზე მეტად შევაქოთ, მივცეთ ამ ქებას დემონსტრაციული სახე. ჩვენი მიზანია, მათი ჩართვა სასწავლო პროცესში და არა მათი განსხვავება სხვა მოსწავლეებისაგან. ასეთმა ქცევამ, შეიძლება, გააღიზიანოს სხვა მოსწავლეები და მათში უსამართლობის განცდა გააჩინოს.

**ხშირად შევასენოთ მოვალეობები:** აკონტროლეთ საშინაო და საკლასო სამუშაო, ხშირად მიეცით განმავითარებელი შეფასებები, მიაწოდეთ ინფორმაცია აკადემიური მოსწავლის შესახებ, რომ არ მოყვეს სხვა გართულებები, როგორცაა კლასში დარჩენა, გარიცხვა და სხვა.

### შემოქმედებითი მიდგომა

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი მუდმივად საინტერესო იყოს და მოსწავლეებს ყურადღება არ მოუდუნდეთ, შემოქმედებით მიდგომას მივმართავთ და სწავლების ინოვაციური ფორმებს ვეძებ. ბავშვებს სიახლეები და ექსპერიმენტები ყოველთვის იზიდავთ. ეს მათ განვითარებასაც უწყობს ხელს. გარდა ამისა, განსხვავებული და მრავალფეროვანი სწავლების მეთოდებისა და ფორმების გამოყენება სხვადასხვა სტილის მქონე შემსწავლელების და ინტერესების გარანტიაცაა. „საშუალო დონის მასწავლებელი მოგვითხრობს, კარგი მასწავლებელი გვიხსნის,

პროფესიონალი მასწავლებელი გვიჩვენებს, საუკეთესო მასწავლებელი კი შემოქმედებით ინტერესს გვიღვიძებს" - უთქვამს ამერიკელ პუბლიცისტს **უილიამ არტურ უორდს**.



**მოსწავლეების შეფასება**

მოსწავლეების გამჭვირვალე შეფასება მასწავლებლის რეპუტაციასა და პროფესიონალიზმთან პირდაპირ კავშირშია. ის მოზარდების დამოკიდებულებასა და ქცევაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. შეფასების სისტემა მაქსიმალურად ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი უნდა იყოს. მოსწავლეები შეფასების კრიტერიუმებს კარგად უნდა იცნობდნენ. შეფასებასთან ერთად მათ სიტყვიერ რჩევებსაც ვაძლევთ. რჩევების მიცემისას მოსწავლეებს წაეახალისებთ ხოლმე და მათ ამითი ოპტიმისტური განწყობას უუქმნით. სავარჯიშოების მრავალფეროვნება შეფასების რუბრიკებთან ერთად ცხადყოფს თუ რამდენად ავითვისეთ სტრატეგია.

**კომუნიკაცია**

ღია კომუნიკაცია პრობლემების პრევენციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ყველა მოსწავლე უნდა გრძნობდეს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია და მის შეკითხვას ყოველთვის ინტერესით მოედიან. კარგი იქნება, თუ კლასში შეკითხვების ყუთი დადგამთ, სადაც მოსწავლეები ანონიმურად განათავსებენ თავიანთ შეკითხვებს და მომდევნო გაკვეთილზე ჩვენგან პასუხებს მიიღებენ. ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეებთან, არამედ მშობლებთან კომუნიკაციაც. მასწავლებელმა მოსწავლეები უნდა წაახალისოს, რათა მათ აქტიურად გამოთქვან აზრი, დასვან შეკითხვები და ისაუბრონ პრობლემებზე. მშობლებთან კომუნიკაციისთვის პედაგოგს შეუძლია ზეპირ ან წერილობით ფორმას მიმართოს. პირადად მე ხშირად ვიყენებ წერილობით კომუნიკაციას. რაც უფრო მეტად არის მშობელი ინფორმირებული შვილის წარმატებებისა თუ სირთულეების შესახებ, მით მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს მოსწავლესაც. კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია კოლეგებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან აქტიური კომუნიკაცია. ამ გზით პრობლემების კოორდინირებულად გადაჭრაა შესაძლებელი.

ისტ -ის გამოყენებამ უცხო ენის სწავლების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის მაჩვენებელი საგრძნობლად გაზარდა, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარებისა და ჩვევების განვითარებაც უფრო ეფექტიანად და ინტენსიურად წარმართა. ისტ -ის გამოყენებით მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად და დამოუკიდებლადაც კი ახდენენ



**შედეგები**

ჩვენ მუდამ ვცდილობთ გაკვეთილის მსვლელობისას აქტიური ტემპი შევინარჩუნოთ და მოსწავლეებს მოდუნების საშუალება არ მივცეთ. კლასის წარმატებულად მართვისთვის

ვაკონტროლებთ დროს, ვგრძნობთ როდის შეიძლება ავჩქარდეთ ან შევცვალოთ აქტივობა. დიდ კლასში სწავლებისას მაქსიმალურად ვცდილობთ ვიხელმძღვანელოთ მულტიენსორული სწავლების პრინციპით, რაც ინფორმაციის მრავალმხრივად წარმოდგენას გულისხმობს. ინფორმაციის მიწოდებისას ვიყენებთ ვესტებს, ვიზუალურ დამხმარე მასალებს, წერილობითი ტექსტებს, მოსასმენი მასალებს, სიმულაციური მოდელების მეშვეობით.

სასწავლო გარემოს შექმნისა და მოსწავლეთა ჩართულობისათვის:

ჩვენ ვვხმარებთ მოსწავლეებს კლასის წესების ჩამოყალიბებაში. სწორად ვიმახსოვრებთ მოსწავლეების სახელებს და მათ შესახებ აუცილებელ ინფორმაციას. ხშირად ვითვალისწინებთ მათ საჭიროებებსა და სურვილებს.

#### ლიტერატურა:

- 1 © 2008/9 Rob Plevin [www.behaviourneeds.com](http://www.behaviourneeds.com)
2. Shindler, J., Jones, A., Williams, A., Taylor, C., & Cadenas, H. (2009, January).
3. Hickey, D. T., & Schafer, N. J. (2006). Design-based, participation-centered approaches to classroom management. In C. M. Evertson & C. S. Weinstein (Eds.), *Handbook of classroom management* (pp. 281–308). Mahwah, NJ: Erlbaum
4. Shindler, J. (2003). *Creating a psychology of success in the classroom: Enhancing academic achievement by systematically promoting student self-esteem*. Classroom management resource site, California State University, Los Angeles. Retrieved September 12, 2008, from [www.calstatela.edu/faculty/jshindl/cm](http://www.calstatela.edu/faculty/jshindl/cm).
5. L. Stough, "The Place of Classroom Management and Standards in Teacher Education" in *Handbook of Classroom Management: Research, Practice, and Contemporary Issues*, ed. C. M. Evertson and C. S. Weinstein (Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates, 2006).

**Atina Toidze, Nona Mskhaladze**

#### **Modern strategies in the process of teaching**

##### Abstract

Classrooms in the twenty-first century become more student-centered, both teachers and students must adjust accordingly. Classrooms are now becoming learning communities in which there is shared responsibility for the success of all community members. There is a sharing of leadership between teachers and students as the teacher no longer controls but fosters student self-control and responsibility.

The teacher understands how students differ in their approaches to learning and creates instructional opportunities that are adapted to diverse learners. 2. The teacher creates a learning environment that encourages positive social interaction, active engagement in learning and self-motivation. 3. The teacher uses knowledge of effective verbal, nonverbal (body- language) 4. The teacher is a reflective practitioner who continually evaluates the effects of students' choices.

The term classroom management refers to the actions teachers take to create an environment that is respectful, caring, orderly, and productive. Classroom management supports and facilitates both academic and social-emotional learning. In other words, effective classroom managers not only create an environment to foster academic achievement, they work hard to enhance students' social skills.

რეცენზენტი: პროფ. რ. ბალანჩივაძე

სწავლების მეთოდოლოგია    Методика    Methodic of teaching

ეკატერინე ლოსაბერიძე

ქუთაისი, საქართველო

თანამედროვე გაკვეთილის დაგეგმვა

*სტატიაში განხილულია გაკვეთილის დაგეგმვის მნიშვნელობა სასწავლო პროცესის ეფექტურობისათვის. სასწავლო მიზნების განსაზღვრის გზები, გაკვეთილის დაგეგმვა სასწავლო მიზნების შესაბამისად და მნიშვნელოვანი ასპექტები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო გეგმის შედგენისას.*

გაგაცნობთ გამოკითხვის შედეგს, რომელიც ჩატარდა მასწავლებელთა დამოკიდებულების გასარკვევად გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

მასწავლებლის პროფესიის მიმართ მრავალი განმარტებები და მოლოდინები არსებობს. მასწავლებელს, საგნის ღრმა ცოდნასთან ერთად მოეთხოვება პროფესიულ უნარ-ჩვევათა ფლობა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მის წარმატებულ საქმიანობას.

მასწავლებლის აუცილებელ უნარ-ჩვევათა რიცხვში შედის გაკვეთილის დაგეგმვის ცოდნა. დაგეგმვის დროს წარმატებული მასწავლებელი ფიქრობს მოსწავლეებმა რა და როგორ ისწავლონ, განსაზღვრავს რა და როგორ შეაფასოს.

თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომა, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებას, მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეცვლას, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ინტერაქტიულ სწავლებას შემოაქვს პედაგოგიკაში სწავლებისა და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები.

აქედან გამომდინარე, იცვლება სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო მიდგომას-კონსტრუქტივიზმს. კონსტრუქტივისტული გაკვეთილის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ვასწავლოთ მოსწავლეებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებელი არის პროცესის დამგეგმავი, წარმმართველი და შემფასებელი.

სწავლების პროცესის დაგეგმვის შემდეგი სახეები არსებობს: საგნის გეგმა, თემის გეგმა, კვირის გეგმა, გაკვეთილის გეგმა. ჩვენი ინტერესის საგანს გაკვეთილის გეგმა წარმოადგენს. სხვადასხვა ლიტერატურაში, რომელსაც ჩვენ გავეცანით, წარმოდგენილია კვლევები და კვლევების შედეგები, რომელიც სწავლების პროცესისა და გაკვეთილის დაგეგმვის მაღალ ეფექტიანობას უსვამს ხაზს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა აქტუალური ხდება XX ს. სამოციან წლებში. სასწავლო კურიკულუმის პიონერებად მიჩნეულნი არიან ჰილდა თაბა და რალფ ტაილერი. 1962 წელს თაბამ გამოსცა წიგნი „კურიკულუმის განვითარება. თეორია და პრაქტიკა“. თაბა წარმოადგენს სწავლების დაგეგმვისათვის საჭირო შვიდ საფეხურს:

1. საჭიროებების დიაგნოსტიკა
2. მიზნების ფორმულირება
3. შინაარსის შერჩევა
4. შინაარსის ორგანიზება
5. სწავლების გამოცდილების შერჩევა
6. სწავლის გამოცდილების ორგანიზება(მეთოდების განვითარება)
7. განისაზღვროს რა და როგორ შეფასდეს

ჰ. თაბას მიერ წარმოდგენილი საფეხურები თითქმის უცვლელად მეორდება გაკვეთილის გეგმის შედგენის დროს, რომელსაც მოგვიანებით შევხებით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კონსტრუქტივისტულ გაკვეთილის აგებაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ აგვევლით ტრადიციულ გაკვეთილს, სადაც პირდაპირი სწავლება მიმდინარეობს. მასწავლებელი გეგმავს კონკრეტულ გაკვეთილზე სწავლების როგორი ტიპი გამოიყენოს: პირდაპირი თუ არაპირდაპირი. არჩევანს განაპირობებს საგნისა და შესასწავლი მასალის სირთულე ან თავისებურება.

პირდაპირი სწავლება-დექციური ტიპის გაკვეთილია. კარგად გამოიყენება ფაქტობრივი ცოდნისა და დიდი მოცულობის მასალის გადაცემისას, გაკვეთილის მთავარი ფიგურა მასწავლებელია. ინფორმაციის გადაცემა ხდება ერთდროულად ყველა მოსწავლისათვის.

არაპირდაპირი სწავლება-კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მახასიათებელია. მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლე აგებს ცოდნას. არაპირდაპირი სწავლება ხელს უწყობს მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, აჩვენებს მოსწავლეს დამოუკიდებელ მუშაობასა და უვითარებს მაღალ საახროვნო უნარებს.

გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელს არჩევანის გაკეთება უწევს, მასალის მიწოდების დედუქციურ, ინდუქციურ და შერეულ (დედუქციურ-ინდუქციურ) მიდგომებს შორის.

დედუქციური მსჯელობა ეფუძნება სილოგიზმს, რომელიც ფორმალურ ლოგიკაში არისტოტელეს მიერაა დამკვიდრებული. სილოგიზმს საფუძვლად უდევს დაშვება, რომ ლოგიკის ფორმალური ნაბიჯების გავლით ზოგადიდან კერძოსკენ შესაძლებელია სანდო დასკვნის გამოტანა.

ინდუქციური მსჯელობა მკვიდრდება 1600-იან წლებში ფრანსის ბეკონის მიერ. ინდუქციური მიდგომით მასწავლებელი განიხილავს კონკრეტულ მაგალითებსა და შემდეგ განაზოგადებს მათ.

კლასში ორივე ტიპის დედუქციური და ინდუქციური მეთოდები კარგად მუშაობს. თუმცა მიჩნეულია, რომ დედუქციური მეთოდი უფრო ამართლებს [რ. მარზანო „ეფექტური სწავლება სკოლაში“ 2009, გვ. 126].

ჩვენი დაკვირვებით გამოცდილი მასწავლებელი ორივე მიდგომას წარმატებით გამოიყენებს.

საჭიროა სწორად იქნეს შერჩეული თემა, რათა მოსწავლემ შეძლოს მიდგომის შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

გაკვეთილის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს გაკვეთილის ეტაპები. ყოველი მათგანი განსაზღვრავს გაკვეთილზე მიმდინარე პროცესებს, გაკვეთილის ეტაპები ერთმანეთთან არის დაკავშირებული. სასწავლო გეგმა კრავს და აერთიანებს მათ.

**1. გამოწვევა(შესავალი)**-გაკვეთილის ეს ნაწილი პასუხისმგებელია დანარჩენი ნაწილების წარმატებით განხორციელებაში. ამიტომ მასწავლებელი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს გაკვეთილის ამ ნაწილის დაგეგმვას. ეს ეტაპი ემსახურება: ასახსნელი მასალის გაცნობას მოსწავლეთათვის, განწყობის შექმნას, ინტერესის გაღვივებას, ყურადღების მობილიზებას, წინარე ცოდნის გააქტიურებას.

**2. სიღმისეული წვდომა (მასალის მიწოდება)**-ეს ეტაპი შესასწავლი საკითხის შინაარსის გაგებასა და წვდომას უწყობს ხელს. გაკვეთილის ეს ნაწილი მოიცავს მასწავლებლის მიერ შერჩეულ მეთოდებსა და აქტივობებს. თემის სპეციფიკურობისა და თავისებურებების გათვალისწინებით მასწავლებელი არჩევს კონკრეტულ სასწავლო მეთოდს, რომელიც ყველაზე ეფექტური იქნება მასწავლებლის მიერ მასალის გადაცემისა და მოსწავლეების მიერ ახალი მასალის ათვისების თვალსაზრისით.

**3. გააზრება, რეფლექსია (დასრულება)** - გაკვეთილის ამ ეტაპზე მასწავლებელი ახდენს ახალი მასალის განმტკიცებას შესაბამისი სტრატეგიებით, წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, შეჯამებას, დასკვნას, შეფასებას.

დღეს განათლების სისტემა განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს მასწავლებელს, რომელიც აერთიანებს ახალ და ძველ მოთხოვნებს. საჭირო გახდა გაკვეთილის მიზნის მორგება ამ მოთხოვნებზე.

1962 წელს შეფასების ექსპერტმა რობერტ მეიგერმა გამოსცა წიგნი „სასწავლო მიზნების მომზადება“, რის შედეგადაც დამკვიდრდა ბიჰევიორისტული მიზნების გამოყენება. მეიგერმა შემოგვთავაზა სასწავლო მიზნების სამი ძირითადი მახასიათებელი:

1. შედეგი. მიზანი ყოველთვის აღწერს იმ შედეგებს, რასაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს.

2.პირობები. მიზანი ყოველთვის აღწერს იმ პირობებს, რომელშიც შედეგების წარმოდგენა უნდა მოხდეს.

3.კრიტერიუმი.სასწავლო მიზანი აყალიბებს უნარის წარმოდგენის დონეს, რომელსაც მოსწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს და ასევე, განმარტავს ამ დონის შეფასების კრიტერიუმებს(რ. მარზანო „ეფექტური სწავლება“ 2009, გვ. 113)

მეიგერის მიერ განსაზღვრული სასწავლო მიზნების მახასიათებლები თანამედროვე სასწავლო გეგმის შედგენის დროს დღესაც აქტუალურია.

რა ძირითადი კომპონენტებისგან უნდა შედგებოდეს გაკვეთილის გეგმა?

ჩვენ გავითვალისწინებთ სხვადასხვა ლიტერატურაში მოცემული კომპონენტები და ასეთი სახით ჩამოვაყალიბებთ გეგმა:

**გაკვეთილის მიზანი** განსაზღვრავს კონკრეტულ გაკვეთილზე მისაღწევ შედეგს. ის გამომდინარეობს სასწავლო გეგმიდან. სასწავლო მიზანი განსაზღვრავს რა ცოდნა და უნარ/ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა. მასწავლებელი სასწავლო მიზნებში ასევე განსაზღვრავს კლასისა და კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებს.

მიზანი უნდა იყოს კონკრეტული, გასაგები, და დაძლევადი. დაძლევადი-იმდენად, რომ მოსწავლისათვის არც ძალიან მარტივად მისაღწევი და არც ძალიან რთული იყოს. მიზნის შესრულების შემდეგ მოსწავლეთა ცოდნის ბაზა და ახალი უნარ/ჩვევები იზრდება.

სპეციალისტები გვთავაზობენ ზმნებს, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული მიზნების განსაზღვრისას. "გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები: გაიგებენ, ახსნიან, აღწერენ, შეადარებენ, შექმნიან, გააანალიზებენ, პრობლემას გადაჭრიან, შეაფასებენ, გამოიკვლევენ და ა.შ" [მასწავლებლის წიგნი 5 ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, 2016, გვ. 13].

ჟ. საფიერი და რობერტ გოუერი მათ წიგნში „გამოცდილი მასწავლებელი“ გამოყოფენ მიზნების ხუთ ტიპს: მასალის ამოწურვის, აქტივობების, ჩართულობის, დაოსტატების (სწავლის), აზროვნების მიზნები. გაკვეთილი ორმხრივი პროცესია სწავლებისა და სწავლის. მასწავლებელმა დაგეგმვის დროს უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ სწავლებისათვის საჭირო კომპონენტები, არამედ ეფექტური და წარმატებული სწავლისათვის სასარგებლო აქტივობები.

მასწავლებელი აზროვნების მიზნების განსაზღვრისას უნდა იყენებდეს ბ. ბლუმის სწავლების მიზნებისა და სწავლების შედეგების სისტემას/ტაქსონომიას. ბლუმის თეორიის მიხედვით არსებობს ქვედა და ზედა აზროვნების დონეები. ქვედა დონეში მოიაზრება ცოდნა, გაგება და გამოყენება. ზედა დონეში ანალიზი, სინთეზი და შეფასება. გაკვეთილის მიზნები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეებში, როგორც ქვედა, ასევე ზედა დონის სააზროვნო უნარების განვითარებას.

**სწავლების მეთოდები** - მასწავლებელი არჩევს გზას, როგორ მიიტანოს მოსწავლეებთან ახალი მასალა, მარტივად, ეფექტურად და შედეგიანად. მეთოდი ეხმარება დასახული შედეგის მიღწევაში, ის აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, სასწავლო აქტივობასა და კლასის ორგანიზების ფორმებს.

**სასწავლო აქტივობები**-დასახული მიზნის მისაღწევად მასწავლებელი ირჩევს აქტივობებს. გამოიყოფა მასწავლებლის აქტივობა და მოსწავლის აქტივობა. სასწავლო აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს ცოდნის განმტკიცებაში. მასწავლებელი წინასწარ უნდა ახდენდეს გათვლას რამდენი დრო სჭირდება გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს.

**სასწავლო რესურსები**-მასწავლებელი განსაზღვრავს ახალი მასალის გადაცემისა და განმტკიცებისათვის რომელი სასწავლო რესურსები იქნება ეფექტური(სახელმძღვანელო, ჟურნალი, ისტორიული წყარო, ფილმი, ინტერნეტი, სამუშაო ფურცლები, ფერადი მარკერები, კომპიუტერი, პროექტორი, დოკუმენტური ან მხატვრული ფილმი). წარმატებული სწავლების ერთ-ერთი წინაპირობაა სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა.

**მოსწავლეების ორგანიზება** - მოსწავლეთა ორგანიზება უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო მეთოდებს, შესასრულებელ სამუშაოსა და მოსწავლეთა შესაძლებლობებს. მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს საკლასო, ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობის მეთოდი. მოსწავლეთა ორგანიზება გარდა სწავლებისა ხელს უწყობს უნარ/ჩვევების ჩამოყალიბებას.

**შეფასება**-შეფასების საშუალებით, მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა მიღწევების შესაბამისობას სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. მასწავლებელი ამოწმებს მიიღო თუ არა სასურველი შედეგი. გეგმაში უნდა გაიწეროს შეფასების რა ტიპებსა და მეთოდებს გამოიყენებს. მასწავლებელი ადგენს იმ კრიტერიუმებს, რითაც მისაღწევი შედეგების გაზომვას შეძლებს. ეს კრიტერიუმები გამომდინარეობს მიზანში გაწერილი ცოდნისა და უნარ/ჩვევებისაგან. მასწავლებელი უნდა მიმართავდეს შეფასების ორივე ტიპს:

განმავითარებელს და განმსაზღვრელს. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია მოსწავლის ცოდნის დონის განსაზღვრა, რომელიც ქულით ფასდება, განმსაზღვრელი შეფასება სავალდებულოა და ის განსაზღვრავს სწავლებისა და სწავლის შედეგებს. ფასდება საშინაო დავალება, საკლასო დავალება და შემაჯამებელი. განმავითარებელი შეფასება მოსწავლის განვითარებაზე და სწავლებაზეა ორიენტირებული, რომელიც ზეპირი ან წერილობითი ფორმისაა.


**თვითშეფასება** -მასწავლებელი აკეთებს ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიას ინიშნავს ხარვეზებს, წერს რა იყო კარგი და რა გამოსასწორებელი.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა. სამიზნე ჯგუფს მასწავლებლები წარმოადგენენ, რომლებიც ნაზიარები არიან თანამედროვე განათლების მოთხოვნებს, აბარებენ გამოცდებს, გადიან არაერთ გადასამზადებელ კურსს, არიან სქემაში ჩართულნი. სახელმწიფო მუდმივად ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შეფასებასა და ზრუნავს მათი პროფესიული უნარების განვითარებაზე.

ობიექტური შედეგის მისაღებად კვლავს ვაწარმოებთ სოციალურ ქსელ „Facebook“-ზე დახურულ ჯგუფში "Teachers of Georgia".

გამოკითხული მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 96, აქედან გაკვეთილის ზოგადი მონახაზით დაგეგმვას უჭერს მხარს 85, დეტალურ დაგეგმვას-8, სამი მიიხნევს, რომ გაკვეთილი ყოველდღიურად არ უნდა დაიგეგმოს.

როგორც შედეგებიდან ჩანს პრაქტიკული პედაგოგიკის წარმომადგენლები და თეორეტიკოსი



პედაგოგები და მკვლევარები განსხვავებულ პოზიციაზე დგანან. ვის მხარეს არის სიმართლე ეს დამატებითი კვლევის საგანია. ჩვენ გვაინტერესებდა თანხვედრა მოთხოვნასა და რეალობას შორის და აი შედეგიც.

თუ პედაგოგი არის საგნის კარგი მცოდნე, არის შემოქმედებითი და კრეატიული, მაშინ არის კი აუცილებელი გაკვეთილის დაგეგმვა, იქნებ ეს მხოლოდ ფორმალური მხარეა რომელიც დამატებით დროსა და ენერგიას მოითხოვს მასწავლებლისაგან?

გაკვეთილის დეტალური დაგეგმვა აუცილებელია: სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს

მიზანმიმართულ და გეგმაზომიერ სწავლებას. გამორიცხავს სპონტანურ მიდგომებს. უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებასა და შესაბამისი აქტივობების დასახვას. აქტივობების შენაცვლება გაკვეთილს მრავალფეროვანს ხდის. ზრდის მოსწავლის ინტერესს, ყურადღებას, ჩართულობასა და ამცირებს დისციპლინის დარღვევებს.

#### ლიტერატურა:

1. რობერტ მარზანო „ეფექტური სწავლება სკოლაში“ 2016
2. "კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება" სამოქალაქო განვითარების ცენტრი 2012
3. "ეფექტიანი სწავლება თეორია და პრაქტიკა" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2010
4. "სწავლება და შეფასება"- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2008
5. მასწავლებლის წიგნი 5 ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში 2016
6. ლუის კოპენი, ლორენს მანიონი "კვლევის მეთოდები განათლებაში"
7. დ. ლორთქიფანიძე „სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები"
8. ი. ბასილაძე, ნ. ჭოხონელიძე, ნ. კოსტავა, ა. ქობულაძე "სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები" 2016
9. გიორგი გახედაზე „სწავლა-სწავლების ძირითადი მიდგომები და მეთოდოლოგია" სამოქალაქო წიგნიერება, 2012
10. ჯ. საფიერი, რ. გოუერი „გამოცდილი მასწავლებელი" 2010
11. S. Smith „ Hilda Taba-Curriculum Pioneer and Arcitect" [http://tspoetter.weebly.com/uploads/9/5/8/7/9587563/smith\\_taba.pdf](http://tspoetter.weebly.com/uploads/9/5/8/7/9587563/smith_taba.pdf)
12. U.Laanermets, K.Kalamees-Ruubel “The Taba-Tyler Rationales” Journal of the American Association for the Advancement of Curriculum Studies, <https://www.scribd.com/doc/269300224/Taba-tyler-rationalities>

**Екатерина Лосаберидзе****Планирование современного урока**

## Резюме

В статье рассматриваются пути решения учебных целей для эффективного планирование урока в соответствии с важными аспектами, которые должны быть приняты во внимание при составлении учебного плана.

Выше приводятся мнения учителей, которые были сделаны на основе их опроса по поводу планирования урока.

**Ekaterine Losaberidze****Modern Lesson Planning**

## Abstract

The article refers to the importance of lesson planning in efficient teaching-learning process. Also it deals with the ways of setting teaching goals, making lessons compatible with them and many other issues of high importance that should be considered while teaching. Besides, we will introduce to you the results of enquiry which was held to reveal teachers' attitude towards the lesson planning procedure.

რეცენზენტი: პროფ. რ. გაბეჩავა

სწავლების მეთოდოლოგია    Методика    Methodic of teaching

მარიამ ქილაჩავა

თბილისი, საქართველო

სხეულის ენის როლი უცხო ენის სწავლების პროცესში  
(ინგლისური ენის სწავლების მაგალითზე)

წინამდებარე სტატია ეხება ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლების პროცესში არსებულ ერთ-ერთ საინტერესო მიდგომას - სხეულის ენას. სტატიაში სხეულის ენის მნიშვნელობა და მისი პუნქტობრივი დახარისხება გარკვეული ხასიათის სიტუაციებზე დაყრდნობით არის მოცემული. სხეულის ენის გამოყენება სასწავლო პროცესში ხდება როგორც მასწავლებლის, ასევე შემსწავლელის მხრიდანაც, თუმცა გარკვეულ სიტუაციებში მას შესაძლოა სხვადასხვა დატვირთვა ჰქონდეს.

სტატიაში განსაზღვრულია ასევე სხეულის ენის გამოყენების აუცილებლობა შემსწავლელთა ჯგუფის ენის ფლობის დონის, კლასის ენობრივი მდგომარეობის (ბილინგვური, მონოლინგვური, მულტილინგვური) და ასახსნელი მასალის წარდგენის დროს. სტატიის მიხედვით სხეულის ენის გამოყენება ერთ-ერთ საუკეთესო მიდგომას წარმოადგენს, რომლის დახმარებითაც შესასწავლი მასალის აღქმა-გააზრების პროცესი უფრო მარტივდება.

საკვანძო სიტყვები: სხეულის ენა, ინგლისური ენის სწავლება, არავერბალური კომუნიკაცია.

ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლება საქართველოში, სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, აქტიუალური საკითხია. ინგლისური ენა საქართველოში პირველი კლასიდან ისწავლება, მაშინ, როცა 10-15 წლის წინ ინგლისური, როგორც უცხო ენა მეხუთე კლასიდან შედიოდა სასწავლო გეგმაში.

რამდენიმე წლის წინ ინგლისური ენის სწავლებისას დიდი ყურადღება ეთმობოდა გრამატიკის შესწავლას. მოსწავლე ეცნობოდა გრამატიკის წესებს, იხეპირებდა კიდევ, თუმცა მიღებული ცოდნის რეალიზებას რეალურ სიტუაციაში ვერ ახერხებდა [შავერდაშვილი 2014: 34]. შესაბამისად, სწავლებისას გამოიყენებოდა გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, რაც გულისხმობდა შესასწავლი ენის გრამატიკული წესების დახეპირებას და სხვა მასალის თარგმნის გზით გააზრება-გაგებას.

დღეს უცხო ენის სწავლების მეთოდები გამრავალფეროვნდა და მათთან ერთად სხვადასხვა მიდგომაც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. თანამედროვე სასწავლო პროცესში პირდაპირი მეთოდის გამოყენება მეტად პოპულარულია. ადრინდელი მოცემულობისგან განსხვავებით დღეს აუცილებელია უცხო ენის შესწავლისას ოთხივე უნარის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) თანაბრად სწავლება და შესწავლა. სასწავლო რესურსიც საკმაოდ

მრავალფეროვანი სახითაა წარმოდგენილი სასწავლო სახელმძღვანელოთა ბაზარზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ენის სწავლების პროცესში მხოლოდ სახელმძღვანელო ვერ უზრუნველყოფს შემსწავლელისთვის ოთხივე უნარის ათვისების მარალ ხარისხს. მასწავლებლის როლი, სწავლების შერჩეული მეთოდები და მიდგომები ამ საქმეში უდავოდ მნიშვნელოვანია.

ინგლისური ენის თანამედროვე სახელმძღვანელოები, ძირითადად, დაკომპლექტებულია მოსწავლის სამუშაო წიგნით, სამუშაო რეგულით და მასწავლებლის წიგნით. მასწავლებლის წიგნში დეტალურად არის გაწერილი გაკვეთილის მსვლელობის ძირითადი მიმართულებები. მასწავლებელი მათთვის განკუთვნილი წიგნის დახმარებით სასწავლო პროცესს მიზანმიმართულად წარმართავს. წიგნის თითოეულ თავში მოცემული ახალი ლექსიკური მასალა თუ გრამატიკული წესები აღწერილია ინგლისურად. შესაბამისად, მითითებულია მოსწავლისთვის ასახსნელი თეორიული მასალა, თუ როგორ უნდა განუმარტოს მასწავლებელმა მოსწავლეს სიტყვის მნიშვნელობა, როგორ მოამზადოს იგი ახალი მასალის მისაღებად და ა.შ. ასეთ შემთხვევაში მასწავლებლის მეთოდურ მომზადებაზე დამოკიდებული თუ რამდენად წარმატებულად ახსნის ახალ მასალას და უფრო მნიშვნელოვანი – რამდენად გასაგები იქნება მასალა მსმენელისთვის. ამ დროს დიდ როლს ასრულებს ის მეთოდები, რომლებსაც მასწავლებელი იყენებს აუდიტორიასთან მუშაობისას საბოლოო მიზნის მისაღწევად – მსმენელმა გააზრებულად შეისწავლოს მასალა და შეძლოს მომავალში მისი საჭიროებისამებრ გამოყენება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ უცხო ენის სწავლებისას სხვადასხვა მეთოდი თუ მიდგომა გამოიყენება<sup>1</sup>. პირდაპირი მეთოდი, რომელიც გულისხმობს მასწავლებლის მხრიდან მხოლოდ სამიზნე ენის გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში; კომუნიკაციური მეთოდი (გონებრივი იერიში, საუბარი, კითხვა, დისკუსია...); აუდიოლინგვური მეთოდი - რომელიც ორიენტირებულია საგაკვეთილო პროცესში აუდიო მასალის მაქსიმალურ ჩართვაზე; მინილექცია - ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პრეზენტაცია; წერილი მუშაობის მეთოდი - ჩასმა - განმარტებითი, შედგენა, რედაქტირება; ელექტრონული სწავლება - ონლაინ სავარჯიშოები ...; როლური და სიტუაციური თამაშები - წყვილური, ჯგუფური აქტივობები; case - სწავლება - მოდელირებული სიტუაცია; აუდიო-ვიზუალური მეთოდი და სხვა.

საინტერესოა საკლასო სიტუაციაზე დაკვირვება იმ მეთოდთა გამოყენების შემთხვევებზე, რომლებიც თავისმხრივ მოითხოვენ სხვა მიდგომის ჩართვასაც (ჩვენ შემთხვევაში სხეულის ენას) სწავლების პროცესში. ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდთაგან ყველაზე ხშირად პირდაპირი მეთოდის, მინილექციის, სიტუაციური აქტიურობების, და case - სწავლების შემთხვევაში შეიძლება იქნას გამოყენებული სხეულის ენა, როგორც წამყვანი მიდგომა. გამომდინარე იქიდან, რომ ჩამოთვლილი მეთოდები ვერაღურ კომუნიკაციას გულისხმობს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის სხეულის ენა კი საუკეთესო დამხმარე საშუალებას წარმოადგენს კომუნიკაციის გასაადვილებლად ორ მხარეს შორის. სხეულის ენა ვერბალური კომუნიკაციის თანმხლები ასპექტია [Janak Singh Negi 2009:102]. არავერბალური და ვერბალური კომუნიკაციის თანადროული გამოყენება აადვილებს დიალოგის მხარეთა ურთიერთგაგების პროცესს.

არავერბალური კომუნიკაცია აქტიურად განიხილება მეცნიერთა შორის როგორც ერთ-ერთი აუცილებელი ასპექტი ენის სწავლებისას სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისა და შემსწავლელთა მოტივაციის ასამაღლებლად [Miller P.W. 2005; Ledbury R. 2004; Parker 2006...]. სხეულის ენა გაიგება როგორც გზავნილი რომელიც მიმღებმა სიტყვიერი კომუნიკაციის გარეშე ან მასთან ერთად უნდა გაიგოს. დუნის მიხედვით კი სწორედ ეს გზავნილი იღებს

<sup>1</sup> სწავლების მეთოდებისა და მიდგომების ისტორია საინტერესოდ აქვს მოცემული ჯ. რინარდს თავის წიგნში Approaches and Methods in Language Teaching.

<sup>2</sup> მოცემული თემატიკა ვრცლად აქვს მიმოხილული გრეგერსენს [Gregersen S 2007 : 54]

სიმბოლურ სახეს და ეს არის არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებაც [Dunn 1999: 1].

მოცემულ სტატიაში განვიხილავთ უცხო ენის სწავლების პროცესში სხეულის ენის გამოყენების მთავარ ფორმებს. არავერბალური კომუნიკაციის ძირითად ფორმებად კი მიიჩნევა: ქესტები (ქესტების თავის მხრივ იყოფა ილუსტრატორებად, ემბლემებად და რეგულატორებად), სახის გამომეტყველება, თვალთ კონტაქტი. მოცემული სამი ფორმის გარდა არავერბალური კომუნიკაცია შესაძლოა გამოვლინდეს სხვადასხვა სახით; შეხებით - ხელის მხარზე დადებით, ხელის ჩამორთმევით, პარალინგვისტური ხმებით - ხმის ინტონაციის ცვლით, გარეგნობით - გარეგნული მახასიათებლებით: სიმაღლე, სტილი, მოწესრიგებულობა (აქვე გამოიყოფა ორი ასპექტი, კონტროლირებადი - ჩაცმა, თმის ვარცხნილობა და სხვა და არაკონტროლირებადი - კანის ფერი, წონა და სხვა) საუბრის მანერით და ა. შ.

ენის შესწავლის პროცესში სხეულის ენა გამოიყენება ორი უნარის სწავლება-შესწავლისას - მოსმენა-საუბრის დროს, რადგან არავერბალური კომუნიკაციისას ჩართულია სხეულის ნაწილები. დანარჩენი ორი უნარის შესწავლისა თუ სწავლებისას არავერბალური ნაწილი მხოლოდ სწავლებისას შეიძლება იქნას გამოყენებული.

როცა საუბარია სხეულის ენის გამოყენებაზე კომუნიკაციისას ენის სწავლების პროცესში, აქცენტი კეთდება მასწავლებლის მხრიდან მისი გამოყენების გზებსა და მიზნებზე. თუმცა როცა იგივე საკითხი ენის შემსწავლელს ეხება, სურათი რადიკალურად განსხვავებულია. ასეთი კონტრასტი კი ქმნის საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას. ვულფლოკისა და ბრუქსის მიხედვით კი ზოგ შემთხვევაში არავერბალური კომუნიკაცია წარმატებით მყარდება მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციის ერთ-ერთ მონაწილეს შესაძლოა სრულად არ ესმოდეს მითითება, ან გადმოცემული ინფორმაცია, მაგრამ ის მაინც ხვდებოდას ძირითად შინაარსს [ Woolfolk A. Brooks 1983:106].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხეულის ენას იყენებს არა მხოლოდ მასწავლებელი, არამედ შემსწავლელიც. სხეულის ენის გამოყენება ხდება საკლასო აქტივობებში, მასალის გააზრება-შესწავლისას, კომუნიკაციის დროს საკლასო თუ არასაკლასო გარემოში, ჯგუფური და წყვილური მუშაობის დროს. როცა საუბარია სხეულის ენის გამოყენებაზე სასწავლო გარემოში უნდა აღვნიშნოს ისიც რომ მასწავლებელი და მოსწავლე სხეულის ენას სხვადასხვა დანიშნულებით იყენებს კომუნიკაციის დასამყარებლად. მსგავსი სიტუაციების უკეთ ნათელსაყოფად ქვემოთ ცხრილის სახით არის მოცემული გარკვეული სახის სიტუაციები, რომლებშიც მასწავლებელი და შემსწავლელიც მიმართავს სხეულის ენას, მაგრამ განსხვავებული მიზნებისთვის. ცხრილში მოცემული იქნება სხეულის ენის სამი ძირითადი მახასიათებლის - ქესტების, სახის გამომეტყველებისა და თვალთ კონტაქტის გამოყენების სიტუაციური მაგალითები.

ინგლისური ენის მასწავლებელი მასწავლებელი	ინგლისური ენის შემსწავლელი
<p>1. ექსტები - გამოიყენება მასალის ახსნისას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ილუსტრაციები - საუბრის, ახსნის თანმხლები მოქმედებები (ხელის აწევა, როცა სიმაღლე, სიდიდე, სიპატარავე და სხვა აღინიშნება);</li> <li>• ემბლემები - თითების დახმარებით გამოხატული მოქმედება ახსნისას. მსგავს შემთხვევებში ემბლემები სრულად ასოცირდება აღსანიშნ სიტყვასთან (მაგალითად, როცა საჩვენებელი თითის შეერთებით ცერა თითთან და ამავე დროს დანარჩენის სამი თითის გაშლილად დემონსტრირება მიუთითებს იმაზე, რომ ყველაფერი რიგზეა და ა.შ.)</li> <li>• რეგულაციები - გამოიყენება დიალოგის, კომუნიკაციის დროს, როცა მასწავლებელი მიუთითებს შემსწავლელს, რომ ახლა მისი ჯერია განაგრძოს საუბარი, მოყოლა და სხვა.</li> <li>• მდგომარეობის გამოხატვა - ხელების, ან სხეულის დახმარებით მდგომარეობის გამოხატვა ცნების აღსანიშნად (ორი ხელის მოძრაობა მკერდიდან გარეთ იმისთვის, რომ მასწავლებელმა ახსნას სიტყვა ექსტროვერტის მნიშვნელობა - ექსტროვერტი - ურთიერთობისთვის ღია ადამიანი და ა. შ.)</li> </ul>	<p>1. ექსტები - გამოიყენება მასალის მოყოლის ან ჯგუფური და წვეილური მუშაობისას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ილუსტრაციები - საუბრისას, როცა სტუდენტს ავიწყდება სიტყვა და ხელებით ცდილობს მის ახსნას (წრის შემოხაზვა ჰაერში ბურთის აღსანიშნად და სხვა);</li> <li>• ემბლემები - როცა სტუდენტი საუბრისას მოიშველიებს თითებს და ამიტ უადვილებს მსმენელებს გაიგონ მისი საუბარი, რადგან მას დაავიწყდა ლექსიკური ერთეული.</li> <li>• რეგულაციები - ჯგუფური სამუშაოს შესრულებისას ან დიალოგის წარმართვისას. როცა ერთ-ერთი სტუდენტი ხელის მიტიტებით აცნობებს თანამოსაუბრეს, რომ ახლა მან უნდა განაგრძოს საუბარი...</li> <li>• მდგომარეობის გამოხატვა - როლური ან ჯგუფური დავალების შესრულებისას (როცა სტუდენტმა თანამოსაუბრეს უნდა ანიშნოს სიტყვის მნიშვნელობა ისე, რომ არ წარმოთქვას იგი);</li> </ul>
<p>2. სახის გამომეტყველება - გამოიყენება სასწავლო პროცესის მართვისას, სტუდენტის წახალისებისთვის, დამოკიდებულების გამოსახატად და ა. შ.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სახის გამომეტყველებას მასწავლებელი მიმართავს ახალი ლექსიკური მასალის (უფრო ემოციათა აღმნიშვნელ სიტყვათა) ასახსნელად. smile - ღიმილი, როცა მასწავლებელი ტუჩის კუთხეების მაღლა აწევით გამოხატავს ღიმილს, cry - ტირილი, როცა მასწავლებელი მოწყენილი სახის გამომეტყველებით აღნიშნავს ასახსნელ სიტყვას, surprise - გაოცებული სახის გამოხატვით აღნიშნავს ლექსიკურ ერთეულს...</li> </ul>	<p>2. სახის გამომეტყველება - გამოიყენება დამოკიდებულებების, პროტესტის, გაოცების გამოსახატად.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სახით გამომეტყველებას სტუდენტი მიმართავს, მაშინ როცა ის გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას შესასწავლი მასალის, სიტუაციის და ზოგადად სწავლის პროცესის მიმართ. ინდიფერენტულია იგი დაინტერესებული თუ გახარებული, ან პირიქით.</li> </ul>
<p>3. თვალთ კონტაქტი - გამოიყენება აუდიტორიასთან ურთიერთობისთვის, გარკვეულწილად, მისი ნდობის მოსაპოვებლად, მისათითებლად და ა.შ.</p>	<p>3. თვალთ კონტაქტი - აუცილებელია თემის წარდგენისას. ის ერთ-ერთი კომპონენტია შეფასებისთვის. სტუდენტები თვალთ კონტაქტს იყენებენ ერთმანეთთან ჩუმი ურთიერთობისთვის, სწორი პასუხის მისათითებლად (განსაკუთრებით გამოცდის მსვლელობისას) და ა.შ.</p>

როგორც ცხრილიდან ჩანს, სხეულის ენას, ექსტებს, მასწავლებელი და სტუდენტი განსხვავებული მიზნებისთვის იყენებს. უდავოა ისიც რომ არავერბალური კომუნიკაცია სასწავლო პროცესში აუცილებლად გამოიყენება. სხეულის ენის მართებული გამოყენება კი ქმნის საინტერესო და პროცესზე, შემდეგ კი შედეგზე ორიენტირებული გაკვეთილის წარმართვის წინაპირობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სხეულის ენის გამოყენება უცხო ენის სწავლებისას ბევრად აადვილებს კომუნიკაციას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. არავერბალური კომუნიკაციის შესახებ საუბრისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- შემსწავლელთა ენის ფლობის დონე - გამომდინარე იქიდან, რომ სხეულის ენა ყველაზე მეტად ეფექტურია სწავლების საწყის ეტაპზე. ა1 ა2 თუ ბ1 დონეებზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პირველადი და აუცილებელი ლექსიკური მასალის ათვისებას.

- რა ენის მატარებელია მასწავლებელი და შემსწავლელთა ჯგუფი - ა) ქართული - ქართული ბ) ქართული - უცხო ენა, გ) ქართული - სხვადასხვა ენა, დ) ინგლისური - ქართული, ე) ინგლისური - სხვადასხვა ენა.

- მასალა - რა მასალაა ახსნელი გაკვეთილზე, რადგან სხეულის ენა ყველაზე მეტად მორგებულია ლექსიკის (არსებითი სახელი და ზოგადად სახელები, ზმნა, ზმნური ფრაზების ახსნისას).

1. ენის ფლობის დონე - საწყის ეტაპზე მსმენელმა სამიზნე ენა იცის ა1 ან ა2 დონეზე ან საერთოდ არ ფლობს ენას. ასეთ დროს მასწავლებლის მხრიდან პირდაპირი მეთოდის გამოყენება ჯგუფში გარკვეულ დაბნეულობას იწვევს და შესაბამისად ახსნის პროცესში ხდება საერთო საურთიერთო ენითა<sup>3</sup> და სხეულის ენით ურთიერთობა. ამას ემატება სხვა რესურსების ჩართულობაც. ვიზუალური მასალის ჩვენება და მითითება (ფერების მითითება ფერების აღმნიშვნელ სიტყვათა სწავლებისას, საგანზე მითითება საგნის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულის ახსნისას და ა.შ.) მსგავს შემთხვევებში კარგად გამოიყენება უკვე კარგად აპრობირებული Flashcard - ები.

2. ენობრივი მდგომარეობა - როცა მასწავლებელიც და აუდიტორიაც ერთი ენის (ჩვენ შემთხვევაში ქართული ენის) მატარებელია. ინგლისური ენის ლექსიკური მარაგის ახსნისას არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მასწავლებელმა აუდიტორიის მხრიდან ინგლისურენოვანი განმარტების ვერგაგების შემთხვევაში მასალის გარკვეული ნაწილი ქართულ ენაზე ახსნას. მსგავსი შემთხვევები სამეცნიერო ლიტერატურაში კოდის გადართვის სახელით არის ცნობილი. კოდის გადართვას ინგლისელი მეცნიერი დევიდ კრისტალი უკავშირებს სალაპარაკო ინგლისური ენის საერთაშორისო სტატუსს. ის კოდის გადართვას განიხილავს უცხო ენის სწავლებისას ინგლისური ენის, როგორც ლინგვა ფრანკას გამოყენების შემთხვევებს. ჩვენ შემთხვევაში კი კოდის გადართვა უკავშირდება ქართული და ინგლისური ენების თანადროულ გამოყენებას ახსნის პროცესში. კრისტალი კოდის გადართვას ჰიბრიდიზაციის სახელითაც მოიხსენიებს და მასში გულისხმობს საუბრის დროს ინგლისურ ენაზე დაწყებულ აზრს, წინადადებას, რომელიც გრძელდება სხვა ლოკალურ ენაზე, სადაც ინგლისური ენა უცხო ენას წარმოადგენს [Crystal 2000:167].

მეორე შემთხვევაში, როცა მასწავლებელი არის ქართულენოვანი ხოლო აუდიტორია კი სხვადასხვა ან ერთი სხვა ენის მატარებელი შრუძლებელია ახალი ლექსიკური მასალის ახსნა ინგლისური ენის გამოყენების გარეშე. მსგავსი სახის აუდიტორიასთან მუშაობას მასწავლებელი სხეულის ენის გამოყენებით აადვილებს.

მსგავსი შემთხვევაა მაშინაც, თუ მასწავლებელი ინგლისურენოვანია, ხოლო აუდიტორია ქართული ან სხვადასხვა ენის მატარებელია. ასეთ დროს სხეულის ენა საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მასწავლებელსა და აუდიტორიას შორის კომუნიკაციის უკეთ დამყარებისას.

<sup>3</sup> ცალკე განსახილველი საკითხია უცხო ენის შემსწავლელ ჯგუფში სამიზნე ენის სრული ან ნაწილობრივი გამოყენება. ამოქმადზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს მეცნიერთა შორის.

3. მასალა - როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სხეული ერთ ადვილი შესაძლებელია კონკრეტული საგნის ან მოქმედების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების ახსნა. მაგალითად წიგნი, როცა მასწავლებელი ხელის მოძრაობით მიუთითებს მსემნელებს, თითქოს ფურცლაგდეს მას, ვარსკვლავი - ჰაერში დახაზოს ვარსკვლავის მოხაზულობა, ტელეფონი - თითქოს მას იყენებდეს, სიარული - რეალურად სიარული, დაღევა - თითქოს სვამდეს და სხვ.

სხეულის ენა წარმატებით გამოიყენება ფრაზული ზმნების ახსნისას ან შეხსენებისას, მათში შემაჯავლი მიმართულების წინდებულების აღსანიშნად. ზოგადად, ინგლისურ ენაში ფრაზული ზმნების დამახსოვრებისას დიდ სირთულეს სწორედ წინდებულები იწვევს. მათი უფრო ადვილად დამახსოვრებისთვის ქესტების ან ხელის მოძრაობის გამოყენება საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. მაგალითად: come back - ხელის უკან, ზურგზე მითითებით, pick up - ხელის ზევით აწევით, carry on - ხელის ტალღური მოძრაობით, slow down - ხელის დაბლა დაწვეით და ა. შ.

სხეულის ენის გამოყენება აბსტრაქტული ცნებების ასახსნელად რთული ან, ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიც არის. ასეთ დროს გამოიყენება ხატულების, დიმილაკების ან საერთაშორისო გრაფიკული ნახაზების ჩვენება აუდიტორიისთვის. მაგ. სიყვარული - გულის მოხაზულობა, სიძულვილი - გულის მოხაზულობაზე ორი ურთიერთმკვეთი ხაზის გადასმა და ა. შ.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ვერბალური კომუნიკაცია უფრო საიტერესო და მრავალფეროვანი ხდება არავერბალური კომუნიკაციის ჩართვის შემთხვევაში. სხეულის ენა უცხო ენის, ჩვენ შემთხვევაში ინგლისური ენის სწავლებისას, ერთი მხრივ დამხმარე საშუალებას წარმოადგენს, მეორე მხრივ კი აუცილებლობას გარკვეულ ჯგუფებსა და ენობრივ სიტუაციებში.

#### ლიტერატურა:

1. შავერდაშვილი ე. - უცხოური ენების სწავლების საფუძვლები 1. თბილისი 2014;
2. Cristal - English as a global language. Cambridge.2003;
3. Dunn, L.J. - Non-verbal communication: information conveyed through the use of body language. (1999).
4. Jack C. Richards, Theodore S. Rodgers - Approaches and Methods in Language Teaching. 2001.
5. Janak Singh Negi -The Role of Teachers' non-verbal Communication in ELT Classroom-Journal of NELTA Vol. 1 4 No. 1-2 December 2009;
6. Tammy S. Gregersen -Language learning beyond words: Incorporating body language into classroom activities. 2007;
7. Woolfolk, A. & Brooks, D. - The influence of teachers' non-verbal behaviours on students' perceptions and performance. Vol. 10. 1983.

**Mariam Kilanova**

#### Using of body language approach in EFL classes

##### Abstract

The article is devoted to using of body language approach in EFL classes. There are classified some situations in which the students and the teachers use body language to give an information to each other. There is also defined the importance of using nonverbal communication – body language in different aspects: class level, lingual condition in classes and explaining new material where the fact of using body language takes a crucial importance. According to the article it becomes clear that body language does not appear to be used by the teacher and the student in the same way, as well as both of them use it for different purposes.

რეცენზენტი: პროფ. მ. ლარიბაშვილი

სწავლების მეთოდოლოგია    Методика    Methodic of teaching

**Lida Oboladze**

ქუთაისი, საქართველო

## LEARNING AND ACQUISITION

ენის მასწავლებლები უკვე დიდი ხანია რამდენიმე საკითხით არიან დაინტერესებულნი. ამათგან ალბათ ყველაზე მთავარია: „როგორ მოახერხოს ენის შემსწავლელმა ენის გაკონტროლება?“ სტატიაში განხილულია რამდენიმე მოსაზრება, თუ რით განსხვავდება ან ემსგავსება ერთმანეთს ორი პრინციპი - „სწავლა“ და „ათვისება“. მრავალი მეთოდი არსებობს თუ როგორ შევეცადოთ და ვასწავლოთ ენა მოსწავლეებს, მაშინ როცა „ათვისება“ არის სასურველი შემთხვევითი პროცესი, რაც ყოველთვის შედეგია სწავლებისა. ახლა როცა გარკვეულია განსხვავება ამ ორ პროცესს - „სწავლასა“ და „ათვისებას“ შორის, მათი დაბალანსება იმ მიზნით რომ უკეთ შეავსონ ერთმანეთი, უფრო ადვილი ხდება.

"How Does a person come to control a language?" This is one of the questions teachers are interested in. There has been considerable discussion about whether the two processes: learning and acquisition are essentially the same, or essentially different.

The better known of these two modes is called 'learning'. Learning begins with selection of some clearly defined element which is to be learned. In helping someone else to learn, your job is to teach. In teaching, you first present the new item as clearly and interestingly as you can. Then you have your students practice the item in one way or another until they seem to have got it. When the time comes, you go on to test them on it. Finally, you may or may get around to using it with them in some communicative way. In this kind of teaching and learning, then, the very act of selecting an item pulls it out of the context of normal communicative exchange. To compensate for this severing of the normal interrelationship you may go to some length to provide context as you present, drill and test it.

In acquisition, the person who is doing the acquiring meets words in the full context of some kind of genuine human communication. There is no special presentation of a new item, no organized drilling, and no testing in the academic sense. Conversation is about things which the acquirer understands and which are already clear in his mind. Because a teacher cannot read minds, this requirement commonly means that in the beginning most of the conversation will be about what is present in the classroom at the time. The language used is generally at a level which the acquirer already controls or a little beyond that level. The acquirer follows the discourse comfortably, drawing on context to fill in meanings of new words and constructions. In time he becomes able to produce new items correctly, but for a while he may remain largely silent. When he does speak, those around him react in terms of their attempts to communicate, and not in terms of the correctness or incorrectness of what

he has said. This kind of acquisition takes time and patience. Until a student has acquired an item, he will make numerous errors in its use. Learning, by contrast, produces correct forms almost immediately.

There are however some weighty advantages to acquisition as compared with learning. What has been learned may be forgotten after (or before) the next test, while what has been acquired is relatively permanent. What has been acquired serves directly as the basis for smooth production either of speech or of writing. Learned material is useful for monitoring, correcting or translating what has originated from material which has already been acquired either in the target language or in the native language, but not for much else.

The essential difference between learning and acquisition may lie in what the student does with what is put in front of him, but many parts of a language simply defy anyone to perform learning on them!

Over the centuries language teachers have used countless methods and techniques. Most of the time, by whatever method, we have concentrated on trying to teach so that our students would learn. Acquisition has come - when it has come at all - as a desirable but incidental by-product of good teaching and good learning. Its recent identification as a separate process casts light on what we have been doing all along. Now that we see the difference between learning and acquisition, we can balance them against each other and combine them so that each will promote the other.

Having said that, let's turn and look at one respect in which the two are special cases of a single phenomenon. That phenomenon is the storage and retrieval of memories.

In recent years there has been a great deal of fascinating research on human memory. One of the most basic facts which that research has brought to light is that what we think of as separate items are not stored separately (Charles C. Fries 1945:87).

Bringing back one item in an image also tends to bring back the other items in that same image. A well-known example of this principle is the power of odors to give vivid recollections of certain places or people. This does not mean that all items in a given image are equally clear and accessible, of course. We've all had the experience of remembering a face or a set of initials but not being able to come up with the name that goes with them.

A second basic fact about memory is related to this first one: we can summon up two or more images, examine them, select items from each one, and form a new composite image that consists of parts of the old ones. Again we find simple and well-known examples in our attempts to remember people's names.

A third observation about these images: every image contains auditory elements (if only silence), visual elements (if only darkness), emotional elements (if only boredom or indifference), tactile elements, olfactory elements, and elements representing the state of the body at the time the image was formed (Rivers 1977:90). Moreover, the various elements in a single image may be very closely integrated with one another. That is to say, they may fit together in such a way that a change in one would require a corresponding change in others. Or they may be merely juxtaposed with only a minimum of integration.

Images that come from outside the foreign-language classroom are almost always well integrated. This is not necessarily the case inside the language classroom, however.

Sometimes we try to enrich an image and integrate it by using visual aids to illustrate what we have our students say: a book on the table one time, and a pen another time. This at least integrates a small part of the visual dimension with the linguistic dimension. But the motivational and social elements that would fit the words are still lacking. Even when we set up games in which students have to exchange or pool information which not all of them have, the motivational and social elements may still be of kinds which are seldom found outside the language classroom.

Now we are ready to take another look at learning and acquisition. The difference between them lies in the nature of the images. In acquisition the image from which we reconstruct what we are after is rich and well integrated, while in learning it is impoverished and unintegrated. The higher the quality of the image - that is, the richer and better integrated it is - the more easily we will be able to get back one part of it when we encounter another part. In addition, the affective side of what we acquire is usually of a kind which causes us to welcome the recall of an image. The affective side of some learning experiences is pleasant, but many of them contain heavy elements of feeling ignorant, powerless. When that is the case, a learned image may in some deep sense

be unwelcome even at a time when our most obvious but more superficial motivations (the need to get a good grade or to sound educated, for example) make us try desperately to get it back.

What we have been calling acquisition and learning now become only the ends of a continuum which rests on a single process. Both operate according to principles that are already familiar from research on memory.

The characteristic product of learning, then, is fragments. One serious limitation of learning is that those fragments do not support one another in the learner's mind the way the pieces of a completed jigsaw puzzle do. Instead they lie in the learner's mind like unassembled pieces of the puzzle of real communication, neatly stacked in little piles according to colour or size or other abstract criteria. So it is hardly surprising that what we have learned cannot serve us directly when we have something that we really want to say.

Wouldn't it be a good idea then to do away with learning altogether and concentrate our efforts on promoting acquisition? I don't think so. Acquisition is a relatively slow process. In addition to that it may have its own characteristic product, which is not fragments but fossils. We all know people who live for ten, twenty or more years in a foreign country conducting their daily affairs in the language of that country - who are, in other words, right in the middle of a genuine acquisition setting - but who persist in the same errors of pronunciation and grammar. Their competence in the language has 'fossilized' short of becoming identical with the competence of native speakers. If that can happen in life outside the classroom, how much sooner and how much more easily can it happen inside the classroom! Apparently people acquire as much of a language as they really need for what they really want, but only that much. One person really wants nothing to do with the foreign culture. That person will 'acquire' little or nothing. Another just wants to do necessary shopping and exchange a few simple greetings. Another wants to transact all his business with the native speakers fluently. Another is attracted to the culture and desires to become as much like the native speakers as possible. Given the same opportunities, each of these people will acquire a different amount of the language, but only the last is likely to carry the process to completion. Your success in helping people to acquire language in a classroom will therefore depend not only on the techniques you use, but also on how you, and what you do, affect their attitudes toward the language and the people who use it.

### Literature

1. Charles C. Fries. Teaching and Learning English as a Foreign Language. University of Michigan Press, 1945.
2. Wilga Rivers, Mary Temperley. A Practical Guide to the Teaching of English. Oxford University Press, 1977.

Liда Оболадзе

### Учение и овладение Резюме

Преподавателей языка уже давно интересует несколько вопросов, самым главным из которых, наверно, являются следующий: «Как суметь учащемуся, изучающему язык, контролировать язык?» В статье рассматривается несколько мнений по поводу того, чем отличаются или сближаются два принципа – «учение» и «овладение». Существует множество методов того, как постараться обучить учащихся языку, тогда как «овладение» представляет собой желаемый случайный процесс, который всегда является результатом обучения. После выяснения различия между данными процессами – «учением» и «овладением» - гораздо легче их балансирование в целях достижения их взаимодополнения.

სწავლების მეთოდოლოგია    Методика    Methodic of teaching

ნელი ურუმაშვილი

თბილისი, საქართველო

V-VI კლასებში "რომ" კავშირთან მძიმის სწორად  
წერის სწავლებისათვის

დღეს მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასვენი ნიშნების, მათ შორის მძიმის, ხმარებას მოსწავლე III კლასიდან ეუფლება. პროცესი ავტომატურად გრძელდება IV-V კლასებში. VI კლასისათვის განკუთვნილ ეროვნულ სასწავლო გეგმაში მიმართულია "წერა" კვითხულობით: "მოსწავლე სწორად იყენებს სასვენი ნიშნებს, გადაიკითხავს და ასწორებს ტექსტს, როგორც ენობრივ-სტილისტური, ისე პუნქტუაციური თვალსაზრისით".

ეროვნულ სასწავლო გეგმაში არაა დაკონკრეტებული მძიმის ხმარების რომელ ფორმას რომელ კლასში ეუფლება მოსწავლე, რაც პედაგოგებს სრულ თავისუფლებას გვაძლევს მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით შევასწავლოთ აღნიშნული მასალა.

ჩემი მრავალწლიანი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე ვთვლი, რომ შესაძლებელია V-VI კლასის მოსწავლეები სწორად შერჩეულ საგარჯიშოებზე მიზანმიმართული მუშაობის გზით პრაქტიკულად დაეუფლონ "რომ" კავშირთან მძიმის სწორად ხმარებას.

იმისთვის, რომ ყველაფერი ნათელი და თვალსაჩინო ყოფილიყო, კვლევის პროცესი დავეყავი სამ ეტაპად:

- I. კვლევამდე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა;
  - II. კვლევის პროცესი;
  - III. კვლევის შედეგი;
- კვლევა ჩატარდა V კლასის მოსწავლეებთან.

**I. ფაქტობრივი მდგომარეობა.**

კვლევამდე არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით მოსწავლეებს დავურიგე 10-10 ერთმანეთისგან განსხვავებული წინადადება, რომლებშიც "რომ" კავშირი ხუთ შემთხვევაში ახალ წინადადებას იწყებდა და ხუთ შემთხვევაში კი პირველი წინადადების შიგნით იყო მოქცეული. თითქმის ყველა მოსწავლემ მძიმე "რომ" კავშირის წინ დასვა. მიღებულ სურათს ვერ დავაბრალებ ჩემს წინამორბედ კოლეგას, რადგან მას მძიმის სწორად გამოყენების მიმართულებით სხვა მთელი რიგი ისეთი საკითხების შესწავლა უწევს, როგორცაა მძიმე: ერთგვარ წევრებთან, მძიმე მიმართვასთან და ა.შ.

არსებულმა მდგომარეობამ კიდევ უფრო თვალნათლივ დამანახა, რომ საკითხის გადაჭრა მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესისათვის.

## II. კვლევის პროცესი.

ჩემ მიერ დასახული კვლევის განხორციელებამდე გავესაუბრე ჩემს კოლეგებს. ისინი მზად იყვნენ ჩემთან თანამშრომლობისთვის. თავდაპირველად შევიმუშავე მეთოდი, რომელიც მიზნად ისახავდა სათანადო რესურსების გამოყენებით მოსწავლეების ნაკლებ ძალისხმევას, რაც გულისხმობს იმას, რომ სწავლებას უნდა ჰქონოდა ერთგვარი გართობითი ხასიათი. V კლასის მოსწავლეები იცნობენ და ერთმანეთისაგან არჩევენ წინადადებებს შინაარსის მიხედვით: თხრობითს, კითხვითს, ძახილის და კითხვა-ძახილის. შეუძლიათ ორი მარტივი წინადადებისგან შედგენილი რთული წინადადების დაშლა. კონკრეტული მაგალითების გამოყენებით ბავშვებს ვახსენებ და ვავარჯიშებ აღნიშნულ თემაზე.

### **სტრატეგია I**

მოსწავლეებს ვურიგებ ისეთ წინადადებებს, რომლებშიც "რომ"-ის წინ იწერება მძიმე მაგალითად:

- ფანჯარა გამოვადე, რომ სუფთა ჰაერი შემოსულიყო.
- ღამე მეძინა, რომ უცებ კარი გაიღო;
- ქუჩაში გავიდნენ, რომ უცნაური მანქანა დაენახათ და ა.შ.

მოსწავლეები თითოეულ წინადადებაში გამოყოფენ ორ წინადადებას. აღნიშნავენ, რომ მეორე წინადადება იწყება "რომ" კავშირით და მის წინ იწერება მძიმე. შემდეგ ვთხოვ, რომ კავშირი წინადადების შიგნით მოაქციონ. მაგალითად:

- ფანჯარა რომ გამოვადე, სუფთა ჰაერი შემოვიდა;
- ქუჩაში რომ გავიდნენ, უცნაური მანქანა დაინახეს;
- ღამე რომ მეძინა, უცებ კარი გაიღო და ა.შ.

მოსწავლეებს ვუხსნი, რომ ამ შემთხვევაში "რომ"-ის წინ მძიმე არ იწერება.

### **სტრატეგია II**

ნასწავლი ლიტერატურული მასალიდან ვარჩევ ორი მარტივი წინადადებისგან შედგენილ ისეთ რთულ წინადადებებს, რომლებშიც "რომ" კავშირი მოქცეულია როგორც I წინადადების შიგნით, ისე ახალი წინადადების დასაწყისში, მაგალითად:

- მზე რომ ამოვიდა ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო;
- ერთი კვირა რომ გავიდა ბედი შეხვდა იღბალს;
- ფული რომ ამოიღო ორმა ქურდმა დაინახა;
- არავის არ ახსოვს რომ ღეკები საქართველოს დასცემოდნენ;
- მოსამართლეებმა იცოდნენ რომ გრაფი მდიდარი კაცი იყო და ა.შ.

მოსწავლეებმა თითოეულ წინადადებაში უნდა განაცალკეონ ორი წინადადება და სწორად დასვან მძიმე.

### სტრატეგია III

მასწავლებლის მიერ მითითებულ ლიტერატურულ ტექსტში მოსწავლეები თავად ეძებენ "რომ" კავშირთან წინადადებებს და პასუხებს ასაბუთებენ.

### სტრატეგია IV

ელექტრონული რესურსი. იხ. <https://learningapps.org/display?v=pw8wtw1t17> თამაშის გზით მოსწავლეები იმტკიცებენ ცოდნას "რომ" კავშირთან მძიმის სწორად ხმარების თაობაზე.

### III. კვლევის შედეგები

ფაქტობრივი ანალიზის დროს გამოყენებული წინადადებები გარკვეული დონის გავლის შემდეგ განმეორებით დაგურივე მოსწავლეებს და ვთხოვე დაესვათ მძიმე. მოსწავლეების 93 პროცენტმა დავალეა სწორად შეასრულა. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ გამოიყენებდნენ მოსწავლეები მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში თითოეულს მივეცი იაკობ გოგებაშვილის მოთხრობიდან "იავნანამ რა ჰქმნა?!" მონაკვეთი თავიდან "ქეთოს იტაცებენ". მასში "რომ" კავშირი რვაჯერაა გამოყენებული. მოსწავლეების 92 პროცენტმა სწორად დასვა მძიმე.

#### ლიტერატურა:

1. ნ. მაღლაკელიძე, მ. მიქაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1997
- მ. მიქაძე, ქართული ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების სწავლება სკოლაში, ქუთაისი, 1997
- მ. მიქაძე, მორფოლოგიისა და სტილისტიკის სწავლების მეთოდოლოგია, ქუთაისი, 1999

რეცენზენტი: პროფ. მ. მიქაძე

სწავლების მეთოდოლოგია    Методика    Methodic of teaching

თამარ ღვინიაიძე

ქუთაისი, საქართველო

ინტერაქტიური და პრობლემურ-ძიებითი  
სწავლება-სწავლის საკითხისათვის

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა სწავლება-სწავლის მიმართულებით ითვალისწინებს მასწავლებლისა და მოსწავლის როლების შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებას, სწავლებას ახალი სტრატეგიებისა და მეთოდების დანერგვას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, ცოდნის მიღებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სწავლის სწავლება, ცოდნის გადაცემა-მიღება და მასთან დაკავშირებული თანამედროვე მეთოდები განაპირობებს სასწავლო პროცესის ინტერაქტიურობას, რაც ასე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა სწავლება-სწავლის მიმართულებით ითვალისწინებს მასწავლებლისა და მოსწავლის როლების შეცვლას, მოსწავლეზე ორიენტირებას, გაკვეთილის პროცესში სწავლების ახალი სტრატეგიებისა და მეთოდების დანერგვას, ცოდნის მიღებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სწავლება მხოლოდ ცოდნის გადაცემა არაა. ის აუცილებლად გულისხმობს ცოდნის მიღებასაც, რაც განაპირობებს სასწავლო პროცესის ინტერაქტიურობას.

განმავითარებელი სწავლების დიდაქტიკური სისტემა გულისხმობს ისეთი სისტემების შემეცნებას, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან იდეებითა და თეორიებით.

განმავითარებელი სწავლებისათვის დამახასიათებელია პრობლემური სიტუაციები. ეს არის რთული პროცესი, რომლის დროსაც პრობლემური საკითხი შესწავლას, გამოკვლევასა და გადაწყვეტას მოითხოვს, რასაც მასწავლებელმა უნდა უხელმძღვანელოს, რათა გამოიწვიოს მოსწავლის ინტერესი ახალი მასალისადმი და განუვითაროს გონებრივი უნარები.

მასწავლებელმა მოსწავლეს ისეთი პირობები უნდა შეუქმნას, როცა ამ უკანასკნელს სურს ცოდნის მიღება და აქვს შესაბამისი აქტივობის საშუალება.

გაკვეთილი მასწავლებელმა სიახლით უნდა დაიწყოს, რაც ბავშვისათვის გაუგებარია და გამოიწვიოს კონფლიქტი მის ცოდნაში. სწორედ ეს კონფლიქტია ახლის გაგების მოტივაცია და საფუძველი, რომელიც ზრდის შესასწავლი მასალის გაგებისა და სიმყარის დონეს. მასწავლებელს შეუძლია კლასი დაჰყოს ჯგუფებად და შეაჯიბროს მოსწავლეები სწორი გადაწყვეტილების აღმოჩენაში, რაც გაზრდის მათ მოტივაციას და ხელს შეუწყობს ცოდნის დონის გათანაბრებასა და ერთმანეთთან თანამშრომლობას.

თუ მოსწავლეებს უჭირთ დამოუკიდებლად პრობლემის გადაჭრა. მასწავლებელმა მზა პასუხი კი არ უნდა მიაწოდოს, არამედ აჩვენოს მისი მიღების გზა, მოდელი.

ინტერაქტიური სწავლებისას მასწავლებელი წინასწარ ამზადებს მოდელს (მასალა ბიოგრაფიებიდან, საკუთარი ქცევა პერსონაჟის საქციელი და სხვ.); ამდიდრებს სასწავლო პროცესს ტექნიკური საშუალებებით, ილუსტრაციებით და სხვ., ქმნის პირობებს მოსწავლეთა დამოუკიდებელი ინტელექტუალური აქტივობისათვის. აძლევს სტიმულს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას.

განსხვავებულია შეფასების მომენტიც. რეკომენდირებულია მასწავლებელმა აქცენტი გააკეთოს მოსწავლეთა წარმატებაზე და არა-მარცხზე. წახალისებაზე და არა-დასჯაზე,

შექებაზე და არა-გაკიცხვაზე. ლიდერის ფუნქციების მინიჭებაზე, თუმცა სხვების დაჩაგვრას მასწავლებლის მხრიდან არ უნდა ჰქონდეს. უნდა აღინიშნოს ყველას

დამსახურება, რისთვისაც კარგ შედეგს იძლევა დისკუსია. სასურველია მასწავლებელმა თვითონ ჯგუფს შეაფასებინოს ერთმანეთის ცოდნა, რაც ზრდის შეფასების მნიშვნელობას.

ინტერაქტიურ სწავლებაში განსაკუთრებული ფუნქციები აქვს მოსწავლეს, რომელიც სასწავლო პროცესის თანააგტორია. თუ იგი მცადრი გზით მიდის, შეცდომა თანაკლასელებთან ერთად უნდა იპოვნოს ეს კი ხელს უწყობს ისეთი მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პიროვნებად აღზრდას, რომელსაც შეეძლება დაინახოს, დასვას და გადაჭრას არასტანდარტული პრობლემები.

პრობლემური სწავლების ძირითადი მეთოდებია პრობლემურ-ძიებითი და ევრისტიკული საუბრები. ამ მეთოდების გამოყენებისას მასწავლებელი მოსწავლეთა წინაშე სვამს მთელ რიგ თანმიმდევრულ და ურთიერთდამაკვირებელ კითხვებს, რომლებსაც მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და გაამყარონ ისინი შესაბამისი არგუმენტებით.

ლიტერატურა ენის გამოვლინების ესთეტიკური სფეროა, ხოლო გრამატიკა-მხატვრული ტექსტის მოდელირების საშუალება. ძირითადი საგაკვეთილო აქტივობები, გაკვეთილის დაგეგმვის ინოვაციური მეთოდებია: გონებრივი იერიში, ბლუმის ტაქსონომია, აზრების ასოციაციური დაკავშირება, ვენის დიაგრამა, სენდვიჩისა და პიგმალიონის მეთოდები, დევიდ პერკინსის „პანდორას“, კითხვები კორნელის გრაფა, დიაგრამა, ლექსიკონზე დაყრდნობით ვარაუდების გამოთქმა, სემანტიკური ნიშნების ანალიზი-ვიცი, მინდა ვიცოდე-ვისწავლე.

ინტერაქტიური სწავლებისას ტრადიციულ მეთოდებთან ერთად ვეყრდნობით ორ ახალს. 1. გაცნობის ხე (წვილებში მუშაობა, ბარათები); 2. დისკუსია -წვილებში და ჯგუფური მუშაობა.

სწავლის სწავლება გულისხმობს მასწავლებელზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებულით. სწავლების პროცესში ახალი სტრატეგიებისა და შეფასების ახალი ხერხების დანერგვას. სწავლება ორიენტირებულია არა მარტო ცოდნაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეც. მოსწავლეს უნდა სურდეს ცოდნის მიღება და ჰქონდეს შესაბამისი აქტივობის საშუალება. ის უნდა დავაყენოთ ისეთი ფაქტებისა და პრობლემების წინაშე, რომლებიც არ შეესაბამება მის ცოდნას. გამოვიწვიოთ კონფლიქტი მოსწავლეთა ცოდნაში. სწორედ ეს არის ახლის გაგების მოტივიცია.

თანამედროვე სკოლამ მოსწავლეს უნდა განუვითაროს და ჩამოუყალიბოს შემდეგი სახის უნარ-ჩვევები: თეორიული და კრიტიკული აზროვნება, ინფორმაციის გადამუშავების უნარი და შემოქმედებითი აზროვნება.

კრიტიკული აზროვნება რაციონალური, რეფლექსური აზროვნებაა, რომლისთვისაც ცოდნა საწყისი წერტილია და ადამიანს აძლევს საშუალებას გააკეთოს სწორი დასკვნები

საკუთარი თვალსაზრისიდან ან ქცევის მოდელიდან გამომდინარე; ანუ ეს არის ჯანსაღი და სწორი აზრის ძიება.

კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია მოხდეს ფაქტების, იდეების, მონაცემების შესაბამისი დამუშავება. ამიტომ გაკვეთილზე საჭიროა, როგორც ცოდნის გადრმავება-განმტკიცება, ისე ძველსა და ახალ ცოდნას შორის გარკვეული კავშირის დამყარება.

კრიტიკული აზროვნება ითხოვს ისეთ კითხვებსა და ახალ პრობლემებზე პასუხის გაცემას, რომლებიც უნდა გადაიჭრას სასწავლო პროცესში. ეს კი განსაზღვრავს გაკვეთილის ინტერაქტიურობას.

მოსწავლეთა შემოქმედებითობას, დაგროვილი ცოდნის გააქტიურებას, უკვე მიღებული ცოდნის კონცეპტირებას ხელს უწყობს პროექტებზე მუშაობა, რაც მოითხოვს სწავლებას ნაირგვარი მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობასა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინტეგრირებას. ყველაფერი ეს ასწავლის ბავშვს დამოუკიდებლად მოიძიოს და გაანალიზოს თავის ცოდნა სხვა საგნებთან მიმართებაში.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ყველა მეთოდი და საშუალება გვეხმარება, მოსწავლეთა აზროვნების სწორად წარმართვაში, ნაწარმოების წაკითხვა-გააზრებასა და გაგება-განსჯაში, პრობლემური საკითხების დანახვაში, გადაჭრასა და ანალიზში.

#### ლიტერატურა:

1. ბოჭორიშვილი მ., ნებულიშვილი ნ., ინტერაქტიური გაკვეთილის ელემენტები. ნაწ.1 თბ., 2006, ნაწ.მე-2, 2007
2. საყვარელიძე რ., ინტერაქტიური სწავლება და მისი ფსიქოლოგიურ საფუძვლები. თბ., 2004.
3. მაღლაკელიძე ნ., ქართული ენის სწავლების მეთოდიკა/დიდაქტიკა (I-IV კლასები). თბ., 2013
4. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბ., 2008.
5. ჭეიშვილი - კრიტიკული აზროვნების ელემენტების გამომუშავება მოსწავლეებში ქართული ენის სწავლებას ჟურნალი „საზრისი“ #7, თბ., 2002.
6. ჯინჯიხაძე ლ., ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი კურსის სწავლების მეთოდიკა და ტექნოლოგია. თბ., 2014.

**Тамар Гвинианидзе**

#### Актуальность интерактивной обучения

##### Резюме

Современная образовательная система в направлении обучения \_ учёбы, предусматривает обмен ролями учителя и ученика. Ориентацию на ученика, внедрение новых систем и методов учёбы, развитие критического и творческого мышления, выработку нужных навыков для получения знания.

Учёба \_ обучения, передача \_ приём обучения знания и связанные с ним современные методы обуславливают интерактивность учебного процесса, что также значительно для выработки критических мышлении учащихся.

**Tamar Gvinianidze**

#### The relevance of online learning

##### Abstract

The modern educational system in the direction of learning \_ studies, provides for an exchange of roles for the teacher and student. Orientation to the student, the introduction of new systems and methods of study, the development of critical and creative thinking, the development of the necessary skills to gain knowledge.

Learning \_ learning, passing \_ the acquisition of knowledge training and the modern methods associated with it, determine the interactivity of the learning process, which is also significant for developing critical thinking of students.

რეცენზენტი: პროფ. ფ. ბახშიევა

სწავლების მეთოდოლოგია    Методика    Methodic of teaching

ქეთევან შოთაძე

ბათუმი, საქართველო

მხატვრული ტექსტის ენობრივ-გამომსახველობითი  
სამყარო და ძველი ქართული ლიტერატურის  
სწავლების ზოგიერთი საკითხი

მხატვრული ნაწარმოების ხასიათი, მისი ემოციური ეფერადობა, მრავალგვარი ნიუანსი, მკითხველზე ზემოქმედების ძალა განპირობებულია მწერლის ტალანტით, მისი მაღალი ოსტატობით, შემოქმედებითი ინდივიდუალობით. სიტყვაზე მუშაობა მწერლის შემოქმედებითი ძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. მწერალი გარკვეული შემოქმედებითი მიზანდასახულობით უდგება სიტყვას, რომლის დანიშნულება ნათქვამს მხატვრულთა შესძინოს, ემოციური შეფერილობით დატვირთოს, მისცეს ექსპრესია და სიმკვეთრე. ნაწარმოების იდეის, დედააზრის გახსნას, მწერლის მიზანდასახულობის მკითხველში შთანერგვას, ემსახურება ნაწარმოების ყველა კომპონენტი, განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია ენობრივ-გამომსახველობითი სამყარო და მისი ანალიზი. ნაწარმოების იდეური და მხატვრული სტრუქტურის შესწავლა უნდა ხდებოდეს განუყოფელ მთლიანობაში და არა ცალკე, იზოლირებულად, ყურადღება უნდა გამახვილდეს გამოყენებული მხატვრული ფორმის სპეციფიკურ მხარეზე. მასწავლებლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულებაა მოსწავლეს გამოუმუშაოს სხვადასხვა ტიპის ტექსტის და, უპირველესად, მხატვრულის ენობრივ მხარესთან დაკავშირებული საკითხების გააზრების, ანალიზისა და შეფასების უნარი, რაც გულისხმობს: ა) ლექსიკური ერთეულის, ფრაზის, მყარი შესიტყვების, ფრაზეოლოგიზმის გაგება-გააზრება; ბ) სიტყვის, ფრაზის მნიშვნელობის გაგება კონტექსტის მიხედვით; გ) ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ფუნქციის გააზრება-გაანალიზების უნარი. აუცილებელია ზოგადი განმარტებების არა მხოლოდ მექანიკური განმეორება, არამედ ამ ხერხების და საშუალებების მონახვა და მათი გააზრება/ანალიზი ყოველ შესწავლილ თუ შესასწავლ ნაწარმოებში. უარყოფილი უნდა იქნეს ტექსტის იდეური შინაარსისაგან მოწყვეტილად პოეტური საშუალებების თუ ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების გამოცნობის პრაქტიკა, რაც მხოლოდ ფორმალისმის გამოსატყულებაა. სკოლებში მეტწილად გავრცელებულია ასეთი კითხვები: რა ეწოდება ამ გამოთქმას? ამოიწერეთ მხატვრული ხერხები და საშუალებანი და ა. შ. ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა შეიცვალოს მსგავსი მიდგომა და მოსწავლეებს ჩამოვუყალიბოთ მხატვრულის ენობრივ მხარესთან დაკავშირებული საკითხების გააზრების, ანალიზისა და შეფასების უნარი.

პოეტური ენის შესწავლის ასეთი გზა უვარგისი და მიუღებელია. ნაწარმოების მხატვრული ენის ანალიზის დროს აუცილებელია გვანტერესებდეს არა მხოლოდ სიტყვის ემოციური, არამედ პირველ რიგში იდეურ-აზრობრივი მხარე ემოციურთან ერთად. უპირველესად ჩვენ ვეძებთ ნაწარმოებში იდეურ აზრს, ხოლო შემდეგ იმ საშუალებებს, რომლებითაც ეს აზრი გამოისახა. ამიტომ გარკვეული უნდა იქნეს არა მარტო ის, თუ რა ხერხებს იყენებს ამა თუ იმ ნაწარმოებში პოეტი, არამედ ისიც, თუ რა მიზნით იყენებს იგი ამ ხერხებს, რა ფუნქცია აკისრია მოცემულ კონტექსტში ეპითეტს, მეტაფორას, შედარებას... რა როლს ასრულებენ ისინი ნაწარმოების იდეურ გამოხატვაში.

სინონიმური, მეტაფორული გამოთქმების, ეპითეტების, შედარების, გაპიროვნების, ალეგორიის და სხვა მხატვრული ხერხების შესწავლამ მტკიცე ნიადაგი უნდა მოამზადოს ლიტერატურული ნაწარმოების ყოველმხრივი და სრულყოფილი ანალიზისათვის. ხშირად მოსწავლეებს სწავლების საშუალო საფეხურზეც კი უჭირთ მხატვრულ ტექსტში გამოყონ ტროპული გამოთქმები, მოუნახონ თითოეულ ტროპს თავისი სპეციფიკური სახელწოდებანი. უშუალოდ ტექსტების შესწავლის პროცესში (ეს იქნება პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები), ტექსტიდან ამოკრეფილ მაგალითებზე სისტემატური ვარჯიშით შეიძლება განმტკიცდეს პოეტური მეტყველების საფუძვლიანი ცოდნა მოსწავლეთა მეხსიერებაში.

ამ მხრივ განსაკუთრებულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ძველი ქართული ლიტერატურის სწავლება, რომელთაც უპირველესად განაპირობებს ლიტერატურული ძეგლების რთული ენობრივი ფორმა. ამ ტექსტებში მოსწავლე პირველად ხვდება ქართული დამწერლობის იმ ხუთ ასო-ბგერას (ა, ვ, კ, მ, შ), რომლებიც მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე შემორჩა ჩვენს ენას, პირველად ისმენს და კითხულობს მისთვის უცნობ, გაუგებარ, ძნელად გასატყის სიტყვებს, ფრაზებს, წინადადებებს... ერთსა და იმავე დროს ეცნობა წმინდანთა მოწამებრივ ცხოვრებას, ფეოდალურ-მონარქიული, რაინდული, სამეფო გვარეულობის ბატონობის შორეულ ეპოქებს და მისთვის საყვარელ, ახლობელ, სათაყვანებელ გმირებს...

უნდა აღვნიშნოთ, ეს ლიტერატურული მასალა მუშაობის ახალ ფორმებს მოითხოვს, გვიკარნახებს ტექსტის შესწავლის სხვადასხვა მიდგომის (კლასში მუშაობას, ახსნა-განმარტებას...) განსაკუთრებულ გადრმაგებასა და გაძლიერებას. თუკი სხვა შემთხვევაში შეგვიძლია დიდი მოცულობის ტექსტის შინ საკითხავ მასალად მიცემა, ძველი ქართული ლიტერატურული და განსაკუთრებით სასულიერო ჟანრის ნაწარმოებების სწავლების დროს უნდა გამოვიყენოთ საუბრისა და თხრობის ელემენტების გაძლიერება, მასწავლებელს მოუწევს ტექსტის სწორი კითხვისა და ახსნა-განმარტების ნიმუშის მიცემა. ასე ვგუება მოსწავლე თანდათან ძველი ქართული ლიტერატურის მათთვის მანამდე უცნობ შინაარსსა თუ ენობრივ ქსოვილს.

ამ მხატვრული ტექსტების შეგნებულად და გააზრებულად ათვისებისათვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა კომენტირებული კითხვა, რის აუცილებლობასაც მათი სპეციფიკა და მისი სწავლების სიძნელეები განაპირობებს. ძველი ქართული ლიტერატურული ტექსტები, განსაკუთრებით ავთოგრაფიული ჟანრისა, ნაწილ-ნაწილ, თავიდან ბოლომდე კლასში კითხვითა და მასწავლებლის კომენტირებით უნდა ხდებოდეს. მან უნდა გამოიყენოს: ლექსიკური, ენობრივი, ისტორიული, ლიტერატურული კომენტარის სახეები. მხოლოდ მცირე მონაკვეთების კომენტირებით, შესაბამისი სახე-სიმბოლოების, ტროპული სახეების განმარტებით, შესაძლებელია ტექსტის გააზრებული ათვისება.

მხატვრულ ხერხებზე მუშაობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ მოსწავლეები თვითონვე აყენებდნენ მოთხოვნას ამა თუ იმ ტერმინის, უცნობი და ბუნდოვანი სიტყვის განმარტების შესახებ. დასმული კითხვის გარშემო მსჯელობა და კვლევა-ძიებითი მუშაობა მასწავლებლის დახმარებით უნდა ხორციელდებოდეს. მას წინასწარვე უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული ყოველი სიტყვა, ტროპული მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვები, რომლებიც ტექსტის მოცემულ მონაკვეთში მოსწავლეთათვის შეიძლება

ბუნდოვანი იყოს. უდავო ჭეშმარიტებად უნდა იქნეს მიჩნეული ის, რომ არც ერთი უცნობი სიტყვა თუ ფრაზა გაუგებარი არ უნდა დარჩეს. რამდენადაც მრავალფეროვანია შესასწავლი მხატვრული ნაწარმოები ენობრივი და ჟანრობრივი თვალსაზრისით, იმდენად მრავალფეროვანია სალექსიკონო მუშაობის ფორმები. მთავარი მიზანი კი არის დაეხმაროს მოსწავლეებს ნაწარმოების მდიდარი იდეურ-მხატვრული შინაარსის საფუძვლიანად გაგებასა და სამეტყველო მარაგის გამდიდრებაში, რაც ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სიღრმით ვაგრძნობინებთ მოსწავლეებს მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის ლექსიკურ სიმდიდრეს, გამომსახველობით ძალას, მოქნილობას, ელასტიკურობას. როგორ გამოიყენება ესა თუ ის ლექსიკური ერთეული პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობებითაც, მას აქვს სხვადასხვაგვარი ფრაზეოლოგიური ნიუანსების მიღების უნარი, რაც მოსწავლემ თვალნათლივ უნდა დაინახოს მხატვრულ ნაწარმოებზე თანმიმდევრული, დეტალური მუშაობის დროს.

სასურველად უნდა მივიჩნიოთ მოსწავლეების მიერ სპეციალური ლექსიკონების შედგენა, რომელშიც ისინი სისტემატურად ამოწერენ ტროპული მეტყველების ნიმუშებს და განმარტავენ მათ. თემატური ლექსიკონის ფორმად შეიძლება გამოვიყენოთ ასეთი სქემაც:

სიტყვა/ფრაზა	ტროპის რა სახეა	კომენტარი

მოსწავლეები სისტემატურად უნდა აკეთებდნენ მასწავლებლის მითითებითა და ხელმძღვანელობით ჩანაწერებს ასეთ რვეულებში, თვითონ ეძებდნენ დამოუკიდებელი კითხვის დროს მსგავს ფორმებს, განმარტავდნენ, რის შემდეგაც უნდა აქციონ მსჯელობის საგნად კლასის წინაშე. მუშაობის ასეთი ფორმა მოსწავლეებში დამოუკიდებელი ძიებითი უნარის, მათი შემოქმედებითი ინტუიციის განვითარების მეტად ქმედითი საშუალებაა.

ენობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სინელები გვხვდება მაშინ, როცა მოსწავლეებს ვასწავლით ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს. მათთვის მეტად რთულად გასაგებია ძეგლების ენა, რადგან მათი უმრავლესობა მოსწავლეთათვის გაუგებარია. ამიტომ ამ ნაწარმოებების შესწავლა მასწავლებლისაგან დიდ ძალისხმევასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი კომენტარების გარეშე მათი გაგება მოსწავლეთათვის ფაქტიურად შეუძლებელია. ძველი ქართული ლიტერატურის ტექსტზე მუშაობა, უპირველესად ენობრივი ბარიერის გადალახვას მოითხოვს, აუცილებელია მოსწავლეთათვის ტროპული ნიმუშების, არქაიზმების, უცხო სიტყვებისა და რელიგიურ-ბიბლიურ სახეთა თუ იგავთა ახსნა განმარტება. (ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ავტორ-შემდგენლების - მ. გიგინეიშვილის, რ. გრიგოლაშვილისა და ვ. როდონაიას მიერ მომზადებული სახელმძღვანელო - ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, რომელსაც ახლავს სქოლიო შესაბამისი ლექსიკური ერთეულებისა და ბიბლიურ სახე-სიმბოლოთა განმარტებებით). გთავაზობთ რამდენიმე ამგვარი დეტალის ჩვენეულ ანალიზს იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებიდან“, რათა მასწავლებელს ამ საკითხებზე მუშაობა გაუიოლდეს.

თავიდანვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ საკითხებზე, რომ ძველი ქართული მწერლობა მდიდარი და მრავალფეროვანია. ჩვენში აღრიდანვე შეიქმნა და განვითარდა სასულიერო მწერლობის ყველა დარგი. მათგან მხატვრული ღირებულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰაგიოგრაფია - სასულიერო პროზა და ჰიმნოგრაფია - სასულიერო პოეზია.

„შუშანიკის წამებაში“ არაერთი მაღალმხატვრული აღწერაა, ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი და მოქმედებათა დინამიკური გადმოცემაა, მაგრამ მათგან განსაკუთრებულია პერსონაჟთა მეტყველება და დიალოგი. მეტყველება პერსონაჟისა მისივე თვითმახასიათებელია. სწორედ დიალოგებში ჩანს ყველაზე მეტად იაკობის ენის სისადავე და სიძლიერე (სირაძე რ. 2000 წ. გვ. 95). მაგალითად, შუშანიკი ამბობს: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა, უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაი ეგე შენი შენადვე მოიქეცი“ (ქართული პროზა I, გვ. 8); ან „მამამან შენმან აღჰმართა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ“ (ქართული პროზა I, გვ. 11); „მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და აწ მაიძულებთ ამის ყოფად, ნუ იყოფინ ესე ჩემდა!“ (ქართული პროზა I, გვ. 11). რაა საერთო ამ მსჯელობათა შორის? ყოველ მათგანში მოცემულია ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი, რაც ავლენს შუშანიკის მსჯელობის ხასიათს, ეს ფაქტობრივად დიალოგიზებული მონოლოგია, რომელშიც პერსონაჟის სიტყვა ქადაგებას ჰგავს, იგი არა მხოლოდ მოსაუბრეს მიმართავს, არამედ ზოგადად, მსმენელის ყურადღების ყურადღების მიქცევას ცდილობს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ძეგლია, ავტორი მხატვრული სიტყვის საინტერესო ოსტატად გვევლინება. იგი დახელოვნებულად იყენებს მხატვრული გამოსახვის ხერხებსა და საშუალებებს, ამიტომაცაა, რომ ყოველი სურათი თუ ეპიზოდი მკითხველის დიდ ინტერესს იწვევს. დახელოვნებულად გადმოგვცემს მოქმედ პირთა ხასიათსა და განცდებს, შესანიშნავად ასახავს მათ სულიერ სამყაროს, ცხოვრებისეულ დეტალებს. მოხერხებულად იყენებს შედარებებს, ეპითეტებს, მეტაფორებს, ბიბლიურ სახესიმბოლოებს, რაც ადასტურებს მის მაღალ მხატვრულ ოსტატობას. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი: 1. მეტაფორა - ტარიგი. „ვიხილე ტარიგი იგი ქრისტესი“- წერს იაკობ ხუცესი დედოფალზე. ს. -ს. ორბელიანის განმარტებით ტარიგი არის „კრავი უბიწო“. ტარიგად უფალი მოიხსენიება „სახარებაში“, რადგან დაიკლა „უბრალო ბრალეულთათვის“ და თავისი წმინდა სისხლით ჩამორეცხა კაცობრიობას პირველქმნილი ცოდვის სიმძიმე, დაცემული ძე კაცისა აღადგინა, კვლავ სამოთხეში დაბრუნების საშუალება მისცა. „ტარიგისა“ და „კრავის“ გარდა გვხვდება „ცხოვარის“ მეტაფორაც. სამივე მათგანი ერთი შინაარსისაა, წმ. მსხვერპლია ყველა მარტვილი, რომელიც უფლის გზას იმეორებს, მასთან „თანაჯვარცმული“ ხდება. მათ შორისაა წმ. შუშანიკიც. „საკრველთაგან შემკული“, ნაწამები, განწმენდილი და ამადლებული, ბოლოს მოწამეობრივად აღსრულებული. იგი ქართლის ეკლესიისთვის შეწირული ტარიგია, კრავია, რომელნიც ვარსკენს ხელთაგან „ჭირითაც ვერ გამოუღეს“. შუშანიკის „ტარიგად“ წარმოდგენა წარმოაჩენს მოწამეობრივ ღვაწლს, გამოკვეთს იმ ტანჯვას, რაც დედოფალმა გადაიტანა ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისათვის. 2. ეპითეტი - სამგზის სანატრელი. იაკობ ხუცესი წმინდანს „სამგზის სანატრელს“ უწოდებს: „ვითარცა მეშიდე წელი დადგებოდა, მოიწია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წლულებაიცა ხორცთა მისთაი“. ამ დროს წმ. დედოფალი უკვე სიკვდილის პირასაა მიწვენილი. მანამ ავტორის მიერ იგი მოიხსენიებოდა, როგორც „წმიდაი“, „ნეტარი“, „სანატრელი“, ბოლოს კი „სამგზის სანატრელად“ სახელსდებს, რაც მამის, ძისა და სული წმინდისათვის, ანუ სამების სამივე ჰიპოსტაზისათვის მოსაწონს ნიშნავს - ე. ი. წმინდა შუშანიკი უფლის რჩეულია. ვარსკენს კი ავტორი „სამგზის საწყალობელს“ უწოდებს, რაც „სამგზის სანატრელის“ ანტონიმია. პიტიაში დაგმობილია სამების სამივე პირისაგან და სამგზის წყეულია.

ნაწარმოებში გვხვდება შედარების იშვიათი ნიმუშებიც. „ნიჭიერი ხელოვანის მიერაა მოხაზული რეალისტური სურათი შუშანიკისა, მისი ტანჯვისა და ციხეში ყოფნისა“ (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე; 1987; გვ. 66) „ვითარცა კრავი მგელსა გამოუღო ხელთა მისთა“ (ქართული პროზა I, გვ. 13); - ავტორის მიერ შედარების შესანიშნავი ნიმუშია გამოყენებული იმ მომენტის ასახვისას, როცა განრისხებულ ვარსკენს ჯოჯიკმა შუშანიკი ხელიდან გამოსტაცა. აქვე

აღვნიშნავთ, რომ ტექსტში ვარსკენის შესახებ ნათქვამია: „მოვიდა მგელი იგი“ - მოსწავლეების ყურადღება უნდა გავაძახვილოთ ამ ორ მაგალითზე, რადგან ორივე შემთხვევაში მგელი ვარსკენია, მაგრამ პირველი შედარებაა, მეორე კი ვარსკენის მეტაფორული სახეა. მსგავსი მხატვრული საშუალებებით ჰაგიოგრაფი წმინდა შუშანიკს ბიბლიურ წმინდანთა გვერდით აყენებს, ამიტომაც მიგვაჩნია, რომ პერსონაჟთა დახასიათებისას მუშაობის მსგავსი ფორმები განსაკუთრებულად ინდა გამოიკვეთოს.

ძველი მწერლობის ძეგლები ნაწილ-ნაწილ (თუ დიდი ტექსტია მნიშვნელოვანი ნაწილების) კითხვითა და შესაბამისი კომენტარებით, ლექსიკური ერთეულების გამოყოფით, შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ანალიზით და სახე-სიმბოლოთა განმარტებებით უნდა ხდებოდეს. მან უნდა გამოიყენოს კომენტარის სხვადასხვა სახე: ლექსიკური, ენობრივი, ისტორიული, ლიტერატურული. ასეთი მონაკვეთების კომენტირებით ხდება შესაძლებელი ტექსტის გააზრებული და შეგნებული ათვისება, რითაც მომზადდება ნიარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზისთვის.

ამრიგად, მხატვრული ხერხებისა და საშუალებების გაგებასა და ანალიზს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის იდეური შინაარსის გააზრების დროს, ამიტომ მათზე ყურადღების გამახვილება მოსწავლეებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ანიჭებს, რათა თვალსაჩინოდ ვაგრძნობინოთ მოსწავლეებს ტროპული მეტყველების კავშირი ნიარმოების იდეურ აზრთან. ამ მხრივ მოსწავლეები რწმუნდებიან, რომ მხატვრულ ხერხებს შემოქმედი იყენებს შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, აზრის გასაღრმავებლად, სურათის უფრო ლამაზად წარმოსადგენად. მოსწავლეები ნიარმოების მხატვრულ და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების შესწავლით არა მხოლოდ პოეტური ენის ანალიზის წესებს ეუფლებიან, არამედ ისინი ამდიდრებენ ლექსიკას, რაც ესოდენ აუცილებელია მათი მეტყველების განვითარებისათვის.

#### ლიტერატურა:

1. კეკელიძე კ. ბარამიძე ა. - ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბილისი; 1987 წ.
2. ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი; თბილისი; 2002 წ.
3. სირაძე რ. - სახისმეტყველება; თბილისი; 2000 წ.
4. ქართული პროზა I; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“; თბილისი; 1981 წ.

**Ketevan Shotadze**

### "Linguistic-expressive world of fiction texts and some issues of teaching old Georgian Literature"

#### Abstract

Studying fiction texts is difficult and interesting process whilst special attention is paid to analysis of poetic devices. Teachers are obliged to make students aware of understanding and estimating issues connected to linguistic expression. Teaching old Georgian literature is considered to be hard because of its complex lingual forms. Students gradually listen and read unknown words, phrases and try to understand their meaning. While analyzing the work we should clarify not only the specific stylistic devices, but also what is the aim of using them, what is the function of epithet, metaphor, comparison... and what is their role in expressing the idea of the work.

კულტუროლოგია    Методика    Methodic of teaching

ირმა გოგოლიძე

თბილისი, საქართველო

## თანამედროვე კონფლიქტების ზოგადი დახასიათება

XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე მსოფლიოში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათისა და კანონზომიერებათა შესახებ საკითხი კვლავ დღის წესრიგში დააყენა. ცივი ომის დასრულებით დაიწყო საერთაშორისო პოლიტიკის ახალი ეპოქა. კომუნიზმის კოლაფსმა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი სუვერენული სახელმწიფოების აღმოცენებამ გამოიწვია როგორც მსოფლიოს პოლიტიკური რუკის კორექტირება, ისე გლობალური გეოსტრატეგიული ცვლილებები. მართალია, სამოქალაქო დაპირისპირებები და სახელმწიფო კოლაფსი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ ეს მოვლენები უფრო გახშირდა ცივი ომის შემდეგ და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა დღეს, რადგანაც ტერორიზმის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევა. ორპოლუსიანი სისტემის გაქრობის შემდეგ სახელმწიფოთა შორის შესაძლებლობების განაწილება უკიდურესად არათანაბარი გახდა. დღეისათვის ბევრი მკვლევარი თვლის, რომ თანამედროვეობის მთავარი წინააღმდეგობა ატარებს ეთნოპოლიტიკურ ხასიათს და არა იდეოლოგიურ, გეოპოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ხასიათს და გამოიხატება სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის დაპირისპირებაში. თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ეთნიკური უმცირესობების ნაციონალიზმი უფრო „დემოკრატიული“ და ნაკლებად აგრესიულია, ვიდრე მესამე სამყაროს ქვეყნებში. შესაბამისად, კონფლიქტთა უმეტესობა განვითარებად სამყაროშია, უმრავლესობას აქვს ლოკალური ხასიათი და უმეტესწილად ადგილობრივი მნიშვნელობისაა, რომლებშიც სჭარბობს ტერორიზმი და პარტიზანული ბრძოლები. დღეისათვის ასევე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც გლობალური ტერორიზმის ცენტრი ხდება.

XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე მსოფლიოში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათისა და კანონზომიერებათა შესახებ საკითხი კვლავ დღის წესრიგში დააყენა. ცივი ომის დასრულებით, რომლის სიმბოლოც იყო ბერლინის კედლის დანგრევა (1989 წელი), დაიწყო საერთაშორისო პოლიტიკის ახალი ეპოქა. გაჩნდა ახალი კითხვები: მომავალ ათწლეულებში კვლავ იქნება თუ არა მსოფლიო ისეთივე გამანადგურებელი ომების მომწვერ როგორცაც ცივილიზაციის დასაბამიდანვე? ხომ არ იწყება ახალი ეპოქა, როდესაც სახელმწიფოები საერთოდ აღარ იომებენ ან მისი ტრანსფორმაცია მოხდება? იქნება თუ არა ომები ისეთ აქტორებს შორის, რომლებიც წარსულში წამყვან როლს ასრულებდნენ? წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკა“ რობერტ არტი და

რობერტ ჯერვისი შენიშნავენ: „მდიდარ დემოკრატიებს შორის ომი (ჩრდილოეთი ამერიკა, დასავლეთ ევროპა და იაპონია) არა მხოლოდ წარსულს ჩაბარდა, არამედ სავარაუდოდაც კი არ განიხილება. წამყვან სახელმწიფოებს შორის ომი ტრადიციული საერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელი იყო, მაგრამ მომავალი ეპოქა რადიკალურად განსხვავებული იქნება. თუმცა დანარჩენი მსოფლიო, სავარაუდოდ, მშვიდობიანი არ იქნება და შესაძლებელია, აშშ-მ განაგრძოს ინტერვენცია საზღვარგარეთ. მესამე მსოფლიოს დიდ ნაწილში სახელმწიფოთა შორის, განსაკუთრებით შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტები მძინვარებს“ [არტი; ჯერვისი, 2011 : 381]. მართლაც სამოქალაქო დაპირისპირება და სახელმწიფო კოლაფსი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ ეს მოვლენები უფრო გახშირდა ცივი ომის შემდეგ და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა დღეს, რადგანაც ტერორიზმის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევა. ცივი ომის დასრულების თანმდევი აღმოჩნდა: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლა და მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოების გაჩენა, ეთნიკური კონფლიქტების ესკალაცია, გლობალური ურთიერთდამოკიდებულების დონის გაზრდის ფონზე სეპარატისტული ტენდენციების გაღვივება, საერთაშორისო ტერორიზმის მასშტაბური ხასიათი და საერთაშორისო უსაფრთხოების არსებული სისტემის დასუსტება. 1989-91წწ. მოვლენები ურთიერთდამოკიდებულების შედეგი არ ყოფილა. ამ მოვლენების გამომწვევი მიზეზი პოლიტიკური ხასიათისა იყო – მსოფლიოს ორი ხესახელმწიფოდან ერთ-ერთის კოლაფსი. შაბსურდი იქნებოდა იმის უარყოფა, რომ საბჭოთა კავშირისა და იმ რეგიონალური და საერთაშორისო სისტემის კოლაფსმა, რომლის ღერძსაც წარმოადგენდა სსრკ დაახლოებით ორმოცი წლის განმავლობაში, როგორც სუპერძალაუფლების ცენტრი, საკმაოდ მძლავრი და, სავარაუდოდ, პერმანენტული ისტორიული ცვლილებების ჯაჭვი დატოვა, რომლის გამოვლინებებიც დღემდე ბუნდოვანია [პობსბაუმი, 2012 : 223]. კომუნიზმის კოლაფსმა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი სუვერენული სახელმწიფოების აღმოცენებამ გამოიწვია როგორც მსოფლიოს პოლიტიკური რუკის კორექტირება, ისე გლობალური გეოსტრატეგიული ცვლილებები. წარმოიშვა ძალთა ახალი ცენტრები, რომელთა შორის გაგლენის სფეროებისათვის ბრძოლამ კიდევ უფრო დაძაბა ისედაც რთული საერთაშორისო წინააღმდეგობანი. დეკოლონიზაციითა და საბჭოთა კავშირის დაშლით შექმნილი ახალი წარმონაქმნიდან უმრავლესობა აღმოჩნდა პატარა და სუსტი. ცხადია, სახელმწიფოები ერთმანეთისაგან არა მხოლოდ ფუნქციებით, არამედ შესაძლებლობებითაც განსხვავდებიან და სახელმწიფოთა შორის არსებულ უთანასწორობას მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები აქვს. ძველ და ახალ საერთაშორისო პოლიტიკას შორის ძირითადი განსხვავება ურთიერთდამოკიდებულების ზრდა კი არ არის, არამედ უთანასწორობის მატება. ორპოლუსიანი სისტემის გაქრების შემდეგ სახელმწიფოთა შორის შესაძლებლობების განაწილება უკიდურესად არათანაბარი გახდა [არტი; ჯერვისი, 2011 : 565].

პატარა ქვეყნების<sup>1</sup> მნიშვნელობა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე იყო შემჩნეული და აღიარებული, ხოლო პატარა ქვეყნის ცნებამ, როგორც ანალიტიკურმა კონცეფციამ მნიშვნელობა მხოლოდ ომის შემდეგ შეიძინა. ცივი ომის დასრულებამ და ახალი მსოფლიო წესრიგის წარმოქმნამ საკითხი კვლავ აქტუალური გახდა. დღეისათვის უფრო მეტი მეცნიერი უთმობს ყურადღებას ისეთი პატარა ქვეყნების შესწავლას, რომლებიც ეკომონიკურად უაღრესად განვითარებულნი არიან, არიან საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციის წევრები, მაგრამ ამავედროულად ითვლებიან „პატარა“ ქვეყნებად. მართებულად აღნიშნავს ეკა აკობია თავის წიგნში „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, რომ პატარის და სუსტის

<sup>1</sup> ერთ-ერთი ყველაზე მიღებული დეფინიცია ეკუთვნის კიპინს, რომელიც აერთიანებს როტსტეინის სუბიექტურ ელემენტს და ნეორეალისტურ სისტემურ ელემენტს. შედეგად ასკენის რომ სისუსტე, ან სიძლიერე, დამოკიდებულია ამ ქვეყნის ლიდერის აღქმაზე, თუ რა როლს ასრულებს მისი ქვეყანა სისტემურ თამაშში. (დაწვრი. იხ. რეკა აკობია „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“, თბ., 2006.)

განსაზღვრებები ფარდობითი ცნებებია და არა აბსოლიტური: „კონცეფციის განმარტებითი სირთულეები ნათელი გახდება თუკი რამდენიმე მაგალითს შევხედავთ. საქართველო პატარა ქვეყანაა ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით, მაგრამ თუკი გვინდა მისი შედარება ტუვალუს ან ვანუატუსთან მიმართებაში მაინც პატარად ჩაითვლება თუ არა იგი?

მეორეს მხრივ, საქართველოს ჰყავს თითქმის იმდენივე მოსახლეობა და აქვს თითქმის იგივე ტერიტორიული სიდიდე, როგორც ნიდერლანდებს, ან ბელგიას, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ რომ იგი ისევე ძლიერია როგორც ეს ქვეყნები? საქართველოსთან შედარებით რუსეთი არის ძლიერი ქვეყანა ყველა მონაცემებით, მაგრამ თუკი მას შევადარებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ან ჩინეთს მაშინ შევძლებთ იგივეს თქმას? რეს ყოველივე მიუთითებს, რომ პატარის და სუსტის განსაზღვრებები ფარდობითი ცნებებია და არა აბსოლიტური" [აკობია, 2006 : 66]. არსებობს ფარდობითი კრიტერიუმებიც. ზოგიერთი მკვლევარის აზრით „სისუსტე" და „ძლიერება" უნდა განისაზღვროს სამხედრო შესაძლებლობების მიხედვით. გოტჩელი ამბობს, რომ ცივი ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო გარემოს ცვლილებასთან ერთად „რიცხოვრივმა ძალისმიერმა ატრიბუტებმა" დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა [აკობია, 2006 : 68]. სამხედრო ძალა რჩება მხოლოდ როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ძალისა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, არ არის სიძლიერის მაჩვენებელი. ისეთი ელემენტები, როგორცაა საერთაშორისო ინსტიტუტების როლი, ინსტიტუციონალიზებული იდეები, ან დიპლომატიური კორპუსის სიძლიერე, შეიძლება გადამწყვეტ მომენტად ჩაითვალოს ამ თუ იმ ქვეყნისათვის სუსტის, ან ძლიერის სტატუსის მინიჭებისას [აკობია, 2006 : 68]. ნეორეალიზმის სკოლა იყენებს პატარა ქვეყნების ფარდობით დეფინიციებს. მათთვის ძალა, ძლიერება არის უმნიშვნელოვანესი დეტერმინანტი და ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკისა. ძლიერნი არიან ქვეყნები, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ საერთაშორისო არენაზე. შესაბამისად, პატარანი არიან ქვეყნები, რომლებსაც არ ძალუძთ რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა საერთაშორისო არენაზე [აკობია, 2006 : 69].

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კოლონიური სისტემის დანგრევით აფრიკის, აზიისა თუ ლათინური ამერიკის უამრავმა ეთნო-ნაციონალურმა ჯგუფებმა მოიპოვეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. შეიქმნა იმის ილუზია, რომ მსოფლიო ერთხელ და სამუდამოდ დაიყო სახელმწიფო საზღვრებით. მსოფლიო საზოგადოებრიობამ გაეროს დოკუმენტებში, ასევე ჰელსინკის 1975 წლის აქტში დააფიქსირა სახელმწიფო ტერიტორიული ხელშეუხებლობის, სუვერენიტეტისა და საზღვრების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების პატივისცემის აუცილებლობა საერთაშორისო სამართლის ყველა სუბიექტისადმი. თუმცა, ორიოდ ათეული წლის შემდეგ მსოფლიო ეთნო-ნაციონალური ჯგუფების სუვერენიზაციის მორიგმა ტალღამ მოიცვა. საბჭოთა კავშირის დაშლით 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა, სისხლისმღვრელი ბრძოლებით დაიშალა ყოფილი იუგოსლავიაც, სერბეთის პროვინცია კოსოვომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ეთიოპიას გამოეყო რერიტრეა, მშვიდობიანად „გაიყო" ჩეხოსლოვაკია, თუმცა გერმანია გაერთიანდა. აღნიშნული პროცესი ჯერაც არ დასრულებულა. დღეისათვის ბევრი მკვლევარი თვლის, რომ თანამედროვეობის მთავარი წინააღმდეგობა ატარებს ეთნოპოლიტიკურ ხასიათს და არა იდეოლოგიურ, გეოპოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ხასიათს და გამომიხატება სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის დაპირისპირებაში; ანუ ეს არის წინააღმდეგობა სახელმწიფო ნაციონალიზმსა და უმცირესობების ნაციონალიზმს შორის [დავითაშვილი, 2003 : 143]. ეთნიკური უმცირესობის ნაციონალიზმს, რომელიც მიმართულია ცენტრალური მმართველობის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს თვითგამორკვევას ეწოდება მინინაციონალიზმი. თვითგამორკვევა საერთაშორისო სამართალში განისაზღვრება, როგორც ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის უფლება თვითონ განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი, აკონტროლოს თავისი თავი და არ იყოს სხვის მიერ მართული. როდესაც ამ მოთხოვნით გამოდის ხალხი, რომელიც ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს სხვა ხალხის ეროვნულ სახელმწიფოში, იგი თითქმის გარდაუვლად შედის კონფლიქტში

ტიტულარული ერის ნაციონალიზმთან, რომელიც იმავდროულად ოფიციალური, სახელმწიფო ნაციონალიზმია [დავითაშვილი, 2003 : 150].

მინინაციონალიზმი ყოველთვის არაა მიმართული საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ, შესაძლოა იგი ავტონომიისათვის, ფედერაციის სუბიექტად ქცევისათვის, სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძოდეს. ასეთ შემთხვევაში ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ტიტულარულ ერთან კონფლიქტი ნაკლებად მწვავეა, ან შესაძლოა საერთოდ იქნეს აცილებული თუკი კონსენსუსის მიღწევა მოხერხდა. მაგრამ უმრავლეს შემთხვევებში მინინაციონალიზმი რადიკალური მოთხოვნებით გამოდის, რომელიც სეცესიას და სრულ დამოუკიდებლობას გულისხმობს. სწორედ ესაა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტების დიდი უმრავლესობის მიზეზი. სეპარატიზმი თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო პრობლემა გახდა, ხოლო წინააღმდეგობა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს შორის ნამდვილ დილემად იქცა [დავითაშვილი, 2003 : 150]. საერთაშორისო საზოგადოების წინაშე დგება დილემა: თუკი ერთ ეთნიკურ ჯგუფს ეძლევა სეცესიის უფლება, მაშინ დგება იგივე უფლების სამართლიანობის საკითხი სხვა ეროვნებებისათვის. რეს ესეა ჩრდილოეთ ირლანდიას, ისრაელის არაბებს და ასე შემდეგ. თუმცა, აბსურდი იქნება იმის მტკიცება, რომ ნებისმიერ ხალხს, ვისაც ეროვნული იდენტურობა აქვს სახელმწიფო უნდა გააჩნდეს. მაშინ საერთაშორისო სისტემა სრულ ქაოსად იქცეოდა, სადაც ძალთა წონასწორობაზე და წესრიგზე საუბარიც კი წარმოუდგენელი იქნებოდა [დავითაშვილი, 2003 : 145]. მსოფლიოს სახელმწიფოები და განსაკუთრებით დიდი ქვეყნები დაინტერესებული არიან ძალთა წონასწორობის შენარჩუნებით, რაც საერთაშორისო წესრიგის ქვაკუთხედად მოიაზრება, აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში უგულვებელყოფენ თვითგამორკვევის პრინციპებს. დასავლეთის ქვეყნების ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია ჩეჩნეთის მიერ თვითგამორკვევის აღიარებული პრინციპის მოთხოვნას. რეგიონული უსაფრთხოებისა და წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უყურადღებოდ რჩება დამოუკიდებლობის მოთხოვნა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. არც ერთი ქვეყანა ოფიციალურად არ აღიარებს 25 მილიონიანი ქართული ხალხის უფლებას შექმნას თავისი სახელმწიფო [დავითაშვილი, 2003 : 145]. XX საუკუნის ბოლოსათვის მსოფლიოს სუვერენული სახელმწიფოების სამ მეოთხედზე მეტს ყავდა ეთნიკური უმცირესობების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც ეთნიკური დაძაბულობებისა და კონფლიქტების სერიოზულ წინაპირობას ქმნიან. კონფლიქტებისა და ეთნიკური დაძაბულობის გეოგრაფიული განაწილება ასეთ სურათს იძლევა: დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში 31 ეთნოპოლიტიკური ჯგუფია. შეიარაღებულ კონფლიქტში არც ერთი ჯგუფი არ არის ჩაბმული. ხუთი ეთნიკური ჯგუფი საშუალო რისკის პირობებშია მოხვედრილი, მაგ. ბასკები, ჩრდილოეთ ირლანდიელები.

აღმოსავლეთ ევროპა და ყოფილი სსრკ ითვლის 59 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს. აქედან ორი ეთნიკურ ომშია ჩაბმული. რვა იმყოფება მაღალი, ხოლო შვიდი საშუალო რისკის მდგომარეობაში: სომხები, აზერბაიჯანელები, ქართველები, აფხაზები, ოსები, ჩეჩნები, ბოსნიელები, კოსოვოს ალბანელები [დავითაშვილი, 2003 : 151].

აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია 34 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს აერთიანებს. ხუთი ჯგუფი ომის მდგომარეობაშია; სამი იმყოფება მაღალი რისკის პირობებში. ხოლო 12 ჯგუფის მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს როგორც საშუალო რისკის დონე. მაგალითად, კარნები, მინები, შანები ბირმაში, უიღურები და ტიბეტელები ჩინეთში [დავითაშვილი, 2003 : 151].

დასავლეთი და სამხრეთ აზია 25 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს ითვლის. მათგან 11 ეთნიკური ომის მდგომარეობაში, 6 მაღალი და 13 საშუალო რისკის კატეგორიაში შეიძლება გავაერთიანოთ (ხაზარები, ტაჯიკები, უზბეკები ავღანეთში, ქაშმირელები ინდოეთსა და პაკისტანში, თამილები შრი-ლანკაში).

ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში 28 ეთნოპოლიტიკური ჯგუფი გამოიყოფა. ამათგან სამი ჩაბმულია ეთნიკურ ომში, ექვსი იმყოფება მაღალი რისკის პირობებში, ორი ჯგუფი კი – საშუალო რისკის პირობებში (ქურთები თურქეთსა და ერაყში, არაბები ისრაელში).

ტროპიკული აფრიკა 67 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს მოიცავს, რომელთაგან 11 ეთნიკური ომის მდგომარეობაშია, 12 მაღალი რისკის, ხოლო 8 საშუალო რისკის დონეზე იმყოფება (ჰუტუ ბურუნდიში, აფარები ეთიოპიაში, იორუბა ნიგერიაში, ტუტსი ზაირში).

ლათინური ამერიკა და კარიბის აუზი სულ 32 ეთნოპოლიტიკურ ჯგუფს ითვლის. ამათგან ეთნიკური ომის მდგომარეობაში არც ერთი მათგანი არ იმყოფება. მაღალი რისკის პირობებშია ერთი, ხოლო საშუალო რისკის მდგომარეობაში 11 ჯგუფი (მისკიტო ნიკარაგუაში, მაია მექსიკაში) [დავითაშვილი, 2003 : 152].

ნიშანდობლივია, რომ დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ეთნიკური უმცირესობების ნაციონალიზმი უფრო „დემოკრატიული“ და ნაკლებად აგრესიულია, ვიდრე მესამე სამყაროს ქვეყნებში. ცხადია, ამის მიზეზი გაცილებით მაღალი პოლიტიკური კულტურა, სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ისტორია და კანონის უზენაესობაა.

თანამედროვე კონფლიქტებზე მსჯელობისას, შეუძლებელია არ შევეხოთ საკითხს „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ. XX საუკუნის მიწურულს საკმაოდ პოპულარული გახდა ამერიკელი პოლიტოლოგის სემუელ ჰანთინგტონის ნაშრომი „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“. ჰანთინგტონის თვალსაზრისით, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი მსოფლიოსათვის კონფლიქტების წყარო იქნება არა იდეოლოგია და ეკონომიკა, როგორც ადრე, არამედ ცივილიზაციური კუთვნილება. რერი-სახელმწიფო კვლავაც დარჩება საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ მოქმედ პირად, მაგრამ გლობალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კონფლიქტები გაიშლება ცივილიზაციათა შორის [Huntington, 1996 : 3]. ცივილიზაციის განმსაზღვრელ მთავარ ელემენტად ჰანთინგტონი რელიგიას მიიჩნევს. ჰანთინგტონის ჰიპოთეზის თანახმად, XXI საუკუნე იქნება მსოფლიო ცივილიზაციებს შორის დაპირისპირების ეპოქა და ძირითადი წინააღმდეგობა იმ სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის არის მოსალოდნელი, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციას მიეკუთვნებიან (დასავლური, სლავურ-მართლმადიდებლური, ისლამური, კონფუციანური, იაპონური, ინდური, ლათინურ ამერიკული და, შესაძლოა აფრიკული). ასევე დესტაბილიზაციის რეგიონებად მოგვევლინებიან ის ტერიტორიები, სადაც ცივილიზაციათა შორის საზღვრები გაივლის. გარკვეულ სირთულეებს შექმნიან ე.წ. „გახლეჩილი“ ქვეყნები, ანუ ის სახელმწიფოები, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთ ცივილიზაციას, ხოლო პოლიტიკური ორიენტაცია სხვა ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოებსა და მათ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე აქვთ აღებული, მაგალითად თურქეთი, საბერძნეთი, მექსიკა [დავითაშვილი, 2004 : 244-245]. ცივილიზაციური კონფლიქტის შესახებ მსჯელობისას ფოკუსირება ძირითადად ისლამზე ხდება. დღეისათვის სერიოზულს საფრთხეს წარმოადგენს „ისლამურ სახელმწიფო“. „ისლამური სახელმწიფოს“ წინამორბედი 1999 წელს შექმნილი ტერორისტული დაჯგუფება „ჯამაათ ალ-თაუჰიდ ვალ-ჯიჰად“, რომლის დამფუძნებელი იყო „ისლამური სახელმწიფოს“ ამჟამინდელი ლიდერი აბუ ბაქრ ალ ბადდადი, რომელიც „ალ ქაიდას“ ექვემდებარებოდა. 2006 წელს ჯგუფი შეუერთდა ამბოხებულ სუნიტურ ჯგუფებს „მუჯაჰედთა შურას“ (საბჭოს) ჩამოსაყალიბებლად, რომელმაც უკვე 2006 წლის ოქტომბერში გამოაცხადა „ერაყის ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა, ერთ-ერთი წინამძღოლი ალ-ბადდადი გახდა, ხოლო 2010 წლიდან იგი სახელმწიფოს ერთპიროვნული ლიდერია [სანიკიძე, 2015 : 4]. 2011 წლის აპრილში „ერაყის ისლამური სახელმწიფო“ და სირიაში მოქმედი „ალ-ნუსრას“ ფრონტი გაერთიანდა და მიიღო „ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო“-ს სახელწოდება. 2014 წლის 29 ივნისს ჯგუფმა საკუთარი თავი გამოაცხადა მსოფლიო სახალიფოდ, ოფიციალურ სახელწოდებად - „ისლამური სახელმწიფო“, აბუ ბაქრ ალ-ბადდადი კი ხალიფა გახდა. „ისლამურ სახელმწიფო“-ს მალე გამოუჩნდნენ მხარდამჭერები: 2015 წლის ივნისისათვის ოფიციალური განშტოებები არსებობდა ლიბიაში, ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, იემენში, ალჟირში, ავღანეთში, პაკისტანში, ნიგერიაში და ჩრდილოეთ კავკასიაში. ისლამური სახელმწიფოს წევრები არიან მაროკოში, ლიბანში, იორდანიაში, თურქეთში, ისრაელსა და პალესტინაში, მაგრამ აქ არ არსებობს ოფიციალური განშტოებები. აფაქტობრივად, „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნით ალ-ბადდადიმ, ერთი მხრივ, ხაზი გაუსვა,

რომ საერთაშორისო ჯიჰადიზმს ახალი ცენტრი და ხელმძღვანელობა ჰყავდა და, მეორე მხრივ, გააერთიანა ორი კონფლიქტი: სამოქალაქო ომი სირიაში და დე ფაქტო სამოქალაქო ომი ერაყში [სანიკიძე, 2015 : 5]. დაფიქსირდა „ისლამური სახელმწიფო“-ს ამბიცია: ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური წესრიგის შექმნის მიზანი, ასევე საერთაშორისო ჯიჰადისტურ მოძრაობაში „ალ-ქაიდას“ ჩანაცვლება. „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგია ე.წ. სალაფიტურ მოძღვრებას ემყარება. ეს არის ისლამის თითქოსდა კონსერვატიული, მაგრამ იმავდროულად ექსტრემისტული ინერპრეტაცია, ქადაგებს რა რელიგიის სახელით ძალადობას [სანიკიძე, 2015 : 6]. ამგვარად, იკვეთება მთავარი – „ისლამური სახელმწიფო“ გლობალური ტერორიზმის ცენტრი ხდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მდგომარეობა მყიფეა. მათ არ აქვთ „სახელმწიფოს“ მართვისა და პოლიტიკური მოწყობის რეალისტური გეგმები.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, კონფლიქტთა უმეტესობა განვითარებად სამყაროშია, უმრავლესობას აქვს ლოკალური ხასიათი და უმეტესწილად ადგილობრივი მნიშვნელობისაა, რომლებშიც სჭარბობს ტერორიზმი და პარტიზანული ბრძოლები. ცივი ომის დასრულების შემდეგ მრავალი განვითარებადი ქვეყნის ცენტრალური მთავრობა მეტ-ნაკლებად დასუსტდა.

პაკისტანი ამის ყველაზე შემაშფოთებელი მაგალითია. დასუსტებული ცენტრალური მთავრობები შესაძლოა ჩათრეულნი აღმოჩნდნენ ომში ადგილობრივ პოლიტიკურ ჯგუფებთან ან, ნებისთ თუ უნებლიეთ, მოძალადე არასახელმწიფოებრივი აქტორების მასპინძლებად იქცნენ. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ გაჩნდა შიში, რომ სუსტი მმართველობის ქვეშ მყოფი ტერიტორიები ტერორისტული ჯგუფების თავშესაფარი გახდებოდა. დიდი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული სამხედრო ინტერვენციების უმრავლესობა სწორედ ცენტრალური მთავრობების სისუსტის პრობლემით იყო გამოწვეული. ცდა ბოლოს, შეშფოთებას იწვევს ის სახელმწიფოები, რომლებსაც ბირთვული იარაღის წარმოება შეუძლიათ და იმავდროულად იმდენად სუსტები არიან, რომ შესაძლოა დაიშალონ და იარაღზე კონტროლი დაკარგონ. ამგვარად, მართებულად შენიშნავენ არტი და ჯერვისი: „ძლიერ სახელმწიფოებს დიდ საფრთხეს სუსტები უქმნიან“ [არტი; ჯერვისი, 2011 :598].

#### ლიტერატურა:

1. აკობია ეკა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის, თბილისი, 2006.
2. არტი რ., ჯერვისი რ., საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, თბილისი, 2011.
3. დავითაშვილი ზურაბ, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბილისი 2003.
4. დავითაშვილი ზურაბ, საქართველო და დასავლეთი - „გახლეჩილი ქვეყნის“ სინდრომი, ქართული დიპლომატია, წელიწადეული, ტ.11, თბილისი, 2004.
5. სანიკიძე გ., „ისლამური სახელმწიფო და „დიდი თამაში“ ახლო აღმოსავლეთში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 2015.
6. ჰობსბაუმი ერიკ, ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან, პროგრამა, მითი, რეალობა, თბილისი, 2012.
7. Huntington S. The Clash of Civilizations and Remaking of the World order. N.Y., 1996.

**Tamar Gogolidze**

**General characteristics of modern conflicts**

**Abstract**

The most significant changes in the world during 80-90s have led to the rise of the issues of international relations and regulations. The new epoch of international policy began with the end of the Cold War. The changes of the world political map and global geostrategic position were caused by the collapse of the communism and the rise of new sovereign states in the Former Soviet Union.

Although the civil war and the collapse of state have always been in history, these events became more common since the Cold War. It has become even more important today as terrorism is considered to be one of the reasons. At present, many researchers believe that the main resistance of the modern times has ethno-political character rather than ideological, geopolitical, or economic and is reflected in the controversy between the state and ethnic minorities. It should be mentioned, that the nationalism of ethnic minority is more ‘democratic’ and less aggressive in the Western Democratic Countries than in the Third World Countries. Today the ‘Islamic State’, which is becoming a center of the global terrorism, also represents a serious threat.

რეცენზენტი: პროფ. ე. არუტინიანი

## კულტუროლოგია   Методика   Methodic of teaching

ნინო ტაბუაძე

თბილისი, საქართველო

### ინტერკულტურული კომუნიკაცია და მასთან დაკავშირებული სირთულეები

თანამედროვე მსოფლიო გლობალური სოფლის სახეს იძენს. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ კულტურათაშორისი კავშირი გაახშირა. შესაბამისად, აქტუალური გახდა ინტერკულტურული კომუნიკაციის საკითხი. ესეც მიზანი კულტურათაშორისი ურთიერთობების დახასიათება და კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით მათი ახსნა იქნება.

თავდაპირველად განვსაზღვროთ რა არის კულტურა. ამ შემთხვევაში კულტურის საყოველთაოდ ცნობილ ტაილორისეულ განმარტებას ავირჩევთ: კულტურა არის ზნე-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები, ტრადიციები და ყველაფერი ის, რაც მიიღება ადამიანის მიერ სოციალიზაციის (საზოგადოების წევრად მიღების) პროცესში.

კომუნიკაცია უნივერსალური პროცესია. ცხოველებიც კი ცდილობენ გარკვეული სახის კომუნიკაცია დაამყარონ ერთმანეთთან. მით უფრო არაა გასაკვირი, როდესაც სოციალიზებული ადამიანისთვის კომუნიკაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ესაა საშუალება, გაეცნოს საკუთარ კულტურას და ჩამოაყალიბოს თვითმყოფადი ნიშნები. პოსტმოდერნულ პერიოდში კი კომუნიკაციის მნიშვნელობა ფართოვდება და ის უკვე არა ერთი საზოგადოების წევრთა ურთიერთობებს მოიცავს, არამედ კულტურათა შორისსაც.

ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვანია იდენტობის ცნებაც. იდენტობა ადამიანის წარმოდგენაა საკუთარ მეზე, რითიც ის თავს რომელიმე ტიპოლოგიურ კატეგორიას (ერი, სახელმწიფო) მიაკუთვნებს. ისეთ ტიპოლოგიურ კატეგორიას, რომელსაც კულტურულ ჯგუფს ვუწოდებთ, გარკვეული მახასიათებლები გააჩნია. იმისთვის, რომ ინდივიდმა და თუნდაც განსხვავებულმა ჯგუფმა ეფექტური კომუნიკაცია მოახდინოს, საჭიროა რიგი მახასიათებლების ცოდნა.

ზოგადად, საზოგადოებაში კომუნიკაციის პროცესის საჩვენებლად შემდეგ სქემას იყენებენ: წყარო კოდირება გზავნილი არხი მიმღები დეკოდირება პასუხი წყარო ადამიანია, რომელიც კომუნიკაციის სათავეა და კავშირის დამყარებას ცდილობს; ადამიანებს ფიქრების გაზიარება არ ძალუძთ, ასე რომ საჭიროა ფიქრის კოდირება სიმბოლოში;

სიმბოლოები შესაძლოა განსხვავებული იყოს და არ მოიცავდეს მხოლოდ სიტყვებს, არამედ უტყვე შესტებსაც;

გზავნილი ის ფიქრია, რომელიც სიმბოლოს მეშვეობით გამოიხატება;

არხი ის გზაა, რომლითაც გზავნილმა მიმღებთან უნდა მიაღწიოს. არხის ნაცვლად ხშირად გამოიყენება სიტყვა მედიუმი. ეს შეიძლება იყოს ნაბეჭდი, ელექტრონული, რადიო ან აუდიო არხები ან პირისპირი კომუნიკაცია; მიმღები არის ის ინდივიდი, რომელიც ღებულობს გზავნილს. ეს შესაძლოა იყოს როგორც გამიზნულად შერჩეული, ასევე შემთხვევითი პიროვნება; დეკოდირება არის გზავნილის მთავარი იდეის მიხვედრა სიმბოლოს მეშვეობით, სხვაგვარად, გზავნილის აღქმა. პასუხი მიმღების რეაქციასა გზავნილზე, რომლითაც ის წყაროს ატყობინებს კომუნიკაციის წარმატებას ან წარუმატებლობას [Jandt 2010: 42].

კომუნიკაციის პროცესის ამგვარი მოდელი საქმეს ამარტივებს, თუმცა ჩვენთვის საინტერესოა რა ხდება ისეთ სიტუაციებში, როდესაც მედიუმი ან სიმბოლო არასწორადაა შერჩეული და როდესაც გზავნილის მიმღების აღქმა არ ემთხვევა წყაროს მიერ განზრახულს. ასეთი პრობლემების წინაშე ინტერკულტურულ კომუნიკაციაში ჩართული ინდივიდები თუ ჯგუფები დგებიან.

ედვარდ ჰოლმა კულტურათა კლასიფიკაცია მიიხნია საჭიროდ: გამოყო მაღალი და დაბალი კონტექსტის კულტურები. მაღალი კონტექსტისაა სიტუაცია, რომელშიც გზავნილი მინიმალურ ინფორმაციას შეიცავს, რადგან ინფორმაციის დიდ ნაწილს მიმღები უკვე ფლობს. დაბალი კონტექსტი კი პირიქითაა სიტუაციაა, რომელშიც გზავნილი დიდი რაოდენობის ინფორმაციას შეიცავს. პრობლემა თავს იჩენს მაღალი და დაბალი კონტექსტის ადამიანთა შეხვედრის დროს. მათთვის კომუნიკაციის წარმატება ორივეს ძალისხმევაზე იქნება დამოკიდებული. ედვარდ ჰოლმა ეს დებულება საკუთარი მაგალითით გაამყარა [Hall 2003: 24].

გარკვეული დროით იაპონიაში ჩასული ედვარდ ჰოლი სასტუმროს ნომრიდან გაუფრთხილებლად რამდენჯერმე გამოასახლეს. როგორც ნამდვილმა ამერიკელმა, მან ეს დიდ შეურაცხყოფად მიიხნია. ნომრიდან გასახლება აშშ-ში იმას ნიშნავს, რომ უმნიშვნელო ხარ. გაოცებულმა და გაბრაზებულმა ამერიკელმა თავის მეგობარ იაპონელს სთხოვა ამ ინციდენტის ახსნა. პასუხი კი ასეთი მიიღო: იაპონური კულტურა ერთი დიდი ოჯახია, რომელშიც შედიხარ. მაგ. როცა იაპონელი ხდება კამპანიის თანამშრომელი, ეს მოელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ერთი დიდი ოჯახის წევრი გახდა ედვარდ ჰოლიც, რომელიც სასტუმროში დიდი ხნით აპირებდა დარჩენას. ამრიგად, ედვარდი ოჯახის წევრი გახდა. როცა სტუმარი მოდის, უადგილობის შემთხვევაში ოჯახის წევრს ადგილის დათმობა ევალებოდა. ვინაიდან ედვარდი ოჯახის წევრი იყო, მისთვის ადგილის შეცვლის თხოვნა ნორმალურად მიაჩნდათ. ამიტომ გადაადგილეს ამერიკელი მკვლევარი რამდენჯერმე სასტუმროს ნომრებში.

ჰარი ტრიანდისმა IQ-ს კვლევისას აღმოაჩინა, რომ ტესტის შესავსებად საჭირო ინსტრუქცია ყოველმა კულტურამ სხვადასხვაგვარად აღიქვა. უხერხულ მდგომარეობაში ვარდება ინდივიდი, რომელიც არავერბალურ კომუნიკაციას უცხო კულტურაში მოიხმარს იმ იმედით, რომ მის მიერ შერჩეული შესტი ადეკვატურად აღიქმება მიმღებთა მიერ. მაგ. ჰარი ტრიანდისის მიერ მოყვანილი მაგალითი პრესიდენტ ნიქსონის შესტზე OK, რომელმაც ბრაზილიელები შეურაცხყო იმიტომ, რომ მათ კულტურაში ამგვარ შესტს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა.

კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემას ეძღვნება გრეგ სტორტის ნაშრომი. ის ყურადღებას ამახვილებს იმ ინდივიდების პრობლემებზე, რომლებიც სხვა კულტურაში საცხოვრებლად ან სამუშაოდ მოხვდნენ. ყველა სხვა პრობლემასთან ერთად სტორტი კულტურულ ინციდენტებს ასახელებს. ერთი კულტურის მატარებლის მოხვედრა განსხვავებულ კულტურულ გარემოში კულტურული ინციდენტების სიმრავლეს იწვევს. კულტურული ინციდენტები ის შემთხვევებია, რომელშიც ნათელია სხვადასხვა კულტურის ურთიერთგადაკვეთის სირთულე. სტორტის თეორია ყურადღებას ამახვილებს მოპასუხის მიერ გზავნილის აღქმაზე და ამ შემთხვევებში წარმოქმნილ გაუგებრობებზე. ასეთი კულტურული ინციდენტები 2 კატეგორიად იყოფა:

პირველი ჯგუფი მოიცავს ჩასულის რეაქციას ღოკალური კულტურის წარმომადგენელთა ქცევაზე. შოკი, იმედგაცრუება, ნერვიულობა და მრავალი ნეგატიური ემოცია წარმოიქმნება ამ დროს. კულტურული ინციდენტების მეორე ჯგუფი ღოკალური კულტურის წარმომადგენელთა

რეაქციას ასახავს ჩამოსულის ქცევაზე. ძირითადად, ეს ისეთივე ნეგატიურია, როგორც პირველი ჯგუფის შემთხვევაში. ლოკალური კულტურის წარმომადგენლებთან კონტაქტი და მათთან მიხვევა აუცილებელია უცხო გარემოში თავის გადასარჩენად. განვიხილოთ კულტურული ინციდენტების ორივე ჯგუფის მაგალითი:

დილა კაიროში

წარმოვიდგინოთ ტიპური დილა ექსპატრიანტისა, რომელიც კაიროში სამუშაოდაა ჩასული. კლერი კაიროში გაგზავნილი მენეჯერია. ის დილას წესისამებრ საუზმობს და მანქანით მიემართება სამსახურში. ქუჩების გადატვირთულობის გამო ვერ გაურკვევია როგორი მოძრაობის წესები მოქმედებს აქ. ყველა ურჩევდა მძღოლი აეყვანა, თუმცა მტკიცედ გადაწყვიტა, თავისით გამკლავებოდა პრობლემებს. ახლა კი, ქუჩაში მანქანით სიარულისას, მუდმივად განიცდის დისკომფორტს, ნაკლებ მობილიზებულია და კონცენტრაციის დაბალ დონეს უჩივის. ოფისში მისვლისთანავე ეგებება მუსტაფა, რომელსაც მანქანის ავტოსადგომზე დაყენება ევალება. მუსტაფა არცთუ კარგად ატარებს, ამიტომ შესასვლელთან მისული კლერი ცდილობს, ყურადღება არ მიაქციოს მეტალის კედელზე ხახუნის ხმას. კლერის მანქანა ორჯერ დაიკაწრა მსგავსად, თუმცა მუსტაფამ პასუხისმგებლობაზე უარი თქვა და მანქანა დაადანაშაულა.

მაგიდასთან მოწყობისთანავე კლერს მაგარი შავი ყავა დაახვედრეს, როდესაც ყოველთვის სხვაგვარს ითხოვს. კლერი ასისტენტ იასმინას იძახებს და ეკითხება, შეასრულა თუ არა მან მონაცემთა ანგარიში გალავი ლტდ-სთან მოლაპარაკებისთვის. იასმინა ამბობს, რომ ანგარიში მზადაა, თუმცა არ მოაქვს. კლერი ახსენებს, რომ სურს, ანგარიშს გადახედოს 9:30-მდე ანუ გალავისთან შეხვედრამდე. რამდენიმე სატელეფონო ზარის შემდეგ გალავი კაბინეტში შემოდის. კლერის კომპანიის მიზანი დიდი ხანია გალავი ლტდ-სთან ხელშეკრულების გაფორმება იყო. როცა კლერი მიზანთან ასე ახლოა, გალავიმ მოულოდნელად სთხოვა: ჩემი ორი ნათესავისთვის რაიმე "პატარა ადგილი" გამომიჩინა. კლერმა მათი განათლებისა და კვალიფიკაციის შესახებ იკითხა და აღმოაჩინა, რომ გალავის ნათესავები არაფერ შუაში არიან მენეჯერულ საქმიანობასთან. გალავი შეწუხდა, თუმცა აღარაფერი თქვა. 10:30 საათზე კლერმა ორი უბანი გაიარა იმისთვის, რომ საგარეო ვაჭრობის მინისტრს შეხვედროდა. 45 წუთიანი ლოდინის შემდეგ (რომლის განმავლობაშიც მინისტრის მდივანი არწმუნებდა, რომ უფროსი ყოველ წამს შეიძლება მოსულიყო) კლერმა შეიტყო, რომ მინისტრი საერთოდ არ იყო ქალაქში და აღშფოთებული და გაბრაზებული გაეცალა იქაურობას.

ქუჩაში გამოსულმა გადაწყვიტა, რომ სახლში წასვლისა და დასვენების დრო იყო, თუმცა გზად გაახსენდა, რომ გაზეთი "საერთაშორისო სასამართლო" უნდა ეყიდა. გამყიდველი წინა დღით შეპირდა, რომ მომდევნო დღისთვის ექნებოდა, თუმცა პირობა დაარღვია და მხრები აიჩეხა "ღვთის ნებაა". ასეთი სამუშაო დღის შემდეგ კლერი სრულიად განადგურებული და დაძაბული დაბრუნდა სახლში და არცთუ გასაკვირია, რომ ეგვიპტელები "გიჟებად" შერაცხა.

თუმცა ეს სურათის მხოლოდ ნახევარია. მეორე ნახევარი მოიცავს კულტურული ინციდენტების II ჯგუფს და გვჩვენებს ადგილობრივი მცხოვრებლების რეაქციას კლერის საქციელზე. განვიხილოთ თავდაპირველად მუსტაფა. ის ბრმა არაა და კარგად იცის გულის სიდრემში რომ აშავებს და კარგად საერთოდაც ვერ ატარებს. ტარება 15 წლის წინ ისწავლა, ხოლო საკუთარი მანქანა არ ჰყავს. ვინაიდან კლერმა მძღოლზე უარი თქვა, მუსტაფას მხოლოდ მანქანის ავტოსადგომზე დაყენებით უხდება დაკმაყოფილება. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ორჯერ გაკაწრულ მანქანაზე კლერმა პასუხისმგებლობა მას დააკისრა. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა მართლაც მუსტაფას ეკისრება, თუმცა შენიშვნა კლერმა სხვათა თანდასწრებით მისცა, რაც მუსტაფას ძალიან ეწყინა, ამიტომ ყველაფერი მანქანას გადააბრალა. მუსტაფას ურჩევნია კლერმა პირდაპირ გაუშვას სამსახურიდან, ვიდრე სხვათა თვალში ასე დაამცროს.

მეორე ვისი თვალთაც ამ ამბავს შევხედავთ, იასმინაა. იასმინა ყველანაირად ცდილობს, რომ უცხოელ უფროსს შეეჩვიოს, მეტიც, გადაწყვიტა კლერს თავი მოაწონოს. წინა დღით

კლერმა მას ანგარიშის მომზადება სთხოვა. იასმინა ძალიან ზრდილობიანი იყო, თუმცა იფიქრა, რომ კლერი ხუმრობდა, რადგან ასეთი ანგარიშის მომზადებას ერთი საათი არ ეყოფოდა. იასმინას უნდოდა კლერისთვის სიტუაცია აეხსნა, თუმცა ჩათვალა, რომ ეს უპატივცემულობის გამომუდგენება იქნებოდა. მის გასაკვირად, მეორე დილას კლერმა ანგარიში მოითხოვა. იმისთვის, რომ კვლავ არ გამოჩენილიყო უზრდელად, იასმინა კვლავ დაეთანხმა, თუმცა ნათლად მიანიშნა (იმით, რომ მაშინვე არ მიუტანა), რომ ანგარიში მზად არ იყო. თუ კლერმა ვერ შეძლო ამ ნიშნების წაკითხვა, ეს რა იასმინას ბრალი იყო? უკანასკნელი წვეთი მისთვის ელ გალავის თანდასწრებით ანგარიშის მოთხოვნა გახდა. იასმინამ იმაზე ფიქრი დაიწყო, რამდენად შეძლებდა მუშაობას კლერთან.

შემდეგი პერსონაჟი ელ გალავია. ყველაფერი წესრიგში იყო მისთვის სანამ არ შეხვდა კლერს და თავისი შორეული ნათესავეებისთვის "მცირე ადგილის" გამონახვა სთხოვა. მან ეს მხოლოდ ითხოვა იმისთვის, რომ ზრდილობიანად გამოჩენილიყო, არ უნდოდა ძალდატანება. როგორც წარმატებულ ბიზნესმენს, მას ევალება თავისი ვრცელი ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვა. ელ გალავი მხოლოდ მცირედ ანაზღაურებდა, უმნიშვნელო სამუშაოს ითხოვდა. კლერმა კი მათი კვალიფიკაციების გამოკითხვა დაიწყო. მათი კვალიფიკაცია ისაა, რომ ისინი ელ გალავები არიან. კლერის კომპანია დიდხანს ცდილობდა ხელშეკრულების გაფორმებას გალავისთან და ახლა მას მადლიერების გამოხატვა ევალებოდა. მორიგი გმირი საგარეო ვაჭრობის მინისტრია. რა უნდა ექნა მის მდივანს, როცა კლერი პირდაპირ მივიდა ოფისში და მოითხოვდა მინისტრთან შეხვედრას როცა ის ქალაქში არ იყო? მინისტრმა უკვე უთხრა უარი შეხვერაზე, როცა ტელეფონით საუბრისას, უთხრა კლერს: ჩემი მდივანი განრიგს შეამოწმებს და მალევე გადმოგირეკავთო. რადგან მდივანმა არ გადაურეკა კლერს, ეს იმას ნიშნავდა, რომ მინისტრი მას ვერ შეხვდებოდა. მოგვიანებით, როცა მინისტრმა გაიგო, რომ კლერი მასთან გაუფრთხილებლად მივიდა, უბრალოდ თავი გადააქნია.

ასევე ვერ გაუგო კლერს გაზეთების გამყიდველმა. როცა კლერმა მოითხოვა გაზეთი სასამართლოს შესახებ (და როცა ჰკითხა, ექნებოდა თუ არა ეს გაზეთი ხვალ), გაზეთების გამყიდველისთვის ეს ყველაფერი ღმერთის ხელში იყო, ამიტომ გაუკვირდა კლერის განაწყენების ნახვა.

ესაა ექსპატრიატისა და ლოკალური კულტურის წარმომადგენლების ტიპიური დილა. არც ერთ მხარეს ესმის მეორისა და ეს სიტუაცია "ყრუთა დიალოგს" ემსგავსება. კულტურული ინციდენტები ორი სხვადასხვა კულტურის მატარებელთა შეხვედრისას ხდება. ასეთ დროს ექსპატრიატისთვის საჭიროა გარკვეული დრო ლოკალური კულტურის ასათვისებლად, მასში ადაპტირებისთვის და კულტურული შოკის დაძლევისთვის. როგორც მოცემული მაგალითიდან დავინახეთ, კომუნიკაცია სხვადასხვა ადამიანებს შორის მყარდება, თუმცა გზავნილები არ დეკოდირდება ან დეკოდირდება არასწორად, რაც გზავნილის განსხვავებულად აღქმას იწვევს. შესაბამისად, პასუხიც აგრესიულია და უარყოფითი ემოციითაა დატვირთული.

როგორ შეიძლება დაგადწიოთ თავი კულტურულ ინციდენტებს?

ძალიან საინტერესოა ფენომენი, რომელსაც "ხელფენური გეტოიზაცია" შეიძლება ვუწოდოთ. ესაა შემთხვევები, როდესაც ერთი კულტურიდან მეორეში შესული ინდივიდები ცდილობენ თავისი მსგავსები მონახონ და ჩამოაყალიბონ გარკვეული სუბკულტურა, ხანდახან ერთიანი საცხოვრებელი არეალიც კი. ასეთ შემთხვევაში კომუნიკაცია ერთი კულტურის წარმომადგენლებს შორის ხდება, რაც მაქსიმალურად აცილებს მათ კონტაქტს ლოკალურ კულტურასთან. შედეგი ორმაგია: ერთი მხრივ, კულტურასთან გაცნობის სირთულე თავიდანაა აცილებული და კომფორტიც შენარჩუნებულია, მეორე მხრივ კი, უცხო კულტურისადმი არსებული სტერეოტიპები კვლავ ცოცხალია და მათი მეშვეობით ხდება განსჯა. ამ გამოსავლის კლასიკური და საუკეთესო მაგალითია დიდგვაროვანი ინგლისელების მიერ შექმნილი კომპაქტური დასახლება ინდოეთში; გრაფები და მათი მეუღლეები ჩვეულ ცხოვრებას ეწეოდნენ და სრულიად არ სჭირდებოდათ ადგილობრივი მოსახლეობის გაცნობა და მათთან ურთიერთობა.

ჯეფრი მურჰაუსი აღწერდა ინგლისელი დიდგვაროვნების მეუღლეთა ყოფას:

"თავდაპირველი კონტაქტის არქონის გამო ლოკალური კულტურის წარმომადგენლებთან მეუღლეები ძალიან იზოლირებული აღმოჩნდნენ გარესამყაროსგან. ეს ერთგვარი სუბ-საზოგადოება გახდა. მოუთმენლად ელოდნენ დიდი ლონდონური მაღაზიებიდან კატალოგებს, რომლებიც ინდოეთში ზაფხულის დასასრულს ჩამოდიოდა.

მათი დღის განრიგი ასეთი იყო: დილის 5-დან 7 საათამდე ჯირითობდნენ, შემდეგ საუზმობდნენ და ემზადებოდნენ სტუმრების მისაღებად დილის 10 საათზე. სოციალური საუბრები სტუმრებთან 4 საათს გრძელდებოდა, ლანჩს სიესტა მოჰყვებოდა და საღამოს ისევ წვეულებით ასრულებდნენ" [Moorhouse, 1984: 94-95].

ასეთ შემთხვევაში კონტაქტი გარესამყაროსთან მინიმუმამდე იყო დასული. ერთი მხრივ, ეს ინდივიდს უზრუნველყოფდა მეუღრო ნავთსაყუდელით, სადაც ის ყველა სტრესისგან დაისვენებდა და სადაც მას "მისიანები", მისივე მსგავსნი დახვდებოდნენ. აქ თავს იჩენს თვითიდენტიფიკაცია "ჩვენ ჯგუფთან", რომელიც ინდივიდის ახლოსაა. ხშირად ადაპტაციასა და კულტურული შოკის დროს ავტონომიის დონის ჩამოყალიბებას ის ფაქტი იწვევს, რომ "ჩვენ ჯგუფი" (რომელიც ჩვენი იდენტობის წყაროა) შორსაა. ისეთ დროს, როცა ექსპატრიანტები და მათი მეუღლეები ჩაკეტილ გარემოში ცხოვრობდნენ, კულტურული შოკის განცდა განახლებადი იყო. რამდენჯერაც ტოვებდნენ "უსაფრთხო ზონას", იმდენჯერ ხელახლა განიცდიდნენ შოკს ნანახით. ჩვენ ჯგუფის არსებობა მათ გვერდით უზრუნველყოფდა ადაპტაციის დაბალ დონეს.

ამრიგად, საკუთარი თავის "გეტოიზაცია" ექსპატრიანტისთვის და უცხო კულტურაში მოხვედრილისთვის არაა გამოსავალი. საკუთარი თავის იზოლირებით წარმოიქმნება მრავალი პრობლემა: პიროვნებისა და ლოკალური კულტურის ურთიერთობა იძაბება. ჩნდება ორმხრივი უარყოფითი ემოცია და ნერვიულობა, გაღიზიანება, გაუცხოება. ყველა ექსპატრიანტისთვის პირველი რეკომენდაციაა იმ ენის შესწავლა, რომელზეც ლოკალური კულტურის წარმომადგენლები საუბრობენ. ერთსა და იმავე ენაზე საუბარი ამცირებს კულტურული ინციდენტების ალბათობას. კომუნიკაცია უფრო მარტივი ხდება, ელემენტარულ დონეზე მაინც. არავერბალური კომუნიკაციის ნაკლებად გამოყენების შემთხვევაში, სავარაუდოდ, სიტუაცია გამარტივდება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლოკალური კულტურის წარმომადგენლისთვისაც რთულია ექსპატრიანტთან და უცხოსთან შეგუება, ამრიგად, სირთულეები ორმხრივია და მათი დაძლევაც ორივე მხარის მცდელობით უნდა მოხდეს.

ერთი რამ ცხადია: კომუნიკაცია ყოველთვის საჭიროა, მიუხედავად იმისა, რომელ კულტურაში მოვხვდით და რამდენად მიუღებელია ჩვენთვის ეს ლოკალური ხალხი, რადგანაც ფართო გაგებით "კულტურა კომუნიკაციაა და კომუნიკაცია კულტურაა".

#### ლიტერატურა:

1. Hall, Edward, "Beyond Culture";
2. Jandt, Fred, "An Introduction to Intercultural Communication", 2010;
3. Moorhouse, Geoffrey, "India Britannica", 1984, London:Paladin;
4. Storti, Craig, "The Art Of Crossing Cultures", 2007, USA: Intercultural Press;

**ნინო ტაბეშაძე**

**Интеркультурная коммуникация  
Резюме**

Сегодняшней мир все больше и больше становится глобальным, культуры приходят в тесный контакт. Идентичность обретает особое значение. Столкновение идентичности с локальными культурами легче видеть на примере экспатриантов. Люди которые входят в новую культуру сталкиваются с культурными инцидентами. Эти инциденты являются главным интересом для нас.

**Nino Tabeshadze**

**Intercultural communication  
Abstract**

As the world becomes a global village, cultures come in closer contact with each other. Identity becomes more and more important every day. Clash of identity with the local culture is best seen on the example of expats. People who appear in other culture due to their education, working or other conditions struggle with cultural incidents. Such cultural incidents are the most interesting for our paper.

რეცენზენტი: პროფ. რ. ბალახჩივაძე

კულტუროლოგია   Методика   Methodic of teaching

დოდო ბერიძე

ახალციხე, საქართველო

ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან

(საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, საქართველოს  
პირველი ეროვნული ყრილობა, საქართველოს ეროვნული საბჭო)

ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან ჩვენ ვხედავთ საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოს, საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას და საქართველოს ეროვნულ საბჭოს. მათი მიზანი, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საქართველოს სამართლებრივი და პოლიტიკური მდგომარეობის მოგვარება იყო.

ეროვნული ინტერპარტიული საბჭო (1917 წლის აპრილი-ნოემბერი) პოლიტიკური პარტიების ნებაყოფლობითი გაერთიანება და ხელისუფლებისათვის მებრძოლი პირველი პოლიტიკური ორგანო იყო, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმმართველობაზე დაფუძნებული ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება-რევოლუციურ მთავრობასთან შეთანხმებით. ერთა თვითგამორკვევის უფლება კი პოლიტიკურად რესპუბლიკანიზმზე იქნებოდა დაფუძნებული.

ეროვნული ყრილობა (1917 წლის 19 ნოემბერი), რომელიც არჩევითი ორგანო იყო და თავისი შემადგენლობითა და მოწვევის წესით კანონიერების ჩარჩოებში იჯდა, აღიარებდა საქართველოში ტერიტორიალური ავტონომიის ფარგლებში პარლამენტარიზმის იდეის განხორციელებას.

ეროვნულ საბჭო, რომელიც 1917 წლის 19 ნოემბერს ეროვნული ყრილობის მიერ იქნა არჩეული, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე, საქართველოს მთავრობას, აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა. მას შემდეგ რაც 1918 წლის 6 იანვარს რუსეთში ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრება გარეკიდ იქნა, ეროვნული საბჭოს პარლამენტის შექმნის იდეამ, ჯერ ამიერკავკასიის საზღვრებში, ხოლო შემდეგ განვითარებული მოვლენების ტაიმო საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვრებში გადაინაცვლა.

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ რუსეთის დროებითმა მთავრობამ 1917 წლის მარტში დანიშნა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანო – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი). 1917 წლის თებერვალ-მარტის ამბების შემდეგ თბილისში შეიქმნა რევოლუციური ხელისუფლების ორგანო- თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭო (თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას). თბილისშივე ფუნქციონირებდა ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოს სამხარეო ცენტრი

(თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას) და კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრი (თავმჯდომარე დიმიტრი დონსკოი). 1917 წლის აპრილის დამდეგიდან ფუნქციონირებას იწყებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოს ჩანასახი- „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) [გურული,1998: 9].

შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში საქართველოს პოლიტიკური პარტიათა და მიმდინარეობათა გამაერთიანებელ ორგანოს არ უნდა ჰქონოდა პრეტენზია პოლიტიკური ძალაუფლების აღებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალი იყო კონფლიქტი რუსეთის დროებით მთავრობასა და კავკასიის არმიასთან, რაც სრულიად არასასურველი იქნებოდა შექმნილ ვითარებაში. გარეგნულად ინტერპარტიული საბჭო უნდა ყოფილიყო საკონსულტაციო ორგანო და არ უნდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი ცდილობდა ეროვნული ხელისუფლების ორგანიზებას. სინამდვილეში კი ეროვნული მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება იყო ინტერპარტიული საბჭოს მთავარი ამოცანა. ამ ამოცანას საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ კარგად გაართვა თავი [გურული, 1999: 77-78].

1917 წლის აპრილში ჩატარდა ორი ინტერპარტიული შეკრება მენშევიკების, სოციალისტ-ფედერალისტების, ესერებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობით. საქართველოს პოლიტიკური პარტიების მთავარ საკითხს შეადგენდა ეროვნული საკითხი. ინტერპარტიული კრების ოქმიდან ვგებულობთ, რომ პირველმა კრებამ იმსჯელა ძირითად საკითხზე, ეს იყო ეროვნულ საკითხში შეთანხმება. ეროვნული საკითხი ორად იქნა გაყოფილი. ა. საქართველოს ტერიტორია, ბ. ეროვნული სეიმის კომპეტენცია- მეორე კრებისათვის გადაიდო. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრება გაიმართა 1917 წლის 16 აპრილს, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკ. ჩხენკელი. საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს მეორე კრებას უნდა განეხილა საკითხი -ეროვნული სეიმის კომპეტენცია. პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ, რომ საქართველო დარჩენილიყო რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში. მაგრამ შეკრების მონაწილეთა შორის დიდი კამათი გამოიწვია იმან, თუ რა სტატუსით უნდა შესულიყო საქართველო რუსეთის შემადგენლობაში [სილაგაძე, 1998: 20].

1917 წლის 16 აპრილს ინტერპარტიული საბჭოს მონაწილეთა ძირითადი მოთხოვნა რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებს არ გასცდენია [ვადაჭკორია, 1998:44]. 1917 წლის 6 სექტემბრის კრებაზე, ინტერპარტიულმა საბჭომ თავისი სამოქმედო გეგმა პროგრამის სახით ჩამოაყალიბა და პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე გასაზრუნავად არჩეულ თავის წარმომადგენლებს (ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელი, სიმონ მდივანი, შალვა ამირეჯიბი) შემდეგი დებულებების დაცვა დაავალა:

1. სახელმწიფოებრივ ძალაუფლების გადასვლა მხოლოდ რევოლუციური დემოკრატიის ხელში.

2. კონტრ-რევოლუციასთან მედგარი ბრძოლა.

3. რესპუბლიკის აღიარება, დადასტურება და დაცვა.

4. დამფუძნებელი კრების საჩქაროდ მოწვევა.

5. ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება, თავისუფალ რუსეთში თავისუფალი ერები. ერთა უფლებების აღიარება და მათთან შეთანხმებით მოქმედება. ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობა. მის მოსამზადებლად და განსახორციელებლად პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა რევოლუციური მთავრობისთან შეთანხმებით. ეროვნული საკითხი საბოლოოდ გადაიჭრება დამფუძნებელ კრებაზე [ს.ე.ი.საბჭო, 1999:52-53].

ამ დოკუმენტთან დაკავშირებით შოთა ვადაჭკორია აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს შედარებით სრულყოფილ პროგრამასთან, რომელშიაც განხორციელებულია პოლიტიკურ პარტიათა მიზნები და ამოცანები. დოკუმენტის მიხედვით საქართველოს მომავალი ბედი რუსეთის დემოკრატიასთან, კერძოდ მის დამფუძნებელ კრებასთანაა დაკავშირებული და იგი ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნის ფარგლებში თავსდება. ანგარიშგასაწევია, ისიც,

რომ ეს თვალსაზრისი ინტერპარტიულ საბჭოში შემაჯავალი ყველა პოლიტიკური პარტიების შეთანხმებიდან გამომდინარეობდა [ვადაჭკორია, 1998: 17].

ვეთანხმებით რა შოთა ვადაჭკორიას მოსაზრებას, დავსძენთ, რომ მუხლობრივად ჩამოყალიბებული ეს დოკუმენტი ნათლად წარმოაჩენს ამ პერიოდის პოლიტიკური ამინდის შექმნელი პოლიტიკოსების მიერ საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობისადმი დამოკიდებულებას. ამ დამოკიდებულების გასააზრებლად ყურადღების გამახვილება გვმართებს დოკუმენტის მე-5 მუხლზე, სადაც საუბარია ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმმართველობაზე დაფუძნებული ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებაზე, რევოლუციურ მთავრობასთან შეთანხმებით. როგორც ვხედავთ, ერთა თვითგამორკვევას იმდროინდელი პოლიტიკოსები ორ სიბრტყეში ხედავდნენ: პირველი-ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობის პრინციპზე დაფუძნებით, რაც უკვე არის საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობის შეფასება - როგორც „თავისუფალ რუსეთში-თავისუფალი ერი“. ამ ხედვის მეორე სიბრტყე კი სწორედ ამ „თავისუფალი ერის“ თავისუფლების ხარისხის განსაზღვრა იყო, რომელიც „პრაქტიკული ნაბიჯის გადგმით რევოლუციურ მთავრობასთან შეთანხმებით“ უნდა მომხდარიყო.

ერთა თვითგამორკვევის უფლება თავის თავში სამართლებრივთან ერთად პოლიტიკური მდგომარეობის განსაზღვრასაც მოიცავს, რომელიც დოკუმენტის 1-ლ და მე-3 მუხლში ნათლად არის გამოსატყუი. კერძოდ, სახელმწიფო ძალაუფლების რევოლუციური დემოკრატიის ხელში გადასვლით, რესპუბლიკის აღიარება-დადასტურების გზით. საკითხის უფრო სიღრმისეულად გასააზრებლად ყურადღების გამახვილება გვმართებს რესპუბლიკის როგორც მმართველობის ფორმის ორ ასპექტზე: პირველი-სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყაროზე რესპუბლიკაში - ხალხზე (1-ლი პუნქტი „სახელმწიფოებრივ ძალაუფლების გადასვლა მხოლოდ რევოლუციური დემოკრატიის ხელში“ სწორედ რომ ამ ასპექტს ეხმიანება), მეორე-ხელისუფლების სამ შტოდ დანაწილებულ დაფუძნებულ მმართველობაზე (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო), რომელიც სრულიად ეხმიანება თვითგამორკვევის უფლების არსიდან გამომდინარე ხალხის უფლებას განსაზღვროს თავისი პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი (მათ შორის ჰყავდეს მის მიერ არჩეული სახელმწიფო ხელისუფლება რესპუბლიკური მმართველობის კონტექსტში). მოცემული დოკუმენტი მუხლობრივად სწორედ ამ იდეაზეა დაფუძნებული და დავალების სხვა მუხლები მის გარშემო ერთიანდებიან, როგორც დაცვის გარანტი: „კონტრ-რევოლუციასთან მედგარი ბრძოლა“, „დამფუძნებელი კრების საჩქაროდ მოწვევა“.

ჩვენი აზრის განსამტკიცებლად საჭიროდ მივიჩნევთ იმ პუნქტის დამოწმებას, რომელიც ცოტა მოგვიანებით, 1917 წლის 19 ნოემბერს ნოე ჟორდანიამ გააჟღერა საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე მოხსენებით: „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“. ყრილობაზე ნოე ჟორდანიამ აღნიშნავს: „რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჩვენ მოვთხოვთ შექმნას ისეთი ნაციონალური ნორმებისას ქართველი ერისათვის, რომელიც მას მისცემს საშუალებას თავისუფალი კულტურული განვითარებისას. ასეთ ნორმად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე“ [სეცსსა, ფ. 1836, საქმე <sup>1</sup> 29: 1].

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ დოკუმენტში აღნიშნული თვალსაზრისი წარმოადგენს 1917 წლის 6 სექტემბრის დოკუმენტის (დავალების) იდეის გაგრძელებას, რამდენადაც ეროვნულ ყრილობის დოკუმენტის ერთ-ერთ პუნქტში ნახსენები საკანონმდებლო ხელისუფლება არის ერთა თვითგამორკვევის უფლებისა და რესპუბლიკანიზმის იურიდიული განმტკიცება და გარანტი. ეროვნულ ყრილობაზე მიღებული რეზოლუციის ის ნაწილი, სადაც იკვეთება მისწრაფება სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებასთან შეთანხმებით საკანონმდებლო ორგანოს შექმნის იდეისკენ, სწორედ რომ პარლამენტარიზმის იდეის ჩანასახს წარმოადგენს, რომელმაც საფუძველი სწორედ ინტერპარტიულ საბჭოში პპოვა. ამდენად, ეროვნულ ყრილობაზე

მიღებული ეს პუნქტი წარმოადგენს 1917 წლის 6 სექტემბრის დოკუმენტის დაგვირგვინებას, რამდენადაც, როგორც უკვე აღინიშნა ერთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელება, რომელიც პოლიტიკურად რესპუბლიკანიზმზე იქნებოდა დაფუძნებული, ლოგიკურად წარმოუდგენელია მმართველობის ამ ფორმისთვის დამახასიათებელი ხელისუფლების შტოების განხორციელება-განმტკიცების გარეშე.

მოვლენების ალტერნატიული განვითარების შემთხვევაში, თუ კი დამფუძნებელ კრებასთან კავშირი და დასახული მიზანი ანუ „საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე“ მოთხოვნა შედგებოდა, სრულიად რეალისტური იქნებოდა საქართველოში ტერიტორიალური ავტონომიის ფარგლებში პარლამენტარიზმის იდეის განხორციელება. თუმცა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ (1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია და 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვა) ეს არ გახადა შესაძლებელი და პარლამენტარიზმის იდეის განხორციელებამ დამოუკიდებელი საქართველოს კონტექსტში აკნობდა. გამომდინარე ზემოთქმულიდან ვასკვნიტ რომ პარლამენტარიზმის იდეის ჩანასახი სწორედ, რომ ინტერპარტიულ საბჭოში უნდა ვეძიოთ.

1917 წლის 19 ნოემბერს ოპერის თეატრში საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა გაიხსნა, იგი ინტერპარტიული საბჭოს სახელით აკაკი ჩხენკელმა გაიხსნა. ყრილობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანიას აირჩიეს. ყრილობამ პირველსავე დღეს სამუშაო დღის წესრიგი დაამტკიცა: 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი; 2) მოხსენება თავადაზნაურთა ქონების შესახებ; 3) მიმდინარე კითხვები (ერობა, ჯარის ნაციონალიზაცია, სასურსათო საკითხი საბჭოს არჩევა).

ყრილობის 20 ნოემბრის სხდომაზე შემდეგი სამუშაო სექციები ჩამოყალიბდა: ეროვნული საკითხის, საერობო რეფორმების, ჯარის ნაციონალიზაციის, სკოლა და უნივერსიტეტის, ადმინისტრაციის, იუსტიციის, საფინანსო, სასურსათო, თავადაზნაურთა ქონების.

სულ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 329 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 19 დელეგატი საათათბირო ხმით. ორგანიზაციების მიხედვით დელეგატები შემდეგი სახით იყვნენ წარმოდგენილნი: ინტერპარტიული საბჭო და პოლიტიკური პარტიები – 67, კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ცენტრი – 15, ქალაქთა თვითმმართველობები – 33, საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო ადმინისტრაციული კომიტეტის – 39, ქართული ჯარის – 20, კოოპერეტივების – 20, პროფესიონალური კავშირები – მასწავლებელთა კავშირების – 9, ქართული პრესის – 9. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების – 35, ვაჭრობა მრეწველობისა და ბანკირების – 26, თავადაზნაურობის- 20, ქართული კოლონიები – 8, საქართველოს ეკლესიის საბჭო – 1, სხვადასხვა დაწესებულებების – 8, ქართველ კათოლიკეთა და ქართველ მაჰმადიანთა-7, საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა- 3, აფხაზეთის- 2 დელეგატი [ვადაჭკორია, 1998: 27].

ყრილობის შემადგენლობა ვახტანგ გურულმა ასე შეაფასა: საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა განასახიერებდა სრულიად საქართველოს, ყველა კლასსა და სოციალურ ფენას, რომელთაგან უპირატესობა ინტელიგენციას აქონდა [გურული, 1999 : 95- 96].

შოთა ვადაჭკორიამ ნოე ჟორდანიას მოხსენებით გამოსვლა ეროვნულ ყრილობაზე ასე შეაფასა: "იმასთან დაკავშირებით, თუ რით იყო განპირობებული ეროვნული ყრილობის გარდაუვლად მოწვევა და ზემოთ ჩამოთვლილი განსახილველ საკითხთა დროულად გადაწყვეტა, ამის შესახებ ამომწურავ პასუხს იმავე ყრილობაზე ნ. ჟორდანიას მიერ წარმოთქმული სიტყვა იძლევა. ანალიზი გაუკეთა რა საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციას, მან კონკრეტულად მიუთითა იმ ნგრევით პროცესზე, რომელსაც ეკონომიკის, პოლიტიკისა და ეროვნულ სფეროში განიცდიდა რუსეთისა და ევროპის ქვეყნები. იგი საფუძვლიან შიშს გამოთქვამდა იმის შესახებ, რომ „აბოპოქრიულ ზღვის ტალღებს" საქართველოც არ ჩაეტანა „რღვევის მორევი". „ჩვენ პატარა ერი ვართ, - ამბობდა ნოე ჟორდანიას - და ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, რომლის ახლოს გადაჭიმულია დიდი საომარი ფრონტი. ამიტომ გვმართებს დიდი სიფხიზლე, გარდა

ამისა, რუსეთში გაჩაღდა სამოქალაქო ომი, დღეს არ არსებობს ცენტრალური მთავრობა და რუსეთთან ჩვენი პატარა ქვეყნის კავშირი თითქმის სავსებით მოწყდა. ამნაირათ ერთის მხრით ჩვენს ახლოს დიდი საომარი ფრონტის არსებობა, ხოლო მეორეს მხრით რუსეთთან კავშირის გაწყვეტა გვავალებს ჩვენს თავს მივხედოთ, ჩვენს თავს ვუპატრონოთ. ამ ნიადაგზე შეერთდა ჩვენში არსებული პოლიტიკური პარტიები... ჩვენში არის გადასატრეული ორი კითხვა... პირველი კითხვა ჩვენი ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა და მეორე კითხვა- შექმნა იმ საფუძვლის, რომელზედაც აგებული იქნება ჩვენი ხალხის თავისუფალ განვითარების შენობა" [ვადაჭკორია, 1998: 29].

როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანიას ქართველი ხალხის ფიზიკური გადარჩენის ერთ-ერთ გზას, ეროვნული სახელმწიფოს შენობის აშენებაში ხედავს, რომელიც პოლიტიკური პარტიების საერთო ნიადაგზე დგომას უნდა დაფუძნებოდა. ეს დებულება ყრილობის მოწინავე ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მიერ იყო გაზიარებული, ამ ფაქტორმა ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ორგანოს შექმნის დაჩქარებაში გადაწყვეტი როლი შეასრულა [ვადაჭკორია: 1998: 29].

1917 წლის 22 ნოემბერს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო. რა იყო ის ფუნქცია, რომელიც უნდა შეესრულებინა ეროვნულ საბჭოს? ამ კითხვაზე პასუხს ვპოულობთ ერთ-ერთ საარქივო მასალაში – სათაურით „ქართველი ერისათვის“, საიდანაც ირკვევა, რომ ქართველი ერი უნდა გამოსულიყო გაერთიანებული დემოკრატიული და რევოლუციური მოთხოვნებით, მას უნდა შეექმნა ხელმძღვანელი ეროვნული დაწესებულება თავისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეროვნულ საბჭოს უნდა შეესრულებინა ეროვნული ყრილობის მიერ გამოტანილი ყველა დადგენილება ერის საჭირობორტო საკითხების შესახებ: სკოლის, სასამართლოს, ადმინისტრაციის და ჯარის ნაციონალიზაციის, ერობის შემოღება, თავადაზნაურთა ქონების მიღება და მოვლა, სასურსათო კითხვის მოგვარება, ფინანსური მდგომარეობის გაძლიერება და ხალხის ჯანმრთელობის გაუმჯობესება. ეროვნულ საბჭოს უნდა მოეთხოვა და განეხორციელებინა სრული ეროვნულ-ტერიტორიული საკანონმდებლო თვითმმართველობა-სამაჰმადიანო საქართველოს ფართო თვითმმართველობის აღიარებით. ასევე თვითმმართველობა უნდა მიენიჭებინა იმ განაპრა ადგილებისთვის, რომელთა მცხოვრებნი მოისურვებდნენ საქართველოს ეროვნულ თვითმმართველ ერთეულში შემოსვლას [სეცესა, ფ.1823, აღ. 2, საქმე<sup>1</sup> 1: 296].

ეროვნული საბჭოს პერსონალური და პარტიული შემადგენლობის განსაზღვრა მიანდევს ყრილობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას. საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეული იქნა 65 წევრი და 61 წევრობის კანდიდატი. საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ნოე ჟორდანიას. ეროვნულმა საბჭომ აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ ითვლებოდა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც აყავდა მოადგილეები (ამხანაგები) [ერთობა, 1994: 3]. 1918 წლის 11 თებერვალს საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-8 კრებაზე განიხილეს საკითხი ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ. კრებაზე აღინიშნა: „აღმასრულებელმა კომიტეტმა იქონია მსჯელობა ამ საკითხის შესახებ და გადასწყვიტა ჯერ-ჯერობით, ეროვნულ საბჭოს რეორგანიზაცია იმ გზით მოხდეს, რომ მის შემადგენლობას მიემატნენ ამიერკავკასიის დეპუტატები- ე.ი. სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ქართველი დეპუტატები-ერთი სამად გამრავლებულნი პროპორციის მიხედვით" [სეცესა, ფ. 1836, აღ.1, საქმე<sup>1</sup> 5: 46-47].

ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ ვ. გურული წერს: " ეროვნულ საბჭოს ახლანდელ შემადგენლობას მიემატნენ ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატები. იმ დეპუტატთა მაგიერ, ვინც უკვე ეროვნულ საბჭოს წევრად ირიცხება, მოწვეულ იქნან სათანადო პარტიული კანდიდატები. ამიერკავკასიის პარტიული კანდიდატები. ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატები, ე.ი. ფაქტობრივად ბოლშევიკების მიერ გარეკილი რუსეთის დამფუძნებელი კრების ქართველი დეპუტატები (კ.ჩხეიძე, ი. წერეთელი და სხვ.). ეროვნულ საბჭოს შეესება ცხადია ზრდიდა მის ავტორიტეტს [ერთობა, 1994: 3].

1918 წლის 22 აპრილს, უაღრესად რთულ ვითარებაში შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. სხდომა ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარემ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ გახსნა. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადება. სხდომის დასასრულს ამიერკავკასიის სეიმმა შემდეგი სახის რეზოლუცია მიიღო.

1. გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად. ამ გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს სხვა სახელმწიფოებს.

2. დაევალოს მთავრობას ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუციის შედგენა [ჭანტურია, 2006: 57-58].

1918 წლის 12 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს კრებაზე სოციალ-დემოკრატმა ს. ჯაფარიძემ ამიერკავკასიის კონსტიტუციის შესახებ მოხსენება გააკეთა, რომელმაც ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს შესახებ შემდეგი მოსაზრება გამოხატა: „ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანო უნდა ყოფილიყო ერთი წარმომადგენლობითი პალატა სადაც დეპუტატებს ხალხი აირჩევდა საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების წერსით, საკითხები იქ ხმების უმრავლესობით უნდა გადაწყვეტილიყო [მაცაბერიძე, 2008: 35].

საქართველოს ეროვნულ საბჭოში საკონსტიტუციო საკითხების განხილვის შედეგად გამოიკვეთა წამყვანი პოლიტიკური პარტიების მიერ იმდროინდელი ვითარების შეფასება და საქართველოს მომავლის ჯერ კიდევ განსხვავებული ხედვა. მიზეზი, რის გამოც გაიშალა დისკუსია-ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის ხასიათის გარკვევა იყო. გამოიკვეთა ორი პოლუსი: სოციალ-დემოკრატებს სურდათ მტკიცე ამიერკავკასიის შექმნა, ეროვნულ-დემოკრატებს კი - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, დანარჩენ პოლიტიკურ ძალთა პოზიცია კი შუალედური ხასიათი ჰქონდა. სოციალ-დემოკრატებისა და ეროვნულ-დემოკრატების პოზიციათა რადიკალური სხვაობა განპირობებული იყო იდეოლოგიური პრიორიტეტების სხვაობით და შესაბამისად საერთაშორისო სიტუაციის და ეროვნული პრობლემების სხვადასხვაგვარი ხედვით [მაცაბერიძე, 2008: 39-44].

ამრიგად, ჩვენი კვლევის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ინტერპარტიული საბჭოდან მოყოლებული საქართველოს ეროვნული ყრილობის ჩათვლით პარლამენტარიზმის იდეა რუსეთის საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული ავტონომიით შემოიფარგლა. ეროვნულ საბჭოს არჩევის შემდეგ პარლამენტარიზმის იდეამ, განვითარებული მოვლენების გამო, ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვრებში გადაინაცვლა. მსჯელობის შედეგად კი შეიძლება მივიღეთ შემდეგ დასკვნამდე:

1. ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, რომელიც პოლიტიკური პარტიების ნებაყოფლობითი გაერთიანება და ხელისუფლებისათვის მებრძოლი პირველი ეროვნული პოლიტიკური ორგანო იყო, ჰქონდა სამთავრობო უფლებები. მისი ძირითადი მიზანი იყო ეროვნულ ტერიტორიალურ თვითმმართველობაზე დაფუძნებული ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება-რეველუციურ მთავრობასთან შეთანხმებით. ერთა თვითგამორკვევის უფლება კი პოლიტიკურად რესპუბლიკანიზმზე იქნებოდა დაფუძნებული. 2. ეროვნული ყრილობა, რომელიც არჩევითი ორგანო იყო და თავისი შემადგენლობითა და მოწვევის წესით კანონიერების ჩარჩოებში იჯდა, აღიარებდა საქართველოში ტერიტორიალური ავტონომიის ფარგლებში პარლამენტარიზმის იდეის განხორციელებას. ვახტანგ გურული ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნულ ყრილობაზე მიღებული რეზოლუციის შესახებ აღნიშნავს: „საქართველოს უნდა მიენიჭოს ფართო ეროვნული ავტონომია რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში, რაც ითვალისწინებს თბილისში საქართველოს საკანონმდებლო კრების მოწვევას ადგილობრივი მნიშვნელობის კანონების მიღების უფლებით“ [გურული, 1999: 82].

3. რაც შეეხება ეროვნულ საბჭოს, მას შემდეგ რაც 1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკების მიერ, რუსეთში, დამფუძნებელი კრება გარეკილ იქნა, პარლამენტის შექმნის იდეამ ჯერ ამიერკავკასიის საზღვრებში, ხოლო შემდგომში განვითარებული მოვლენების გამო - საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვრებში გადაინაცვლა.

**ლიტერატურა:**

1. სეცსსა, ფ. 1823, აღ.2, საქმე <sup>1</sup> 1.
2. სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 5.
3. სეცსსა, ფ. 1836, აღ. 1, საქმე 29.
4. საბჭო, 1999 - საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო 1917 წელი ( აპრილი-ნოემბერი), თბ., 1999.
5. გურული, 1998: გურული ვ., ახალი ქართული სამხედრო დოქტრინის ისტორიიდან (1917-1918), თბ., 1998;
6. გურული, 1999: გურული ვ., ნოე ჟორდანიას, პოლიტიკური პორტრეტი (1869-1953), თბ., 1999;
7. ვადაჭკორია, 2003: ვადაჭკორია შ., პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა ( 1917), თბ., 1998;
8. მაცაბერიძე, 2008: მაცაბერიძე მ., საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება, თბ., 2008;
9. სილაგაძე, 1998: სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918);
10. ჭანტურია, 2006: ჭანტურია ნ., ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, თბ., 2006.
11. ერთობა, 1918: გაზ. „ ერთობა“, თბ., 1994, 3 (1994 წლის „ერთობაში" ჩართულია გაზეთი „კარიბჭე“).

**Dodo Beridze**

**The origin of the Georgian Parliamentarism  
(National Inter-party Council of Georgia, the First National Assembly of Georgia,  
National Council of Georgia)**

**Abstract**

The origin of Georgian parliamentarism is connected to the Inter-party Council of Georgia, the First National Assembly of Georgia and the National Council of Georgia. Their aim, along with many other significant issues, was to settle the legal and political state of Georgia.

National Inter-party Council (April-November of 1917) was a voluntary union of political parties that aimed to recognize the right of self-determination of nations, based on the national-territorial self-government, in agreement with the revolutionary government. The right of self-determination would be politically based on republicanism.

National Congress (November, 19, 1917) recognized the implementation of the parliamentary cause within Georgia's territorial autonomy. The idea of forming the parliament lays the basis first in Amiercaucasus and later in Georgia in accordance with the developed events.

რეცენზენტი: პროფ. გ. სანიკიძე

## შინაარსი

ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია ელიფსისი ფრანგულ ენაში.....	12
Медея Дарсавелидзе Употребление иноязычных слов-неологизмов в речи учащихся.....	15
Darejan Demetradse Merkmale gesprochener dialogischer Sprache.....	18
Ketevan Dogonadze The Means and Techniques of Translating Personal Names from the English Language.....	20
ლელა ეძგვერაძე ერთი მოსახრება უქვემდებარო წინადადების შესახებ.....	27
Яговкина Е.П. О некоторых свойствах Языка.....	32
მთვარისა კეკულაძე ნასესხები სიტყვების საკითხი ქართულ ენაში.....	36
სალომე ლაღაძე კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ასპექტები.....	41
მირანდა ლომიძე დექსიკური შემადგენლობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ფრანგულ ენაში.....	46
ლელა ონიანი მხატვრული ნარატივის რეფერენტული სტრუქტურის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია.....	54
მადონა მეგრელიშვილი, მაია ალავეძე კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი .....	58
მადონა მეგრელიშვილი, ნინო თავიდაშვილი პრეცედენტულობის ფენომენი და მისი ნაირსახეობანი ინგლისურ ენაში ქართულთან შეპირისპირებით .....	65
ნათელა მელიქიძე ადამიანთა სახელდებისათვის .....	69
<b>მანანა მიქაძე</b> <b>დიალექტიზმების ადგილისათვის ოტია იოსელიანის ნოველათა ენაში.....</b>	<b>77</b>
ლიდა ობოლაძე თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკა და ამ დინამიკის ფუნქციური პრინციპი წინადადებისა და სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის ურთიერთმიმართების განხილვისას.....	86

როდინაძე შოთა მთარგმნელობითი ეკვივალენტობა სიტყვის დონეზე.....	90
Тлеубергенова Гульсум Годонимия как элемент языкового портрета города Актобе.....	95
დალი ფუტკარაძე, იაგორ ბალანჩივაძე ადრეული განათლების სფეროში დაკვირვებისა და მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტები.....	99
ქეთევან ჯანელიძე ლათინური ენის საერთაშორისო სტატუსი.....	106
მაია ბენიძე « Le Vitrail du Meurtrier »: reflet du mythe biblique de Caïn dans « L'Emploi du Temps » de M. Butor.....	109
სოფიკო გვარამაძე მამუკა ბარათაშვილის შემოქმედების ძირეული მოტივები („სახესა ვეტრფიალები, სულ“).....	114
თეა თალაკვაძე გარდატეხის ლიტერატურა, იგივე გარდამავლობა საბჭოთა ლიტერატურიდან პოსტსაბჭოთა ლიტერატურამდე.....	120
ნათია ნასარიძე „ობიექტური კორელატები“ გიუნტერ გრასის რომანში „თუნუქის დოლი“.....	124
М. В. Михайлова, А. В. Назарова Талант, слава, судьба (размышления Е.Н. Чирикова об участии писателя в России).....	129
მაია ნაჭყეპია „სელინჯერისეული ტრაგიზმი“ როგორც ინტერდისციპლინარული კვლევის კულტუროლოგიური ასპექტი და მისი კავშირი სელინჯერისეულ ქვეტექსტთან.....	133
თამარ ოსიძე ბიბლიური აღუზიის, როგორც ქვეტექსტის წარმომქმნელი ინტერტექსტის თარგმანში ტრანსფორმაციისათვის (დევიდ ჰერბერტ ლორენსის მოთხრობის <b>"The Shadow in the Rose Garden"</b> ერთი ფრაგმენტის ქართულ თარგმანთან შეპირისპირების საფუძველზე) .....	138
ნესტან რატიანი ჰომეროსიდან გალაკტიონამდე - ერთი პრობლემა, სამნაირი ხედვა .....	143
ნესტან სულავა გიორგი მცირის ცნობები ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობის შესახებ "წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების" მიხედვით.....	150

ნანა ფრუიძე აკაკი წერეთლის „სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“.....	155
თეა ხერხაძე პერსონაჟის გარეგნობის რეპრეზენტაციის ზოგიერთი ასპექტი მხატვრული პროზის ტექსტში.....	162
მალხაზ (სოსო) ვახტანგიშვილი შიდა ქართლის მთიანეთის ტოპონიმია.....	166
რუსუდან კაშია პარტიული დაპირისპირება დემოკრატიულ საქართველოში (ქუთაისური პერიოდული გამოცემების მიხედვით).....	170
ნინო ბენდელიანი თავდაჯერებულობის ჩამოყალიბება აღსაზრდელებში.....	176
Natia Gabashvili Importance of Teaching Foreign Language Vocabulary.....	179
იულია გორჯელაძე უცხო ენის სწავლების ინოვაციური ტენდენციები.....	184
ლელა ეძგვერაძე ასპექტის სწავლებისათვის .....	188
ათინა თოიძე "Motivation in second language learning" .....	194
ათინა თოიძე, ნონა მსხალაძე „ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა და კლასის მართვის თანამედროვე სტრატეგიები" .....	198
ეკატერინე ლოსაბერიძე თანამედროვე გაკვეთილის დაგეგმვა.....	204
მარიამ კილანავა სხეულის ენის როლი უცხო ენის სწავლების პროცესში (ინგლისური ენის სწავლების მაგალითზე).....	211
Lida Oboladze Learning and Acquisition.....	217
ნელი ურუმაშვილი V-VI კლასებში "რომ" კავშირთან მძიმის სწორად წერის სწავლებისათვის.....	220
თამარ ღვინიაძე ინტერაქტიური და პრობლემურ-ძიებითი სწავლება-სწავლის საკითხისათვის.....	223

ქეთევან შოთაძე	
მხატვრული ტექსტის ენობრივ-გამომსახველობითი	
სამყარო და ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების ზოგიერთი საკითხი.....	226
ირმა გოგოლიძე	
თანამედროვე კონფლიქტების ზოგადი დახასიათება.....	231
ნინო ტაბეშაძე	
ინტერკულტურული კომუნიკაცია და მასთან დაკავშირებული სირთულეები.....	238
დოდო ბერიძე	
ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან	
(საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, საქართველოს პირველი ეროვნული	
ყრილობა, საქართველოს ეროვნული საბჭო).....	244

## Contents

Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia Ellipsis in French.....	14
მედეა დარსაველიძე ნეოლოგიზმების გამოყენება მოსწავლეთა მეტყველებაში.....	17
Medea Darsavelidze The use of foreign words of neologisms in the speech of pupils.....	17
დარეჯან დემეტრაძე დიאלოგური მეტყველების დამახასიათებელი ნიშნები გერმანულ ენაში.....	19
ქეთევან დოღონაძე ინგლისური ენდიან საკუთარი სახელების თარგმნის ტექნიკა და საშუალებები.....	26
Lela Edzveradze About the issue of impersonal sentence in Georgian language.....	31
Elene Iagovkina About some features of the languages.....	35
Mtvarisa Kepuladze The issue of borrowed words in Georgian.....	40
Salome Lagadze Verbal and non-verbal aspects of communication.....	45
Miranda Lomidze Modern Tendencies of Development of the Vocabulary of the French Language.....	53
Lela Oniani Linguoculurological interpretation of a literary narrative's Referential structure	57
57	
Madona Megrelishvili, Maia Alavidze	64
Madonna Megrelishvili, Nino Tavidashvili	68
Phenomenon of Precedent and its Variations	68
Natela Melikidze	76
About Anthroponium	76
Manana Mikadze	85
Imerizms in the Writer's Language (Otia Ioseliani)	85
Lida Oboladze	89
Paradigmatic Dynamics of the Modern Linguistics and a Fundamental Principle of this Dynamics Based on the Interrelation of a Sentence and a Compositional - Speech Form	89
Shota Rodinadze	94
Translation equivalence at word level	94

Gulsum Tkeubergenova	98	
Gjdjnimia as a element of a language portrait of the city Aktobe	98	
Dali Phutkaradze, Iagor Balanchivadze	105	
Early education field observation and data collection tools	105	
Ketevan Djanelidze	108	
International status of Latin language	108	
მაია ბენიძე	113	
«მკვლელის ვიტრაჟი» კაენის ბიბლიური მითის ანარეკლი	113	
მ. ბუტორის რომანში «დროის განრიგი»	113	
Maia Benidze	113	
« Murderer’s Window »: reflection of the biblical myth of Cain in the	113	
« Passing Time » of M. Butor	113	
Sopiko Gvaramadze	119	
Main motives of Mamuka Baratashvili’s creativity	119	
Tea Takarvadze	123	
Transformation of Georgian literature	123	
Natia Nasaridze	128	
“Object Correlates” in Günter Grass’s novel “The Tink of Dolly”	128	
Maria V. Mikhailova, Anastasia V. Nazarova	132	
The peculiarity of E. N. Chirikov’s the play “For glory”	132	
Maia Nachkepia	137	
"Selinjer"s Tragicizm" as a culturological aspect of interdisciplinary research	137	
Tamar Osidze	142	
For transformation in the translation of biblical allusion as the subtext generator interpreter	142	
Nestan Ratiani	149	
From Homer to Galaktion - one problem, three vision	149	
Nestan Sulava	154	
Giorgi Mtsire of the Georgian spiritual polyphony of "The Live Saint Giorgi Mtatsmindeli"	154	
Nana Pruidze	161	
Akaki Tsereteli’s three lectures about “Vepkhistaosani”	161	
Tea Kherkhadze	165	
Some aspects of representing the character’s appearance in a prosaic text	165	
Malkhaz (Soso) Vakhtangishvili	169	
Toponymica of Shidaa Kartli Mtianeti	169	
Rusudan Kashia	175	
Opposition Parties in Democratic Georgia	175	

(According to Kutaisi periodical issues)	175	
Nino Bendeliani	178	
Building up Student's Self-confidence	178	
ნათია გაბაშვილი	183	
უცხო ენის ლექსიკი სწავლება	183	
Iulia Gorjeladzethe	187	
Use of innovative technologies in educational process of foreign languages	187	187
Lela Edzgeradze	193	
Aspect category teaching problems of in Georgian language	193	193
ათინა თოიძე	197	
მოტივაცია მეორე ენის სწავლებისას	197	197
Atina Toidze, Nona Mskhaladze	203	
Modern strategies in the procees of teaching	203	203
Ekaterine Losaberidze	210	
Modern Lesson Planning	210	210
Mariam Kilanava	216	
Using of body language approach in EFL classes	216	216
Tamar Gvinianidze	225	
The relevance of online learning	225	225
Ketevan Shotadze	230	
"Linguistic-expressive world of fiction texts and some issues of teaching old Georgian Literature"	230	230
Tamar Gogolidze	237	
General characteristics of modern conflicts	237	237
Nino Tabeshadze	243	
Intercultural communication	243	243
Dodo Beridze	250	
The origin of the Georgian Parliamentarism	250	250
(National Inter-party Council of Georgia, the First National Assembly of Georgia, National Council of Georgia)	250	250
Nanuli Talakhadze	256	
Akaki Tsereteli, audio and data, iconographic historical - cultural context.....	148	256
Tamar Khitiri	257	
Three woman archetype in mazokhi's prose: heteral mother, oedipus mother, oral mother.....	166	257
Salome Lagadze	258	
Ethnos: Language and Religion.....	242	258



## Содержание

### Языковедение

Ахвледиани Циури, Купарадзе Георги Калькирование латинских и французских фразеологизмов в английском языке .....	16
Мариам Бабухадия Вводные слова как модулятор модального значения .....	20
Майя Габададзе Лингвопрагматические и стилистические особенности антропонимических заглавий в Британской художественной литературе .....	26
Лали Тавадзе Роль культуры в развитии человека и языка .....	30
София Имедадзе “Катабани” и “Харазани” в “Грузинском лексиконе” Сулхана-Саба Орбелиани .....	34
Нино Кванталиани Анализ моделей речи персонажей и их интересные вариации в кратком рассказе Л. Ш. Шварца “A Taste of Dust”. .....	42
Манана Напирели Различия фразового контрасты в типологической раме .....	63
Лида Оболадзе Парадигмная ситуация современной лингвистики и взаимоотношение двух языковых единиц предложения и речевой композиционной формы как теоретическая проблема.....	67
Ирма Русадзе Фразеологизмы и ее Композиционность .....	72
Тамар Пхакадзе Узкий и широкое понимание цитаты, цитата объектом лингвистики и литературоведения.....	77
Нино Пхакадзе, Ирма Грдзелидзе Дискурс и Политика .....	82
Натия Катамадзе Коммуникация и информация.....	85
Гига Камушадзе К вопросу о результатах влияния русского языка на речь репатриантов в Ианети .....	89
Нуну Чарквиани Употребление аналитических форм страдательного залога в грузинской и американской прессе .....	94

Екатерине Джулакидзе  
Принцип аналогии и проблема субъективности в журналистическом дискурсе.....99

## **Литературоведение**

Софио Гварамадзе  
Соотношение религиозного мировоззрения царя-поэта Арчила и свеленной  
(по произведению «Разговор человека с миром»).....105

Екатерине Гогиашвили  
Окружающая среда в „Амирандареджаниани" .....108

Дареджан Двали  
Рецепция Гете в письме Шиллера от 31 августа 1794 года ..... 111

Видаад Джасим Мохаммед  
Воззрения Орхана Кемала в некоторых его романах  
и способы их выражения ..... 115

Вахтанг Тевдорадзе  
Фахр в творчестве авторов "Муаллакат" .....120

Тинатин Тушабрамишвили  
Интерес Григола Орбелиани к вопросу о изучения и воспитания в соответствии  
с эпистолярного наследия.....125

Нино Кочлошвили, Манана Купатадзе  
Непобедимый писатель империи.....130

Наталья Кузьмич  
Художественное время в рассказе Галины Богдановой «Радэнава вакханка» .....131

Нана Рчеулишвили  
Неизвестные автографические приписки в личных письмах.....136

Тамара Сакуашвили  
Метаморфоза Библейского Ноя во французской литературе 20 века .....139

Натиа Свинтрадзе  
Для взаимоотношения поэтики «Лейли и Маджнун» и «Витязь в тигровой шкуре».....143

Нанули Талахадзе  
Аудио и иконографикал материалы Акакия Церетели в историко-культурном контексте.....148

Филина С.А.  
Гносеологическое видение пустоты в эссе маргерит юрсенар  
"мисима или видимость пустоты" .....149

Хатиа Циргаиа  
литературный анализ символики библейского запретного плода .....156

Анна Чанкветадзе  
Значок мира и ее виды .....160



## **Методика**

<b>Натиа Габашвили</b> эмоциональное воздействие процесса обучения студента.....	250
<b>Кетеван Гочиташвили</b> Методчтения: сканирование- цель и техника .....	256
<b>Тамара Тваладзе</b> Применение активных методов обучения.....	261
<b>Елене Маглакелидзе</b> Обучение сочинению в начальных классах.....	267
<b>Натела Маглакелидзе</b> Место грамматики в системе обучении грузинскому языку .....	273
<b>Манана Микадзе</b> Обучение сериям и рядом глагола в бакалавриате .....	277
<b>Нана Папунашвили</b> Менеджмент класных комнатов .....	281
<b>Мальвина Шанидзе, Нино Гурешидзе</b> дифференцированное обучение .....	290